საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
26 აგვისტო - 8 სექტემბერი, 2009 №27

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net
გამოდის ორშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

ექსკლუზივი //

7 რამაზ კლიმიაშვილი:

## არშემდგარი ქვეყანა

# ვაშინგტონი საფრთხეს იცილებს და თავის სატელიტ ქვეყნებზე თანაბრად ანაწილებს 2



## გუანტანამოს ტყვეების მიღებას შესაძლოა, საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციების ქსელის შექმნა მოჰყვეს 4




12



## ბაღაფში თხილში მეტს იხდის 6

theguardian 5

## ამერიკული გავლენის ზღვარი

...თუ საქართველო და უკრაინა რუსეთთან კონფრონტაციაში იქნებიან, აშშ ბევრს ვერაფერს გააკეთებს. არსებობს გარკვეული გეოგრაფიული რეალობები, რომელთა გადალახვა არსებული სამხედრო რესურსებით, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს ქვეყნები რუსეთს ესაზღვრებიან, ამერიკის შეერთებული შტატები კი ძალიან შორსაა...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ჯიმი ჯალიაშვილი:

# ვაშინგტონი საფრთხეს იცილებს და თავის სატელიტ ქვეყნებზე თანაბრად ანაწილებს



**გუანტანამოს ტყვეები შესაძლოა, საქართველოშიც განთავსდნენ, — ამის შესახებ ინფორმაცია გასულ კვირას გავლენიანმა ამერიკულმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გაავრცელა. სტატიის ავტორი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ ამ საკითხის თაობაზე ვაშინგტონმა საქართველოს ხელისუფლებასთან გარკვეული მოლაპარაკებები უკვე გამართა.**

**წერილში, ასევე, აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებებმა დადებითი შედეგი გამოიღო და თბილისში ტყვეების ჩამოსაყვანად მზადყოფნა უკვე გამოთქვეს.**

**გავრცელებულმა ინფორმაციამ საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ გუანტანამოს ტყვეთა განთავსებამ, შესაძლოა, საქართველო ტერორისტების სამიზნე გახადოს. მათი აზრით, ეს ნაბიჯი ვაშინგტონისთვის პოლიტიკურად მომგებიანია, საქართველო კი სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება და მის უსაფრთხოებას ამერიკა ველარ უზრუნველყოფს.**

**აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა ისინი არც იმას უარყოფენ, რომ „თეთრ სახლსა" და თბილისს შორის მოლაპარაკებები გაიმართა.**

**...რეალურად რამდენად მოსალოდნელია გუანტანამოს ტყვეების საქართველოში განთავსება და არის თუ არა ეს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველი, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიო" პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილს ესაუბრა.**



**ჩვენი მაღალჩინოსნების მოქმედებაც სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ნებისმიერი ნაბიჯისთვის მზად არიან, ოღონდ, ცოტა ხნით მაინც, პოზიცია გაიმაგრონ.**

**— ბატონო ჯიმი, გუანტანამოს ტყვეების საქართველოში შესაძლო ჩამოყვანასთან დაკავშირებით ექსპერტთა წრეში ერთი ამბავია ატეხილი. ისინი აცხადებენ, რომ ამით ჩვენი უსაფრთხოება სერიოზულად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— სრულიად ვეთანხმები, იმიტომ, რომ ეს არის აბსოლუტურად სწორი მიდგომა საკითხისადმი.

იმედს ვიტოვებ, რომ ტყვეები საქართველოში არ განთავსდებიან, მაგრამ, თუ მაინც ასე მოხდა, რა თქმა უნდა, ჩვენს სტაბილურობას საფრთხე დაემუქრება.

ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილებით ამერიკა შორს გამიზნულ ნაბიჯს დგამს, მაგრამ არა იმ ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით (ამ შემთხვევაში საქართველოს ინტერესების), სადაც ტყვეების განთავსებას აპირებს, არამედ მხოლოდ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონს პოლიტიკური ინტერესები უფრო ამოძრავებს, ვიდრე იმ საფრთხის პრობლემა აწუხებს, რომელიც ჩვენ წინაშე დადგება. არადა, ეს პრობლემა აუცილებლად იჩენს თავს, მით უმეტეს, რომ ჩვენ არ ვართ მონოეთნიკურ სივრცეში და ამ რეგიონის თითოეულ მოთამაშეს თავისი ინტერესები აქვს...

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ტყვეების ჩამოყვანით ამერიკა კავკასიაში გაბატონებას ცდილობს. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ამ ეტაპზე პოსტსაბჭოთა სივრცეში ვერანაირ გავლენას ვერ მოიპოვებს და, მითუმეტეს, ვერ გაფართოვდება. ერთადერთი მიზანი, რაც შეიძლება ამ ნაბიჯს ჰქონდეს, ის არის, რომ ვაშინგტონი საფრთხეს ოსტატურად იცილებს, ანაწევრებს და ცდილობს, თავის სატელიტ ქვეყნებზე თანაბრად გადაანაწილოს.

არც ერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყანა დღევანდელ ვითარებაში ამ გარიგებაზე არ წავა, მხოლოდ საქართველო შეიძლება დათანხმდეს იმაზე, რომ თავისი ოკეანისგაღმელი მოკავშირის მოთხოვნით საკუთარ ტერიტორიაზე ასეთი საშიში და სახიფათო ბანაკები განათავსოს...

**— „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ქართველი მაღალჩინოსნები ხუმრობდნენ კიდეც, რომ თბილისი მზადაა, გუანტანამოს ყველა ტყვე მიიღოს, თუ შეერთებული შტატები საქართველოში ბაზას განათავსებს". თქვენი აზრით, რეალურად მოსალოდნელია, რომ ტყვეებთან ერთად ამერიკამ ბაზაც ჩამოიყვანოს, თუ ეს ჩვენი ხელისუფლების მორიგი უკბილო ხუმრობაა?**

— როცა კბილი ირყევა, სანამ დავრწმუნდებით, რომ ამოსაღებია, ყველანაირ საშუალებას ვიყენებთ მის შესანარჩუნებლად... დღეს ხელისუფლება ძალიან მერყევ მდგომარეობაშია და, ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ხანდახან იხუმროს კიდეც, ისეთ დროსაც კი, როცა სახუმაროდ ნამდვილად არ აქვს საქმე.

ჩვენი მაღალჩინოსნების ეს განცხადებაც სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ნებისმიერი ნაბიჯისთვის, ნებისმიერი, თუნდაც, ყველაზე წინდაუხედავი გადაწყვეტილებისთვის მზად არიან, ოღონდ, ცოტა ხნით მაინც, პოზიცია გაიმაგრონ.

ამაში პატრიოტულსა და ეროვნულს, ბუნებრივია, ვერაფერს ვხედავ, რადგან გაიმაგრო ხელისუფლება და გაჰყვე სატანას — ეს არ არის ის პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული შეიძლება ეწოდოს...

**— თუ საქართველოში ტყვეების ჩამოყვანა რუსეთმა საფრთხედ აღიქვა, რას უნდა ველოდოთ კრემლისგან?**

— ჩვენთვის ყველაზე ცუდია, თუ ის არაფერს გააკეთებს და იტყვის, ჯანდაბამდე გზა გქონიათო, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში ამერიკას უფრო მეტი თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცემა და, შესაბამისად, უფრო დიდი იქნება იმის საფრთხე, რომ საქართველო მართლა ტერორისტების სამიზნედ იქცეს.

ვფიქრობ, ჩვენ უნდა გაგვეტარებინა დაბალანსებული პოლიტიკა იმ საფრთხეთა წყაროსთან, რომელსაც საქართველოს მიმართ ამერიკაც ატარებს და რუსეთიც, მაგრამ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ და საფრთხის წყაროდ ვაქციეთ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი. ეს კი იმას გამოიწვევს, რომ ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის ჭიდილი ყოველთვის ჩვენს ტერიტორიაზე იქნება და ამ დაპირისპირებაში ყოველთვის საქართველო დაისჯება.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ტყვეების ჩამოყვანით ამერიკა პოზიციებს გაიმაგრებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ თავის მოკავშირეებთან ერთად რუსეთს შეუტევს, ეს ასე ვერ იქნება. ვაშინგტონის ინტერესების გამო თავის სტაბილურობას საფრთხის ქვეშ არავინ დააყენებს, მითუმეტეს, ისეთ სახელმწიფოსთან კონფრონტაციით, როგორიც რუსეთია. ამდენად, მოსაზრება, რომ თითქოს ამერიკა სამხრეთ კავკასიაში (საქართველოში) ტყვეთა ბანაკების გახსნით მოსკოვს საფრთხეს უქმნის, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია და, ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლების მიერ გარკვეული პიარისთვის შეთითხნილი აბსურდია.

ასეც რომ არ იყოს და, ვთქვათ, ამერიკისთვის ამ ეტაპზე ხელსაყრელი იყოს ღია დაპირისპირება, მითხარით, ჩვენი რეგიონის რომელი სახელმწიფო დაუჭერს მხარს რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას?! თურქეთი? — არავითარ შემთხვევაში, რადგან თურქეთს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მხოლოდ ერთი ინტერესი აქვს — სავაჭრო სივრცის ფლობა. ამას ახერხებს კიდეც და რაში სჭირდება დესტაბილიზაცია?! არაფერს ვამბობ სომხეთსა და აზერბაიჯანზე, რომელთა საგარეო პოლიტიკური კურსიდან ნათლად ჩანს, რომ მათ თავიანთი წინსვლა და მშვიდობიანი თანაცხოვრება მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში წარმოუდგენიათ.

ასე რომ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ,

**ვერც თურქეთი, ვერც სომხეთი და ვერც აზერბაიჯანი ვაშინგტონის ინტერესებს ვერ მოერგებიან, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს პოლიტიკური პროცესების იმ მიმართულებით განვითარებას, რომელზეც ჩვენი ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს.**

**— არსებობს ასეთი ვერსიაც, რომ თითქოს სააკაშვილმა ტყვეების განთავსების ვალდებულება ამერიკისგან მხარდაჭერის სანაცვლოდ იკისრა. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს მოსაზრება?**

— მე მგონი, რეალობას მოკლებულია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას არ სჭირდება დამატებითი ვალდებულებების აღება. მან ისედაც საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობა იკისრა, როცა ხელისუფლებაში ამერიკის ინტერესების მსახურად მოვიდა. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, ამ ვალდებულებას ის დღემდე პირნათლად ასრულებს, უბადლოდ ახორციელებს ყველა იმ მითითებებსა და ინსტრუქციებს, რომელთაც ვაშინგტონიდან უგზავნიან.

სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ეს ქართველი საზოგადოებისთვის, ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისა და ინტერესებისთვის... თუმცა ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, საზოგადოების ვნებათაღელვის ჩაცხრომა ხელისუფლებას ადვილად შეუძლია — დაპირებები და დიალოგისკენ მოწოდება თუ არ გაჭრის, ბოლოს და ბოლოს, ძალას გამოიყენებს, ხალხს დააშინებს, დაატერორებს და მშვიდობა დამყარდება. ბუნებრივია, ამას უფრო თავდაჯერებულად გააკეთებს, როცა იცის, რომ ამერიკისგან მწვანე შუქი აქვს ანთებული, ხოლო იმისთვის, რომ ეს შუქი კიდევ დიდხანს ენთოს, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებსა და უსაფრთხოებას უკანა პლანზე გადაწევს.

თუ საქართველო 2013 წლამდე ამ პოლიტიკით იხელმძღვანელებს, ბუნებრივია, შედეგები ძალიან მძიმე გვექნება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საზოგადოებამ მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს, რათა ამერიკას გავაგებინოთ, რომ ჩვენ მისი გეოსტრატეგიული მიზნების მსახური კი არა, თავმოყვარე და საკუთარი ინტერესების მქონე ერი ვართ, რომელიც თავის მომავალს მხოლოდ მშვიდობისა და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაში ხედავს...



ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# GEORGIA — ტერორისტების ახალი სამიზნე?



კუბის გუბერნატორი ბატისტა



ჯორჯიის გუბერნატორი სააკაშვილი

**მარიონეტი დიქტატორის — ფულხენციო ბატისტას დასამხობი მსვლელობა კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომაც ისევე დაიწყო სანტიაგო დე კუბიდან, როგორც სააკაშვილმა „ვარდების რევოლუცია" — წალენჯიხიდან. მსგავსებები კასტროსა და სააკაშვილს შორის ამით ამოიწურება, სხვა დანარჩენში საქართველოს პრეზიდენტი ბატისტას უფრო ჰგავს, ვიდრე — კასტროს.**

**სააკაშვილიც, ბატისტას მსგავსად, უსიტყვოდ ემორჩილება ვაშინგტონის ნებას. რაც შეეხება დიქტატურასა და ტოტალიტარულ მიდრეკილებებს, ამ საქმეში სააკაშვილი სჯობნის კიდეც ბატისტას.**

**მიხეილს, როგორც დიქტატორს, ცოტა ხნით თავი დავანებოთ და ბატისტასთან მის კიდევ ერთ მსგავსებაზე — ამერიკელებისადმი უსიტყვო, მონურ მორჩილებაზე შევჩერდეთ... ბატისტამ საბოლოოდ დაამკვიდრა ამერიკელები ქალაქ გუანტანამოდან 15 კილომეტრში, გუანტანამოს ყურეში არსებულ ტერიტორიაზე, რომელსაც იანკები 1898 წლის ესპანოამერიკული ომის შემდეგ სამხედრო გემების ნავსაყუდელად იყენებდნენ. კასტროს მიერ მარიონეტი დიქტატორის — ბატისტას დამხობის შემდეგ ამერიკელებმა სამხედრო ბაზა კიდევ უფრო გააძლიერეს. ბაზის ინფრასტრუქტურა გათვლილია 50 მსხვილი სამხედრო გემისა და 10 000-ზე მეტი სამხედრო გარნიზონის მომსახურებაზე.** გუანტანამოს ტერიტორია ამერიკელებს უვადო იჯარით აქვთ აღებული. ბაზის ტერიტორია 117 კვადრატული კილომეტრია, იჯარის მოცულობა კი, არც მეტი, არც ნაკლები, 3400 დოლარით არის განსაზღვრული... მას შემდეგ, რაც კასტროს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა კაბალური ხელშეკრულების ბათილად ცნობა და გუანტანამოდან ამერიკელების გაძევება, დემონსტრაციულად თქვა უარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის მიღებაზე.

2002 წლიდან გუანტანამოზე სამხედრო ბაზის პარალელურად ფუნქციონირებს ციხე საერთაშორისო ტერორისტებისათვის, რომელმაც ტუსაღთა შუასაუკუნოვანი მეთოდებით არაადამიანური წამების გახმაურებული ფაქტების წყალობით შორს გაითქვა სახელი.

გუანტანამოს ტერიტორიაზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქცია, ციხეში ტუსაღების უმრავლესობას ბრალის წაყენების გარეშე ამყოფებენ. მათ მიმართ იყენებენ წამების ისეთ ფორმებს, როგორიცაა: დახრჩობის იმიტაცია, ძილის სრული აკრძალვა, დენზე შეერთება და სხვა.

ბუშის ადმინისტრაციის პირობებში პენტაგონი ტუსაღების დაკითხვის ამგვარ მეთოდებს „არაადამიანურ მოპყრობად" არ მიიჩნევდა. პენტაგონს მხარს უჭერდა კონგრესიც, მაგრამ აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ კონგრესის წინააღმდეგობის მიუხედავად, გუანტანამოს ციხეს დახურავდა. ობამას განცხადებით, ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ციხის არსებობამ მსოფლიოში ამერიკის მორალურ ავტორიტეტს დიდი ზიანი მიაყენა. გუანტანამოს საპყრობილის დახურვის შესახებ ბრძანებას ბარაკ ობამამ პრეზიდენტობის მეორე დღესვე მოაწერა ხელი. მან ამისთვის საჭიროდ მიიჩნია 80 მილიონი დოლარი, თუმცა სენატში დემოკრატებმა მისი მოწოდება უარყვეს. მათი აზრით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დეტალური გეგმა უნდა შეიმუშაოს პატიმრების მომავალთან დაკავშირებით, რადგან გუანტანამოს საპყრობილეში მყოფთაგან ნებისმიერის აშშ-ს თუნდაც სხვა საპატიმროში გადაყვანა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის რისკს წარმოადგენს...

მიაქციეთ ყურადღება, ამერიკელ სენატორებს მიაჩნიათ, რომ, **„საპყრობილეში მყოფი პატიმრებიდან ნებისმიერის თუნდაც სხვა საპატიმროში გადაყვანა აშშ-ს უსაფრთხოებისთვის რისკს წარმოადგენს"...** რისკი კი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი შტატი, რომელშიც განთავსდება ციხე, სადაც გუანტანამოს ტუსაღებს გადაიყვანენ, ავტომატურად გახდება ტერორისტების ნომერ პირველი სამიზნე...

და ამ დროს ჩნდება საქართველო, რომელიც ხალისით თანხმდება გუანტანამოს ტუსაღებისთვის ციხის გამოყოფას საკუთარ ტერიტორიაზე...

**(საუბარია მსოფლიოში საუკეთესოდ გაწვრთნილ რამდენიმე ასეულ უკიდურესად საშიშ ექსტრემისტზე, რომლებიც აშშ-ს სენატსაც კი იმდენად საშიშებად მიაჩნია, რომ ქვეყნის შიდა ციხეებში მათ გადაყვანას გაუმართლებელ რისკად მიიჩნევს).**

ის, რომ ამერიკელებმა საერთაშორისო ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები არა საკუთრივ შტატებში, არამედ ყოფილ კოლონიაში, კუნძულ კუბაზე არსებულ სამხედრო ბაზაზე, გაამწესეს, სულაც არ არის გასაკვირი. ეს გამართლებულიც არის ქვეყნის უსაფრთხოების მოთხოვნებით, თანაც ნათლად ასახავს მეტროპოლიის ქცევის შუქ-ჩრდილებს კოლონიაში.

გასაკვირი არც ისაა, რომ ამერიკელებმა, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით, გუანტანამოში საწამებელი ციხის ლიკვიდაცია და განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების სხვაგან, სადმე ახალ კოლონიაში გამწესება გადაწყვიტეს.

**გასაკვირი ის არის, რომ ახალი კოლონია — საქართველო ხალისით შეხვდა „პატრონის" ამ შემოთავაზებას და გუანტანამოს ტუსაღების მიღებაზე თანხმობა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განაცხადა. სააკაშვილის ხელისუფლება დათანხმდა ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი ტუსაღების შემოშვებას, რომელთა ყოფნა ისეთი ზესახელმწიფოს ტერიტორიაზეც კი, როგორიც ამერიკაა, ზედმეტად მაღალი რისკის შემცველად მიაჩნიათ ამერიკის სენატში...**

საინტერესოა, რით ფიქრობდნენ ის ადამიანები, რომლებმაც ამ შემოთავაზებაზე დათანხმებით საქართველო ავტომატურად აქციეს ტერორისტების სამიზნედ?!

**თავგადაკლული „მიშისტები" მოიყვანენ არგუმენტს — საშიში რომ ყოფილიყო, კუბაზეც მოაწყობდნენ ტერორისტები ტერაქტებს გუანტანამოს გამოო. ეს არგუმენტი არ გამოდგება ორი მიზეზის გამო: 1. გუანტანამოზე ვრცელდება აშშ-ს და არა კუბის იურისდიქცია, 2. ჩვენგან განსხვავებით, კუბა ატლანტის ოკეანით არის გარშემორტყმული და არა მუსლიმანური ქვეყნებით. ეს იმ თვალსაზრისით, რომ გუანტანამოს ტუსაღების (ისევე, როგორც ალ-ქაიდას წევრების) უმრავლესობა მუსლიმანები არიან. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ამ ციხეში აბსოლუტურად შემთხვევით უდანაშაულო ადამიანები ხვდებოდნენ.**

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბრიტანეთის მიერ აშშ-ს მხარდაჭერის გამო ტერორისტები არ მოერიდნენ მასშტაბურ ტერაქტებს ლონდონში... **გუანტანამოზე მათ ხელი არ მიუწვდებათ, მაგრამ ამ ციხის ტუსაღების ჩვენთან გადმოყვანის შემთხვევაში, იქნება კი ტერაქტების ორგანიზება „კავკასიის ჯორჯიაში" ისეთივე რთული, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ბრიტანეთში?!**

რაც მთავარია, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაუგებარია რატომ სურს ამ ტუსაღების საკუთარი ტერიტორიებიდან გაყვანა აშშ-ს, რომელსაც ყველაზე დაცული ციხეები და ლამის ყოვლისშემძლე სპეცსამსახურები ჰყავს ან ვინ აგებს პასუხს შესაძლო შედეგებზე, რაც შეიძლება ამ ტუსაღების საქართველოში გადმოყვანას მოჰყვეს?!

**ლაშა გიორგიძე**

# დიდი გარჩევა სააკაშვილის გარემოცვაში



**მარტივ მამრავლებად დაშლილ-დაქუცმაცებული ოპოზიციური მოძრაობის საბოლოოდ ჩაცხრომისა და პროტესტანტი ლიდერების სახალხოდ გაჭიტლაყების შედეგად განცდილი ბედნიერება „ვარდოსანთა" ბელადადწოდებულ სააკაშვილს, რომ იტყვიან, თავში აუვარდა, აუვარდა და თანაც როგორ — აქაოდა, ვინმემ სუსტად არ ჩამთვალოსო, სულ იმაზე უჭირავს თვალი, ვის ამოარტყას მორიგი ჭიტლაყი.**

როგორც ჩანს, სამთვიანი საპროტესტო გამოსვლები იმდენად აზარტული დაპირისპირება იყო სააკაშვილისთვის, რომ მას კიდევ დიდხანს მოუწევს ფიქრი იმაზე, თუ ვის დაუპირისპირდეს მომავალში, თუმცა, ვიდრე „ვარდოსანთა" მამამთავარი ღირსეულ მეტოქეს იპოვის, ჯერ მოზღვავებული ენერგიისა და ვნებებისგან უნდა განიტვირთოს...

**საკითხავიც სწორედ ესაა — სად დახარჯოს „ყოვლისშემძლე" პრეზიდენტმა ძალა და ენერგია, როცა თვალსაწიერზე მოწინააღმდეგე არ ჩანს?! როცა პოლიტიკურ ასპარეზზე მარტოა და ირგვლივ ყველა ჭიანჭველასავით ციცქნა ეჩვენება?!**

„როგორიც არის ტყე, ისეთივეა ნადირიო", — ნათქვამია. ჰოდა, სააკაშვილიც საგონებელშია — თუ ვინმესთან მუდმივ დაპირისპირებასა და ძიძგილაობაში არ იქნა, შესაძლოა, თავადაც იმათ დაემსგავსოს, ვისაც მისი წინააღმდეგობის უნარი აღარ შესწევს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოპოზიციას ვგულისხმობ, თუმცა „ნაცმოძრაობის" ბელადი რის ბელადია, თუ გამოსავალი ადვილად ვერ იპოვა.

**დიახ, ოპოზიციამ „იმედი" გაუცრუა სააკაშვილს, მაგრამ სააკაშვილმა თავად შექმნა „წინააღმდეგობის ხატი", ბარიერი, რომლის გადალახვასაც, ალბათ, დამერწმუნებით, ბევრი ვერ შეძლებდა.**

**ჩემი აზრით, ნაწილობრივ, ალბათ, ამ ბარიერისა თუ „წინააღმდეგობის ხატის" შექმნის პროცესმა განაპირობა ის, რომ საპროტესტო გამოსვლები დროში გაიწელა, თორემ სააკაშვილს რომ მოენდომებინა, დარწმუნებული ვარ, ოპოზიციის გაჭიტლაყებას სამი თვე არ დასჭირდებოდა.**

ამაში საპროტესტო გამოსვლების დროს და შემდეგაც არაერთხელ დაგვარწმუნა ბატონმა პრეზიდენტმა (როცა მომიტინგეთა სისხლიანი დარბევები ხახვივით შერჩა ხელისუფლებას), მაგრამ ის ნაბიჯები, რაც ამ რამდენიმე კვირის მანძილზე გადაიდგა, საბოლოოდ ხაზს უსვამს ხელისუფლების შეუვალობას...

დასაწყისში ვთქვი, რომ სააკაშვილს ოპოზიციაზე გამარჯვება თავში აუვარდა, სიტყვები უკან მიმაქვს — აუვარდა კი არა, აუფეთქდა და ამ აფეთქების უპირველესი მსხვერპლი სწორედ „ნაცმოძრაობის" წევრი რიგითი მოკვდავები აღმოჩნდნენ. საერთოდ, მსხვერპლთშეწირვა სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც „ვარდოსანთა" თავკაცმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოამჟღავნა. საკმარისია, გავიხსენოთ ირაკლი ოქრუაშვილის, სალომე ზურაბიშვილის, ნინო ბურჯანაძის და სხვათა და სხვათა ხელისუფლებიდან ოპოზიციის წიაღში გადაბარგების დეტალები, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუმცა წარსულის გახსენება რა საჭიროა, როცა „რიტუალს" აწმყოშიც არანაკლებ წარმატებით ასრულებს ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლება.

**ამჯერად „ნაცმოძრაობის" „უძველესი ტრადიციის" მსხვერპლი ეკონომიკის აწ უკვე ყოფილი მინისტრი, ხელისუფლების ერთ-ერთი ბურჯი ლაშა ჟვანია აღმოჩნდა, რომელიც მძლავრი ჭიტლაყით მოისროლეს ქუჩაში (როგორც თავის დროზე — ბენდუქიძე). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ბენდუქიძე ბევრად უფრო მძიმეწონიანი „სამიზნე" იყო და, შესაბამისად, მისი „ჰაერში ატყორცნა" გაცილებით უფრო დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდათ „ვარდოსნებს"; ამას ვერ ვიტყვით ღრმად პატივცემულ ლაშა ჟვანიაზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, წკიპურტით „გამოაბრძანეს" საკუთარი უწყებიდან.**

თუმცა ესეც არ აკმარეს და ფუმფულა სავარძლიდან „ჯორზე" ჩამოქვეითებულ ყოფილ მინისტრს „თანამებრძოლებმა" ერთობ კრიტიკული განცხადებების სეტყვა დააყარეს. მათ შორის განსაკუთრებით მწვავე კი იმ მინისტრების განცხადებები იყო, რომელთაც ბატონი ჟვანიას გაჭიტლაყებაზე უკანალებმა დაუწყო „ჟიმჟიმი"...

**ყველაზე მკაცრად თურმე ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილს „მოსთხოვეს". მოარული ხმები იმასაც ამბობენ, რომ თურმე თავიდან ისიც ყოფილა „შესაწირთა" ნუსხაში შეყვანილი, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაუფიქრებიათ „ნაცმოს" თავკაცებს მისი პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნა.**

სამაგიეროდ პრემიერ-მინისტრმა გილაურმა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პირდაპირ ეთერში დატუქსა ჭიტლაყსგადარჩენილი ვარდოსანი: უკანასკნელი შანსი გეძლევა, რომ ინვესტიციები მოიზიდო და „ასი ახალი საავადმყოფოს" პროექტი დროზე დაასრულო, თორემ „ცულს მოვიტან ცუნცულასა, შენც შეგჭამ და შენს სკამსაცო".

**სწორედ ამის შემდეგ მოვისმინეთ მამა აბრამის ბატკანივით „გაპატიოსნებული" კვიტაშვილის განცხადება: პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა და ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკის სამინისტროს პრეროგატივა იყოო.**

მოკლედ, რომ იტყვიან, წაქცეულს ხელი არავინ შეაშველა, საბრალდებო სკამზე დასმულ ჟვანიას პირველი ქვა იმან ესროლა, ვინც ყველაზე უცოდველი იყო. ასეთი კი, რა თქმა უნდა, ნიკა გილაური აღმოჩნდა, რომელსაც, ცხოვრებაში, ალბათ, არასდროს უფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც მოუწევს სამსჯავროზე გამოსვლა.

**ზეციურ სამსჯავროს არ ვგულისხმობ, ძვირფასო მკითხველო (იქ ნიკა გილაურს და მისნაირებს რა უნდათ!), მხედველობაში მაქვს „ნაცმოძრაობის" სამსხვერპლო, რაც, ადრე თუ გვიან, ნამდვილად ვერ ასცდება ბატონ გილაურს.**

**აბა, დაფიქრდით, პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, რამდენად იღბლიანია თანამდებობა, რომელიც ამჯერად თქვენ გიჭირავთ?! 2004 წლიდან დღემდე რამდენი მძიმეწონიანი პოლიტიკოსი გამოიცვალა ამ პოსტმა და მათგან რამდენმა გააგრძელა პოლიტიკური მოღვაწეობა წარმატებულად?!**

თუ ამაზე სერიოზულად დაფიქრდებით და, მით უმეტეს, თუ თქვენს შესაძლებლობებსაც გაითვალისწინებთ, დარწმუნებული ვარ, მიხვდებით, რომ მთლად კარგადაც არ უნდა გქონდეთ საქმე.

პირიქით, სულ იმის მოლოდინში უნდა იყოთ, რომ ერთხელაც სააკაშვილს ტერფი მოექავება და თქვენნაირი სერიოზული თანამდებობის პირის გაჭიტლაყებაც მოუნდება.

**იმავეს თქმა შეიძლება იმ მინისტრებზეც, რომელთაც თავი წითელი კოჭი ჰგონიათ და ფიქრობენ, 2013 წლის მერე თუნდაც ქვა უთოვიაო. თავის დროზე ზუსტად ასე ფიქრობდნენ ბენდუქიძეც და ჟვანიაც, მაგრამ ახლა უკვე 2013 წლამდეც სიამოვნებით იხილავდნენ ქვებისა და ლოდების სეტყვას...**

დიახ, სწორედ ასე გააბოროტა ერთიც და მეორეც ფუმფულა სავარძლის ცალმხრივმა სიყვარულმა, თუმცა „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?". დიდი საქმე დიდ შესაწირს მოითხოვს და რახან ასეა, ალალი იყოს „ნაცმოძრაობისთვის" შეწირული ყოველი მსხვერპლი... ერთი კია, ზედმეტად ნუ შეიყვარებთ და ტკიპასავით ნუ ჩაებღაუჭებით მაგ თქვენს სავარძლებს, ბატონო მინისტრებო, თორემ მოვა დრო და ჭიტლაყი მონაგონი იქნება იმ უბედურებასთან შედარებით, რასაც მასთან სამუდამოდ განშორება გადაგყრით...

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გახდება თუ არა საქართველო ტერორისტებისთვის ტრანზიტული ქვეყანა

## ირაკლი სესიაშვილი: გუანტანამოს ტყვეების მიღებას შესაძლოა, საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციების ქსელის შექმნა მოჰყვეს

**გუანტანამოს ტყვეები შესაძლოა, საქართველომაც მიიღოს. ამის შესახებ ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს. სტატიის ავტორი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვაშინგტონმა თბილისთან პოზიტიური მოლაპარაკებები უკვე გამართა, თუმცა ჩვენი ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის ინფორმირებას არ ჩქარობს. შესაბამისად, არც მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.**

**უსაფრთხოების საკითხების ექსპერტის, ბატონი ირაკლი სესიაშვილის აზრით, გუანტანამოს ტყვეების მიღებამ შესაძლოა, საქართველოში ტერორიზმის საფრთხე გაზარდოს და ჩვენი სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ ტერორისტებისთვის ტრანზიტული ქვეყანა გახადოს, რაც არავის სურს.**

**როგორც „საქართველო და მსოფლიოს" ბატონმა ირაკლიმ განუცხადა, აშშ-თვის გუანტანამოს ტყვეების საქართველოში განთავსების საკითხი პოლიტიკური თემაა.**

„ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ტრანსპორტირების კუთხით ჩვენ კარგი გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვს — ახლოსაა ერაყი, ავღანეთი. მომავალში გამორიცხული არ არის ახალი ცხელი წერტილის გამოჩენა (ირანი იქნება ეს, ჩრდილოეთ კორეა, თუ რომელიმე სხვა ქვეყანა), საიდანაც ტყვეებს გადმოიყვანენ. ასე რომ, აშშ-თვის აბსოლუტურად მისაღებია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა; ამასთან, ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ასეთ წინადადებაზე, სავარაუდოდ, დათანხმდება. როგორც ცნობილია, ევროკავშირის ბევრი სახელმწიფო უარს აცხადებს მსგავსი დამნაშავეების მიღებაზე, ისევე, როგორც სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში სამხედროების გაგზავნაზე. ევროპას ძალიან უჭირს სხვა ქვეყნის სამშვიდობო ოპერაციებში საკუთარი კონტინგენტის ჩართვა, რადგან ეს დასავლეთში პოპულარული თემა არაა. ევროპული სახელმწიფოების ხელისუფლებებს კი არ სურთ ისეთი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მოსახლეობაში მოწონებას არ იმსახურებს. გუანტანამოს ტყვეების მიღებასთან დაკავშირებითაც ანალოგიური ვითარებაა. გერმანიამ საკუთარ ტერიტორიაზე გუანტანამოს ტიპის საპყრობილე რომ გახსნას, ამას ისეთი გამოსვლები მოჰყვება, რომ, შესაძლოა, ანგელა მერკელის პოლიტიკური კარიერა შეეწიროს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა იძულებულია, აშშ-ის ყველა შემოთავაზებაზე თანხმობა განაცხადოს".

**— ბატონო ირაკლი, ჩვენ არ შეგვიძლია, მათ შემოთავაზებაზე უარი ვთქვათ?**

— შეგვიძლია, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და პრეზიდენტ სააკაშვილის საერთაშორისო იმიჯის დაცემის გამო, ხელისუფლება ყველა იმ ხელმოსაჭიდ თემას ეძებს, რაც გააძლიერებს მის პრესტიჟსა და იმიჯს, ამიტომ ყველაფერზე თანხმდება. არადა, ყველაფერს გარკვეული ფასი უნდა დაედოს, მითუმეტეს, რომ ციხის ინფრასტრუქტურის გადმოტანით გარკვეული რისკები იზრდება. კერძოდ, არსებობს საშიშროება, რომ დაემუქრონ მშვიდობიან მოსახლეობას და ტერორიზმის საფრთხე გაიზარდოს. თუ სხვა ქვეყნებში უსაფრთხოების მაღალი ზომებია, ჩვენ მიგრაციის ისეთი კანონი გვაქვს, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება დასავლეთის სტანდარტებს. ჩვენს ქვეყანაში ისე შემოდიან და გადიან უცხო ქვეყნების მოქალაქეები, ბოდიში და, ისე გულაობენ, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ სიტუაციის კონტროლს. როცა ევროკავშირი სავიზო რეჟიმის გამარტივებას განიხილავდა, სერიოზული პრეტენზიები სწორედ ამასთან დაკავშირებით ჰქონდა. ტერორისტები რამდენადაც თავისუფლად შემოაღწევენ ჩვენს ქვეყანაში,

**არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული ტერორისტული ჯგუფები ჩამოაყალიბონ და ტერორისტული აქტებიც მოაწყონ, თუნდაც აქ დასაქმებული ამერიკელების წინააღმდეგ ან სამიზნედ ის ტერიტორია აირჩიონ, სადაც ციხე განთავსდება.**

გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა არ არის იმ დონეზე, რომ აქ ადამიანის უფლებების დარღვევა დავუშვათ, როგორც ადგილი ჰქონდა გუანტანამოში ან იმ ქვეყნებში, საიდანაც პატიმართა გადაყვანა ხდებოდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გერმანიის ერთ-ერთ აეროპორტში ამერიკელებს აქვთ ბაზა, რომელსაც პატიმართა გადასაყვანად იყენებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა გადაჰყავდათ პატიმრები, რომელთა მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილი არ იყო და, შესაბამისად, უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი. გერმანიის, ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, პირის დაპატიმრება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება. ამდენად, არ არის გამორიცხული, ჩვენს ქვეყანაშიც მოხვდნენ უკანონო პატიმრები. ესეც ჩვენი სახელმწიფოს იმიჯს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის და მე, როგორც ადამიანის უფლებების დამცველს, არ მსურს, ჩვენს ტერიტორიაზე მოხდეს ადამიანის წამება, არაადამიანური მოპყრობა და სხვა დანაშაულობები.

**— თუკი საქართველო ტერორისტების სამიზნე გახდება, ხომ არ აღმოვჩნდებით იმ ქვეყნების რიგში, სადაც თითქმის ყოველდღე ხდება აფეთქებები?**

— გარკვეულმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა შეიძლება ისარგებლონ საქართველოს არასტაბილური მდგომარეობით და აქ შექმნან, მოამზადონ და სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენონ ტერორისტული დაჯგუფებები. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ტერორისტულ ორგანიზაციებსაც ხელს აძლევს, რათა აქ გარკვეული კერები შექმნან. მათ ფულის პრობლემა არ აწუხებთ და, როდესაც ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური მდგომარეობაა, არ არის გამორიცხული, ქვეყნის შიგნით ბევრი მოკავშირე იპოვონ (და არა მხოლოდ მუსლიმანები). პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, ხშირ შემთხვევაში, სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც ერთვებიან ამ პროცესში. თუკი გაჩნდება მსგავსი კერები, ამას მოჰყვება ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან სერიოზული დაფინანსება, დაფინანსებას — გაფართოება და ტერორისტული ქსელის ჩამოყალიბება. ამ ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა კი სერიოზულ ფინანსურ რესურსებს და უსაფრთხოების ზომებს მოითხოვს. საერთო ჯამში, ანალიზი იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ხელისუფლებამ ძალიან პრაგმატული და კონსტრუქციული დიალოგი უნდა აწარმოოს საზოგადოებასთან იმის გამოსარკვევად, რამდენად გვიღირს დათანხმება. როდესაც ასეთ საკითხზე ბრიტანეთი აცხადებს თანხმობას, მათ ისეთი უსაფრთხოების ზომები აქვთ, რომ რისკები მინიმუმამდეა შემცირებული.

**— და მაინც ლონდონის მეტროში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა.**

— კი, ბატონო.

**— გამორიცხულია, თბილისის მეტროც ტერორისტების სამიზნე გახდეს, თუკი ავღანელ და ერაყელ ტყვეებს საქართველოში განათავსებენ?**

— არ მგონია, რომ ტერორისტების სამიზნე საქართველოს მოსახლეობა გახდეს. მათ კარგად ესმით ჩვენი მდგომარეობა; ნურავის ეგონება, რომ ისინი გაუნათლებლები არიან. მე ვშიშობ, არ შეიქმნას ექსტრემისტული ორგანიზაციების ქსელი, რომელიც შეტევებს ბაზებზე განახორციელებს და თავის ჯგუფს გააფართოებს. ეს ჯგუფი კი საით იქნება მიმართული, კაცმა არ იცის; შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყონ გადაჯგუფება. ჩვენთვის ესეც სერიოზული საფრთხეა, რადგან დღეს არავის სურს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ტერორისტების ტრანზიტული ქვეყანა გავხდეთ.

**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. ირაკლი სესიაშვილის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ მომავალი წლიდან უკვე დაიწყონ გუანტანამოს ტყვეებისთვის ციხის მშენებლობა.**

# აჭარული

**ვერ იტყვი, რომ წელს აჭარაში იმდენი დამსვენებელია, როგორადაც ქვეყნის მთავარი ტურისტი მიშკა სააკაშვილი და მისი ტელევიზიები „გვაბოლებენ". მზე შავი ღრუბლების მიღმა ისეთივე სისწრაფით იმალება, როგორც ჩვენს სასამართლოებში — სამართალი, ჩვენს ტელევიზიებში — მართალი სიტყვა, ჩვენი ჩინოვნიკების ჯიბეებში — ჩვენი ფულები, გამოგზავნილი მილიარდები და ა.შ. მოკლედ, ტურიზმის აყვავებასა და „გემრიელ" დასვენებას თვით ბუნებაც კი ეწინააღმდეგება და თითქოს ყოველდიური ჭექა-ქუხილითა და ძლიერი წვიმებით გვეუბნება: მბრძანებელი მე ვარ და თქვენი ქვეყნის შემხედვარეს სრულებითაც არ მეცისკროვნებაო!!!**

ქობულეთის მთავარი ქუჩა, ადრე ვლადიმერ ლენინის, ახლა კი დავით აღმაშენებლის სახელობისა, მაინც, ასე თუ ისე, საკურორტო იერსახეს ინარჩუნებს... ზაფხულის ფერებით შემოსილი დამსვენებელი, აუარება კაფე-ბარ-რესტორანი, ქუჩის გასწვრივ ჩაყენებული ძვირფასი მანქანები, მანქანებიდან გადმოსული „ელიტა-ბნელიტა", „ტყლარჭია-მატრაკვეცული" საუბარი, „ბინას ვინ ეძებს, ვაქირავებ იაფად!" „აბა, ცხელი პონჩიკი, ბულკი!" „სიმინდი, სიმინდი ვის უნდააა!" შეძახილი და სხვა უამრავი წვრილმანით დატვირთული მთავარი გამზირი, თუ არ წვიმს, ასეთი სანახავია, თუ არადა, ყველა სახლებიდან და სასტუმროებიდან ადევნებს თვალყურს, გარეთ რა ხდება...

**შარშანდელი საკურორტო სეზონი აგვისტოს ომით ჩაგვიშხამა ქვეყნის უპირველესმა ბოცვერმა სააკაშვილმა და შესაძლოა, გორიდან გამოყოლილი შიშებისა და პარანოიდული ხილვების გამოა, რომ დღეს ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციის გარშემო რკინის უზარმაზარ ღობეს შიგნიდან როგორც ჯავშანჟილეტს, ასევე უზარმაზარი „რკინის ფურცლები" აქვს აკრული, ტყვიამ შიგნით რომ ვერ შეაღწიოს.**

ბობოყვათის აკვატორიაში, ზედ სამთავრობო აგარაკის გასწვრივ, მცირე ზომის სამხედრო გემია გარინდული, აქაოდა, თუკი ვინმე ჩვენი პრეზიდენტის მყუდროებას წყლიდან ამოყვინთვით დაარღვევს, უმალ ადგილზევე „დავადუღებთო". ცაში სააკაშვილის მყუდროებას ორი ვერტმფრენი დარაჯობს, ხოლო აგარაკის გვერდით გაშლილ უზარმაზარ ხაკისფერ კარავში მისი ერთგული „სპეცრაზმი" და საპატრულო პოლიციის უამრავი თანამშრომელი სახლობს (მიშას რომ ჰკითხოს კაცმა, ქართველობას მის გარეშე სიცოცხლე არ შეგვიძლია, ისე გვიყვარს და, ნეტავ, რაში სჭირდება ამოდენა დაცვა?)!

**ალბათ, ბობოყვათის აგარაკზე ღამღამობით ასლან აბაშიძის მოჩვენება თუ დადის ოთახიდან ოთახში, თორემ სხვა მხრივ ჩვენს შიშიკო-მიშიკოს იქ რის შიში უნდა ჰქონდეს?**

**ზაფხული, მართალია, ცივი დაგვიდგა, მაგრამ ცხელ-ცხელი ამბები არ მოჰკლებია ქართველობას...**

ქობულეთში წვიმიან ამინდში დამსვენებლები, ძირი-



# ამერიკული გავლენის ზღვარი



**ამერიკა, რომელსაც უზარმაზარი არმია აწევს ტვირთად, თავისი მზარდი საგარეო ვალით უკვე აღარაა ზესახელმწიფო. საზღვარგარეთელი პარტნიორებისთვის ჩამორიგებული დახმარების პირობა მისგან უკვე არასერიოზულად ჟღერს.**

საქართველოსა და უკრაინაში ახლახან განხორციელებული ვიზიტებისას ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა აღნიშნული ქვეყნები დაარწმუნა, რომ შეერთებული შტატები გავლენის სფეროებს არ აღიარებს. ქვეყნებს შეუძლიათ, „თავად აირჩიონ საკუთარი პარტნიორები და საკუთარი ალიანსები“, — განაცხადა მან. მოკლედ რომ ვთქვათ, ნატოს კარი ძველებურად ღიაა.

ამგვარ პოზიციაში გარკვეული კეთილშობილება ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ, სინამდვილეში, თავად ეს პოზიცია აბსოლუტურად არარეალურია.

გავლენის სფეროები არსებობს მიუხედავად იმისა, აღიარებს თუ არა მათ ვინმე. სახელმწიფოს ძალა მიზიდულობის ძალას ჰგავს: ის გაცილებით მეტ ზემოქმედებას ახდენს იმ ქვეყნებზე, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მასთან. დასავლეთ ნახევარსფეროში პოპულარული ანდაზა ამბობს: „საწყალი მექსიკა, ის ხომ ასე შორსაა ღმერთისგან და ასე ახლოსაა ამერიკის შეერთებულ შტატებთან“.

„ცივი ომის“ ყველაზე სახიფათო კრიზისი, როდესაც საბჭოეთმა კუბაში ბირთვული რაკეტები განალაგა, სწორედ გავლენის სფეროების ურთიერთაღიარების გზით დარეგულირდა. მოსკოვი კუბიდან საკუთარი რაკეტების გაზიდვას მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც აშშ-მ პირობა მისცა, რომ თურქეთიდან თავის რაკეტებს მოაშორებდა. მართალია, თურქეთი მაშინ უკვე ნატოს წევრი ქვეყანა იყო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამგვარი ქმედებით აღიარა, რომ თურქეთი, სულ თუ არა, იმ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც, საბჭოთა გავლენის სფეროს წარმოადგენდა.

თუ საქართველო და უკრაინა რუსეთთან კონფრონტაციაში იქნებიან, აშშ ბევრს ვერაფერს გააკეთებს. არსებობს გარკვეული გეოგრაფიული რეალობები, რომელთა გადალახვა არსებული სამხედრო რესურსებით, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს ქვეყნები რუსეთს ესაზღვრებიან, ამერიკის შეერთებული შტატები კი ძალიან შორსაა.

ამერიკული დაპირებები ზუსტად იმდენადვე იქნება ღირებული, რამდენადაც მეორე მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის მიერ პოლონეთისთვის მიცემული აღთქმა. მაშინ საფრანგეთმა საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, 15 დღის განმავლობაში დაეწყო გერმანიაზე შეტევა, თუ ეს უკანასკნელი პოლონეთს დაესხმებოდა თავს. გერმანიის თავდასხმის შემდეგ ფრანგებმა მას ომი გამოუცხადეს და მეტი აღარაფერი გააკეთეს.

მსგავს სიტუაციაში სწორედ ასე მოიქცევა აშშ — არაფერს არ გააკეთებს, იმიტომ, რომ არც შეიძლება რამის გაკეთება, გეოგრაფიას ვერ შეცვლი. გარდა ამისა, ამერიკული ჯარები მთლიანად დაკავებულნი არიან. იმისათვის, რომ ავღანეთში დაჯგუფების შემადგენლობა გაზარდოს, ერაყში მოუწევს მისი შემცირება. სადღეისოდ ამერიკას საომარი მოქმედებების საზღვარგარეთულ სცენებზე ერთდროულად მხოლოდ 200 000 ამერიკელი სამხედროს გაყვანა შეუძლია.

მიუხედავად განუწყვეტელი ლაპარაკისა აშშ-ის ზესახელმწიფოობის შესახებ, ამ ციფრების დავიწყება არ შეიძლება. ვიეტნამში ომის პიკის დროს აშშ-მ იქ ნახევარმილიონიანი დაჯგუფება აამოქმედა, მიუხედავად იმისა, რომ ვიეტნამის მოსახლეობა გაცილებით ნაკლები იყო და აშშ კი საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმას არ პასუხობდა.

ახლა ამერიკას გაცილებით ნაკლები რაოდენობის ჯარის ამოქმედება შეუძლია. რაღაც შეიცვალა ამერიკულ საზოგადოებაში. როდესაც ავღანეთსა და ერაყში ომებთან დაკავშირებით სამხედრო დანახარჯები გაიზარდა, ჯორჯ ბუშს ამ ომების დაფინანსების უზრუნველსაყოფად რაიმე საშუალებაც კი არ შემოუთავაზებია. მან არც გადასახადები გაზარდა და არც სხვა სფეროებში შეამცირა გასავალი. ქვეყანას არ გამოუშვია სამხედრო ობლიგაციები. ის, უბრალოდ, მშვიდად აგროვებდა ვალებს.

პოლიტიკური განაჩენი ასეთი იყო: ამერიკელი ხალხი საყიდლებზე უნდა წასულიყო. ომი საზოგადოებას მთლიანობაში არ შეეხება. ომის ტვირთს მხოლოდ ზოგიერთები ზიდავენ, ვინც ამის ღირსი გახდება.

აშშ ომს არასერიოზულად მოეკიდა, მაგრამ ის ერთადერთი არაა, ვინც სათანადოდ ვერ შეაფასა მისი შედეგები. 11 სექტემბრის შემდეგ ნატო საკუთარი წესდების მე-5 სტატიას მოეჭიდა, რათა შტატებისადმი სოლიდარობის დემონსტრირება მოეხდინა. ნატოს ძალებმა საკუთარ თავზე აიღეს ავღანეთში მთელი რიგი ამოცანების გადაჭრა. შემდეგ კი, ჩათვალეს რა, რომ ომში გამარჯვება მოპოვებულია, ომისშემდგომ აღდგენაზე გადაერთნენ.

მაგრამ როდესაც საბრძოლო მოქმედებები გააქტიურდა, დანაკარგების რაოდენობა კი გაიზარდა, ავღანეთში მისიისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა დასუსტდა. „ამის შესახებ ღიად არავინ ილაპარაკებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენ ყველანი ავღანეთიდან ჩვენი გასვლის სტრატეგიაზე ვსაუბრობთ. ჩვენ იქიდან მოვდივართ. ამას შესაძლოა, რამდენიმე წელი დასჭირდეს, მაგრამ ჩვენ ვეძებთ იქიდან წამოსვლის საშუალებებს“, — განაცხადა აპრილში გამართულ ნატოს სამიტზე ერთმა მაღალჩინოსანმა ევროპელმა დიპლომატმა.

როდესაც „ცივი ომი“ დამთავრდა, აშშ-მ ჩათვალა, რომ მისი ძალა დაუმარცხებელია. სპარსეთის ყურესა და ბალკანეთში საკმაოდ იოლად მოპოვებულმა გამარჯვებებმა ეს თავდაჯერებულობა გაამყარა.

მაგრამ ახლა ის ტრიუმფები გამონაკლისს უფრო ჰგავს, ვიდრე წესს. ამერიკელები ფიქრობდნენ, რომ მომავალშიც ისევე დასცემდნენ თავზარს საკუთარ მტრებს, როგორც 90-იან წლებში. მაგრამ ისინი ცდებოდნენ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აშშ დაპირებებს კვლავაც არიგებს. არადა, ხალხს ხომ სჯერა მათი. მხოლოდ განსაცდელში ჩავარდნილნი გაიკვირვებენ, რატომ არ გამორბის ამერიკა მათკენ დასახმარებლად.

არადა, პატიოსნების დრო დადგა, როგორც ამერიკელებთან მიმართებაში, ასევე იმ ხალხთან მიმართებაშიც, ვინც მათ დაპირებებს ეყრდნობა.

**THE GUARDIAN**


Comment is free › Cif America

The limits of US influence

With rising debt and a stretched military, America is no longer a superpower. Its promises to aid allies overseas ring hollow

Stanley Kober
guardian.co.uk, Thursday 20 August 2009 20.00 BST
Article history

During his recent trip to Georgia and Ukraine, vice-president Joe Biden assured them the United States would not recognise any spheres of influence. Countries can "choose their own partnerships and their own alliances". In short, Nato membership is still open.

That position has a certain nobility. It is, however, wildly unrealistic.

In the first place, spheres of influence exist, even if some choose to not recognise them. The power of a state is like gravity: it has its greatest influence on those objects closest to it. As a saying popular in this hemisphere goes: "Poor Mexico: so far from God, so close to the United States."

The most dangerous crisis of the cold war, the Soviet placement of nuclear missiles in Cuba, was settled on the basis of mutual acknowledgement of spheres of influence. Moscow agreed to remove its missiles from Cuba after the US provided assurances that it would remove similar missiles from Turkey. Even though Turkey was a member of Nato, the US in effect recognised that, at least for this purpose, it was within a Soviet sphere of influence.

Comments (246)
Buzz up!
Digg it
larger | smaller
World news
US foreign policy · Afghanistan · Middle East · Russia · Georgia · Iraq · Obama administration · United States · Nato
More comment
More from Comment is free on
World news
US foreign policy · Afghanistan · Middle East · Russia · Georgia · Iraq · Obama administration · United States · Nato
Related
24 Jul 2009
Stop the carry-on up the

theguardian

# არჩევნები თალიბანის სამიზნეში



**ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნები პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისა და თალიბანს შორის შეურიგებელ დაპირისპირებად იქცა. არჩევნები საარჩევნო უბნების აფეთქებებითა და „დაპყრობით“ დაიწყო. ბოევიკებმა უამრავი ტერორისტული აქტი განახორციელეს.**

როგორც წინასწარ ვარაუდობდნენ, კარზაი პრეზიდენტობას განაგრძობდა, თუმცა ქვეყანას, ცხადია, მთლიანად ვერ გააკონტროლებდა.

ყველამ იცის, რომ, თუ ამერიკული ჯარი ავღანეთის ტერიტორიებს დატოვებს, კარზაის რეჟიმი დიდხანს ვერ გასტანს, თუმცა არავინ იცის, რამდენად შესაძლებელი იქნება ახალი ავღანური სახელმწიფოს აშენება მაშინ, როდესაც თალიბები ქვეყნის დატერორებას განაგრძობენ.

მართალია, ექსპერტები კარზაის უკვე ავღანეთის მომავალ პრეზიდენტად მოიაზრებენ, მაგრამ, არაოფიციალური წინასწარი მონაცემების მიხედვით, მას და დოქტორ აბდულა აბდულას დაახლოებით ერთნაირი შედეგები აქვთ. ცენტრალური საარჩევნო კომისია საბოლოო შედეგებს მხოლოდ 17 სექტემბერს გამოაქვეყნებს და, თუ რომელიმე კანდიდატი ვერ შეძლებს 50%-ზე მეტი ხმის მოგროვებას, არჩევნების მეორე ტური დაინიშნება.

# ესკიზები

თადად, კაფე-ბარებში სხედან, სადაც, წინა წლებისგან განსხვავებით, ჩხუბი, იარაღიდან უმისამართო სროლა და მსგავსი რამეები, ღვთის მადლით, შემცირდა, მაგრამ ისედაც დაბოლმილ, უსამშობლოო და, თანაც, შეზარხოშებული ქართველობა, როგორც ეტყობა, საკუთარი ქმედების კონტროლს ბოლომდე ვერ ახერხებს და ამიტომაც მათი ხანგრძლივი დასვენებისთვის ზრუნვას ისეთი ადამიანები იწყებენ, რომლებსაც ჩვენში „ვანოს ბიჭებს“ ეძახიან!

**გასულ კვირას სწორედ „ვანოურების ზრუნვის ქვეშ“ მოექცნენ ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის ლიდერის ეკატერინე ბესელიას ოჯახის წევრები: შვილი და ძმა. როგორც ქობულეთელები „საქართველო და მსოფლიოს“ უამბობენ; ბესელიას ოჯახის მამაკაცები ზომაზე მეტად შეზარხოშებულან „ლენინის ქუჩაზე“ მდებარე ერთ-ერთ კაფეში, მაგრამ სიტუაცია მას შემდეგ დაძაბულა, როცა გვერდით მაგიდაზე სავახშმოდ ახალგაზრდა მამაკაცი და, ასევე, ახალგაზრდა ქალბატონი დამსხდარან. მცირე წაკინკლავების შემდეგ კი სიტუაცია მკვეთრად შეცვლილა და ისეთი ჩხუბი ამტყდარა, „ძაღლი პატრონს“ რომ ვერ იცნობდა. „ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ, მაშინ გიტირებთ დედას, თქვენიიი...“; „შენ ვის დაარტყი, შე პედერასტო, იცი, ვინა ვარ?..“ — ყვიროდნენ ნასვამი ახალგაზრდები და მათ გაკავებასა და დამშვიდებას კაფეში მსხდომნი ვერაფრით ახერხებდნენ.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩხუბში პოლიცია ჩაერთო და ახალგაზრდების ჯგუფი ქობულეთის რაიონულ ქვეგანყოფილებაში წაიყვანეს, მაგრამ ქობულეთელები განცვიფრებას ვერ მალავენ „ბავშვების“ მეურვის ეკა ბესელიას კომენტარზე: „ნაცმოძრაობამ“ და მერაბიშვილის უწყებამ პოლიტიკური დაკვეთა შეასრულეს და შვილი და ძმა დამიპატიმრესო! **„ყველაფერი პოლიტიკა რაფერაა, გამაგებინეთ ერთი, ის ჯაფარიძე იჯდა მისდა, მაგრამ ამგენმა ხან იქედან უკიტინეს, ხან აქედან და გადეირია კაცი, რაის ნაციონალია ის ბიჭი, ბესელია ენას რომ ატლიკინებს და იძახის, სპეციალურად დასვა იმ მაგიდაზე ხელისუფლებამ ჯაფარიძეო? მაშინაც იგი იყო, შვილი პირველად რომ დოუპატიმრეს და ფულებით რომ გამეიყვანა?**

## შვილები ვერ დოუზრდიათ და ქვეყანას მიხედავენ მაგენი, ხელისუფლებაში მოსვლა რომ უნდათ?“

— განაგრძობს საუბარს ქობულეთელი ქალბატონი და, თანაც, გვთხოვს: ჩემი გვარსახელი არ დაწეროთ, მაგათ ყბაში ნუ ჩამაგდებთ, ჩემი გაჭირვებაც მეყოფაო!

**უკანასკნელი ინფორმაციით, ეკა ბესელიას არასრულწლოვანი შვილი რატი მილორავა გირაოს გადახდის შემდეგ (3000 ლარი) განთავისუფლდა, ხოლო ძმას — სერგო ბესელიას წინასწარი პატიმრობის ვადა 2 თვემდე გაუგრძელეს! ადვოკატები სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ! როგორი იქნება სერგო ბესელიას შემდგომი ბედი, ალბათ, ირიბად იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორი შემოდგომა დადგება საქართველოში! ძალიან სამწუხაროა, რომ მშვიდი, ზრდილობიანი და კეთილად მოღიმარი სერგო ბესელია (მეც კარგად ვიცნობ) „ვანოს ჯურღმულებში“ დაჰყოფს ორიოდ თვეს და გისოსებიდან დაუწყებს ყურებას, პოლიტიკური ვითარება მის გარეშე როგორ დაიძაბება თბილისის ქუჩებში!**

შფოთიანი ქობულეთის პარალელურად კი გონიო-კვარიათში სრული იდილიაა. თბილისის ბომონდი ნებივრობს ექსტაზით, ფეშენ ვილებით, სკუტერებით, ძვირადღირებული „ორგაზმკოქტეილებით“, შიგადაშიგ „კოკაინითა“ და ათასი „ფართიფურთით“. ნანი ბრეგვაძისა და ეკა მამალაძის ზღვისპირა ახალი ვილა ელიტის ყურადღების ცენტრშია და ჩუმად იმასაც ამბობენ: ამათ რა ბედი აქვთ ისეთი, ყველა მთავრობა რომ „რაღაც“ ღირებულს ჩუქნისო (რა შურიანი ხალხი ვართ ეს ქართველები?!)? გუშინ სუხიშვილების „ბადიშებმა“ აჭარული „ასა ფართი“ შესთავაზა დამსვენებელს, მაგრამ აჭარაში „სევდა ფართებიც“ იმართება, განსაკუთრებით კი, „ჩარეცხილების“ წრეში...

## მუშები, ტექნიკა და „ნაცმოძრაობის“ „ბნელიტა“ კი პნევმატური ჩაქუჩებით ისევ „რივიერას“ ანგრევენ, აი, უკვე 2 თვეა, მაგრამ საძირკვლამდე ჯერ ვერ „ჩავიდნენ“

**(ისე, რაააშენა აბაშიძემ ასეთი, ააა?)...**

**საინტერესოა, აგრეთვე, ბულვარის შესასვლელში „არქიტექტურული შედევრცხოველი“ რა დატვირთვისაა, გამვლელ-გამომვლელი რომ გაფართოებული თვალით შესცქერის? ან**

## „ნური გელის“ ტბასთან, ახორხლილი მეჩეთ-სასტუმროს პროექტმა როგორ გაიმარჯვა კონკურსში, რომელსაც ბათუმის მერია და აჭარის ხელისუფლება ატარებდა?

„ესაა პიკასოს ბიჭი?“ — სვამს კითხვას დოდო აბაშიძის გმირი შავლეგი „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“. მე ვსვამ კითხვას: **ესაა ბათუმი, რომელსაც ნუნუ დულაშვილმა „ქათქათა“ დაარქვა? ჟღალი, წითელი, ბორდო, მწვანე, თაგვისფერი, ვანოსფერი, მიშასფერი და არაფრისფერი ბათუმი მარტო მე კი არა, ბევრ ბათუმელს არ მოსწონს და ახლა გინდ ქეთი ნიჟარაძე ამღეროს საააკაშვილმა თავსხმა წვიმაში და გინდ „წახკირინ ტამარ, ერკირინ ცამარს“ მოუსმინოს სომხურ ენაზე, ყველა ბათუმური რესტორნიდან წამდაუწუმ რომ ისმის!!!**

**ირინე გოგოსაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბაღაფში გალის მოსახლეობას თხილის ბიზნესისათვის უკეთეს პირობებს უქმნის და ფასსაც მეტს სთავაზობს



**ეკონომიკური კრიზისის გავლენა გალის რაიონზე დღეს ნაკლებად ან, შეიძლება ითქვას, არც იგრძნობა. მიზეზი მარტივია: იქ არც საწარმოებია, არც ელემენტარული ბიზნესი, ადგილობრივ ეკონომიკურ ატმოსფეროს მოსახლეობის ჭირნახულით შექმნილი დოვლათი ქმნის, რომელიც კრიზისამდე და ახლაც ერთი და იმავე ტემპით ვითარდება.**
**გალში უნებართვოდ დაბრუნებულებზე შთაბეჭდილებების გამოხატვით დღეს თავს არავინ იწუხებს. შეფასებებზე მეტად იქ დარჩენილთა მდგომარეობის შესახებ საუბრობენ და ხშირ შემთხვევაში „აფხაზების მძევლებადაც“ მოიხსენიებენ.**

ამ ეტაპზე გალის რაიონში 50-60 ათასი ქართველი ცხოვრობს. ,,დაბრუნების“ პირველსავე პერიოდში დაიწყო საყოფაცხოვრებო ობიექტების აღდგენა-განახლების პროცესიც, ამუშავდა ბაზარი, განახლდა სასწავლო დაწესებულებები (ძირითადად, სკოლები), საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით საავადმყოფოებმაც დაიწყო ფუნქციონირება.

დასაქმებულ პერსონალს ხელფასს ქართულ მხარესთან ერთად აფხაზური ადმინისტრაციაც უხდის. მიმოქცევაში, ძირითადად, რუსული რუბლია, იშვიათ შემთხვევაში — ქართული ლარიც.

**ბოლო დროს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაუარესებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა გალის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. პირველ რიგში, ეს ბაზარზე აისახა. ზუგდიდის რაიონთან მიმოსვლა გამკაცრდა, ადგილობრივებს ქართულ პროდუქციაზე ხელი ძნელად ან თითქმის არ მიუწვდებათ, გალის ბაზარში კი ფსოუდან შემოსული რუსული პროდუქცია ,,ცეცხლის ფასად იყიდება“. განსაკუთრებით გაუჭირდათ ქვედა ზონის სოფლებს, რომლებიც სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტის გამო ადვილად ვერც გალს უკავშირდებიან. ავტობუსებს ურმები ჩაენაცვლა, საარსებო საშუალებას, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქცია — თხილი, სიმინდი და ციტრუსი წარმოადგენს.**

გალის ბაზარში გასაყიდი პროდუქციის ფასების ნუსხა კი ასე გამოიყურება: პური — 10-15 რუბლი, შაქარი — 26, კარტოფილი — 20; შესაძლებელია თანხის ლარებში გადახდაც არსებული კურსის შესაბამისად.

**თამუნა გვაძაბია, ზემო ბარღების მკვიდრი:** ,,პირველად 10 წლის წინათ დავბრუნდი. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ოჯახში მოწეული ჭირნახულის წყალობით თანდათან წელში გავიმართეთ. ჩვენი სოფელი ქალაქთან ახლოსაა, ამიტომ გალის ბაზარში დავდიოდით. ზუგდიდის ფასებთან შედარებით აქ ყოველ პროდუქციაზე 20 თეთრით ზედმეტის გადახდა გვიწევდა და ახლაც ასეა, თუმცა ამას ვერ ვიტყვი თხილზე. თხილის სეზონი არც ისე დიდი ხანია, რაც დაიწყო და მას ზუგდიდთან შედარებით გალში უფრო ძვირად ვყიდით. ამ ეტაპზე ზუგდიდში თხილის საბაზრო ღირებულება 1 ლარი და 80 თეთრია, გალში კი — 2 ლარი, შესაძლოა, ყოველდღე 5-10 თეთრით მოიმატოს კიდეც. პრობლემა გადაადგილებაა. ადრე ავტობუსი გვემსახურებოდა — გალში 2 ლარად დავყავდით. რამდენიმე თვეა, მოგვიხსნეს. აფხაზურ ადმინისტრაციას ვთხოვეთ, რომ ავტობუსის მძღოლისთვის რეისის განახლების ნება დაერთო, მაგრამ ჯერჯერობით უარი გვითხრეს. ისღა დაგვრჩენია, პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებს დაველოდოთ, იქნებ შეთანხმდნენ მხარეები და ცხოვრება როგორმე გაგვიადვილონ“.

საშემოდგომო სეზონი გალში, ფაქტობრივად, თხილით იწყება. წელს, საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით, ბაღაფში მოსახლეობას ამ ბიზნესში გაცილებით მეტს უხდის. ვერ გეტყვით, დე ფაქტო მთავრობას სახსრები საიდან მოეპოვება, მაგრამ ფაქტია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას თხილის იმპორტისათვის უკეთეს პირობებს უქმნის და ღირებულებასაც მეტს სთავაზობს. ამ ეტაპზე გალში 1 კგ თხილის ფასი 2 ლარია, ზუგდიდში კი — 1 კგ თხილის ფასი 1,70-1,80 ლარამდე მერყეობს.

ამდენად, თხილის შესყიდვა აქტიური ტემპით წარმოებს აფხაზეთში (განსაკუთრებით, გალის რაიონში), სადაც ქართული თხილის დიდი ნაწილი იყიდება, პროდუქციის რეალიზაცია კი ფსოუს გავლით რუსეთში ხდება.

ამასთან ერთად, შარშან, აფხაზური ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი სწორედ გალიდან გადასახადების სახით აკრეფილმა თხილმა განსაზღვრა. 2008 წელს მოსახლეობამ გალის აფხაზურ ადმინისტრაციას დაახლოებით 1200 ტონამდე თხილი ჩააბარა. ,,გადასახადის აკრეფა“ გალის რაიონის სოფლების გამგებლებს დაევალათ. იგივე მეორდება ახლაც. საშუალოდ, ერთ მოსახლეს 40-45 კგ თხილის გადახდა უწევს. თუმცა ეს არ ქმნის უარყოფით განწყობას; ადგილობრივ მცხოვრებლებს გალის ბაზარზე თხილი გასაყიდად უკვე გააქვთ. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ზუგდიდთან დამაკავშირებელი გზებიც გადაკეტა. ახლა თხილის გადმოტანა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა.

სოფელ ოტობაიას ერთ-ერთი მკვიდრი ჩვენთან საუბრისას არ მალავს, რომ ზუგდიდში გადასვლა გართულებულია, ამიტომ ენგურის ფონით სარგებლობს. ასეთ პირობებში ზუგდიდში თხილის გადასაზიდად რისკზე წასვლაა საჭირო, თუმცა ამის აუცილებლობას ამ ეტაპზე ვერ ხედავს.

„ზუგდიდის ბაზართან შედარებით, ჩვენთან თხილი 1,5-20 თეთრით ძვირია. გალის ბაზარზე გატანა ღირს, პრობლემა უგზოობა და განუკითხაობაა; გვეშინია გზებზე ჩასაფრებული ყაჩაღური ჯგუფების. თხილი ერთადერთი შემოსავალია, რომელიც წლიდან წლამდე თავის გატანაში გვეხმარება. ამიტომ იძულებული ვართ, გაყიდვისგან თავი შევიკავოთ, თუმცა ბევრს უჭირს და რისკზეც მიდის. ურჩევნია, თხილი იაფად, მაგრამ მშვიდად ჩააბაროს“, — ამბობს გალის რაიონის მცხოვრები.

ვინც აფხაზების ნდობის მოპოვება მეტ-ნაკლებად შეძლო, მათი დახმარებით თხილის შესყიდვასაც ახერხებს და მოგების ნაწილს ე.წ. კრიშას უნაწილებს. ამ ეტაპზე გალის რაიონის ქართველი მოსახლეობა უმეტესად ამ გზით ახდენს პროდუქციის რეალიზაციას.

„პროდუქციის საყიდლად ფული (1000 ლარი) პირველად ორი წლის წინათ აფხაზი ნაცნობისგან ვისესხე, რითაც თხილი თანასოფლელებისგან შევიძინე. იმ სეზონზევე დავუბრუნე 1500 ლარი და მოგების ნაწილიც. ვერ გეტყვით, რომ ძალიან გამიმართლა, მაგრამ საქმლის ფულად მაინც გამოვიყენე, ცოტაც გადავინახე. წელს თხილს უკვე საკუთარი ფულით ვყიდულობ. ზუგდიდში გადატანას ჯერ ვერ ვახერხებ. რისკთანაა დაკავშირებული და რეალიზებას გალში ვახდენ. სამაგიეროდ, მათ მოგების ნაწილს ვუტოვებ“, — ამბობს სოფელ გაგიდის მკვიდრი.

**ზურაბ გაბისონია, ოტობაიას მკვიდრი:** ,,ჩვენი სოფელი უფრო ზუგდიდის ბაზარს იყო მიჯაჭვული, თუმცა გადასვლა საკმაოდ ძვირი გვიჯდებოდა. მგზავრობის ღირებულების (3 ლარის) გარდა აფხაზური ადმინისტრაციისგან 2-ლარიანი ,,ნებართვის“ გამოწერაც გვიწევდა. ახლაც ვიხდით ამ თანხას, მაგრამ უწინდებურად ვერ გადავდივართ, კონტროლი გამკაცრდა. რეისი „ოტობაია-ზუგდიდი“ განუსაზღვრელი ვადით გაუქმდა. უკვე მოწეული პროდუქტიც ვერ გაგვაქვს გასაყიდად. რუსეთიდან შემოსულ საქონელს ძვირად ვყიდულობთ, ჩვენი პროდუქციის გაყიდვისას კი დადგენილ ფასზე ნაკლებს გვიხდიან. გვიჭირს ასე ცხოვრება, ხელისუფლებამ თუ არ მოგვხედა, უარეს დღეში ჩავცვივდებით!“

**ირმა ჩიტაია**

**P.S. ბოლო პერიოდში გალის ბაზარში ჩინელების გამოჩენაზეც ალაპარაკდნენ. მეტიც, ითქვა, რომ ჩინელებმა გალის ბაზარი შეისყიდესო. ნათქვამს არც მოსახლეობა უარყოფს, თუმცა კონკრეტულად პასუხის გაცემა უჭირთ.**

# სადახლოს საბაჟოზე მებაჟეები ხელოვნურ ბარიერებს აწესებენ და მგზავრებს გაუსაძლის პირობებს უქმნიან

**არც ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან მიმოსვლის გამარტივება და ტურიზმის ხელშეწყობა. იქვე დასძინა, რომ თავად ჩაერთვება ამ საქმეში და სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს კეთილმეზობლური ურთიერთობები.**
**ასეთი ხმამაღალი განცხადების მიუხედავად, საბაჟოებზე რიგები კვლავ უწყვეტია. მიმოსვლის გამარტივებულ ფორმას და მებაჟეების კეთილსინდისიერ მუშაობას არაერთი ხელმძღვანელის თანამდებობაც შეეწირა. საქართველოს საზღვრის გადალახვა ტურისტს თუ ნებისმიერ მსურველს, პრეზიდენტის თქმით, მარტივად, ყოველგვარი გართულების გარეშე უნდა შეეძლოს, თუმცა ეს ასე მარტივად არ ხორციელდება.**

საზღვრზე გადმოსვლისას მოქალაქეებს პრობლემები საბაჟოს თანამშრომლებთან ექმნებათ. ზოგიერთი მუშაკი უხეშად იყენებს თავის უფლება-მოვალეობას და ტურისტების მიმართ უხეშობას ავლენს (ამ მხრივ განსაკუთრებით სადახლოს გამშვები პუნქტი გამოირჩევა). ეს ყველაფერი კი გამშვებ პუნქტებთან უსაშველო რიგებსა და საათობით ლოდინს იწვევს, უკმაყოფილო მგზავრების ნაკადი კი დღითიდღე მატულობს. ის, რასაც მეზობელი საბაჟო პუნქტი 10-15 წუთში აგვარებს, ჩვენთან საათები სჭირდება. ასეთი მომსახურება ტურისტთა უკმაყოფილებასა და გულისწყრომას იწვევს.

„მარტივად და უპრობლემოდ გადმოვლახეთ სომხეთის საზღვარი, — ამბობს თამარ სხირტლაძე, – მეუღლე სომხეთის მოქალაქეა და მიმოსვლა თბილისსა და სომხეთს შორის ხშირად გვიწევს. ის თავხედური საქციელი, რითაც ამჟამად თავი გამოიჩინეს მებაჟეებმა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. როდესაც სადახლოს გამშვებ პუნქტზე მოვედით, გარკვეული სირთულეები შეგვექმნა. საერთოდ, გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ საქართველოში საბაჟო პუნქტები ისეთნაირადაა მოწყობილი, მგზავრს ხელოვნურად ურთულდება საზღვრის გადალახვა — იქმნება პრობლემები ბარგის გადატანასა და მანქანის გატარებასთან დაკავშირებით. არადა, ორივე პროცესი ერთდროულად მარტივად და ყოველგვარი პრობლემების გარეშე უნდა ხდებოდეს. მცირედი გაუგებრობები გამორიცხული არასდროს არაა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ზღვარგადასული იყო — საბაჟოზე მომუშავე პერსონალი უხეშად, თავხედურად და უტაქტოდ გვექცეოდა. პრობლემა ბარგის გადატანამ შეგვიქმნა. მეგობარი ოჯახი მოგვყვებოდა, ზღვაზე დასასვენებლად ჩამოვიდნენ. როდესაც საბაჟოზე მივედით, ქალებმა ჩემოდნები მანქანიდან გადმოვალაგეთ, ერთი დიდი ჩემოდანი დავტოვეთ მანქანის საბარგულში, რადგან ერთი წლის ბავშვთან ერთად მისი წაღება ველარ მოვახერხეთ. სწორედ მაშინ შეექმნა პრობლემები ჩემს მეუღლეს. მანქანამ შემოწმება რომ გაიარა, საბაჟოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა დარჩენილი ჩემოდნის შესამოწმებლად წაღება აიძულა. ჩვენ უკვე გასულები ვიყავით და ველოდებოდით, როდის მოგვაკითხავდნენ. ამ დროს ჩემი მეუღლე დავინახე, საბარგულში დარჩენილი ჩანთა მოჰქონდა. როდესაც დანიშნულების ადგილამდე მოვიდა, პირადობის მოწმობა მოსთხოვეს, რომელიც მანქანის გატარებისას მეორე მებაჟემ დაიტოვა. მის ახსნა-განმარტებებს ყური არავინ დაუგდო და მცხუნვარე მზეში მთელი ორი საათი ვიყურყუტეთ“.

გულგრილობამ და უხეშობამ სტუმრების უკმაყოფილებაც გამოიწვია, ხელმეორედ ჩამოსვლისა და დასვენების სურვილი დააკარგვინა; უფრო მეტიც, მათ გზიდან დაურეკეს ახლობლებს, რომ საქართველოში დასვენება გადაეფიქრებინათ. ,,წვრილმანი დაბრკოლებები ყოველთვის იყო, მაგრამ ასეთი პრობლემა არასოდეს შემქმნია. მომუშავე პერსონალთაგან ბევრმა არც კი იცის კანონები და უფლება-მოვალეობები, რაც მგზავრებზე უარყოფით გავლენას ახდენს. სხვაგან ეს სისტემა ისეა მოწყობილი, ისე გემსახურებიან, დადებითად იმუხტები. აქ კი ყველა უტეხად იქცევა“.

რა ქმნის პრობლემებს მგზავრთა საზღვარზე გადასვლისას, ამის გასარკვევად ფინანსთა სამინისტროს დავუკავშირდით და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოადგილე **თეა ბეგაშვილს** ვთხოვეთ, განემარტა, რა იწვევს მგზავრთა უკმაყოფილებას და რატომაა სადახლოს გამშვებ პუნქტზე კვლავ უსაშველო რიგები. მან კონკრეტული ფაქტების დასახელება მოგვთხოვა, რომლებზეც ოპერატიულ რეაგირებას დაგვპირდა; ან ფინანსთა სამინისტროს ცხელ ხაზზე დარეკვა გვირჩია. საქმე ისაა, რომ მგზავრებმა არც კი იციან, სირთულეების შექმნისას პრობლემათა გადაჭრაში ცხელ ხაზზე თუ უნდა დარეკონ — ცხელი ხაზის არსებობის შესახებ შემომსვლელ მგზავრთა უმეტესობამ არაფერი იცის. ფაქტია, რომ ტურისტები ჩვენს ქვეყანაში შემოსვლისთანავე კი არ უნდა დავაფრთხოთ, არამედ საქართველოში ხელახალი დასვენების სურვილი უნდა გავუღვივოთ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ამას ვერ ვიტყვით. ამგვარად მუშაობა ტურიზმის წინსვლასა და განვითარებას ნამდვილად არ წაადგება. მაინც ვერ ვისწავლეთ კლიენტთან მოპყრობის, პატივისცემისა და თანამდებობრივი უფლებების კეთილსინდისიერად გამოყენება.

საქმე ისაა, რომ პრობლემა უბრალო მოქალაქეებს ექმნება. მათთვის კი, ვინც პრივილეგიებით სარგებლობს, ასეთი სირთულეები არ არსებობს.

**ირმა ჩიტაია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# არშემდგარი ქვეყანა

**საბჭოთა პერიოდში დასავლეთის პოლიტოლოგებში იყო ცალკე სპეციალიზაცია – „სოვეტოლოგია“, რომელიც კომუნისტურ იმპერიას სწავლობდა. მათი ბოლო კონგრესი შოტლანდიაში გაიმართა საბჭოთა კავშირის დაშლის წელს. მე მაშინ ეიფორიაში ვიყავი, ისე, როგორც ყველა ქართველი, საქართველოს დამოუკიდებლობის პერსპექტივის გამო, მაგრამ განცვიფრებული დავრჩი, თუ როგორ შიშით უცქერდნენ ჩემი ევროპელი კოლეგები კომუნისტური კონფედერაციების – საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლას! „თქვენ ერთმანეთს დაჭამთ და ქვეყნებად ვერ შედგებით“, — ამბობდნენ ისინი.**



მათ არ სურდათ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა, უნდოდათ, მხოლოდ ერთპარტიული კომუნისტური რეჟიმები შეცვლილიყო მრავალპარტიული დემოკრატიით, ხოლო ეკონომიკა გადასულიყო საბაზრო მართვის პრინციპზე. „თუ თქვენ გინდათ ეთნიკური ნიშნით დამოუკიდებლობა, მაშინ მზად იყავით, რომ თქვენს ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა მცირე ერიც იგივეს მოინდომებს და ქვეყნად ვერ შედგებით“, — გვაფრთხილებდნენ ისინი. ამის შიშით ეუთომ ჰელსინკში სპეციალური დეკლარაციაც კი მიიღო, რომ ევროპაში არც ერთი ახალი სახელმწიფო არ უნდა შექმნილიყო, მაგრამ კოსოვოს პრეცედენტმა და აგვისტოს ომმა ეს გადახაზა და დავდექით ახალი რეალობის წინაშე!

სოვეტოლოგების შიში გამართლდა – საბჭოთა კავშირის დაშლიდან სულ მოკლე ხანში მისი ტერიტორია ომებმა მოიცვა: სომხეთ-აზერბაიჯანის, სამხრეთ ოსეთის (სამი ომი), აფხაზეთის, დნესტრისპირეთის, გაგაუზიის, ჩეჩნეთის (ორი), გადატრიალებები და სამოქალაქო ომები საქართველოში, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში, ამჟამად რიგში დგას ომი ყირიმისათვის, სამოქალაქო ომის საშიშროებაა დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთში... სახეზეა ბალკანიზაცია.

ტერმინი „ბალკანიზაცია“ პოლიტიკურ მეცნიერებაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა. მანამდე ბალკანეთი ჯერ ბიზანტიის, შემდეგ კი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. მაგრამ ოსმალთა იმპერიის რღვევის შედეგად სამხრეთ სლავები – სერბები და ბულგარელები დაეტაკა ერთმანეთს (ბულგარელები, მიუხედავად მათი ეთნოგენეზისა, დღეს სლავებად თვლიან თავს), ხოლო კომუნისტური იუგოსლავიის დაშლის შედეგად კი მივიღეთ სლოვენია-ხორვატიის ომი, სერბეთ-ხორვატიის ომი, ხორვატიის მიერ სლავონიის ოკუპაცია და შემდეგ სერბების ბლიცკრიგი, ბოსნიის საოცრად სისხლიანი ომი, სეპარატისტულ კოსოვოში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“ სერბების მიერ, რის შემდეგაც ეს ბალკანიზაცია დასავლეთს იმდენად ამოუვიდა ყელში, რომ ნატოს ჯარებმა სერბების დედაქალაქი მასობრივად დაბომბეს და სერბების ჯარები აიძულეს, დაეტოვებინათ თავიანთივე ავტონომია! **შედეგად, ბალკანეთი კი დაწყნარდა, მაგრამ კავკასიაში ყველაფერი ახლა იწყება.**

სწორედ სააკაშვილისა და პუტინის ერთობლივი პროექტის („აგვისტოს მოვლენები“) შედეგია ის, რაც დღეს ჩრდილოკავკასიაში ხდება და რასაც ჩვენი ხელისუფალნი დაუფარავი სიხარულით უყურებენ. არადა, ის სამოქალაქო ომი, რომელიც სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებს, შეუძლებელია, საქართველოში არ გადმოიღვაროს. ცხადია, რომ ეს საზღვარგარეთიდან ფინანსდება და ეს, ალბათ, მდიდარი ისლამური ქვეყნები იქნება, მაგრამ რუსული პრესა მაინც დასავლეთისკენ იყურება და ხელს ქართულ სპეცსამსახურებს ადებს.

**დავუშვათ, ჩრდილოკავკასიელებმა აიხდინეს ოცნება და აფხაზეთის მსგავსად დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ჩვენ ეს რას მოგვიტანს? ჩრდილოკავკასიელებს რუსეთის გაძევების შემდეგ ისლამური ხალიფატისა თუ ემირატის შექმნა სურთ და ამას არც მალავენ. დედაქალაქად რომ მათ სოხუმი აქვთ გამიზნული, ესეც კარგად არის ცნობილი. ასეთ პირობებში იქნება კი კავკასიაში ადგილი ქრისტიანული საქართველოსთვის? თუმცა ჩვენს ათეისტ ხელისუფალთ, როგორც ჩანს, ეს სულაც არ აღელვებთ, ხოლო ეს კავკასიელი ხალხები თუ ვერ გაერთიანდნენ, მაშინ ერთმანეთს დაერევიან, პირველ რიგში კი, ჩრდილოელ ოსებს, რომლებსაც ჩვენკენ გადმოყრიან, რაც კიდევ უფრო უარესი ვარიანტი იქნება. ასე რომ, კავკასია დღეს ბალკანიზაციის ვიზუალური მოდელია.**

გავლენიან ამერიკულ გამოცემა „Foreign Policy“-ში (საგარეო პოლიტიკა) ამ დღეებში გამოქვეყნდა „არშემდგარ ქვეყანათა ინდექსი“. ეს გამოცემა გაზეთ „Washington Post“-ისა და წამყვანი ამერიკული ყოველკვირეული პოლიტიკურ ჟურნალ „Nesweek“-ის ერთობლივი პროექტია. მათ მიერ ყოველწლიურად ფიქსირდება მსოფლიოს 60 ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა, რომლებსაც ავლენენ წამყვანი ამერიკელი ექსპერტები 12 კრიტერიუმის მიხედვით (ეკონომიკა, კორუფცია, კლანების ბატონობა, დევნილების მდგომარეობა, უცხოეთზე დამოკიდებულება და ა.შ.)

ამ სიას ყოველთვის სათავეში უდგას აფრიკული ე.წ. სახელმწიფო – სომალი, რომელიც მხოლოდ თავისი მეკობრეებითაა განთქმული და რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციებიც კი ველარ შედიან. უფრო მეტიც, წესრიგის დასამყარებლად შესული ამერიკული ჯარიც კი გამოიქცა იქ არსებული სრული ანარქიის გამო. საერთოდ კი, ეს 60 ქვეყნის სია, პრაქტიკულად, მხოლოდ აფრიკული და ისლამური ქვეყნებითაა გაჯერებული, ამიტომ განსაკუთრებულად „საამაყოა“, რომ მასში საქართველოც მოხვდა როგორც **არშემდგარი** ქვეყანა!

**საქართველო ამ სიაში „მორცხვად“ შევიდა 2006 წელს მოკრძალებულ მე-60 ადგილზე, მომდევნო წელს წინ წაიწია — 58-ე ადგილზე, 2008 წელს უკვე 57-ე ვიყავით. აი, წელს კი, უცებ 33-ე ადგილზე გადავხტით! და თუ ასე გავაგრძელეთ, ძრწოდნენ სომალი და ბურკინა ფასო!** სად არის ეს ბურკინა ფასო, მგონი, არც არავინ ვიცით, მაგრამ საქართველო სად არის ან სად აღარ იქნება სულ მალე რუკაზე, ამას სააკაშვილი მთელ მსოფლიოს ხმამაღლა ამცნობს და საავტორო უფლებასაც მოიპოვებს! სამწუხაროდ, ამ ქვეყანათა სიაში ჩვენზე უფრო არშემდგარი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ უზბეკეთია. ამერიკელი ექსპერტები კი სვამენ კითხვას: რა უფრო უარესია იმისათვის, რომ ქვეყანა არ შედგეს — სუსტი მთავრობა თუ, პირიქით, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ძლიერი „სახელმწიფოს ხერხემალი“? არადა, ჩვენ შემთხვევაში, ორივე სახეზეა და თავსატეხი არც გვაქვს!!!

**როგორც ცნობილია, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა შეცვალა მსოფლიო ისტორია და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ამის შედეგად ამერიკაში თანდათან იმძლავრა ულტრაკონსერვატორების გავლენამ, რომლის გამომხატველები იყვნენ სენატორი ჯონ მაკეინი და ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი.**

საერთოდ, ამერიკის კონსტიტუციით, ვიცე-პრეზიდენტი იმისთვის ჰყავთ, რომ არაორდინარულ სიტუაციაში პრეზიდენტის ფუნქცია იკისროს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, კენედის ან ნიქსონის შემთხვევაში, თუმცა რაღაც მინიმალური საკურატორო ფუნქციები მაინც აქვთ თავდაცვის სფეროში. მაგრამ ვინაიდან პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უმცროსი ძალიან სუსტი და პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი აღმოჩნდა, თანდათანობით ჯერ საგარეო პოლიტიკა, შემდეგ კი თავდაცვა და მთლიანად საშინაო პოლიტიკა ნეოკონსერვატორების ხელში აღმოჩნდა. ამის აფიშირება არ ხდებოდა 2008 წლის არჩევნებამდე, როდესაც მათ მთელი ძალაუფლების ხელში აღება გადაწყვიტეს.

**მაგრამ, თუ 2001 წელს დავუბრუნდებით, ამერიკამ ალქაიდას წინააღმდეგ საბრძოლველად ჩრდილოატლანტიკის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის (NATO) ჯარები ავღანეთში შეიყვანა. იქ ისინი ტერორისტებს არა თუ ანადგურებდნენ, პოტენციურ ტერორისტებსაც აპატიმრებდნენ, მაგრამ დადგა მათი ინტერნირების პრობლემა.**

როდესაც კუბაში კომუნისტებმა ფიდელ კასტროს მეთაურობით ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, ამერიკელებს ამ კუნძულის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონდათ სამხედრო ბაზა გუანტანამო. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკასა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე არ არსებობს, ამერიკელებმა ეს სამხედრო ბაზა მაინც შეინარჩუნეს (ამასთან დაკავშირებით ჰოლივუდში შესანიშნავი ფილმიცაა გადაღებული დემი მურის, ტომ ჰენქსის და ჯეკ ნიკოლსონის მონაწილეობით). სწორედ ამ ყველაზე გასაიდუმლოებულ ბაზაზე გადაწყდა პოტენციური ტერორისტების განთავსება დაკითხვისა და იზოლაციისათვის.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოაშკარავდა დაუჯერებელი ფაქტები, რომ ამ ბაზაზე წლების განმავლობაში დაკავებული ჰყავდათ სხვადასხვა ქვეყნის სამასამდე ფანატიკური ისლამისტი ყოველგვარი ბრალდებისა და ადვოკატის გარეშე. უფრო მეტიც, გავრცელდა ხმები, რომ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში არსებობდა საიდუმლო ციხეები. მაგალითად, წინა კვირაში „The New York Times“-მა გაახმიანა, რომ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსთან ახლოს მდებარეობდა ასეთი საიდუმლო ციხე, თუმცა ლიტვის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ეს უარყო.

**თვით ციხეების არსებობა საგანგაშო არ იქნებოდა, რომ არ ამოტივტივებულიყო ამაზრზენი ფაქტები პატიმრების წამების შესახებ! პატიმრების წამება გავრცელებული პრაქტიკაა ყველა ბნელ და ჩამორჩენილ ქვეყანაში, მაგრამ მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის მიერ ამ მეთოდის გამოყენებამ შოკში ჩააგდო თვით ამერიკის მოსახლეობაც.** უფრო მეტიც, 2008 წლის 30 ნოემბერს „Washington Post“-მა გამოაქვეყნა ერაყში მთავარი გამომძიებლის ინტერვიუ, სადაც ის აღშფოთებით ამბობს, რომ მათ ერაყშიც აიძულებდნენ, დაკავებულები ეწამებინათ. ამასთან დაკავშირებით მრავალი ფოტოც გამოქვეყნდა. ბოლო სკანდალი ამერიკულ გაზეთებში 21 აგვისტოს აგორდა და დღეისთვის ის უკვე ყველა ევროპული გაზეთის პირველ გვერდებზეა. **ობიექტურობისთვის უნდა ვთქვათ, რომ პატიმრების წამების გამო რამდენიმე ოფიცერი დააპატიმრეს, მათ შორის, ერთი ქალი, რომელიც დაკავებულებისადმი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.**

2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში იგი გუანტანამოზე არსებულ ციხეს დახურავდა, წამებას კი აკრძალავდა. უკვე ამ გაზაფხულზე ამერიკის კონგრესში პრობლემის განხილვისას მის ინიციატორად დასახელდა ნეოკონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი და ბუშის ადმინისტრაციის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი. სხვათაშორის, კონგრესში საკომიტეტო მოსმენისას იგი კვლავ ამტკიცებდა წამების გამოყენების აუცილებლობას. შემდეგ კი მის ადვოკატად ვიხილეთ მისი ქალიშვილი (როგორც აღმოჩნდა, ის წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო დეპარტამენტში, ალბათ (ეს ამერიკული პრესის აზრია), კონდოლიზა რაისის გასაკონტროლებლად).

**როგორც „Washington Post“ 21 აგვისტოს წერდა, საქართველოს ხელისუფლებას შეუთავაზებია, რომ გუანტანამოს ციხის ყველა პატიმარს საქართველო მიიღებდა! ამაზე უფრო კატასტროფული შეთავაზების წარმოდგენაც კი შეუძლებელია!**

დავიწყოთ იმით, რომ საქართველო ისლამური ქვეყნებითაა გარშემორტყმული და რომელიმე ისლამისტი ტერორისტის გასათავისუფლებლად სულ ადვილად შეიძლება აქ ოპერაციის ან ტერაქტის ჩატარება. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ათიოდე წლის წინათ პანკისის ხეობაში სწორედ ალ-ქაიდას ჰქონდა ჩეჩნებისთვის გახსნილი საწვრთნელი ბაზა, რომელიც მხოლოდ ამერიკელების სამხედრო ოპერაციის შემდეგ დაიხურა. გარდა ამისა, საინტერესოა, ჩვენს ისედაც აბსოლუტურად გადაჭედილ ციხეებში სად აპირებენ მათ განთავსებას? და როგორ წარმოუდგენიათ, „პლანის“ მოხმარებისა თუ ქათმის ქურდობისთვის დაჭერილ ქართველებს რომ ისლამისტ ფანატიკოსებს ჩაუსვამენ კამერაში, რა საინტერესო კომბინაციას მივიღებთ? თუმცა, ალბათ, ჩვენს ხელისუფალთ, როგორც ყოველთვის, კორუფცია აქვთ თავში – ამერიკელებს რომ მილიონები დასტყუონ ახალი ულტრადაცული ციხის ან საკონცენტრაციო ბანაკის მშენებლობისთვის. ხომ ვხვდებით – ახალი ციხის ან „კონცლაგერის“ აშენებას რამდენი დრო და ამერიკული ფული დასჭირდება! მახსენდება აღმოსავლური ანეკდოტი მოლა ნასრედინზე — ამ ხნის განმავლობაში სულთანის ნაჩუქარი ან ვირი მოკვდება, ან მისი მჩუქებელიო! თუმცა ერთი რამ ვერ გათვალეს: როგორც ამერიკულმა ტელეარხმა RTV-მ განაცხადა 24 აგვისტოს საღამოს პროგრამაში, ამერიკაში სულ უფრო ძლიერდება საზოგადოებრივი აზრი, რომ ამერიკამ უნდა დატოვოს ავღანეთი, ვინაიდან იქ ომი წაგებულია. ასეთ შემთხვევაში აღარც ციხე იქნება საჭირო!

**ლიტვის ან პოლონეთის პრეზიდენტები აღშფოთებით უარყოფენ თავიანთ ტერიტორიაზე ასეთი ციხეების არსებობასაც კი. აი, სააკაშვილს კი ეს, ალბათ, თავის გადარჩენის გზად მიაჩნია, თუმცა, ვურჩევ, ისევ ჰააგის კომფორტულ ციხეზე იფიქროს, სადაც მილოშევიჩმა დაამთავრა სიცოცხლე და სადაც მისთვის აგვისტოს ავანტიურის მერე, ალბათ, კომფორტული კამერაა დაჯავშნული!**

და ისმის კითხვა: ჩვენ რა უნდა ვქნათ? ვიდრე სააკაშვილი და მისი რეჟიმი გვეყოლება, ჩვენ მსოფლიოს თვალში ვიქნებით სკლეროტიკი, მომაკვდავი ერი. არ მოგვწონს? მაშინ გადავხედოთ თუნდაც 2009 წელს:

მთელი სამი თვე ქვეყნის „პრეზიდენტი“ დედაქალაქში ვერ ჩამოდიოდა და სად იყო და რას აკეთებდა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა ბოლომდე; ევროპის ქვეყნებში მას არ იღებდნენ და, თუ დაუპატიჟებლად მაინც ჩადიოდა, ხელს არ ართმევდნენ (თებერვალმაისში ცოტა სირცხვილი ჭამეს მან და საქართველომ? გავიხსენოთ მიუნხენი, ბრიუსელი, ბარსელონა, სოფია, პრაღა, ვარშავა); პარლამენტი და მთავრობა არ ფუნქციონირებდნენ, მთავარი ქუჩები გადაიკეტა, და ა.შ. ცხადია, სახეზე გვაქვს „არშემდგარი ქვეყანა“!

**ამჟამად „პრეზიდენტი“ დედაქალაქში დროდადრო კვლავ გამოჩნდება ხოლმე და თან გვპირდება პარლამენტის ქუთაისში გადატანას მისთვის საძულველი თბილისიდან, სადაც თურმე მოსახლეობის 90 პროცენტს ეჯავრება იგი (ეს მისი სიტყვებია ამერიკელი ჟურნალისტის ინტერვიუდან)! მაგრამ ეს რას ცვლის? წინ არის სექტემბერი, როდესაც კახელები ყურძენს ვერ ჩააბარებენ და ღვინოს ვერ დაწურავენ, მაგრამ რომც დაწურონ, სად გაასაღონ? გორის რაიონის სოფლებში ხილის მოსავალი აგვისტოს მოვლენებმა რა დღეში ჩააგდო, ყველამ იცის სააკაშვილის გარდა. იქაც შიმშილია.**

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რა უყოს ციტრუსებისა და თხილის მოსავალს. სამაგიეროდ, სააკაშვილი მათ ბათუმში ახალ ბულვარს უშენებს და ვერ ხვდება, რომ საკურორტო სეზონი ჩავარდა. ოპოზიცია კი ახალი მასობრივი აქციებით იმუქრება, ხოლო სააკაშვილს მისი გარემოცვა არ უშვებს ამ დანგრეული ქვეყნიდან, ალბათ, იმიტომ, რომ მან ქვეყნის დანაწევრებისა და ნაწილ-ნაწილ ჩაბარების საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

და ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით კვლავ ძალაში რჩება რუსეთის მუქარა, რომ საქართველოს იმ სახით დატოვებენ, როგორიც ის იყო მათი იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამდე!

**რამაზ კლიმიაშვილი**
**2009 წლის 25 აგვისტო, კონსტიტუციის მიღების წლისთავი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ფიცი მწამს, ვერშბოუ მაკვირვებს



**უწინარეს ყოვლისა, შეგახსენებთ, რომ ალექსანდრ ვერშბოუ გამოცდილი დიპლომატი და მოღვაწეა. 2001-2005 წლებში იგი აშშ ელჩადაც მუშაობდა რუსეთში. ამჟამად ამერიკის თავდაცვის მინისტრის თანაშემწეა.**
**აი, სწორედ ამ ვერშბოუმ სულ ახლახან თხასავით გაყიდა მიხეილ სააკაშვილი, როცა საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შეეცადა, პირი მოეწმინდა ამერიკის მხარისთვის შარშანდელი აგვისტოს ომის დაწყების ხელშეწყობის გამო.**
**„ჩვენ ვცდილობდით, გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, რათა გაგვეფრთხილებინა საქართველო, არ გადაეწყვიტა ძველი პრობლემები ომის საშუალებით“.**

იუდეის პროკურატორი პილატე ხელის დაბანით შეეცადა, აეცილებინა პასუხისმგებლობა. ამერიკელებმა თავის გასამართლებლად ხელი მიხეილ სააკაშვილს შეაწმინდეს.

რატომ? იმიტომ, რომ აშშ-ს სურს, სუფთა გამოვიდეს წაგებული კამპანიიდან. ცალმხრივობისგან გათავისუფლებულ მსოფლიო პრესაში სულ უფრო აშკარად იკვეთება აზრი იმის თაობაზე, რომ **შეერთებულმა შტატებმა ზედმეტად მაღალი ფსონი დადო კავკასიის ამ პატარა გახლეჩილ ქვეყანაზე.**

**„ვაშინგტონში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატიის დეფიციტია“,** — ესეც საერთო ფონის ერთი შტრიხია.

სააკაშვილმა, რომელმაც ბუშის ადმინისტრაციის მითითება ცხინვალის ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით დიდი მონდომებით შეასრულა, საბოლოო ჯამში თვითონაც თავსლაფი დაისხა და ამერიკასაც გაუტეხა სახელი: **„აშშ-ს ძლევამოსილების მიმართ ნდობის სერიოზული კრიზისი შეიქმნა“** და **„ამერიკის საგარეოპოლიტიკურ თანამეგობრობაში განხეთქილება გააღრმავა“.**

აშშ ცდილობს დაკარგული იმიჯის აღდგენას, მაგრამ დაშვებული შეცდომის გამო, რასაც საქართველოს ტრაგედია მოჰყვა, თავზე ნაცარი არ დაუყრია და განტევების ვაცის ძებნა დაიწყო. იპოვა და ბრალდებათა თოკი ყელზე წაუჭირა. მარყუჟის ერთ ბოლოს ამერიკა ექაჩება, მეორე რუსეთს უჭირავს. შედეგი, როგორც მინიმუმი, მიხეილის პოლიტიკური კარიერის დასასრულია. თვითონაა დამნაშავე და მისი პატრონები. ჩვენ ვერაფერს ვუშველით: **„თავს თავად უყავ, თაყაო, თავ თავად დაიზიანე“.**

ეს უბედურება ხომ გვჭირს, მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა, როცა ძლიერთა ამა ქვეყნისათა დასკვნის გაკეთების არც უნარი აქვთ, არც — სურვილი და პალოს საკუთარი ინიციატივით ჩამოეცმებიან, ანუ თავსაც ხიფათში იგდებენ და, რაც მთავარია, ქვეყანასაც საშიშროების წინაშე აყენებენ.

მაშინ, როცა ცნობილი მკვლევარები, მაგალითად, გერმანიის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ანალიტიკოსი **ალექსანდრ რარი**, მიიჩნევენ, რომ „დასავლეთმა საქართველო სწრაფად დაივიწყა, საქართველო და სააკაშვილი არც იმდენად მნიშვნელოვანნი არიან, რომ მათ გამო ახალი „ცივი ომი“ დაიწყოს“, ცხელი თავები სააკაშვილის ადმინისტრაციაში ომის რიტორიკას ვერ გადაეჩვივნენ და სულელური ბაქიობით ვის აშინებენ, თავადაც არ უწყიან.

ამას ადასტურებს საერთაშორისო სკანდალი, რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრის **ვასილ სიხარულიძის** ერთი განცხადების გამო აგორდა და რომლის ჩაფარცხვას ჩვენი სამხედრო უწყება ჟურნალისტზე გადაბრალების პრიმიტიული მეთოდით ამაოდ ცდილობს.

საქმე ისაა, რომ მინისტრმა სიხარულიძემ **Associated Press**-ის პენტაგონის კორესპონდენტს **ლარა ჯეიკსს** განუცხადა... **ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული ჯარი რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ შეიძლება იყოს გამოყენებული.**

ჯეიკსმაც პატიოსნად დაწერა ის, რაც უთხრეს და 2009 წლის 21 აგვისტოს გამოაქვეყნა კიდეც.

ახლა რამდენიც გინდა, იძახე (თანაც — „ხაზგასმით“), რომ „საქართველოს მთავრობა რუსი აგრესორებისგან ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციის მხოლოდ მშვიდობიან პოლიტიკას ატარებს“, გაფრენილ ჩიტს ველარ დაიჭერ და დამატებით არგუმენტს შემატებ დასავლეთის პრესის ასეთ დასკვნას: **„ვიდრე სააკაშვილი მისი ქვეყნის სათავეშია, კონფლიქტის გონივრულ გადაწყვეტას არ უნდა ველოდოთ“** *(ვოლფგანგ შმიგი, „კავკასიური ლეგენდები“).*

თავი დავანებოთ სააკაშვილს, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია ტელეფონით ხელმძღვანელობდა — გისმენთ, ბატონო პრეზიდენტო! — ფეხზე წამომხტარი გაეჭიმებოდა. სხვა შემთხვევაში ბრაიზას ჩამოჰქონდა საერთო ინსტრუქციები და კერძო მითითებები. თავისი ცოდვები და გაჭირვებაც ეყოფა მიშას.

ვერშბოუს განცხადებას მივხედოთ: ჩვენ ვაფრთხილებდითო საქართველოს, არ დამდგარიყო ომის ბილიკზე თავისი ძველი პრობლემების გადასაწყვეტად.

დავუშვათ, ისეთი მიამიტები ვართ, რომ ვირწმუნოთ ამ კაცის ფიცი — ვაფრთხილებდითო: იმ დღეებში თბილისის კულუარებში მართლაც გავრცელდა ასეთი ხმა. მაგრამ ვინ გვიპასუხებს — **აშშ სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ჩამოსვლა ომის დაწყების კვირაძალს რომელი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი — სააკაშვილის აგრესიის შესაჩერებლად თუ წასათამამებლად — მიდი და ჩვენც აქა ვართო?**

აშშ ადმინისტრაციის ასეთი მაღალი რანგის მოხელე პრეზიდენტის მოკითხვების გადასაცემად რომ არ დადის ქვეყნიდან ქვეყანაში, ამას რა მტკიცება სჭირდება! კონდიმ, ეგებ, მართლაც თავშეკავებისკენ მოუწოდა საქართველოს ლიდერს, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ასეთი მითითების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი მაინც თავისაზე დადგა და უკან არ გამოიხმო ცხინვალის მიმართულებით დაძრული შეიარაღებული ძალები? ხომ ნათელია, რომ **სააკაშვილი არ და ვერ გაუჯიუტდებოდა ამერიკელებს და თავის პრინციპზე დარჩებოდა.**

მაშასადამე, მას ის მითითება მისცეს, რომელიც მან განუხრელად შეასრულა.

ამერიკელებმა კი უგანეს, რადგან აშშ ადმინისტრაცია კრიტიკულ სიტუაციებში სურვილისამებრ კი არ მოქმედებს, არამედ რჩევას პროფესიონალებს ეკითხება. ანალიტიკოსების აზრით კი, აგვისტოს ომში შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევა ან ნატოს ძალების გამოყენება უეჭველად მსოფლიო ომში გადაიზრდებოდა.

ლოკალური კონფლიქტის ფარგლებში დატოვეს ამიტომაც ეს ომი ამერიკელებმა. გამწარებულმა სააკაშვილმა, თუ გახსოვთ, აღარ დამალა და ტელევიზიით გამოსვლისას პირდაპირ განაცხადა — ყველამ მიგვატოვაო. „ყველაში“ აშშ რომ იგულისხმა, ცხადზე უცხადესია.

ეს წამოძახება ირიბი დადასტურებაა გავრცელებული ეჭვის, რომ **სწორედ აშშ-მ უბიძგა ბატონ მიხეილს — შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს სამხედრო კამპანიის ჩატარებისკენ ე.წ. სამხრეთ ოსეთში.**

**ბრძოლით დაზვერვასავით იყო ჩაფიქრებული ეს ოპერაცია, რუსეთის რეაქციის მოსასინჯად განხორციელებული. ასე ჩანს.**

ჩვენ კი გავიჭყლიტეთ.

რაც აქამდე ვთქვი, შეიძლება მხოლოდ ვარაუდად ჩაითვალოს, ფაქტობრივი დადასტურება რომ არა. რომ არა, თუნდაც, ბოლო 5 წლის განმავლობაში აშშ-ის მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტების შესაბამისად სრული გადაიარაღება, დახმარება სამხედრო ინსტრუქტორებით, სხვადასხვა დონის სწავლებაში ერთობლივი მონაწილეობით და ასე შემდეგ.

სამხედრო ექსპერტების აზრით, დადგებოდა დრო და ამ გზით დაგროვებული ძალა ამოქმედდებოდა.

ამოქმედდა კიდეც.

სამხედრო დახმარებას ჰუმანიტარული მიზნებისთვის რომ არ განახორციელებენ, შესანიშნავად იცის ალექსანდრ ვერშბოუმ, თუნდაც, იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მან ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების (სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სამხედრო ბლოკი) მიმართულებით მუშაობის პერიოდში შეიძინა. იცის, როგორ უნდა იმოქმედოს აშშ სამხედრო უწყებამ, წყლიდან მშრალი რომ ამოვიდეს — მარიონეტები იმიტომ გყავს, რომ როცა საკუთარი მიზნების დაფარვა დაგჭირდება, მათ გადააბრალებ ყველაფერს: ჩვენ კი ვეცადეთ, მაგრამ...

**მაგრამ რატომ ჰგონია ბატონ ვერშბოუს, რომ სხვა ყველა ისეთი მიამიტია, ისეთი მალემრწმენი, რომ მის გაცვეთილ არგუმენტაციას ენდობა და დაიჯერებს?!**

ვერშბოუს განცხადების კომენტირებისას ანალიტიკოსები ყურადღებას მიაპყრობენ ორ ურთიერთგამომრიცხავ გარემოებას: თუ აშშ სამხედრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის გამონათქვამი მიმართული იყო ადმინისტრაციის შეცდომებით გამოწვეული შთაბეჭდილების გასანეიტრალებლად და რუსეთთან ურთიერთობის ახალ ტონალობაში ჩასაწერად, მაშინ რატომ განაცხადა იმავე ვერშბოუმ ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში, რომ აშშ მზადაა, უახლოეს პერიოდში საქართველოს გაუწიოს დამატებით 16 მილიონი დოლარის რაოდენობის სამხედრო დახმარება?

ვერშბოუსი გამკვირვებია! თორემ ფიცის დაჯერებაზე ადვილი არაფერია.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამერიკაზე „გართულება“ არა მაქვს. აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „იერუსალიმი წმიდა ქალაქია, მაგრამ ძაღლ-ციცანი იქაც არიანო“.**

**ა.ს.**

# სააკაშვილის სახელისუფლო თამაშის მსხვერპლი შეიძლება სრულიად საქართველო აღმოჩნდეს

**„ამბობენ, რომ ისტორია მეორდება, პირველად — როგორც ტრაგედია, მეორედ — როგორც ფარსი. 80-იან წლებში გაჩაღებული „მცირე 37 წელი“ ისტორიის თვალში, რაღა თქმა უნდა, ფარსი იყო, მაგრამ მის მსხვერპლთათვის — 30-იან წლებზე არანაკლები ტრაგედია“, — ეს არის ამონარიდი გიორგი ბეზირგანის წიგნიდან „სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით“, რომელშიც თავმოყრილია პუბლიცისტური წერილები იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ხელისუფლების ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ; ადამიანების, რომლებიც შევარდნაძეს იმ პერიოდში პრობლემებს უქმნიდნენ, როცა ის კომუნისტური თავგანწირვით კომუნიზმის მშენებლობისთვის იღვწოდა.**

**ესენი იყვნენ ზურაბ პატარიძე, სოლიკო ხაბეიშვილი და სხვები. თუ ავტორი შეძლებდა შევარდნაძის პოსტკომუნისტური პოლიტიკის მსხვერპლთა შესახებ მუშაობას, მათ შორის აუცილებლად აღმოჩნდებოდნენ ზურაბ პატარიძე, სოლიკო ხაბეიშვილი და უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია (რომელმაც კანცელარიაში, საკუთარ კაბინეტში, თავი მოიკლა), ცნობილი ტელეწამყვანი გიორგი სანაია. თუ ვინმე სააკაშვილის სახელისუფლო თამაშებითაც დაინტერესდება, აღმოჩნდება, რომ მისმა მმართველობამაც ბევრი იმსხვერპლა.**

რევოლუციის შემდეგ მართლაც რომ ყველაფერი თავიდან იწყება. ქვეყნის სათავეში შევარდნაძის მოსვლის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტი გროზნოში გადაიხვეწა, უზენაესი საბჭოს წევრები კი მიმოიფანტნენ. ვინც დროზე ვერ უშველა თავს, ციხეში აღმოჩნდა ან მხოლოდ გვირაბის გათხრის შემდეგ დააღწია გისოსებს თავი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კი ხალხს კიდევ ერთხელ გაახსენა „ოცდაჩვიდმეტი წელი“. რეპრესირებულნი შევარდნაძის გუნდის წევრები გახდნენ. სააკაშვილმა მათ გონს მოსვლა არ აცალა; ედუარდ ამბროსიჩის მოულოდნელი გადადგომით დაბნეულებს ძერასავით დაერია, თანამდებობის პირები ერთიმეორის მიყოლებით გისოსებს მიღმა მოათავსა. ვინ საკუთარი სახლიდან ნიფხავ-პერანგის ამარა გამოიყვანეს, ვინ კიდევ თვითმფრინავის ტრაპთან აიყვანეს. ერადერთი ლევან მამალაძე იყო, ვინც ივაჟკაცა და დაუძვრა ოქრუაშვილის კლანჭებს. ცოტა მოგვიანებით კი, სახელისუფლო თამაშის ახალ პარტიაში მდევარი თავად გახდა დევნილი. ამ მოსაზრებას სახელისუფლო პოლიტიკური სპექტრი, ალბათ, არ დაეთანხმება, ოპოზიციური სპექტრის ზოგიერთი წარმომადგენელი კი თითქოს დააფრთხო „მსხვერპლზე“ საუბარმა და კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. **დავით ბერძენიშვილმა** ბოდიშის მოხდით აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ვერ ისაუბრებდა. **კობა დავითაშვილმა** კი ამ ეტაპზე ამ თემაზე კომენტარისას „დუმილის უფლებით“ ისარგებლა. „საქართველო და მსოფლიოსთან“ სააკაშვილის სახელისუფლო თამაშების მსხვერპლთა შესახებ საკუთარი აზრი **გია ცაგარეიშვილმა** დააფიქსირა:

**გია ცაგარეიშვილი:** „სააკაშვილის სახელისუფლო და პოლიტიკური თამაშების მსხვერპლია მთლიანად საქართველო. ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლშეწირვა მისი ხელისუფლებისა და პოლიტიკისთვის 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა.

**მის ამბიციურობას და გაუმართლებელ, ალოგიკურ პოლიტიკურ გადაწვეტილებებს უამრავი ახალგაზრდას სიცოცხლე შეეწირა.**

გარდა ამისა, სააკაშვილის მსხვერპლია ის ათასობით ადამიანი, რომლებმაც საკუთარი სახლები დაკარგეს და დღეს სახელდახელოდ აშენებულ ხუხულებში ცხოვრობენ. სახელისუფლო თა-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველოში ახალი მეფისნაცვლის დანიშვნის გამო



საქართველოში გადმოიყვანეს ორი ისეთი დიპლომატი, რომლებსაც სამხრეთ კავკასიის საკითხებზე საერთოდ არ უმუშავიათ. ერთი კაიდანოვია, მეორე — აშშ ახალი ელჩი ბასი.

**მოვლენები, რომლებიც წინა კვირაში საქართველოს გარშემო განვითარდა, სრული დარწმუნებით შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი გაზეთის პუბლიკაციებზე ფაქტობრივ გამოხმაურებად, ჩვენი დასკვნებისა და ვარაუდების დადასტურებად.**

მხოლოდ ორიოდ მინიშნება:

„საქართველო და მსოფლიოს“ 26-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი — „მეფისნაცვალი მოკვდა, ვინც მოვა, გაუმარჯოს!“ — ასე მთავრდებოდა: „ბრაიზა წავიდა. ცოტა ხანში ჩვენი ხელისუფლება მკლავებგაშლილი შეხვდება მის შემცვლელს: ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

და **არაფერი შეიცვლება“.**

ერთი კვირის თავზე უნდა დავაზუსტოთ: **შეიცვლება... მაგრამ არ შეიცვლება!**

**არ შეიცვლება** იმიტომ, რომ ხელუხლებელი დარჩება საქართველოს დანაწევრების გეგმა — აშშ სტრატეგიის აღმოსავლური პოლიტიკის ლოგიკური რგოლი.

**შეიცვლება** იმ გაგებით, რომ

### დაჩქარდება, გამძაფრდება, უფრო რადიკალური და მტკივნეული გახდება საქართველოს ბალკანიზაციის პროცესი.

კიდევ ერთი შეხსენება: ჩვენი პუბლიკაციის — „ამერიკოსოვო, ანუ პრიშტინადან ცხინვალამდე“ — პათოსი ასეთი იყო: **„პირველად იყო „ოტპორი“, შემდეგ — „კმარა“**... გადატრიალება **ჯერ იუგოსლავიაში** მოხდა, შემდეგ — საქართველოში... **სერბეთი დღეს ესაა საქართველო ხვალ“.** ამ სამწუხარო მსჯელობას ამაგრებს აშშ-დან ახალი კურატორის — **თინა კაიდანოვის** წარმოგზავნის ფაქტი და, უწინარეს ყოვლისა, მისი კარიერული პორტრეტი, რომლის დასკვნითი შტრიხი განსაკუთრებით შთამბეჭდავია: **ქალბატონი თინა აშშ ელჩი იყო კოსოვოში**. მანამდე კი დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ბელგრადსა და სარაევოში; აშშ ელჩის საგანგებო მოადგილედ მუშაობდა მაკედონიაში. ეს ბალკანური გზა მან ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს განვლო.

ბუშის ადმინისტრაციაში კი ევროპის საკითხებში სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის საგანგებო მოადგილე გახლდათ; ბოლოს აშშ სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის თანაშემწედ დანიშნეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში.

### ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში გადაწყვიტეს, რომ იმ დიპლომატებს, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს გეგმა „ამერიკოსოვო“, დესანტად გადმოსხამენ სამხრეთ კავკასიაში.

ამ გეგმას საგარეო სარგებლობისთვის სხვა კეთილხმოვანი წარწერა აქვს სავიზიტო ბარათზე: ბალკანეთის ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში.

დაშლილ-დანაწევრებული ქვეყნების ნატოში ნაწილ-ნაწილ მიღების პროცესში აშშ დიპლომატების აქტივობა, ასე თუ ისე, შეიძლება გაიგოს კაცმა, მაგრამ ევროპულ სტრუქტურებში ევროპის ქვეყნების ინტეგრაცია რატომაა ამერიკელების საქმე, რა მოგახსენოთ...

მიაჩნიათ, რომ ბალკანეთის საკითხებში ჭიპმოჭრილ ამერიკელ დიპლომატთა შორის თინა კაიდანოვი გამორჩეულია. ამიტომ აიღეს და პრიშტინადან თბილისში გადმოსვეს. ეტყობა, **ისინი, ვინაც თინა ჩვენთან მოავლინა, ბევრ საერთოს ხედავენ საქართველოსა და კოსოვოს შორის** — დღევანდელი ვითარებიდან — პერსპექტივის ჩათვლით.

არც ისე შორი ყოფილა პრიშტინადან ცხინვალამდე, ამერიკული პოლიტიკური არშინით თუ გავზომავთ.

რადიო „თავისუფლება“ ქალბატონ კაიდანოვს რომ ახასიათებდა, მსმენელებს არწმუნებდა: „ის საქმის გამკეთებელია და **კოსოვოში ძალიან კრიტიკულ პერიოდში მუშაობდა...** მზად იყო, დახმარებოდა მოქალაქეებს, მათ შორის, — სერბების უმცირესობის წარმომადგენლებს. მან გახსნა ჯანდაცვის არაერთი დაწესებულება“.

მოდით, დავაკვირდეთ, რას გვეუბნება ეს დადებითი დახასიათება კაიდანოვის საქმიანი ბიოგრაფიიდან.

ამ პასაჟში პირდაპირაა ნათქვამი, რომ **იგი კოსოვოში ძალიან კრიტიკულ პერიოდში მუშაობდა**. კოსოვოში ელჩად კაიდანოვი ერთი წლის განმავლობაში იყო — 2008 წლის ივლისიდან მიმდინარე წლის 1 ივნისამდე, ანუ სულ ახლახან. **ეს კი ნიშნავს, რომ ძალიან კრიტიკული პერიოდი კოსოვოში სულ რაღაც ორი თვის წინათ იყო.** ორ თვეში რომ ვერ გაუმჯობესდებოდა მდგომარეობა, ცხადია და ძალიან კრიტიკული თუ არა, კრიტიკული მაინც დარჩებოდა. მაშასადამე, დამოუკიდებლობამინიჭებული კოსოვო სულაც არ არის ედემის ბაღის ფილიალი და დემოკრატიის ზეიმი, მოქალაქეებს უჭირთ, ისე უჭირთ, რომ აშშ ელჩი იქ მუშაობის პერიოდში მზად იყო, დახმარებოდა მოქალაქეებს (ალბანელებს) და, მათ შორის, სერბების უმცირესობის წარმომადგენლებსაც, რომლებიც კოსოვოში უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებიან.

### როცა ამერიკის ელჩი იძულებულია, დაკავდეს საკურატორო ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური და უფლებრივი საკითხების მოგვარებით, იმ სახელმწიფოში დემოკრატიაზე და, თუნდაც, სოციალურ დაცვაზე ლაპარაკი არ ღირს.

მაშ, ამერიკელ დიპლომატთა რა წარმატებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი ბალკანეთთან დაკავშირებით?

„ამერიკოსოვოს“ გეგმის წარმატების განხორციელება?

ვერ გეტყვით...

მაგრამ ფაქტია, რომ **საქართველოში გადმოიყვანეს ორი ისეთი დიპლომატი, რომლებსაც სამხრეთ კავკასიის საკითხებზე საერთოდ არ უმუშავიათ. ერთი — ეს ქალბატონი კაიდანოვია, მეორე — აშშ ახალი ელჩი ბასი.** ექსპერტები ხაზს უსვამენ ამ გარემოებას და უფლებას გვაძლევენ, დავასკვნათ: **ისინი საქართველოში გააკეთებენ იმას, რაც კარგად იციან, რაც იცოდნენ და ბალკანეთში მაქსიმალურად გამოიყენეს**. რა გამოდნა აქედან, იხილეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ ზემოთ დასახელებულ წერილებში.

კარგი პერსპექტივა ისახება, ღმერთმანი!

აღნიშნული საკადრო გადაადგილებით **შეშფოთებულები არიან აზერბაიჯანშიც,** სადაც კისერზე დოლაბის ქვასავით ჰკიდიათ მთიანი ყარაბაღის პრობლემა.

ექსპერტების მტკიცებით, ბრაიზას ნაცვლად ქალბატონ თინას დანიშვნა ხელს ვერ შეუწყობს ამ ცხელი წერტილის განელებას, რადგან მას (კაიდანოვს) გარკვეული წვლილი მიუძღვის კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაში. კოსოვოსა და მთიან ყარაბაღს შორის პარალელის გავლებას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ასეთი დამთხვევა სულაც არ არის შემაშფოთებელი, რადგან, მათი მტკიცებით, **„აშშ კოსოვოს განიხილავს როგორც გამონაკლის და უნიკალურ შემთხვევას და არა — როგორც პრეცედენტს“.**

იპოვეს არგუმენტი!

„პრეცედენტი“ ლათინური სიტყვაა და **ნიშნავს წინამორბედს, შემთხვევას, რომელიც უწინ მოხდა და რომელსაც გამოიყენებენ შემდგომში მომხდარი მსგავსი შემთხვევების გასამართლებლად.**

მართალია, ამერიკა არ მიიჩნევს პრეცედენტად, მაგრამ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შემდგომში მომხდარი „მსგავსი შემთხვევების“ გასამართლებლად კოსოვო არ გამოიყენეს?

გამოიყენეს.

თუ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება (თუნდაც, როგორც გამონაკლისის და უნიკალური შემთხვევის სახით) შეიძლება, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობას წინ რა დაუდგება?

**ამიტომაა, მგონი, ყალბი „გამონაკლისებითა“ და „უნიკალურობით“ მანიპულირება.**

ასეთი რამ გამონაკლისი კი არ არის, ტენდენციის ნიშნების მატარებელია. ტენდენცია კი, რომელიც ამ შემთხვევაში ისახება, მრავალგანზომილებიანია.

შევჩერდეთ მხოლოდ ერთზე, რომელიც, ეგებ, ყველაზე დიდ საშიშროებას შეიცავს.

მიიჩნევენ, რომ

### „ამერიკამ წარმატებით მოახერხა ბალკანეთიდან რუსეთის გამოდევნა. ამერიკელებმა ახლა აქცენტი სამხრეთ კავკასიაზე გადაიტანეს“.

**თუ ეს მტკიცება საფუძვლიანია, მაშინ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებას უნდა ველოდოთ.**

რას ნიშნავს ეს, იხ. 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომი.

„სამხრეთ კავკასია ბალკანეთის ლოგიკური გაგრძელებაა“, — გვიმტკიცებენ პოლიტოლოგები.

უბედურებაც ეგაა!

მეფისნაცვალი მოკვდა, გამარჯობა, ქალბატონო თინა! დაგვიმტკიცეთ, რომ მთელი ეს მსჯელობა ფიწლით წყალზეა ნაწერი.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ქალბატონ თინა კაიდანოვს ახასიათებენ როგორც პრინციპულ ადამიანს. ამბობენ, რომ „ბრაიზასგან განსხვავებით, მისი რეკომენდაციები გავლენებისგან თავისუფალი იქნება“, რასაც ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ მას „არ აქვს კონტაქტები სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ელიტებთან“, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლების პირველ ვიოლინოებთან.**

**მე მგონი, ახალ კურატორს არ დასჭირდება პრინციპულობის კომბლით მაბეზართა მოგერიება: ჩვენებურები, ჩვეულებრივ, სხვა დირიჟორის ხელის აქნევას აყოლებენ „თვითმყოფადობის“ ცალფა მელოდიას.**

**ა.ს.**



**ოქრუაშვილი თავად მონაწილეობდა იმ რეჟიმის დამკვიდრებაში, რომელსაც შეეწირა**

მაშის მსხვერპლი აღმოჩნდა ირაკლი ოქრუაშვილი თავისი ოჯახითა და გარემოცვით. ოქრუაშვილი თავად მონაწილეობდა იმ რეჟიმის დამკვიდრებაში, რომელსაც შეეწირა. მან თვითონ აღიარა, რომ დიდი წვლილი შეიტანა სააკაშვილის ოლიმპოზე აღზევებაში. ფაქტობრივად, მოინაინია კიდეც ეს საქციელი. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი, პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით, უამრავი ადამიანი გახდა. გამიჭირდება იმის თქმა, რომ

### ზურაბ ჟვანიაც სახელისუფლო თამაშის მსხვერპლია.

მიმაჩნია, რომ მისი საქმის გამოძიება არ დასრულებულა, რადგან უამრავი კითხვის ნიშანია მის ირგვლივ. სწორედ ამიტომ ბუნებრივად ჩნდება ის მოსაზრებაც, რომ ჟვანია პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გახდა, თუმცა ამის დადასტურება მე არ შემიძლია“.

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თემურ იაკობაშვილის რადიკალიზმი და «ქმედითი ნაბიჯები» — არსაით!

**აგვისტოს მოვლენების შემდეგ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტმა ფუნქცია დაკარგა, მოლაპარაკებების პროცესი ჩიხში შევიდა, „ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება“ კი ჰაერში გამოეკიდა.**



**რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი თითქოს იცავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და მაქსიმალურად ცდილობს, რადიკალური და „ქმედითი ნაბიჯებით“ იაროს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, რათა მინისტრის რანგში „არაფრის კეთება“ არ დაბრალდეს, მაგრამ სინამდვილეში მისი ქმედება ხშირად პოლიტიკურ წყლის ნაყვას ჰგავს.**

ერთი ცნობილი პიროვნება ერთ-ერთ გაზეთში თემურ იაკობაშვილზე წერდა: **„ახლოს არ ვიცნობ სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილს, მაგრამ მახსოვს 1991 წლიდან, როცა ის ახალგაზრდა სიონისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო! ანტიქრისტიანული, არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონდა!“**

შეგახსენებთ, რომ სიონიზმი რეაქციულ-ნაციონალისტური მოძრაობაა, რომელიც წარმოიქმნა სხვადასხვა ქვეყნის სემიტურ ბურჟუაზიაში მე-19 საუკუნის ბოლოს. 1897 წელს ქალაქ ბაზელში (შვეიცარია) დაარსდა „მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია“, რომელმაც თვითმიზნად გამოაცხადა მსოფლიოს ყველა ებრაელის პალესტინაში გადასახლება და იქ ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა.

შორს ვარ ანტისემიტიზმისგან და არც იმ კონსპიროლოგიურ მოსაზრებებს ვიზიარებ, რომ სიონიზმი (ისტორიული სამშობლოს სიყვარული) დანაშაულია, გამომდინარე აქედან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, იყო თუ არა იაკობაშვილი ახალგაზრდა სიონისტთა კავშირის თავმჯდომარე (მითუმეტეს, ამ ორგანიზაციას საქართველოს და ქართველი ერის საწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებია), მაგრამ სახელმწიფო მინისტრის რანგში ბატონი იაკობაშვილი ხშირად აკეთებს არადიპლომატიურ და ქვეყნის ინტერესებისათვის საზიანო განცხადებებს:

**„აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება რამდენიმე ელემენტისაგან შედგება. ამ წინაპირობების შესრულების შემდეგ საქართველო გამთლიანდება,** — აცხადებს იაკობაშვილი Ni2 News-ისათვის მიცემულ ინტერვიუში, — **რუსეთს აწუხებს დემოგრაფიული პრობლემა. იქ მოსახლეობა ყოველწლიურად 750 ათასით მცირდება. ჰოდა, რამდენიმე წელიწადში რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა სასაფლაოზე აღმოჩნდება. რა უდგას წინ მის დამარცხებას? — არაფერი — დარჩენილ რუსებს ან შიდსი მოკლავს, ან ალკოჰოლი; მაგათ ეკონომიკას დედა აქვს ნატირები, ჩვენი — ყვავის; ჩვენ უკვე არაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ. ამ პრობლემას (ანუ კონფლიქტებს) დასავლეთი მოგვიგვარებს რუსეთის დასუსტების მერე“.**

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს იაკობაშვილის მიერ ნათქვამი საქართველოს გამთლიანების წინაპირობები, ფაქტია, რომ მინისტრი ერთადერთ გამოსავალს **„მოკვდი, რუსო! საქართველო გამთლიანდება“**-ში ხედავს. მას არ ადარდებს, რა ბედი ელის, სანამ **„დარჩენილ რუსებს ან შიდსი მოკლავს, ან ალკოჰოლი“.** სახელმწიფო მინისტრი არც იმაზე ფიქრობს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს არა მისთვის მიუღებელი ხელისუფლების, არამედ მთელი რუსი ხალხის ამგვარ არადიპლომატიურ კონტექსტში მოხსენიებას ისეთი მაღალი დიპლომატიური რანგის სახელმწიფო მოხელისაგან, როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრია. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პოლიტიკური ლიდერები, თვით ჟირინოვსკიც კი, საქართველოს მიმართ თავიანთ რადიკალურ განცხადებებში ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ მათ პრეტენზიები აქვთ საქართველოს ხელისუფლებასთან და მაქსიმალურად კორექტულები არიან ქართველებზე საუბრისას. ამ ფონზე რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განცხადება **„რამდენიმე წელიწადში რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა სასაფლაოზე აღმოჩნდება“** დამეთანხმებით, რომ დეზინტეგრაციას უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე ინტეგრაციას, თუნდაც ოსებთან და აფხაზებთან მიმართებაში, რადგანაც მათთვის, ბუნებრივია, არ იქნება მიმზიდველი საქმის დაჭერა იმ მინისტრთან, რომელიც მთელი ერის „სასაფლაოზე აღმოჩენაზე“ ოცნებობს...

**იაკობაშვილმა, ასევე, „საინტერესოდ“ ახსნა, თუ რატომ არ გამოაცხადა შარშან, აგვისტოში, საქართველოს ხელისუფლებამ მოსახლეობის ევაკუაცია საომარი მოქმედებების ზონიდან:**

**„რუსეთმა ჯარი ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს შემოიყვანა და ცხინვალის ევაკუაციაც 2-3 აგვისტოს გამოაცხადეს. ცხინვალში ბოლოს ომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შევედი და ეს ქალაქი ომზე დაორსულებულ ქალს ჰგავდა... ჩვენ რომ ევაკუაცია გამოგვეცხადებინა, დასავლეთი იტყოდა, ომისათვის ემზადებიანო და ღიად დაგვადანაშაულებდნენ ომის დაწყებაში. კოკოითს არავინ იცნობს, შესაბამისად, მის ბრძანებას ევაკუაციაზე კაციშვილი არაფრად ჩააგდებდა, სწორედ ამიტომ მოვიქეცით ასე. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო“.**

როგორ მოგწონთ? ხელისუფლებამ ქართული სოფლებიდან თურმე ხალხის ევაკუაცია მხოლოდ იმიტომ არ მოახდინა, რომ „დასავლეთი იტყოდა, ომისთვის ემზადებიანო და ღიად დაგვადანაშაულებდნენ საომარი მოქმედებების დაწყებაში“, ანუ დასავლეთის შესაძლო რეაქციას და სააკაშვილის იმიჯის შესაძლო შელახვას იმ მოსახლეობის სიცოცხლე შეეწირა, რომელი მსხვერპლის არიდებაც თამამად შეიძლებოდა, თუკი ევაკუაციას დროზე გამოვაცხადებდით, ანუ კითხვაზე — რა ჯობდა: მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან არიდება და ევაკუაცია, თუ დასავლეთის თვალში იმიჯის შელახვა? — იაკობაშვილმა ერთმნიშვნელოვანი პასუხი გასცა:

## „ეს პოლიტიკური გადაწვეტილიება იყო. სხვანაირად რომ მოვქცეულიყავით, დასავლეთი ვერ გაგვიგებდაო...“,

ესე იგი ბატონი მინისტრისა და მისი ხელმძღვანელობისათვის იმიჯს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ ადამიანების სიცოცხლეს, ვისი გადარჩენაც დროული ევაკუაციით შეიძლებოდა. ვერაფერს იტყვი, რკინის არგუმენტია და საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ხელისუფლების მიერ მოსახლეობის ბრძოლის ველზე ბედის ანაბარა მიტოვება გაამართლო.

თემურ იაკობაშვილს მეტად უცნაური შეხედულებები აქვს ერის კონსოლიდაციასა და დემოკრატიაზე... მისი შეხედულებები არათუ ლიბერალიზმისგანაა შორს, პირწავარდნილ ტირანსაც კი აღაშფოთებს:

***„ჩვენთან ვინმეს ფეხზე რომ დააბიჯო, მთელი სამყარო იგებს ამის შესახებ და ერთ ამბავს ტეხენ. აი, სომხეთმა საოცარი ერთიანობა აჩვენა: მიუხედავად აქციების დარბევის დროს ხალხის დალუპვისა, ქვეყნის გარეთ ხმა არ გასულა. მათ ეს თავიანთ საშინაო საქმედ ჩათვალეს და ამით არავინ შეაწუხეს...***

**9 აპრილისათვის ჩვენი თხოვნით ევროკავშირიდან პროფესიონალები ჩამოვლენ. ისინი გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ სხვადასხვა სიტუაციაში. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და გვსურს, მათ თავიდანვე ნახონ, რა სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში“... და ამით ავიცილოთ ფრაზები — „შეცდომა დავუშვით“, „ზოგიერთი დასავლეთელი“ მეგობრის ნდობა ძვირად დაგვიჯდა და ა.შ.“**

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. ბატონი იაკობაშვილი იმაზე კი არ წუხს, რომ აქციების მსვლელობისას შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქტივისტებს უმოწყალოდ სცემა, რეზინისა და პლასტმასის ტყვიებით მოქალაქეებს თვალები ამოთხარა; სულაც არა, ბატონ იაკობაშვილს ის ადარდებს, თუ რა მოხდა მერე სომხეთში, — აქციების დარბევისას მომიტინგეები დაიღუპნენ კიდეც, მაგრამ ეს ამბავი „გონიერ“ სომხებს, „მეტიჩარა ქართველებისაგან“ განსხვავებით, ქვეყნის გარეთ არ გაუტანიათ, შინაურულად მიაჩუმათესო... განსაკუთრებით საგანგაშოა ბატონი იაკობაშვილის შეხედულებები მედიასა და სიტყვის თავისუფლებაზე:

## „ომმა გვაჩვენა, ჩვენი მედია არაკოორდინირებულად და შეცდომით მუშაობდა. „რუსთავი 2“-მა გაავრცელა „ენ-ტე-ვეს“ კადრები, სადაც ჩანს, „გრადი“ როგორ ისვრის რაკეტებს.

**ყველას ეგონა, ამას ქართველები ვაკეთებდით, სინამდვილეში რუსებმა გადაიღეს,** — აცხადებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, მაგრამ ტყუილს, მოგეხსენებათ, მოკლე ფეხი აქვს და იქვე წამოსცდა, რომ: ***„ის კადრები გაგვეპარა და ეს არ უნდა მოგვსვლოდაო...“***

ამ განცხადების ფონზე გასაკვირი სულაც არ არის ის გარემოება, რომ იაკობაშვილი ნაცვლად დიპლომატიური გზებით ვითარების განმუხტვის მცდელობისა, „ესკაკა და სხვა კაკას“ გაიძახოდა, თან ამაყად აცხადებდა, რომ არ იცის და არც აქვს სურვილი, იმ ადამიანების სახელები იცოდეს, ვისთანაც, წესით და რიგით, მას მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა. ასე რომ, ძნელია, დაეთანხმო „დაბნეულ“ და „გულმავიწყ“ მინისტრს იმაში, რომ „რუსთავი 2“-მა არაკოორდინირებულად და შეცდომით იმუშავა, ამ არხის მუშაობა სწორედაც რომ კოორდინირებული იყო, მაგრამ ერთი ალილო, მღვდლისა არ იყოს, მასაც შეეშალა და, როგორც იაკობაშვილი ამბობს, „კადრი გაეპარათ“. გაპარულ კადრში კი ჯერ გენერალმა ყურაშვილმა გვამცნო ომის დაწყება, ხოლო შემდეგ ცხინვალისკენ მიშვერილი გრადების ზალპიც გაისმა...

**ნინო ნიჟარაძე**

# როდის დაინტერესდება შსს და პროკურატურა

**ამ ხელისუფლებამ და მისმა დამქაშებმა როგორი ბინძური მეთოდებით დაასამარეს ქართული ავიაცია, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს... თუმცა, ალბათ, გახსენებად ღირს კახი ასათიანის ბუნდოვანი მკვლელობა, პროფესიონალი კადრების ციხეებში ამოლპობა, მათი ქვეყნიდან განდევნა, რამდენიმე ავიაკომპანიის ხელოვნურად გაკოტრებისა და სხვა უამრავი ისტორიების გახსენება!!!
სახელისუფლებო კრიმინალურ-უწყებრივი ჯაჭვი წარმატებულ ავიაკომპანია „აჭარასაც“ ზუსტად ისევე შემოერტყა, როგორც ამას სისხლხორცეული ზნე კარნახობდა და შესაფერის დროს მას ზუსტად ისევე მოექცა ზურგში მორიელივით, როგორადაც მრავალჯერ დაუგესლავს მრავალი... ამჯერად ჩვენს ხელთ არსებული კიდევ 3 დოკუმენტის საფუძველზე გიჩვენებთ, თუ როგორ მიზანმიმართულად, ურთიერთშეთანხმებულად და, რაც მთავარია, კანონის უხეში დარღვევით ხორციელდებოდა „ასლანის ქონების“ ჯერ მიტაცება, ხოლო შემდგომ მისი უჩუმრად გასხვისება!**

„საქართველო და მსოფლიომ“ უკვე შემოგთავაზათ დამადასტურებელი დოკუმენტები იმის თაობაზე, რომ ორი საჰაერო ხომალდი ЯК-42 ვინმე ასლან აბაშიძის საკუთრება კი არა, საქართველოს სახელმწიფოს კანონიერი ქონება იყო, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიისა!

2004 წლის 12 ოქტომბერს ბათუმში, გენერალ მაზნიაშვილის ქ. №6-ში მდებარე ნოტარიულ უწყებაში, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მეშვეობით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება №5, რომელიც რეესტრში რეგისტრირებულია ნომრით 1-11255. როგორც სანოტარო აქტიდან ირკვევა, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილისთვის 12 ოქტომბერს მიუმართავს ბატონ თამაზ ჩიკვილაძეს და განუცხადებია, რომ იგი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურისტს, მოქმედებს სამინისტროს სახელით, შესაბამისი მინდობილობით და, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხულ ЯК-42 4L AAM და 4L AAR) ნასყიდობის ხელშეკრულების დადება სურს! ბატონ თამაზ ჩიკვილაძესთან ერთად (როგორც წარმოდგენილი დოკუმენტით ირკვევა) ნოტარიუს კალანდარიშვილისთვის ვინმე ბესარიონ ჭედიასაც მიუმართავს და განუცხადებია (?), რომ იგი შპს „აირზენას“ დირექტორია და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (2 თვითმფრინავი) ნასყიდობის ხელშეკრულების დადება სურს! მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და მისი ნოტარიული წესით დამოწმება მოითხოვეს! აი, სწორედ ამ ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამოჩნდა პირველად შპს „აირზენა“ ამ სახით, ხოლო მანამდე ჩვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ყველა საბუთში შემდეგნაირად იყო დაფიქსირებული: შპს „აირზენა“ საქართველოს ავიახაზები (პრეზიდენტის 440-ე ბრძანებულებაშიც ასეა!). აგრეთვე, ვიუწყებოდით, რომ შპს „აირზენა“ საქართველოს ავიახაზები ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა და ჩვენს ხელთ არსებული ქვეყნის პირველი პირის №440-ე ბრძანებულების გაყალბებაც რომ სახეზეა, ამას ნოტარიული წესით დამტკიცებული დოკუმენტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს!!! შპს „აირზენა“ მოგვიანებით მიღება-ჩაბარების ოქმშიც დაფიქსირდა, რომელიც ქ. ბათუმში 2004 წლის 12 ოქტომბერს შედგა!

მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ნოტარიუსი ხათუნა კალანდარიშვილი ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბესიკ ჭედიასგან, გარდა სიტყვიერი განმარტებისა, არ ითხოვს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს და, თუკი მოითხოვდა, მაშინ რატომ დახუჭა თვალი, ძველი — 2003 წლით დათარიღებული — სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენისას, გაუგებარია! და ეს მაშინ, როდესაც შესანიშნავად იცოდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დასამოწმებლად ნოტარიუსის პირველი მოვალეობაა, დაადგინოს მხარეების ვინაობა და უფლებამოსილება?! ნოტარიუსს რომ მყიდველისთვის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება კატეგორიულად მოეთხოვა (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ვარგისია ერთი კვირის ვადაში), მაშინ ხომ ცხადი გახდებოდა მისთვის, რომ 2004 წლის 12 ოქტომბერს ბესარიონ ჭედია არ იყო და ვერ იქნებოდა შპს „აირზენას“ დირექტორი იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ 2004 წლის სექტემბერში შეერწყა შპს „ეარ სერვისს“ (მომსახურება) და თანაც, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადა ჯერ კიდევ 2000 წლის 10 ივლისს დაუმთავრდა და შემდგომ არ გაუგრძელებია?! რაც შეეხება შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“, იგი 2004 წლის 20 აგვისტოდან არსებობს როგორც „ჯორჯიან

# სუტენიორმა მეზობლის გოგონა თურქეთში გაიტყუა და პროსტიტუციაში ჩააბა

**საქართველოს კანონმდებლობით ტრეფიკინგი მძიმე დანაშაულადაა აღიარებული და დამნაშავეთა მიმართ მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული. ტრეფიკინგის რისკი განსაკუთრებით დიდია იმ ქვეყნებში, სადაც მიგრაციის მაღალი მაჩვენებელია. სამწუხაროდ, საქართველო სწორედ ასეთ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. სოციოლოგიური გამოკვლევებით საქართველოს მოსახლეობის 70%-ს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა სურს; 30% თანახმაა, არალეგალურად იმუშაოს; 40% კი მზადაა, ნებისმიერი სამუშაო შეასრულოს. სოციალურად უმძიმეს პირობებში მყოფნი საზღვრის გადაკვეთას მალულად, არალეგალური საბუთებით ცდილობენ. ამ გზით კი ხშირად მოტყუების ან ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. საერთაშორისო ნორმების თანახმად, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებებს არაერთი ორგანიზაცია იცავს. ერთ-ერთი მათგანია კავშირი „ქალები მომავლისთვის“, რომელიც საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველთ უფასოდ უწევს შესაბამის კვალიფიციურ დახმარებას. აი, რა გვიამბო ამ ორგანიზაციის ტრეფიკინგის მსხვერპლთა სოციალური დახმარების კოორდინატორმა, ქალბატონმა თამარ სანიკიძემ:**



— ახალგაზრდა მარტოხელა დედა მ.ი., რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა, დედასთან და 4 წლის შვილთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მან ჯერ კიდევ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სტილისტის მოსამზადებელი კურსები დაამთავრა, მაგრამ სამუშაოს შოვნა ვერ შეძლო... მ.ი. განუწყვეტლივ ფიქრობდა, როგორ ეხსნა შვილი შიმშილისა და სიცივისაგან, დედა კი — მძიმე და აუტანელი შრომისაგან. ქვეყანაში განუკითხაობა სუფევდა და ამ პატარა ოჯახის დარდი, რომელიც სხვებისგან დიდად არაფრით განსხვავდებოდა, არავის ჰქონდა.

ამ შეჭირვებული პატარა ოჯახის ერთმა მეზობელმა ბოლო წლებში ძველებურ ორსართულიან სახლს რესტავრაცია გაუკეთა და კატალოგიდან ამომხტარ დიდებულ შენობას დაამსგავსა. ეს ოჯახი უბანში გამორჩეულად მდიდარი გახლდათ (ოჯახის თითოეულ წევრს უცხოური ავტომანქანები ჰყავდა). დაბეჩავებული, პურის ფულის საშოვარზე გადაგებული უბნის თვალწინ ოჯახი ფუფუნებაში ჩაიძირა. ხმა გავრცელდა, ლოლას თურქეთში ქართული რესტორნების ქსელი აქვს, საიდანაც ოჯახი სოლიდურ მოგებას იღებსო. ლოლაც ოჯახის წევრებთან ერთად თურქეთში ხშირად დადიოდა. მის ყურადღებას იქცევდა ახალგაზრდა, ლამაზი მ.ი., რომელსაც დიდი პრობლემები ჰქონდა. ლოლა მკაცრი, უკადრისი ქალი იყო და თავისი განებივრებული ოჯახით ჩაკეტილად ცხოვრობდა. ერთხელ თურქეთიდან დაბრუნებულმა მ.ი.-ის ბავშვს ტანსაცმელი აჩუქა, ერთხელაც მ.-ის პატარას ჯიბეში ფული ჩაუდო. ამან კი ახალგაზრდა ქალი ლოლას მიმართ კეთილად და ნდობით განაწყო. როდესაც ლოლამ მ.-ს თურქეთში წაყვანა შესთავაზა, მას არავითარი ეჭვი არ გასჩენია. ლოლა ქალს თავის რესტორანში მუშაობას და კარგ ხელფასს დაჰპირდა; წასვლის სურვილი მ.-ს მეგობარმაც გამოთქვა. ასე რომ, საბუთებისა და გამგზავრების ხარჯებისთვის ლოლამ გოგონებს ფულიც ასესხა.

2007 წლის 2 ივნისს გოგოები ლოლასთან, მის ქალიშვილთან და სიძესთან ერთად თურქეთის დაბა პაზარში ჩავიდნენ, სადაც, ძირითადად, დაბალი ფენის მოსახლეობა ცხოვრობდა. ლოლამ ჩასვლისთანავე გოგონებს ბარგი ჩამოართვა და ახლომდებარე სასტუმროში წაიყვანა. არ უთქვამს, იქ რისთვის მიჰყავდა. გოგონებმა ცოტა რომ დაისვენეს, გარეთ მოინდომეს გამოსვლა, მაგრამ დაცვამ და მეპატრონემ მათ ამის საშუალება არ მისცეს. დაიწყო გოგონების „დამუშავება“ სექსუალური მომსახურებისთვის. მათ აურზაური ატეხეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლოლა ადგილობრივ პოლიციასთან იყო შეკრული. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით გოგონები უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ბედს დამორჩილდნენ. ისინი ახლომდებარე სამ სასტუმროს ემსახურებოდნენ, იმავე სასტუმროების სასადილოებში იკვებებოდნენ. ხშირად კლიენტთა სიმრავლის გამო მათ ჭამასაც არ აცლიდნენ. კლიენტები კი უტიფრად და უხეშად ეპყრობოდნენ, სთავაზობდნენ არატრადიციულ სექსს. გოგონები მეზობელ ოთახებში გაჰყავდათ და ხშირად ესმოდათ ერთმანეთის ტირილი და მოთქმა. მომსახურების საფასურს მთლიანად ლოლა იღებდა იმ მიზეზით, რომ გოგოებს მისთვის ვალი უნდა გაესტუმრებინათ. როცა მ.-მ ლოლას კატეგორიულად მოსთხოვა უსახსროდ დარჩენილი მოხუცი დედისთვის და მცირეწლოვანი ბავშვისთვის რაღაც თანხის გაგზავნა და უარი მიიღო, იგი ისე გადაირია, ტიროდა, ყვიროდა თმებს იგლეჯდა და შლეგივით იქცეოდა. ლოლამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად დედამისს თბილისში 200 დოლარი გაუგზავნა. მაგრამ უზნეო და ბოროტმა ქალმა წყენა არ შეარჩინა და რამდენიმე დღის შემდეგ მ.-ს ის ოქროს ბეჭედი მოსთხოვა, რომელსაც განუყრელად თან ატარებდა. ახალგაზრდა ქალმა ბეჭედი არ მისცა, რის გამოც ლოლამ დაცვის ბიჭებს იგი ისე აცემინა, გონმიხდილი იატაკზე დაეცა.

ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მ.-მ თავისი კლიენტი მამაკაცი დაარწმუნა, რომ ამ სიბინძურეში ბოროტი, მეზობელი დედაკაცის გავლენით მოხვდა და რომ სამშობლოში მას მოხუცი დედა და პატარა შვილი ელოდება. მამაკაცი დარწმუნდა, რომ ეს ქალი ბუნებით მეძავი არ იყო და მართლაც უკიდურეს ზღვარზე იდგა. იგი შეაძრწუნა უბედური, ლამაზი ქალის ხვედრმა, გაქცევაში დახმარებას დაჰპირდა და თავისი ტელეფონის ნომერიც დაუტოვა. ეს კაცი პროფესიით მძღოლი იყო.

ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ კლიენტებმა გოგონები რესტორანში წაიყვანეს, სადაც თითქმის ყველა უგონოდ დათვრა. მაშინ მ.-მ დრო იხელთა, მოპარული ტელეფონით მძღოლს დაურეკა, თავისი ადგილ-სამყოფელი უთხრა, სიტუაციაც აუხსნა და დანაპირებიც შეახსენა. მძღოლი სპეციალურ ოპერაციათა დეპარტამენტს დაუკავშირდა და შემთხვევის შესახებ აცნობა. ოპერატიულმა დეპარტამენტმა კი ინფორმაცია სარფის საბაჟოს გადასცა. მძღოლი მითითებული რესტორნისკენ მანქანით გაეშურა. გოგონებმა შენობიდან გამოპარვა მოახერხეს, მძღოლი მათ უკვე ელოდებოდა. ის იყო, მანქანა ტრასაზე გავიდა, რომ რესტორანში რაღაც იყნოსეს, რადგან დაცვამ გაისროლა. ტრეფიკიორებს თუ მსხვერპლი გაექცათ, გამოდევნების ეშინიათ, იციან, ინტერპოლის კლანჭებში მოხვდებიან.

მამაცმა მძღოლმა გოგონები სარფამდე მიიყვანა და სასაზღვრო პოლიციას ჩააბარა. მესაზღვრეებმა გოგონები თბილისში გაამგზავრეს; ჩასვლისთანავე მ.-მ და მისმა მეგობარმა სპეციალურ ოპერაციათა დეპარტამენტში ლოლას წინააღმდეგ ჩვენება მისცეს. ლოლა დააპატიმრეს და საკადრისიც მიუსაჯეს.

მაგრამ ამბავი ამით არ დამთავრებულა. საქართველოში დაბრუნებული მ. მუდმივ შიშშია — ცალკე ლოლას ოჯახის წევრებისა და ცალკე ტრეფიკიორთა შურისძიების მოლოდინში. ამიტომ აუცილებლად საცხოვრებელი ადგილი უნდა შეეცვალა. ინტერვენციის ფირმა „ვორლდ ვიჟენმა“ საქართველოში მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მას დახმარება აღმოუჩინა — ბინა მოუძებნა და ქირის გადახდაც იკისრა. მოხერხდა მისი დასაქმებაც სტილისტად, ხოლო პატარა ბიჭი საბავშვო ბაღში მიიყვანა. იცავდა თუ არა მსხვერპლი ნორმალური ცხოვრების წესს, ამას სოციალური მუშაკი კონფიდენციალურობის სრული დაცვით მეთვალყურეობდა და საჭირო დახმარებასაც უწევდა.

დღეს მ.-ს მიმართ რეინტეგრაციის გეგმის განხორციელება შეწყვეტილია ოჯახის შექმნის გამო. სამშობლოში დაბრუნებული მ. შეხვდა საყვარელ ადამიანს და ოჯახი შექმნა. ამჟამად ფეხმძიმედაა და ტყუპს ელოდება.

ასე რომ, საკუთარი მოხერხებითა და კეთილ ადამიანთა დახმარებით მას შეუძლია თქვას — „მე ჯოჯოხეთიდან დავბრუნდი!“, მაგრამ იმ მსხვერპლმა რა ქნას, ვისმა ხმამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია?!

ცხოვრების ნარ-ეკლით მოფენილ გზაზე მათი ხვედრი უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში არსებულ პრობლემებს, ქვეყნის სატკივარზე და ადამიანების ბედ-იღბალზე გულგაციებულ ჩინოვნიკებსა და გამდიდრების მერკანტილური სურვილით გადარეულ ქართველებს, რომელთაც უცნობმა თურქმა ვაჟკაცმა სილა გააწნა, რადგან გულით განიცადა უცნობი ქალის ტრაგედია, თანამედროვეობის უკუღმართ სენს — ტრეფიკინგს მარტომ გამოუცხადა ომი და ორი ქართველი ქალი სამშობლოში დააბრუნა.

**ლალი შაშიაშვილი**

# ორი გასხვისებული თვითმფრინავის საქმით?

ეარვეისი“ და, ამდენად, პრეზიდენტის №440 ბრძანებულების შესაბამისად, ნოტარიუსთან წარდგენილ ეგზემპლარში საწარმო სახელით შპს „აირზენა“ საქართველოს ავია ხაზები, არასოდეს არსებობდა, არც სადმე დარეგისტრირებულა და არც არასოდეს გაუქმებულა!!!

შემთხვევით ხომ არ მოხდებოდა ისიც, რომ ხელისუფლებას ბოლომდე (არც მაშინ და არც დღეს) არ გაერკვია, ვინ იყო შემსყიდველი საწარმო, რომელიც დააკმაყოფილებდა შესყიდვის პირობებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიეყიდებოდა 5 მილიონ 800 ათასი დოლარის ღირებულების ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით?

გვინდა, გვჯეროდეს, რომ ხელისუფლებამ კანონით გათვალისწინებული ყველა ნორმა კეთილსინდისიერად აღასრულა, მაგრამ შემდგომ ვინ გააყალბა პრეზიდენტის №440 ბრძანებულება და როგორ მოირგო საკუთარ ინტერესებზე თითქმის ნაჩუქარი ქონება. ვფიქრობთ, ეს უკვე ჟურნალისტის გასარკვევი არ არის! ასეთ საქმეებს, როგორც წესი, არკვევენ შსს და გენერალური პროკურატურა!!!

აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც: ნოტარიუსს, მართალია, მხარეების ვინაობა ბოლომდე არ დაუდგენია, მაგრამ გარიგების ფორმა და შინაარსი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ კანონის შესაბამისად აქვს შედგენილი, ვალდებულებები კი პირდაპირი მიყიდვის ვარიანტის შესაბამისადაა ასახული. ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: „მყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისოს, არ დააგირაოს ან სხვაგვარად არ დატვირთოს ქონება“; ხელშეკრულების პირობაა, აგრეთვე, მყიდველმა ფრენა ახორციელოს ბათუმის აეროპორტიდან, განავითაროს აეროპორტის ინფრასტრუქტურა და ა.შ. ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობა რომ ხელშეკრულების უმალ შეწყვეტის საფუძველია, ყველამ იცის და საინტერესოა, შემსყიდველ კომპანიას რა „დამსახურების“ გამო არ მოუჭირა მარწუხები კანონმა (თუ კანონის აღმსრულებლებმა), თუკი ხელშეკრულების ყველა ვალდებულება უხეშად დაირღვა?

„თვითმფრინავების საქმეში“, ცხადია, რომ ვერც ვერავის მოსთხოვდნენ კანონის დაცვას, რადგან ისინი არარსებულ კომპანიას გადაეცა, ბალანსზეც არავის აუყვანია, და მოგვიანებით ისე გასხვისდა, მავანს უფლება არავისთვის უთხოვია! ამის უტყუარი დადასტურება კი, ჩვენ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებია, თუმცა ჯერჯერობით მცირე ნაწილი...

ახლა ჩვენ მიერ წარმოდგენილ შპს „აირზენას“ რეესტრის ფორმულარს ჩავუღრმავდეთ, რომელიც 26.11.2003 წ. არის დათარიღებული (არადა, როგორც ზემოთ შემოგთავაზეთ, თვითმფრინავების ნასყიდობის ხელშეკრულება 2004 წლის 12 ოქტომბერსაა გაფორმებული და ნოტარიული წესით დამოწმებული). დააკვირდით: შპს „აირზენას“ დამფუძნებლებში №1 ფიგურირებს თამაზ გაიაშვილი და მისი საწესდებო კაპიტალის (50000 აშშ დოლარი) წილი საწესდებო ფონდში 65%-ით განისაზღვრება! „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში უკვე წარმოგიდგინეთ „აირზენას“ პარტნიორთა კრების ოქმი №2, რომლის თანახმადაც, შპს „აირზენას“ დამფუძნებელი ელენა გაიაშვილია (თამაზ გაიაშვილის მეუღლე), რომლის წილიც საწესდებო კაპიტალის ფონდში ასევე 65%-ია! სხვისი არ ვიცი, მაგრამ იქნებ ვინმემ გამარკვიოს, ეს მათემატიკური აბდაუბდა რას ნიშნავს? ან ის რას ნიშნავს, ერთ დოკუმენტში დამფუძნებლად რომ ქმარია დაფიქსირებული, ხოლო მეორეში — ცოლი? ისიც მაინტერესებს, ერთ-ერთ დამფუძნებელ დავით გაიაშვილს (თამაზ გაიაშვილის ძმას) 15% წილს, ხოლო ანზორ ბაკურაძეს 20% წილს როგორ აძლევენ, თუკი ცოლ-ქმარი გაიაშვილების წილი პროცენტულად (წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით) 110-ს უდრის?

ძვირფასო მკითხველო! აი, ასეთი აბდაუბდა დოკუმენტების წყალობით მოხდა ის, რაც უკვე მოხდა და ორი ახალი საჰაერო ხომალდი, რომელიც საქართველოს საკუთრება იყო (დღეს მოქმედ ავიაკომპანიებს არენდით ჰყავთ აყვანილი თვითმფრინავები) და რომლის ფასი 5 მილიონ 800 ათას დოლარს შეადგენდა, ისე უჩუმრად გასხვისდა, საქმის კურსში არც ერთი შესაბამისი უწყება არ ჩაუყენებიათ მავანთ!!!

„ვინც ჩვენი წესებით არ თამაშობს, — ან სიკვდილი, ან ციხე, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სრული გაკოტრება!“ — აი, დევიზი, რომლითაც დღევანდელი ხელისუფლება და მათ ორბიტაზე მბრუნავი დამქაშები მოქმედებენ.

თუმცა, ალბათ, დაავიწყდათ (შესაძლოა, საერთოდ არც კი უწყოდნენ), რომ დრო ყველაფერს მალე გამოააშკარავებს და ბიბლიური თეზა — „არა არს დაფარული, რომელიც არა გამჟღავნდეს“ — მთელი სიცხადით აღსრულდება! ამას კი თუნდაც ის დოკუმენტები დააჩქარებს, რომლებიც ჩვენს ხელთაა და სამზეოზე გამოტანას მოუთმენლად ელის!

**ირინე გოგოსაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დეზერტირი №5, ანუ ბექგრაუნდიანი ყბედები

**ამ წერილში ორიოდ სიტყვას ვიტყვი იმ ბექგრაუნდიან ძმებზე, რომელთაგან ერთი მიშას ემუქრებოდა „მოვდივარო“, მერე ამ საკუთარი ღვინოსავით თუ მურაბასავით მუქარის რეალიზებას შეუდგა და „მოვედით, მოვედითო!“ შესძახა დაშხოშიანი გინების აკომპანემენტით.**
**მოკლედ, „ბიჭები ვართ და მოვდივართ, ბიჭები ხართ და დაგვხვდითო!“**
**მიშამაც, „მობრძანდით, გელით გაშლილი ხელითო“. ხელებს, იცოცხლე, ისე შლის, მარჯვენით ნიკოფსიას მისწვდება, მარცხენით — დარუბანდს.**
**და მივიდა; ერთხელ, მეორედ, მესამედ...**






მანამდე კი იყო მიშას გადადგომა და პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები, სააკაშვილ-გაჩეჩილაძის დუელი და თბილისის „ლუბიმჩიკის“, პირდაპირ ვიტყვი, ძალიან არათბილისური საქციელი.

ფაქტს მოგახსენებთ და დასკვნა თქვენ გამოიტანეთ. 2008 წლის იანვარია. ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია ჯერ არ გამართულა და მეორე ტურის დანიშვნასაც არ გამორიცხავენ. სამების ტაძარში გვერდიგვერდ დგანან თბილისელების „ბატონი პრეზიდენტი“ გაჩეჩილაძე მეუღლითურთ და ზვიად ძიძიგური (ალბათ, „პირველი ვეზირის“ უფლებით!). შემოდის ნაციონალების „ბატონი პრეზიდენტი“ სააკაშვილი. ძიძიგური ჩვეულებრივად ართმევს ხელს.

## გაჩეჩილაძე წელში მოხრილი მდაბლად თავს ხრის და ისე ესალმება „ძალაუფლების უზურპატორს“.

ეს ყველაფერი ასიათასობით თანამოქალაქესავით ჩემი თვალით ვნახე ტელეეკრანზე.

თქვენი არ ვიცი და, ჩემთვის მეორე ტურის გამართვის ალბათობა მაშინ გაქრა.

შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძემ არ იცის, პოლიტიკური პროტოკოლით როგორ ესალმებიან ერთმანეთს თანასწორნი, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან მოუხდა ქვეშევრდომის ამპლუა.

კუდის რიკამდე გატყავებულმა ქიბარ ხალვაშმა ერთ ინტერვიუში თქვა, საკრებულოში სააკაშვილთან რომ მუშაობდა, თითქმის ჩემი ტოლი დათა ახალაია „ქიბარი ბიძიას“ მეძახდა და სიხარულით მეგზავნებოდა „ბორჯომზე“; მასში განსაკუთრებით მოჭარბებულად იგრძნობოდა უფროსებისადმი მოწიწება, ისეთი, რაიონებიდან ჩამოსულებს რომ ახასიათებთო.

ამიტომაც ვამბობ, რომ იმ დღეს ლევან გაჩეჩილაძეში ქრისტიანული თავმდაბლობა კი არ ჩანდა, სწორედ ამ მოწიწებას ასხივებდა მისი თვალები.

ალბათ, ამიტომ შეელახა ბექგრაუნდი. მისგან ყველა უკომპრომისო ბრძოლას ელოდა და, როცა „ვერ აასრულა, რასაც დაგვპირდა“ და, მიუხედავად ამისა, „მაინც მოვიდა ჩვენთან“, ხალხს შეკითხვები გაუჩნდა. ზოგიერთი არც იმის თქმას მოერიდა, ამ ძმებს პოლიტიკური ბიზნესი ხომ არ აქვთო, — გამოიყვანენ ხალხს ორი თვით, აყვირებენ, აკივლებენ, აშიმშილებენ და მერე შეუძახებენ „ოზურგეთიო“.

ეს ჭორები (თუ სწორები, ეშმაკმა უწყის!) განსაკუთრებით აღიზიანებს „უცნობ“ გაჩეჩილაძეს. ბექგრაუნდი ამისი უნდა იკითხოთ! თავის დროზე, 2003 წლის ნოემბერში, როცა ქართული ესტრადის მეფეები, დედოფლები, კუდიანი ვარსკვლავები თუ უკუდო ამპარტავნები ექვით უყურებდნენ დემოკრატიის მესანთლეებს (მერე შუქურად რომ აბდღვიალდნენ, „რუბილნიკი“ ბუშმა ჩაურთო!), „უცნობი“ ყველას (გაგიკვირდებათ და) ემოციურად უმტკიცებდა, **მიშას თუ არ იცნობთ, მე ხომ მიცნობთ, მე დამიჯერეთ და გვერდში დავუდგეთო.** პირადად არ მომისმენია ეს ფიცი-მტკიცი, შოუბიზნესის დედად (კაცმა არ იცის, ვისგან) აღიარებულმა მარინე ბერიძემ „ჩაუშვა“, — **ახლაც იმავეს ამბობს და, თუ მაშინ შეცდა, ახლა რატომ დავუჯეროთო?!**

არ დაუჯერებთ და №5 საკნის ტელებინადარი და იქიდან დეზერტირებული თუ დეპორტირებული თქვენც ისევე შეგამკობთ, როგორც სააკაშვილს. ჟურნალისტ ნინო სამხარაძის

## შეკითხვაზე — „უცბად, სპონტანურად მიპასუხეთ, რას ეტყოდით სააკაშვილს?“ — უპასუხებს: „შიგ ხომ არა გაქვს, მიშაა?“

ბოლოს ისე გამოვიდა, რომ მიშამ ამათ დაუმტკიცა, ვის რა სად აქვს! „უცნობს“ ეს შეკითხვა №5 ტელეკამერიდან რომ დაესვა მესაკნე მომიტინგეებისთვის, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა. თუ „უცნობი“ არა, ადგილობრივი ხელისუფლება და პოლიცია მაინც ჰკითხავს (და მოჰკითხავს!) ღვთის ანაბარა მიტოვებულებს და საკუთარ სახლებში დაბრუნებულებს.

უცნობს კი „რა“ „სად“ ჰქონია, ყველამ შევიტყვეთ — **„ნაწლავზე მქონდა პოლიპები და ამომაჭრეს“.** ჩეხეთში გაუკეთეს ოპერაცია; აქაურ ექიმებს ხელისუფლება არ ენდობა (ერთი დავით ბაქრაძე ენდო და იმასაც კინაღამ კაი ტური მოუწყვეს საიქიოში!) და განა „XXI საუკუნის ილია“ არ იმსახურებდა განსაკუთრებულ მზრუნველობას?

ილიას კი არ ვადარებ, თვითონ ამბობს, რომ ახლაც **„ზუსტად იგივე სიტუაციაა, როგორც ჭავჭავაძეს აქილიკებდნენ და უნამუსოდ სვრიდნენ ლაფში“.**

ეჰ, კაცს თავი გადადებული აქვს და **„თუ ჩემი სიკვდილი ჯობდა, არ ვიცი...“**

სამაგიეროდ, მიშამ იცის, რა ჯობდა!

ამიტომაც ინაუგურაციის წინ ნაცნობის კვალობაზე „უცნობსაც“ შეხვდა. ვნახოთ, როგორ ხსნის ამ შეხვედრის აუცილებლობას თვითონ გია გაჩეჩილაძე:

**„სააკაშვილთან მივედი და ვუთხარი: სანამ საქართველოში არ იქნება ტელევიზია, რომელიც დაფარავს მთელ საქართველოს და იტყვის ნამდვილ სიტყვას... ღირსეული პრეზიდენტი მინდა, ჰყავდეს ქვეყანას, სხვა არაფერი-მეთქი; და იმდენად შეშინებული იყო, ინაუგურაცია რომ ჩატარებულიყო, დამთანხმდა, აუცილებლად იქნებაო და ისე გადამაგდო, როგორც ყველა...“**

ახლა მიხვდით, იპოდრომზე შეკრებილნო, როცა თბილისში ყინვა „მეფურად დაბრძანდებოდა“ და სააკაშვილი „სამეფო გვირგვინს“ უკვე მეორედ იდგამდა, რუსთაველის პროსპექტისკენ დაძვრის ნაცვლად, რატომ გაგისტუმრეს სახლებში?

ხალხს 26 მაისს სტადიონზე შეკრების დროსაც „მოუგრიხეს მწარედ კისერი“. მაშინ სიტყვით გამოსულმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქმე იმ დღესვე უნდა დაემთავრებინათ: **„დრო აღარ ითმენს. მე ვიცი ერთი ახალგაზრდა, რომელსაც აქვს გზა და ამ გზას ჩვენ უკან უნდა გავყვეთ!“;** შემდეგ „რეზონანსის“ კორესპონდენტს უთხრა, რომ ამ ახალგაზრდაში „უცნობს“ გულისხმობდა.

„ამ ახალგაზრდამ“ კი, რაკი აღარ იცოდა, რა ეთქვა 100 ათასი ადამიანისთვის, ხალხს სამების ტაძრისკენ წასასვლელად მოუწოდა. შოუმენის ეს ნაბიჯი შემდეგ პროვოკაციად და შანტაჟად შეფასდა. აღშფოთებას ვერც სალომე ზურაბიშვილი მალავდა,

## ცალკეულმა პიროვნებებმა ყველაფერი გააფუჭეს, ოპოზიციას სხვა გეგმა ჰქონდა, რაც „დინამოდან“ სამებისკენ დაძვრას არ ითვალისწინებდაო.

ასე იცის თავდაჯერებულობამ. როცა იმდენიც არ გესმის, რომ შოუ პოლიტიკის მხოლოდ მცირე ელემენტია და მიშას ამ საქმეშიც ვერ აჯობებ, შეგიძლია, ანბანი გარეპო და შეუსრულებელი დაპირებებით ხალხს ტვინი არ გაულაყო. მით უფრო, ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს სააკაშვილს. თუ ჩემი არ გჯერა, მაშინ ის გაიხსენე, რა გითხრა ლევანმა 12 მაისს, როცა მიშასთან ნასტუმრალი პირდაპირ „საკანში“ მივიდა:

**„მას აქვს ასეთი თვისება და შენც იცი და მეც ვიცი, მარტო რომ ზის და ორი კაცი უზის, მაინც შოუშია, ათი კაციც რომ ზის, შოუშია, ათას კაცშიც შოუშია და ტელევიზორშიც შოუშია, მიტინგზეც შოუშია, ადამიანი ცხოვრობს პროპაგანდისტულ-პიარულ რეალობაში. ერთადერთი, როდესაც ის უფრო ნაკლებ შოუშია, ვიდრე დიდ შოუში, ალბათ, ერთი-ერთზე შეხვედრის დროს. ჩემი გამოცდილებიდან ვიძახი...“**

ბიჯო, ბოდიში, ძმაო, ვინმემ კი არა, შენმა ძმამ (ერთხელ ვერის ბაღში სახალხოდ რომ დაგიფიცა) ერთ წინადადებაში შვიდჯერ გითხრა, მიშა „შოუშიაო“ და რით ვერ გაიგე, რომ შენზე უკეთესი შოუმენია და ვერ აჯობებ!

ამიტომაც მოხდა „მაესტროს“ ძალიან ცნობილი პროექტის „საკანი №5“ -ის მარგინალიზაცია. ამ „მოხდას“ არ ეთანხმება „მაესტრო“ მამუკა ღლონტი, თუმცა იმას კი ამბობს, რომ „დაიწყო მარგინალიზაცია“, **„ამიტომ უნდა შეიცვალოს ყველაფერი და ახალი ფორმატით გავიდეს ეთერში“.** მაგრამ რა ეშველება გულგატეხილ ხალხს, რომლის თვალშიც მთელი ოპოზიციის მარგინალიზაცია კი არ „დაიწყო“, არამედ უკვე „მოხდა“?

## ღლონტისთვის „საკანი №5“ ერთ-ერთი რიგითი პროექტია და მისთვის ტელევიზია (ბუნებრივია!) ბიზნესია.

აღარ მინდა ბექგრაუნდიანი ძმები გაჩეჩილაძეების პოლიტიკურ ბიზნესზე აქცენტის გაკეთება. არ მჯერა, რომ მიშა ამათ რამეს მისცემდა. მეტი საქმე არ აქვს, ისედაც 5:0 დაამარცხა. სამწუხაროა, რომ ამ „გაზაფხულმა თბილისში“ რამდენიმე ათეული ადამიანი „გისოსებს მიღმა საქართველოში“ გაისტუმრა, ნაცნობი და „უცნობი“ კი ხან იჩხუბებენ, ხან შერიგდებიან, ეს რა ჩვენი საქმეა. ხომ გაგიგიათ, ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევ ძმებად დარჩნენო.

**თქვენ კი, ვინც ამათ აჰყევით თუ გაჰყევით, წადით და „პერედაჩების“ რიგში ჩადექით „შაშკინეთში“!**

**ბონდო მძინარაშვილი**

**P.S. „საქართველო და მსოფლიოში“ (№12; 13-19 მაისი, 2009 წ.) გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ჩეგიავარა“. მაშინ პოლიციის სამმართველოსთან „უცნობის“ თავდადების (გადაუჭარბებლად!) შეფასება ვცადე და ახლაც შემიძლია თქმა, რომ მისი საქციელი, მართლაც, თავგანწირვის ტოლფასი იყო, მაგრამ საიტზე განთავსებულ ამ მასალას გამოეხმაურა ერთ-ერთი მკითხველი, რომელმაც მწარე კომენტარი გამოგზავნა: „ნეტა, ახლა რას ფიქრობს ავტორი თავის „ჩეგიავარაზე“? ხო ნახა, რომ „თავისი და ჩვენი ევერესტი“ კი არა, ევროპის კურორტები დაიპყრო ამ ვითომ ერის მამამ. თან უსირცხვილოდ გვაყვედრის თავის „საკანს“ ეს მატრაბაზი... სიამოვნებით წავიკითხავდი ამავე ავტორის მოსაზრებას „უცნობის“ „საკნიდან“ დეზერტირობაზე...“**

**„ჩეგიავარაზე“ რასაც ვფიქრობ, უკვე ვთქვი და, როგორც ხედავთ, უცნობ მკითხველსაც მივანიჭე სიამოვნება.**

**თქვენც დატკბით.**

**ბ.მ.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# სააკაშვილი — შალვა ნათელაშვილის ნევროტული აკვიატება!

**ცივილიზაციის, მეცნიერებისა და კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ფსიქოტიპს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ლიდერად ყოფნის პრეტენზია აქვს. დაბადებიდან დღემდე ადამის ტომი ორ საწყისს შუა იმყოფება — უმაღლესსა და უმდაბლესს, სიკეთესა და ბოროტებას შორის. ევოლუციის გზაზე სიარულისას ხან ერთი საწყისი აქტიურდება, ხან — მეორე. ამიტომ ადამიანი იდეალურისგან შორს დგას, უმრავლესობის ფსიქოლოგია კი ამ ორი საწყისის სინთეზია. ფსიქოპორტრეტის შექმნა თავისებური ცდაა, მივუთითოთ ინდივიდს საკუთარ სისუსტეებზე და გავუკაფოთ გზა სრულყოფისკენ; გავაცნოთ ის სფერო, რომელიც მის გონებრივ უნარებს, სულიერებასა და ემოციებს განაგებს. ლეიბორისტების (შრომის პარტიის) ლიდერის შალვა ნათელაშვილის ფსიქოპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, როგორი ფსიქიკური სტრუქტურის მქონეა შალვა ნათელაშვილი, რომელი მახასიათებლები განსაზღვრავს მის პიროვნულ ხასიათს?**

— ბატონი შალვას ფსიქოლოგიური სტრუქტურა ორი პლასტისაგან შედგება. პირველი ყოფითია, სადაც წამყვან როლს სხვა მახასიათებლები ასრულებს, მეორე კი — პოლიტიკოსის. ფსიქოლოგიაში ამგვარი ფსიქოტიპის ანალიზს სულის უმაღლეს ინტერესთა შემეცნებას ეძახიან.

მისი მთავარი ფსიქოშტრიხია ძიება მიზნისა, რითაც იფარება და ჩრდილში რჩება ძიება მიზნის მისაღწევი გზის. ამ ფსიქოშტრიხმა საგრძნობლად შეამცირა ნათელაშვილისადმი ნდობის კოეფიციენტი და წლების მანძილზე ხელი შეუშალა მისი იმიჯის ამაღლებასა და განმტკიცებას. იგი დიდ პოლიტიკაში გასასვლელად მხოლოდ ეროვნული და სოციალური პრობლემებით იკვეთება, ამიტომ ვერ ავიდა იმ სიმაღლეზე, რომლისკენაც მიისწრაფვოდა. ბატონი შალვა მივიდა ხალხთან და ის ხალხმა მიიღო, გაჰყვა... მაგრამ მიღწეული ვერ შეინარჩუნა. მიზეზი კი ისაა, რომ თავისი მასშტაბი რეალური შესაძლებლობიდან შორს გადაწია; დაავიწყდა მარტივი სიბრძნე „დღევანდელი კვერცხი გერჩივნოს ხვალინდელ ქათამს“. ამით კი გამოჩნდა, რომ ის სულაც არაა თავდაჯერებული, შიშისაგან თავისუფალი, უთანასწორო ბრძოლაში ჩამბმელი. ნათელაშვილმა ვერ დააკმაყოფილა ის მოთხოვნა, რომლის შესრულების იმედიც ხალხმა მის პიროვნებაში ჩადო. მან თვითონ დაარღვია კავშირი ხალხთან. ამ ერთიანობის დარღვევა კი მისთვის დრამატული გახდა, ვერ მოთოკა საკუთარი განცდები, არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ლიდერის მთავარი შტრიხი ინსაიტი — საკუთარი თავის ფლობისა და შეკავების უნარი. ასე ვთქვათ, ყველა შემოელანძღა: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!“ ამის თქმის უფლება ერისკაცთა ხვედრია და არა პოლიტიკურ არენაზე მიმავალი ახალგაზრდა პოლიტიკოსისა.

ფსიქოანალიზი კი ასეთია: ბატონი შალვა სანგვინიკური ტემპერამენტის მქონეა, რაც მგრძნობელობისკენ მიდრეკილებით ხასიათდება. უფალმა მას ნიჭიერება, ანუ შესაშური გონებრივი უნარები უბოძა, სამაგიეროდ, სულიერ უნარებში განცდების უსაზღვრო სიჭარბე დაანათლა. ამგვარმა სინთეზმა ის მიუკერძოებელ მოაზროვნედ აქცია. უჭირს ხანგრძლივი თანყოფა სხვა პარტიებთან და ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებთან. დაწყევლილი სიამაყის მატარებელია, მიაჩნია, რომ დამსახურებულ სიკეთეს ვერ იმკის, არც სათანადო პატივით ეპყრობიან, თავს დაჩაგრულად გრძნობს. მარცხმა მას კომპლექსი გაუჩინა, ეჭვი და უნდობლობა გაუღრმავა, რაც ხელს უშლის, გუნდური მუშაობის პრინციპს დაემორჩილოს. მას ხშირად ამის გამო „პოლიტიკოს ნარცისს“ ეძახიან, როდესაც ნაღდი მიზეზი ამგვარი განცალკევებისა სანგვინიკის ზემგრძნობიარე სულიერ სამყაროშია. ყველა ჩხვლეტა მის თავმოყვარეობას ტკივილს აყენებს, რაც მიგვანიშნებს, რომ

**შალვას აკლია ემოციური წონასწორობა, რაც პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ფაქტორია. უჭირს თავისი ორბიტის გარეთ ურთიერთობები, ეს კი პოლიტიკოსისთვის სერიოზული ნაკლოვანებაა.**

**— რას გვეტყვით მის ორატორულ ნიჭზე, ამბობენ — პოლიტიკოსი ტრიბუნიდან შეიცნობაო...**

— მას ნამდვილად აქვს ორატორული ნიჭი, სწრაფი რეაგირების უნარი, მდიდარი ლექსიკა, ინფორმატიულობა მიღებულ ცნობათა შესახებ, მაგრამ წარმატებულ ორატორობაში ხელს უშლის ემოციური ველის აქტიურობა. ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობს, განავრცოს მასებზე ემოციური მუხტი. უწყვეტი, უპაუზო სიტყვამრავლობით კი ღლის აუდიტორიას, თანაც, ხშირად ლირიკული გადახვევებით სცილდება განხილვის საგანს, რითაც ადასტურებს, რომ აკლია წონასწორობა და სიღრმის ხარისხი. მოქნილი გონებრივი უნარებითა და მდიდარი წარმოსახვით ფაქტებს „აფერადებს“, იუმორის ნიჭის წყალობით მათ ხშირად გროტესკულ ხასიათს ანიჭებს და გონებადამჯდარ მსმენელს თუ მაყურებელს საკუთარი პერსონის მიმართ შოუმენის შთაბეჭდილებას უტოვებს. ამის მაგალითია ის, რომ შალვა ნათელაშვილი არა ერთი პოლიტიკოსის „ნათლიაა“: „კუპონა“, „დოლარა“, „დაღლილი ვირი“, „ლუი დე ფიუნესი“ და ბოლოს „რუსთავი-2“-ის შესახებ ნათქვამი: „ჰიტლერს რომ „რუსთავი 2“ ჰყოლოდა, გერმანელ ხალხს დღესაც არ ეცოდინებოდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი წააგო“. 2009 წლის ახალი წლის ჟურნალისტების მიერ დაწესებულ პრიზებში ამიტომაც ერგო მას „რუსთავი 2“-ის რეკლამირებისთვის „რუსთავი 2“-ის ლოგო.

შალვა ნათელაშვილი პოპულისტია. მის გამოსვლებში ფოკუსირებულია, ხალხს გულისმოსაფხანი სიტყვა უთხრას. ხშირად თავს ესხმის სააკაშვილს. მან კარგად იცის, რომ ქვეყნის პოლიტიკურ კურსს პრეზიდენტი კი არა, ქვეყნის მოწყობის მოდელი განსაზღვრავს და მიშაც სხვათა მიერ „შემოგდებული ჭირია“. აქედან გამომდინარე, შალვა „თამაშობს“. ფსიქოანალიზით, მასში ქვეცნობიერი ებრძვის ცნობიერს, ხოლო სააკაშვილი ნათელაშვილის ნევროტული აკვიატებაა და ხშირად მასზე პერსონიფიცირდება. ამის დასტურია ამონარიდი მისი ინტერვიუდან: „მიხეილ სააკაშვილს ამ სისხლის სამართლის მუხლებით 450-წლიანი სასჯელი ეკუთვნის. სასჯელთა შეკრებულობის პრინციპის მიხედვით, რომელიც თვითონ შემოიტანა“. 450-წლიანი სასჯელი რომ არ არსებობს, საერთაშორისო იურისპრუდენციის მცოდნე ნათელაშვილმა ჩემზე უკეთ უწყის. ჰიპერბოლური ციფრი კი მის ხასიათში გაზვიადების, შთაბეჭდილების გაძლიერების, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, „გაბუქების“ ტენდენციაზე მიგვანიშნებს, რასაც ოპონენტები მისი რეიტინგისთვის ჩრდილის მისაყენებლად წარმატებით იყენებენ.

ოპონენტებთან დაპირისპირებისას თავს ვერ ერევა. სიტყვიერი პაექრობისას ქარიზმა ეხმარება, მაგრამ აშკარად აკლია სერიოზულობა, თვითკონტროლი, ზედმეტად რეაგირებს მტკივნეულ საკითხებზე. ბრაზით, გაღიზიანებით პასუხობს და არა — ღრმა პოლიტიკური ანალიზით. ინტელექტის მაღალი დონის მიუხედავად, აკლია დარბაისლობა, პოლიტიკოსის სიდინჯე და პირადი ორგანიზაცია.

ლეიბორისტების პოლიტიკური ინიციატივა პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ, რომელსაც თავადვე საქართველოს ისტორიის უპრეცედენტო მოვლენად მიიჩნევდნენ, არ შედგა. შალვა კი ჟურნალისტის შეკითხვას — „გჯერათ, რომ ამ დოკუმენტს პარლამენტში ხელს მოაწერენ?“ — დარწმუნებით პასუხობს: „ოპოზიციაც მოაწერს ხელს და უმრავლესობაც“. როგორც სანგვინიკს, ძლიერი ინტუიცია აქვს და მისი პროგნოზები კიდევაც მართლდება. აქ კი საქმე უშუალოდ მის ნევროტულ აკვიატებას — სააკაშვილს ეხება და განცდათა სიღრმისეული სიჭარბით სასურველს რეალობად მიიჩნევს. ეს კი მისი ფსიქიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამგვარ გამოვლენას ფსიქოლოგიაში აზროვნების იმპულსს უწოდებენ, რადგან ამ დროს გონებას მართავს იმპულსური გაღიზიანება. მისი ფსიქე რთული სტრუქტურის მქონეა, არადა, ცივი გონებითა და ლოგიკური გათვლებით უფრო მეტის მიღწევას შეძლებდა.

**— რატომ უწოდებენ ლეიბორისტების სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებს „არსენას მოდელს“?**

— მათი პროგრამები საფუძვლიანად არ არის დამუშავებული. ზერელეა, მარტივი, არ ახასიათებს არგუმენტირებული სიღრმე, მიზნად არ ისახავს რესურსების შექმნასა და განვითარებას. მათი გათვლაა „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“, უფასო განათლება, უფასო ჯანმრთელობა, შემცირებული გადასახადები... შალვა და მისი გუნდი საერთოდ ეროვნულ და სოციალურ საკითხებზე აკეთებენ პედალირებას. ეს რაინდულია და მომხიბვლელი პიარის თვალსაზრისით, მაგრამ სამომავლოდ არარენტაბელურია, რადგან არ გააჩნიათ არავითარი გარანტულობა და სტაბილურობა. ხალხი გამოფხიზლდა და პარტიებისგან სკრუპულოზურად დამუშავებულ, მეცნიერულ დონეზე გათვლილ მაღალპროფესიული დონის პროგრამებს მოითხოვს, სადაც გამოჩნდება პრიორიტეტები, რეალიზების გზები და საშუალებები. სოციალური სოლიდარობით ქვეყნის ეკონომიკა ვერ გაძლიერდება. ხალხი მიიჩნევს, რომ ლეიბორისტების პროგრამები პიარტექნოლოგიაა და ნამდვილად „არსენას მოდელია“, ხოლო „არსენას“ ყურადღება გადატანილია ზოგადზე, არ ჩანს პარტიის პასუხისმგებლობა მომავალზე. ხვალ კი უფრო მწვავედ დადგება პარტიების სამოქმედო პროგრამების მოთხოვნის საკითხი შემდგარი სამოქალაქო საზოგადოების გარიჟრაჟზე, რაც ბევრი პოლიტიკოსის რეიტინგზე ნეგატიურად იმოქმედებს და მათი ლიდერების შინაგან არსსაც ნათლად წარმოაჩენს, რადგან სახარების სიბრძნე „საქმემან შენმან“ პიარტექნოლოგიებით ხალხის გაბრუებას ხელს შეუშლის.

**— საზოგადოების მხრიდან ხშირად ვისმენთ — რატომ პასიურობს ნათელაშვილი, პოლიტიკური ამბიციები გაუქრა, თუ პასუხისმგებლობას გაურბის?**

— ნათელაშვილი ამბიციურია, ეს მისი მახასიათებელი შტრიხია. მან უკვე რამდენჯერმე წამოაყენა საკუთარი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად. იმდენად პატივმოყვარეა, ურჩევნია, ლეიბორისტებში იყოს პირველი, ვიდრე მესამე — გაერთიანებულ ოპოზიციაში. ის უთუოდ ესწრაფვის პირველობას. უზომოდ ამაყია, თავმოყვარეობა ზენიტში აქვს ატანილი. სრულიადაც არ არის დეცენტრირებული ეგოცენტრიზმისგან. არ შეუძლია „რიგში“ დგომა. მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით აღიარების მოსურნეა. პატივმოყვარეობა (ფსიქოლოგიურად ალტაცება საკუთარი თავით) საშუალებას არ აძლევს, სხვას მიეკედლოს ან მიეტმასნოს. მან განაცხადა: „არ მსურს სხვის სუფრაზე თამადობა“. ეს 9 აპრილის მიტინგებს ეხება და ამით აფიშირება გაუკეთა ქვეცნობიერს. მან კარგად იცოდა, რომ ამ სუფრას „გარეგნული მოტივით“ საქართველოსთვის შლიდნენ, ხოლო შინაგანად... საბაბი მოიდო მიზეზად, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „სტუმრის სტატუსი შეურაცხყოფდა, თანაც მოსწონს ის „ნიშა“, რომელშიც დამკვიდრებულია და პოლიტიკურ ვნებათა ჭიდილის ჟამს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საკუთარ თავს დიდ მოთხოვნებს აღარ უყენებს. ეს პოზა მოჩვენებითია. ის დროს ელოდება...

**ისის, სამთავრობო ეშელონებიდან გამოსული „ოპოზიციონერების“ ტოლი და სწორი არ უნდა გახდეს, თავისი სახე არ უნდა დაკარგოს, რომ დიდების პიედესტალზე დადგეს.**

მან სინანულით განაცხადა: „თურმე ვის ვეომებოდიო?!“ რითაც ქვეცნობიერად თავისი სტრატეგია დაიწუნა. მას შემდეგ ბევრი კორექტირება შეიტანა გეგმებში. მას სურს, ხალხის ჭირ-ვარამის მზიდავად მოიაზრებოდეს, მასზე ზრუნვა დაეკისროს. თავის ამბიციურ ზრახვებში კვლავ გაზვიადების სინდრომით დაავადებული იქამდე მიდის, რომ თამამად აცხადებს — მხოლოდ მისი პრეზიდენტად არჩევა გადაარჩენს საქართველოს. დიდი წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე სუფთა ეპიგონურ ხასიათს ატარებს. მისი თვითმიზნური პოლიტიკა ვერა და ვერ თავისუფლდება პირველკაცობის ცდუნებისაგან. ამ გზაზე იობის მოთმინებით იტანს ყველა შეტევას, თავდასხმას, სკეპტიციზმს, ჩავარდნებს. ხალხს კი მაინც არ ეიმედება, რადგან სიტყვიერ პათოსზე მეტად ფაქტები სჭირდება. მოქალაქეთა განწყობა მასზე ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს, მის სულიერ უნარებს ატყვევებს და მაინც ზის და „ამინდის“ შეცვლას ელოდება.

დიმიტრი უზნაძის თეორიის თანახმად — „ისტორიზმის პრინციპით, ლიდერის გამოვლენაში დრო გადამწყვეტ დროს თამაშობს“. ეს კი მართლაც აქსიომაა.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**არნო ხიდირბეგიშვილი:**

# ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია!

ძვირფასო მკითხველო, როგორც უკვე იცით, საქართველოს პარლამენტი უახლოეს ხანში კიდევ ერთხელ შეუდგება **საქართველოს კანონის *„ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის მაღალი თანამდებობის პირების რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოებისა შესახებ“*** (ლუსტრაციის კანონის) განხილვას. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ლუსტრაციის აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1990 წლიდან ალაპარაკდნენ, მაგრამ კანონის მიღებამდე სხვადასხვა მიზეზის გამო (მისი სპეციფიკური ხასიათიდან, წარმოდგენილი კანონპროექტის არასრულყოფილების, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან და ა. შ. გამომდინარე) საქმე მაინც არ მისულა.

თქვენი მონამორჩილი — ტერმინ **„პოლიტბიუროს შვილები“**-ს და ამავე სახელწოდების პუბლიკაციის ავტორი — პრესით არა ერთხელ გამოსულა ლუსტრაციის მხარდასაჭერად, მაგრამ... ჩეხეთისა და ლიტვის ანალოგიური კანონპროექტების საფუძველზე შექმნილი კანონპროექტის გაცნობის შემდეგ მივხვდი, რომ 19 წლის განმავლობაში ეს ჯერ კიდევ „მოუმწიფებელი“ ვარიანტი სავსეა წინააღმდეგობებით და თითქოსდა **იმ მიზნითაა შექმნილი, რომ შელახოს გარკვეული, კონკრეტული კატეგორიის მოქალაქეთა უფლებები და ანგარიში გაუსწოროს მათ.** სწორედ „ვიწრო“ მიმართულების *(რაზეც თავად კანონპროექტის სახელწოდება მეტყველებს, — იხ. ზევით)* გამოისობით, **ძირითადი მიზანი, რომელიც მოქალაქეებს აღელვებს და სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვაა, „სექსოტ-სტუკაჩების“, „ნასედკა-ჩამშვებების“, ჯაშუშ-აგენტების, შპიონ-რეზიდენტებისგან, შესაძლოა, არარეალიზებული აღმოჩნდეს, რადგან საპარლამენტო მოსმენებისას მიღებული უმნიშვნელო დამატება-ცვლილებები ვერ შეცვლის კანონის არსს.**

თავად განსაჯეთ: **კანონპროექტის მიხედვით, პირი, რომელიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე იყო:**

— სსრკ-ს, სსსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის ხელმძღვანელი ან საიდუმლო თანამშრომელი (აგენტი, რეზიდენტი, კონფიდენტი, კონსპირაციული ბინის მფლობელი, შტატგარეშე თანამშრომელი);

— სსრკ-ის, სსსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკების უშიშროების სამინისტროს მაღალი რანგის ხელმძღვანელი მუშაკი, ოფიცერი ან რიგითი თანამშრომელი;

— საბჭოთა არმიის გენშტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი;

— სსსრ-ის კომპარტიის ცეკას წევრი, ქალაქკომისა და რაიკომის მდივანი;

— სსსრ-ის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცეკას წევრი, ქალაქკომისა და რაიკომის მდივანი ***(საოლქო კომიტეტები, ორივე შემთხვევაში, რატომღაც დაავიწყდათ!);***

— ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე,

**უფლება არ აქვს, იყოს:**

— წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების წევრი, თანამდებობის პირი, რომლის არჩევითობა დადგენილია **„საქართველოს საარჩევნო კოდექსით“;**

— ზემო პუნქტში მითითებული ორგანოების მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული;

— საკონსტიტუციო, უმაღლესი, სააპელაციო, საერთო სასამართლოების მოსამართლე;

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის აპარატის, მთავრობის კანცელარიის თანამშრომელი;

— მინისტრთა კაბინეტის მაღალჩინოსანი თანამშრომელი;

— უშიშროების საბჭოს წევრი;

— საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების თავდაცვის სამინისტროს მუშაკი (ვიცეპოლკოვნიკი და ზემოთ);

— საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების შსს-ს ან ოპერატიული ქვეგანყოფილებების თანამშრომელი (ვიცეპოლკოვნიკი და ზემოთ);

— მაღალი თანამდებობის პირი უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლებში;

— სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი;

— საზოგადოებრივი ტელერადიომაუწყებლობის მაღალი თანამდებობის თანამშრომელი;

— ტელერადიომაუწყებლობის მარეგულირებელი საბჭოს წევრი.

**ის ასევე ვალდებულია:**

— ექვსი თვის განმავლობაში გამოცხადდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებოდ შექმნილ კომისიაში ნებაყოფლობითი აღიარებისათვის (წერილობითი სახით), გადასცეს ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რომლებიც მის წარსულ საქმიანობას უკავშირდება და, ასევე, ითანამშრომლოს კომისიასთან: შეატყობინოს ყველაფერი, რაც იცის იმ ორგანიზაციისა და თავისი ყოფილი




კოლეგა-თანამშრომლების შესახებ, ვისთანაც მუშაობდა ან თანამშრომლობდა;

— თუ ნებისმიერ ზემოთ დასახელებულ თანამდებობაზე მუშაობს — ერთი თვის განმავლობაში დატოვოს სამსახური (გადადგეს);

**წინააღმდეგ შემთხვევაში:**

— მისი მონაცემები და საქართველოს შსს-ს მიერ კომისიისთვის გადაცემული ინფორმაცია მის შესახებ საჯაროდ გამოცხადდება (გამოქვეყნდება);

— ცრუ ინფორმაციისთვის (საკუთარი თავის ან კომისიისთვის საინტერესო პირების შესახებ) გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

— გათავისუფლდება სამსახურიდან მონაცემების შემდგომი საჯარო გამოცხადება-გამოქვეყნებით.

**აქედან გამომდინარე, იბადება კითხვები:**

**1. რატომ ექვემდებარებიან ლუსტრაციას მხოლოდ სსრკ-ისა და სსსრ-ის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები და არა — ყველა უცხოური სპეცსამსახურის — Central Intelligence Agency (ცე-რე-უ), Secret Intelligence Service (მი-6), მოსადი და სხვ. — ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები? ამ ყველაფერს ორმაგი სტანდარტების სუნი ხომ არ უდის?**

**2. გაუთანაბრდებიან თუ არა უცხოურ სპეცსამსახურებს „სოროსის ფონდის“, „თავისუფლების ინსტიტუტის“, „აშშ-ის რესპუბლიკური ინსტიტუტის“, „კმარას“ საქართველოს ფილიალების აღსაზრდელები? საჯაროდ გამომზიურდება თუ არა მონაცემები ბოკერია-თარგამაძე-ლომაია-დარჩიაშვილი-ნოდია-რამიშვილი-კიწმარიშვილი-გაბაშვილი-იაკობაშვილი-ვაშაძის შესახებ?** გაათავისუფლებენ თუ არა მათ დაკავებული თანამდებობებიდან, აუკრძალავენ თუ არა ძირგამომთხრელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას? მისცემენ თუ არა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ინფორმაციის დამახინჯების ან მისი დამალვის გამო?

**3. აღიარებენ და გათავისუფლდებიან თუ არა დაკავებული მაღალი თანამდებობებიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი საიდუმლო თანამშრომლები, რომლებიც დღესაც მუშაობენ პრეზიდენტის ადმინიტრაციაში მრჩევლებად თუ თანაშემწეებად?** შევიტყობთ თუ არა მათი საქმიანობის შესახებ გაზეთებიდან?

**4. დატოვებს თუ არა დიპლომატიის აკადემიის რექტორის პოსტს საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილი ლექტორი პროქტოპოლიტოლოგიის მოჟიკანი სოსო ცინცაძე და მისი მსგავსნი, ყოველდღე რომ ტელეეკრანებიდან და გაზეთების ფურცლებიდან უტიფრად ატყუებენ ქართველ საზოგადოებას? გამოქვეყნდება თუ არა ინფორმაცია მოღალატე ექსპერტებსა და მათთვის ტელეეთერების დამთმობ სამეფო კარის სამსახურში მყოფ საქართველოს თითქმის ყველა ტელეარხის ხელმძღვანელებზე? „ჯიბის“ მედიის თანამშრომლებზე, რომლებსაც, ენა არ მოგიბრუნდება, ჟურნალისტები უწოდო?!**

**5. დაექვემდებარებიან თუ არა ლუსტრაციას ყველა გამომდინარე შედეგით „ღვთისმსახურები“, მათ შორის — მაღალი საეკლესიო წოდების მქონენი, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, რომლებსაც ასე კიცხავს საზოგადოება?**

**6. მოინანიებენ თუ არა და წინააღმდეგ შემთხვევაში გამოაშკარავდება თუ არა მონაცემები საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებზე, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობენ სპეცსამსახურებთან?**

**7. „ლუსტრაციის შესახებ“** კანონის დასკვნითი დებულების თანდართულ განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ *„მისი მიღების მიზეზია საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე ყოფილი სსრკ-ისა და მისი სამართალმემკვიდრეების სპეცსამსახურების თანამშრომლების ჯერ კიდევ ძლიერი გავლენა“*. **და განა საქართველოს შსს და სუკ (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) არ წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების — სსრკ-ის შსს-სა და „კა-გე-ბეს“ (КГБ СССР) — საერთო სისტემის შემადგენელ ნაწილებს? შესაბამისად, მათ სამართალმემკვიდრეებსაც? საქართველოს შსს-ც ხომ სსრკ-ის, შსს-სა და სუკ-ის სამართალმემკვიდრეა?! ამ შემთხვევაში, დაექვემდებარებიან თუ არა ლუსტრაციას საქართველოს შსს მოქმედი საიდუმლო თანამშრომლები?** განა საქართველოს **შსს** არ იყენებს ძველ, საბჭოთა ხანიდან „მემკვიდრეობით“ ნარგებ აგენტურას?!

**8. თუ საქართველოს შსს ფლობს ინფორმაციას *„საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე ჯერ კიდევ ძლიერი გავლენის მქონე“*** სპეცსამსახურთა საიდუმლო თანამშრომლებზე, რატომ არ ალკვეთს მათ საქმიანობას **კანონის მიღებამდე? ხოლო თუ არ ფლობს — ნუთუ იმედოვნებს, რომ ისინი ნებაყოფლობით გამოცხადდებიან და გულწრფელად მოინანიებენ, როგორც ეს განსახილველი კანონპროექტითაა გათვალისწინებული?**

**9. რა პრინციპით გაუთანაბრეს კანონში სპეცსამსახურთა გადაბირებული საიდუმლო თანამშრომლები** (ზოგჯერ — დაბადებით ორგული და მოწოდებით მოღალატე, ხშირად — უბედური, სუსტი ნებისყოფის ადამიანები, რომლებმაც ცხოვრებაში ერთხელ წაიფორხილეს, სამართალდამცავთა წნეხსა და შანტაჟს ვერ გაუძლეს და ხელწერილი დადეს თანამშრომლობის შესახებ...) **სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრებს, რომლებიც თავად გადაიბირებდნენ აგენტურას სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში?** განა ჯერ კიდევ გუშინ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში სამსახური ჩვენს საზოგადოებაში პრესტიჟულად არ მიიჩნეოდა? **განა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (თავისი არსებობის ბოლო დღემდე!) არ იყო ყველაზე არაკორუმპირებული, შსს-სა და თვით პარტიულ ორგანოებთან შედარებით? განა იქ ყვაოდა პროტექციონიზმი და ნეპოტიზმი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში? განა ე. წ. ჩეკისტებად არ იღებდნენ მუშათა და გლეხთა ხელმოკლე, მაგრამ ყველაზე წესიერ ოჯახიშვილებს, სავალდებულო სამხედრო სამსახურისა და საკანდიდატო ერთწლიანი სტაჟისას გულდასმით შესწავლის შემდეგ?** განა მათი გათანაბრება ყველა ჯურის „ჩამშვებებთან“ არ შელახავს ჩვენი მოქალაქეების თავმოყვარეობას, რომლებმაც მთელი ცხოვრება ვერ დააგროვეს ქონება სახელმწიფო სამსახურში (ბევრისგან განსხვავებით!), მაგრამ ერთგულად, დაუღალავად ემსახურებოდნენ სამშობლოს?!

**10.** სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და სამხედრო დაზვერვაში სამსახურის დაწყებისას ოფიცრები **სამშობლოს — საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის — წინაშე დებდნენ ფიცს, რომ არასდროს გათქვამდნენ სახელმწიფო და სამსახურებრივ საიდუმლოებას. აქვს კი უფლება სპეციალურ, სამოქალაქო პირებით დაკომპლექტებულ კომისიას, ანუ არაპროფესიონალებს, მოსთხოვოს მათ ფიცის დარღვევა და სახელმწიფო და სამსახურებრივი საიდუმლოს გამჟღავნება? სად არის იმის გარანტია, რომ ამის გამო მათ შემდგომში პასუხს არ მოსთხოვენ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცემენ?**

**11. რა მორალური უფლებით უთანაბრებს სულ რაღაც 6 წლის განმავლობაში არსებული ხელისუფლება აგენტებს, რეზიდენტებს, ჯაშუშებსა და მოღალატეებს 60 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფ კომპარტიისა და კომკავშირის ლიდერებს?** განა მათ შორის არ იყვნენ პატივსაცემი ადამიანები, რომლებიც კაბინეტებზე მეტ დროს ყანებსა და საწარმოებში მუშაობდნენ? **განა მათ მიერ აშენებულ საქართველოში არ ვცხოვრობთ დღესაც?** თვით *ლენინიც* კი იყენებდა „ძველ“ კადრებს, თავად გამსახურდია არ უგულებელყოფდა პროფესიონალ თანამშრომლებს! არავინ დაობს შეცდომებზე — **მათ რომ დიდი შეცდომები არ დაეშვათ, დღესაც ხელისუფლების სათავეში იქნებოდნენ!** მაგრამ განა შეიძლება ყველას ერთ ტაფაში მოხრაკვა? **შემდგომ-**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ში, მომდევნო ხელისუფლებისას, ამ კანონში რომ პატარა შესწორება შეიტანონ და კედელთან მიაკუდონ „ნაცმოძრაობა“ დღეს არსებულ ალასანია-უსუფაშვილი-გამყრელიძე-თარგამაძე-ბურჯანაძის პროამერიკულ პარტიებთან ერთად, როგორც უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებლები?! რით იყო მათზე უკეთესი შევარდნაძე-ჟვანიას „მოქალაქეთა კავშირი“, რომელშიც დაფრთიანდა მთელი დღევანდელი პოლიტისტებლიშმენტი — ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც?!**

12. **„ლუსტრაციის შესახებ“** კანონის დასკვნითი დებულების თანდართულ განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ *„კანონი მიიღება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესების დაცვის, ასევე, კანონში მოხსენიებულ პირთა რეესტრის (ჩამონათვალისა და რეგისტრაციის) შექმნისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მათთვის სამსახურებრივი შეზღუდვების დაწესების მიზნით“.* ჰუმანურია... **მაგრამ რამდენად ჰუმანურია, ალსარებისკენ მოუწოდო ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებმაც მთელი ცხოვრება ისედაც შიშში გაატარეს?! ალსარებისთვის ხომ მღვდელი და ეკლესიაა საჭირო და არა კომისია და პარლამენტარები?! გაუძლებს კი ამ ხანდაზმული, უმეტესწილად, მძიმედ დაავადებული ადამიანების გულები ამ დაჟინებულ დაკითხვას?!** რატომ დავამციროთ ისინი აპრიორში, და არც კი გავარკვიოთ — რა ვითარებაში გადაიბირეს, რა ვნება მიაყენეს ამით (ცალკეულ შემთხვევებში!) სახელმწიფოს, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენს სიტყვაძუნწ გმირ მზვერავებზე? **მერე მათ წინაშე ბოდიშის მოხდა, ხოლო პრეზიდენტს მათი ორდენებით დაჯილდოება რომ არ მოუხდეს!**

13. **რა მოტივაცია უდევს საფუძვლად პარტიული და კომკავშირული ლიდერების რეესტრს — განა პატარა საქართველოში უამისოდაც ყველაფერი არ იციან?** მათ შორის — **ელიტამაც, ინტელიგენციამაც,** რომელთათვისაც მათი მმართველობის პერიოდში არ ჩამოურთმევიათ მწერლებისა და კომპოზიტორების სახლები, არ ჰქონიათ ბინებთან, საგზურებთან, ავტომანქანებთან, პრემიებთან პრობლემები... **და განა დღემდე შემონახული არ არის საქართველოს კომპარტიისა და ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო კომიტეტების, ქალაქკომებისა და რაიკომების ტელეფონებისა და სხვა ცნობარები ყველა თანამშრომლის ჩამონათვალითურთ?**

14. ***„როცა ადამიანს მისი ისტორიით, წინაპრებით სიამაყის გრძნობას უსპობ, მისით მანიპულირება ძალიან იოლია. ეს სავსებით არაბუნებრივი და პატრიარქალური მართლმადიდებელი ცნობიერებისთვის შემზარავი მოვლენაა. ქართველ და რუს საზოგადოებაში ვერ გამოძებნით ვერავის, ვისაც ჰკითხავთ, როგორი იყვნენ შენი მშობლები, ბებია-ბაბუა და ვინც გიპასუხებთ: ჩემი მშობლები ნაძირლები, ხოლო ბებია-ბაბუა არამზადები იყვნენ, ასეთ ადამიანს ვერ ნახავთ. წინა თაობების ლაფში ამოსვრა იმ ადამიანების ნამოქმედარია, რომლებიც ამაში გვარიან თანხას იღებენ. ადამიანებს ტვინში უნდა ჩაუბეჭდო, რომ მათი მამა-პაპანი — ნაძირლები და არამზადები, ვერაგ საზოგადოებას აშენებდნენ. მე, მაგალითად, ძალიან მწყინს იმის მოსმენა, რომ მამაჩემსა და დედაჩემს ჯალათისა და სულთამხუთავის სწამდათ*** (სტალინის, – ა. ხ.)***! თაობათა მემკვიდრეობითობის რღვევა ერის განადგურების ტოლფასია. ერი არის წინა, ამჟამინდელი და მომავალი თაობების ერთიანობა. მათ შორის შუღლის ჩამოგდება იმათი ამოცანაა, რომლებიც ამაზე ბეჯითად მუშაობენ მრავალი წლის განმავლობაში“,*** — სამართლიანად აღნიშნა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** ***„Аргументы и Факты“***-ში გამართულ ონლაინპრესკონფერენციაზე 2009 წლის 7 აგვისტოს. **მაშ, გმირებად ან მოღალატეებად უნდა მიიჩნიონ თავიანთი მამა-პაპანი ВЧК, ОГПУ, СМЕРШ, НКВД, МГБ, КГБ, МВД-ს თანამშრომლების შვილებმა და შვილთაშვილებმა — იმ თანამშრომლებისა, გმირულად რომ გაწირეს სიცოცხლე დიდი სამამულო ომის წლებში, ხოლო მშვიდობიან პერიოდში წესრიგის დაცვის სადარაჯოზე იდგნენ და ბანდიტებისა და დამნაშავეების ხელით დაიღუპნენ?! განა ქართული საზოგადოების კონსოლიდაციას, რომლის აუცილებლობაზეც დღეს ლაპარაკობს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ამგვარი სეგრეგაცია — თავისიანებად და უცხოებად, წმინდანებად და მოკვეთილებად, ცუდ მამებად და კარგ შვილებად დაყოფა, რომლებიც *„მამების ცოდვებზე პასუხს არ აგებენ“*, ეს ხელს შეუწყობს?!** სხვათაშორის, ბოლო სიტყვები, როგორც იცით, **სტალინს** ეკუთვნის, რომლის ძეგლის აღებაც ხელისუფლებას სურს... **ან, იქნებ, ამ გზით ოსებისა და აფხაზების სიმპათიის დამსახურება გვსურს?!** ვეჭვობ, უფრო პირიქით მგონია...

15. **თუ კანონი მოწოდებულია დამსმენობის, მოღალატეობის ფენომენი და სპეცსამსახურებთან ფარული თანამშრომლობის ინსტიტუტი გაკიცხოს, მაშინ რალად ვაიძულებთ ადამიანებს, კომისიის სხდომაზე კიდევ ერთხელ „ჩაუშვან“ თავიანთი ახლობლები და ყოფილი კოლეგები** (იხ. ზემოთ)**? და განა იმ სახელმწიფოს პირობებში, სადაც ვერ შეძლეს სასამართლო რეფორმის განხორციელება და ვერ მიაღწიეს სასამართლოს დამოუკიდებლობას, სპეციალური კომისიები ობიექტურად და მიუკერძოებლად იმოქმედებენ?!** ამას, ისევე, როგორც მოცემული კანონპროექტის სრულყოფას, დილეტანტები კი არა, პროფესიონალები სჭირდება! დიახ, სწორედ ის პროფესიონალები, რომლებსაც „ლუსტრაციის კანონი“ საზოგადოებისგან მოკვეთილად აქცევს...

გულიკო ტაბატაძე:

# წარმოვიდგინე ციხე, ჩემი დამშეული ოჯახი და სირცხვილი, რომ ამ ბრალდებას ჩემი თანამემამულეები გაიგებდნენ

**ემიგრაციაში წლობით ყოფნა ადამიანის ცხოვრებაში ახალი ეტაპია. ფაქტობრივად, ემიგრანტი ახალ ცხოვრებას იწყებს, ახალ ურთიერთობებს ამყარებს, გარემო პირობებთან ადაპტაციას გადის, დიამეტრულად განსხვავებულ სოციუმს ეთვისება. ეს კი თითოეულ მათგანში საოცარ მეტამორფოზას იწვევს. ყველას განურჩევლად მიუსაფრობისა და მარტოობის განცდა აქვს. დაეხეტება გალატაკებული, შეჭირვებული ქართველი უცხო ცივილიზაციების გამჭოლ ქარში, დაბნეული შეჰყურებს გალაღებული ქვეყნების მეგაპოლისებს სახლიდან გაძევებული, მშიერი კაცის კომპლექსით შეპყრობილი და იცის, რომ ეს უთავბოლო, გზააბნეული ცხოვრებაა და არა ის გზა, რომელიც ტაძართან მიიყვანს.
დღეს რუბრიკის სტუმარია კუნძულ კვიპროსზე ემიგრაციაში მყოფი თბილისელი პედაგოგი გულიკო ტაბატაძე.**



**— ქალბატონო გულიკო, რამდენიმე დღით ჩამოხვედით და ინტერვიუსთვის დროც გამონახეთ...**

— ემიგრაციაში ყოფნა არაა ადვილი. ეს პრობლემა უფრო ღრმა და სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, ვიდრე საგაზეთო სტატიებია. უცხოეთში იმიტომ გავრბივართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ დაგვედგომება. ჩვენმა მეგობარმა „ეკონომიკურმა მკვლელმა“ თავისი უსისხლო პოლიტიკით საკუთარი მიწაწყლიდან გაგვაძევა. დიდი პოლიტიკის ინტერესებში გაჭყლეტილი ერი ვართ. შაჰაბასის გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით ცივილიზებულმა მტერმა ორიოდ წელიწადში განახორციელა.

კანონმდებლობის თანახმად, ჩვენ ხომ ემიგრანტებიც არ გვეთქმის, არალეგალები ვართ. ყველაზე არასრულფასოვან, მიზერულანაზღაურებად სამუშაოზეც კი ვთანხმდებით, თანაც, პოლიციის შიშით გარეთ ცხვირს ვერ ვყოფთ. დამქირავებელზე ვართ დამოკიდებული, რომელიც, როცა უნდა და რამდენიც უნდა, თავისი სურვილისამებრ გვიხდის. თუ შევეწინააღმდეგეთ — პოლიციაში დაგვაბეზღებს.

დღეს ჩვენ თეთრკანიანი მონები ვართ. ასე ძნელი ყოფილა საქართველოს შვილობა, სადაც კაცთა სიძაბუნეა, ერის სასიცოცხლო ძალების ავადობაა, რაც ყველაზე ცხადად ეკონომიკურ სიდუხჭირეში ვლინდება... და ჩვენც გავრბივართ... ჩვენი ახალი ყოფაც გაძაღლებულია. ვილაცას ხელები უნდა ულოკო, თვალებში შესციცინებდე, მისგან უდიერებაც აიტანო...

არ დაიჯეროთ, რომ მშიერი მონა ვინმეს უყვარს ან პატივს სცემს. უცხოეთში წასული თავიანთ პირობებს ბევრი შეგნებულად მალავს, ეთაკილება, რადგან ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში ვართ. მე, პირადად, ღირსების გრძნობა შემერყა. ბედნიერია ის, ვისაც მიწიერი ჯოჯოხეთი არ გაუვლია, რასაც უცხოობაში მონობა ჰქვია.

**— როგორ გაემგზავრეთ, რას საქმიანობთ კვიპროსში, როგორ ექცევიან არალეგალებს?..**

— გავურბოდი უცხოეთში წასვლას... დაქალმა ქმარი წამართვა, ჩემთან ორი გოგონა ჰყავდა, მან კი ორი ბიჭი გაუჩინა და ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყარა. ისტორიკოსი ვარ, სკოლაში ვასწავლიდი, კარგი პედაგოგის სახელი მქონდა. დაინგრა ქვეყანა და ჩემი კეთილდღეობაც თან წაიყოლა. ისე წავედი, არ ვიცოდი სად მივდიოდი, რა მელოდა, არც ერთი უცხო ენა საყველპუროდაც არ ვიცოდი.

ჩაბნელებული თბილისიდან ნიკოიაში რომ ჩავედი, ვიფიქრე, ქალაქში დღესასწაულზე მოვხვდი, ისე იყო ყველაფერი გაკრიალებულ-გაბდღვიალებული, ხალხი — გამოწყობილი და გაღიმებული. ისინი სხვა საზომით, სხვა სურვილებითა და სულ სხვა პირობებში ცხოვრობენ. მე კი მხოლოდ გაძლება და თავის გატანა მინდოდა. გლახად ჩანხარ იმ უზრუნველყოფაში და თანაგრძნობასაც არავისგან იმსახურებ, რადგან მათ ზარმაცი, უზნეო, უვიცი და ყველა სისაძაგლისკენ მიდრეკილი ჰგონიხარ. არც ქართველებს გვიყვარდა მათხოვრები. იმდენად თავმომწონენი და ამაყნი ვიყავით, ქართველ მათხოვარს ოციოდე წლის წინათ ვერ ნახავდით.

დიახ, ამაყნი ვიყავით, რადგან ეს ოცწლიანი გზა სისხლის უპასუხისმგებლო ღვრის, ქვეყნიდან აყრის წლებია. დღეს რანი ვართ?.. გათითოკაცებული და დაშლილი ერი. კვიპროსი მსოფლიო ტურიზმის ცენტრია და ქვეყანა მთლიანად გადასულია ტურისტების მომსახურებაზე.

მე კვიპროსელი ბერძნების კერძო ოტელში ვმუშაობდი. შენობა XIX საუკუნისაა. ფასადი და არქიტექტურა შენარჩუნებულია. ინტერიერი კი თანამედროვეობის ყველა მოთხოვნას პასუხობს ლუქსის ნომრებით, მინიორკესტრიანი რესტორნით, სართულებს შორის მდებარე კაფე-ბარებით, ფიტნესკლუბით, ჩოგბურთის კორტებით, აუზებით. ქალაქის ძველ გალავანთან მდებარეობდა და ფუფუნების ნიმუშს წარმოადგენდა. თეთრხელთათმანიანი პორტიე ყოველდღიურად უამრავ სტუმარს იღებდა დიდ ოვალურ დარბაზში. ამ კარებიდან შესვლა მეკრძალებოდა, როგორც „ზანგს“. მთელ მომსახურე პერსონალს სასტუმროს ლოგოიანი სპეცტანსაცმელი გვეცვა. მე მე-4 სართულის კიბის მარჯვნივ მდებარე ნომრების დალაგება მევალებოდა. ყოველდღიურად ვწმენდდი ნიკელითა და კაფელით მოპირკეთებულ სველ წერტილებს, ვანიავებდი ოთახებს, ვცვლიდი ლარნაკებში ცოცხალ ყვავილებს. მტვერსასრუტით ვასუფთავებდი ოთახების კუთხე-კუნჭულებს, განსაკუთრებით, საძინებლების რბილ იატაკებსა და მისაღების ნოხებს. ყოველ დილით ვცვლიდი თეთრეულს, პირსაწმენდებსა და პირადი ჰიგიენის საშუალებებს. ეს ყველაფერი, მეორე საუზმემდე — 12 საათამდე უნდა გამეკეთებინა. ამ დროს დიასახლისი უკვე ნომრებს დაივლიდა და, თუ რამე არ მოეწონებოდა, ჩაინიშნავდა და გასამრჯელოდან ჯარიმის სახით გვიქვითავდა. თვალთმაქცი გახლდათ და ჯარიმისთვის საბაბს ეძებდა. ძალიან ვლიზიანდებოდი, მაგრამ ენას კბილს ვაჭერდი.

ამ სამუშაოს გარდა ხანგრძლივ ექსპლუატაციას განვიცდიდი. ნომრის დატოვების შემდეგ იწყებოდა ოთახების გენერალური წმენდა-დასუფთავება ახალი ტურისტის მისაღებად, დალაგება სტერილურ დონეზე. იშვიათი იყო დღე, სართულზე რომელიმე ტურისტს ნომერი არ დაეტოვებინა. ვწმენდდი და ვხეხავდი იატაკს, ჭერს, ფანჯრებს, ნივთებს... ისე ლამდებოდა, დროს ველარ ვიგებდი. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ დღის 2 საათზე მეძლეოდა მწირი საუზმე. მიკვირდა, წინა დღეს მომზადებული პროდუქტი, როგორც წესი, მეორე დღეს სტუმრებისთვის აღარ მიჰქონდათ. ეს შინაგანაწესი მკაცრად იყო დაცული. იმდენ სურსათს ყრიდნენ და ჩვენთვის კი არ იმეტებდნენ. მერე გავიგე, თურმე კვიპროსელები წინა დღის სადილის შემოთავაზებას უზრდელობად თვლიდნენ, თანაც, სტუმრები კალორიებით არ უნდა დაეტვირთათ. მე კი მათგან სიბრალულსაც არ ვიმსახურებდი.

**— მაინც ისეთი რა მოხდა, მათზე მწყრალად საუბრობთ...**

— გაგულისებული ვარ, მიჭირს გამხელა. ერთმა ინგლისელმა ტურისტმა ჩემს დასალაგებელ ნომერში ქორწინების ბეჭედი დაკარგა. დიასახლისმა დამიბარა და ვილაც იქ მყოფი, წარმოშობით წალკელი ბერძენი მოიყვანა თარჯიმნად. იმ დღეს ორი ლუქსი დავალაგე, დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი. შევედი თუ არა, დიასახლისმა კარი საკუთარი ხელით ჩაკეტა, ხოლო წალკელის პირით მიბრძანა, გამეხადა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. „თარჯიმანმა“ ამიხსნა, რომ ქურდობაში მდებდნენ ბრალს. არავინ არაფერი დამიჯერა. დიასახლისმა დაცვის ბიჭებს მოუხმო და ტანსაცმელი ძალით შემომახიეს... მაშინ კი მიმტყუნა ნერვებმა, მუხლებზე დავეცი, სახეზე ხელები ავიფარე და ავქვითინდი. წალკელმა შიშველ სხეულზე ხალათი მომახურა და მამშვიდებდა. ჩემი საქციელით შეწუხებულმა დიასახლისმა აქვითინებული ძლივს ამაგლიჯა იატაკს და ყვირილით, მთელი ძალით სახეში გამილაწუნა. ჩემმა ნერვიულმა კივილმა დააფრთხო და დაცვას თვალით ანიშნა. ბიჭები უხერხულად შეიშმუშნენ და ქალბატონს გაბრაზებული ხმით რაღაც უთხრეს, დიდხანს იჩურჩულეს. ბოლოს ჩემმა „თარჯიმანმა“ მითხრა, რომ პოლიციას არ გადამცემდნენ, თუ 24 საათში ბეჭედს დავაბრუნებდი.

ხორცისა და სულის ტკივილმა, შეურაცხყოფამ, მოწოლილმა ბოლმამ, მარტოსულობამ, სასოწარკვეთამ და მომავლისკენ გახედვამ გონება ამირია. 46 წლის ვხდები და ასეთი წუთები არ მქონია. წარმოვიდგინე ციხე, ჩემი დამშეული ოჯახი და სირცხვილი, რომ ამ ბრალდებას ჩემი თანამემამულეები გაიგებდნენ. თავის მოკვლაც კი გადავწყვიტე. წალკელს იქვე ეძინა, სისულელე რომ არ ჩამედინა. ლოცვა დავიწყე.

დილით კარი გაიღო და დიასახლისი ბეჭდის დამკარგავ ინგლისელთან ერთად შემოვიდა. ინგლისელი მომეჭრა, ხელი გადამხვია და მუდარით რაღაცას ბუტბუტებდა, ხელში დოლარების შეკვრას მჩრიდა, თან თითზე წამოცმულ ბეჭედს მაჩვენებდა. მივხვდი, რაც მოხდა. მას ბეჭედი პიჟამოს გარღვეულ სარჩულში ჩავარდნოდა, რომელიც დილით უპოვია. ხომ ასე მიჭირდა, ისე ვიყავი ბრალდებით შეურაცხყოფილი, შემოთავაზებული ფული ფეხით კუთხეში მივყარე, ღია კარში შურდულივით გავვარდი და უკან აღარც მიმიხედავს. ორი დღე და ღამე სტრესის ქვეშ მყოფი საწოლზე ვეგდე სულისშემხუთველ პატარა სოროში და თავს მადგა პატარა, შეშინებული, ჩემი მდგომარეობით შეძრწუნებული ჭაღარა ქართველი ელიკო, რომელთანაც ბედმა თუ უბედობამ დამაკავშირა.

ელიკოს მზრუნველობით მდგომარეობიდან გამოვედი. ერთ კაფეში დავიწყე მუშაობა ჭურჭლის მრეცხავად. დილიდან საღამომდე ვდგავარ ნიკელის ვარცლთან და ნაირნაირ ჭურჭელს ვრეცხავ, გარეცხილს კი კონვეიერის თაროზე ვაწყობ და სამზარეულოში ვაგზავნი. ერთადერთი დღე მაქვს გამოსასვლელი, მივდივარ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, სადაც ჩემზე არანაკლებ გაწამებულ თანამემამულეებს ვნახულობ. სიმწრით ნაშოვნ ფულს სამშობლოში ვაგზავნი, რათა არ გავწყდეთ და არ გადავშენდეთ. ძალიან მიჭირს ოჯახთან განშორება, მაგრამ უკანდასაბრუნებელი ბილეთი წინასწარ მაქვს დაჯავშნილი.

**— ბედნიერ მგზავრობას და მალე დაბრუნებას გისურვებთ სამშობლოში! გმადლობთ.**

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვაი ჩვენს პატრონს!

**მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოს არასოდეს დაავიწყდება, ევროპული ქვეყნების ლიდერები საქართველოში რომ ჩამოვიდნენ და სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს...“**



## წერილი მეორე

დასაწყისი იხ. №26

**საქართველოს ნატორალიზაციას საშველი არ დაადგა. ნატურალიზაცია, ალბათ, იცით, რაც არის — უცხოელის მიერ სხვა ქვეყნის ქვეშევრდომობის მიღებაა. ჩვენი ქვეყნის ისტორია ნატურალიზაციის ერთი გრძელი ჯაჭვია (ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ერთ დროს საქართველოს მფარველობის ქვეშ ყოფნა ცალკეული ერებისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო!) — ან დაპყრობილები ვიყავით, ანდა გამუდმებით ერთი ქვეყნის ქვეშევრდომობიდან მეორის ხელში გადადიოდა ბედკრული საქართველო.**
**სულ ბოლო ვთქვათ: სპარსეთი — თურქეთი — რუსეთი და აი, ახლა უკვე ხმა ოკეანის გაღმაც მივაწვდინეთ — ამერიკა!**
**ასე შეიცვალა ჩვენთვის საერთაშორისო ტერმინი ნატურალიზაცია ნატორალიზაციით. ამ მიმართულებით სვლამ კინაღამ ერთი კაცის კასტრაცია-სტერილიზაცია გამოიწვია. თუ არ გჯერათ, ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენისგან მოისმინეთ ჩვენი ნატორალისტური მისწრაფებების შეფასება. მან სულ ახლახან, ისლანდიაში ვიზიტისას, განაცხადა, რომ „საქართველო კვლავ რუსეთსა და ნატოს შორის უთანხმოების საკითხად რჩება“. ჩვენ რომ გვგონია, სუვერენულ სახელმწიფოდ აღგვიქვამენ, თურმე მათთვის „უთანხმოების საკითხი“ ვყოფილვართ.**
**აი, საქართველოს ნატორალიზაციის ყურმიწვდომილი შედეგი. ჩვენ კი ჯერ შარშან მოგებული ომის ტრიუმფის, ანუ გამარჯვების ეიფორიიდან ვერ გამოვსულვართ.**

აგვისტოს ომის წლისთავზე გამარჯვებულ და მოზეიმე ხელისუფლებას რადიკალი ოპოზიციონერები შეუერთდნენ. ესენი — ახლები კი არა, ძველი რადიკალები, ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რომ მოითხოვდნენ რუსეთისთვის ომის გამოცხადებას და მის დამარცხებასაც სააკაშვილის გაპოლიტიკოსგაპრეზიდენტებამდე იქადნებოდნენ.

„სახალხო ფრონტის“ ლიდერის, იმ დროისათვის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მარგინალიზაციისთვის მხოლოდ ამგვარი განცხადებებიც კმაროდა და „ბედი მდევარი“ მართლაც წამოეწია, თუმცა, რაც „ოკუპაციის მუზეუმად“ გადაქცეულ რუსთაველის პროსპექტზე ჩაიდინა, იმას თვითონ გორიდან მოკურცხლული ნაციონალური ხელისუფლების თავგადაკლული ფანებიც ვერ წარმოიდგენდნენ. ფილოსოფიის დოქტორმა პროტესტი რუსეთის დროშის დაწვით ფილოსოფიურად გამოხატა.

იმ ქვეყანაში, სადაც ამ ათიოდე წლის წინათ რეფორმების სახელით მოსამართლეთა ფიტულები დაწვეს და მართლმსაჯულებას კუბოები დაუდგეს, ნათაძის ექსცენტრიზმი ვიღას გააკვირვებს. მაგრამ **თვით ის ფაქტი, რომ „მოგებული“ ომის შემდეგ „დამარცხებული“ ქვეყნის დროშა ფერხთით კი არ დაუფინეს „გამარჯვებულ“ მთავარსარდალს, არამედ ცეცხლს მისცეს, უკვე ნათლად ადასტურებს ამ „გამარჯვების“ ტრაგიკულობას;** თუმცა შარშან დაზაფრული თბილისი წლეულს რა ყურადღებას მიაქცევდა ეროვნული მოძრაობის გაცრეცილი ლიდერის სახალხოდ ფრონტალურობას.

საქართველოს დედაქალაქი კი შარშანდელი ომის დროს მოზეიმე ქალაქად იქცა. „ლხინი ჟამიანობისას“ — ალბათ, ეს შეფასება უფრო შეფერება თბილისურ-კინტოურ ტინგიცს, თუმცა ამის შესახებ პირველ წერილში უკვე ვისაუბრე და ახლა თავს აღარ შეგაწყენთ.

პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, შარშან საქართველო სრულ ოკუპაციას ევროპელმა მეგობრებმა გადაარჩინეს: **„ხალხი, რომელიც გასულ წელს საქართველოს გვერდით დაუდგა, ევროპის ისტორიაში ნამდვილად დარჩება ისეთად, რომელმაც ძალადობისა და უსამართლობის, დიდი სახელმწიფოს მიერ პატარას ჩაგვრის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა“.** მადლიერების გამოხატვაც ასეთი უნდა. ზოგადად, სააკაშვილის, როგორც პოლიტიკოსის, მადლიერებაზე ჯერ არავის გაუმახვილებია ყურადღება, თუმცა მისი სიტყვების შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის. **„საქართველოს არასოდეს დაავიწყდება, ევროპული ქვეყნების ლიდერები საქართველოში რომ ჩამოვიდნენ და სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს, მაშინ, როდესაც საქართველოსკენ რუსული ტანკები მოისწრაფოდნენ“.**

ნუ მიაქცევთ ყურადღებას ტავტოლოგიას! ეს არ არის მთავარი. გაიხსენეთ, როდის გამოიქცა პრეზიდენტი სააკაშვილი გორიდან, როდის ჩამოვიდნენ ევროპელი „ღამისმთეველები“ და როდის გაიმართა „კუდიანების დავლური“ რუსთაველზე... ამ დროს რუსული ტანკები უკვე გორში იყო და საქართველოსკენ კი არ „მოისწრაფოდნენ“, უკვე მის დედაქალაქს ემუქრებოდა საფრთხე.

თბილისის დაცვას ქვემოთ დავუბრუნდები, ახლა ვნახოთ, რას აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი, რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე. მისი თქმით, **„საერთაშორისო საზოგადოების მიერ გასულ წელს გამოჩენილი აქტივობა დაგვიანებული იყო“.**

პრეზიდენტის და მინისტრის ეს განცხადებები 7 აგვისტოს რამდენიმე საათის ინტერვალით გაკეთდა. როგორც ჩანს, მონოლითურ და ჩამოუშლელ მთავრობაში პრეზიდენტს არ უსმენენ. მინისტრმა ვაშაძემ, ალბათ, ჯერ არ იცის, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს არ უყვარს, როცა მისგან განსხვავებულად აზროვნებენ და სინქრონს არღვევენ. ჰოდა, ჰკითხოს თავის ბალერინა მეუღლეს და აუხსნის, რამხელა მნიშვნელობა აქვს ორკესტრთან ჰარმონიას და დაკრულზე ცეკვას. გრიგოლ ვაშაძე მეორე განცხადებითაც ასცდა სააკაშვილის ევროპულ კურსს, თორემ გადამრჩენელი „ძალიან გაბედული და პატიოსანი“ ევროპელების ქება-დიდების ფონზე დარწმუნებით არ იტყოდა, რომ „რუსი აგრესორები ქართველმა ერმა შეაჩერა“.

ამ რუსი აგრესორების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რფ შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ნოგოვიცინი კი აცხადებს, რომ რუსეთი არც გეგმავდა თბილისის აღებას. **„მშვიდობისკენ იძულების“ ოპერაციის დროს თბილისში ან სხვა რომელიმე დასახლებულ პუნქტში შეჭრის სპეციალურ გეგმას არ ვამუშავებდით და, შესაბამისად, არც მისი რეალიზება მოგვიხდენია“,** — გენერალ ნოგოვიცინის ამ განცხადების შემდეგ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: აბა, რატომ შევიდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები გორში? პასუხს იმ დროისთვის გორში დარჩენილი იმ ადამიანებისგან მოისმენთ, ვინც ამ საჯარისო ნაწილებმა ოსი და ჩრდილოკავკასიელი მაროდიორებისგან დარბევა-დაწიოკებას გადაარჩინეს. მაშინ ხალხი ღვთის ანაბარა მიატოვა დაზაფრულმა ხელისუფლებამ.

არადა, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, რუსეთის არმიის წინსვლა (ანუ თბილისის აღება!) შეჩერებულა მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ჯარებმა გაძლიერებული მზადყოფნის შესახებ განაცხადეს. ასეთ განცხადებებს სერიოზული პოლიტიკოსები „უპრაგონოდ“ არ აკეთებენ, მაგრამ ჩვენ აღარაფერი გვიკვირს, მიჩვეულები ვართ. იმ დროს, როცა ევროპულმა (და არა მარტო!) ქვეყნებმა თავიანთი მოქალაქეების ევაკუაციისთვის საგანგებოდ გამოგზავნეს თვითმფრინავები და რუსეთისგან საჰაერო დერეფანიც მიიღეს, თურმე კინაღამ მესამე მსოფლიო ომი დაუწყიათ რუსეთსა და ამერიკას. კიდევ კარგი, ეს არ მოხდა, თორემ ორივე ქვეყანას თავისი სამხედრო პოტენციალის გამოსაცდელ პოლიგონად, ანუ „ორ ზღვას შუა საომარ ლელოდ“ ჩვენი ქვეყანა რომ გადაექცია, მთავრობის ჩამოშლას ვინ დაეძებს, „ტურფა საქართველოსგან“ სველი ადგილიც არ დარჩებოდა. ახლა ჩასწვდით სააკაშვილის ამ განცხადების ავანტიურიზმის მასშტაბს?

ანატოლი ნოგოვიცინი ამ განცხადების განმარტებასაც გვთავაზობს და, როგორც ყველა სამხედრო, ლაკონურია: **„თუ ვილაპარაკებთ ნორმატიულ ვადებზე და რუსეთის ჯარების თბილისთან სიახლოვეზე, როგორც სამხედრო, ვაცხადებ, რომ არანაირ გაძლიერებულ მზადყოფნაზე გადასვლას არ შეეძლო ხელის შეშლა. ეს იყო სრულიად რეალიზებადი ამოცანა“.**

რუსი გენერალ-პოლკოვნიკი რომ ჩვენი პოლიტიკოსებისა თუ „ბრძოლებში ნაწრთობი“ (განსაკუთრებით, შარშანდელ მოგებულ ომში!) მეთაურებივით ჰაერში არ ისვრის ფრაზებს, ამაზე მეტყველებს სულ ახლახან გავრცელებული ინფორმაცია. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრე ზელინმა განაცხადა, რომ მათი თავდაცვის სამინისტრო ახალ მზვერავ-თვითმფრინავებს გამოუშვებს, მათ შორის აქამდე არსებულთაგან პრინციპულად განსხვავებულს — სტრატოსფერულს, რომელიც მიუწვდომელი იქნება მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემებისთვის.

არა მგონია, მაინცდამაინც შარშანდელ ომში „დამარცხებამ“ ასწავლა ჭკუა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურებს. ალბათ, მანამდეც ექნებოდათ გეგმაში, განსაკუთრებით მას შემდეგ იფიქრებდნენ სამხედრო პოტენციალის გაუმჯობესებაზე, რაც 2005 წლის 26 მაისის აღლუმზე ქართული სამხედრო სიძლიერე დაინახეს. თუ ქართველი პოლიტიკოსების მაშინდელი (შემდგომიც!) შეფასებებიც მოისმინეს, სულ თავბრუ დაეხვეოდათ და შიშისგან ურალის იქით გადაიტანდნენ ეროვნულ საგანძურს. მერე **ერთმა თქვა, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო (და 2009 წელს პარიზში, ეიფელის კოშკის ვერანდაზე შეხვდა, თანაც იქვე, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ წარწერას „აქ იყო ჯონი ტეხასიდან“ ქვემოთ ქართულად მიაწერა „აქ იყო ირაკლი ჟეორჟიდან!“), მეორემ, ერთი რუსეთმა რამე გაბედოს, როსტოვამდე კუდით ქვას ვასროლინებთო (და შარშანდელი ომის დროს (ისედაც!) პირის გაღება ეზარებოდა!).**

ჰოდა, ეს რუსეთიც შეშინდა, ემანდ მართლა რამე ისეთი არ ჰქონდეთ, საკუთარი სახლებიდან გაქცევა ვერ... მოასწრონო! მაშინვე დაიწყეს მუშაობა ახალ პროექტზე, თუმცა შარშანდელი ომისთვის ვერ შეძლეს სამხედრო შესაძლებლობების გაზრდა. სულ ახლახან (ეტყობა, შარშან რომ როსტოვამდე ვდიეთ, ამ ფაქტის გაცნობიერების შემდეგ!) მივიდნენ დასკვნამდე, რომ „თანამედროვე ომების მაღალდინამიკური ხასიათი მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმირების დონის გაზრდას მოითხოვს“. სწორედ ასე განაცხადა გენერალმა ზელინმა და დასძინა, რომ ამჟამად რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში აქვთ მზვერავი თვითმფრინავები Су-24МР და Миг-25 РБ და თანაც „მათი რაოდენობა დღეისთვის საკმარისია“.

**რაღაცას გვატყუებს გენერალი ზელინი — თუ საკმარისად ჰყავთ, შარშან რატომ არ გამოიყენეს? რა, შევეცოდეთ? რომ გამოეყენებინათ, ასე ორ დღეში ხომ არ... დამარცხდებოდნენ? არ გამოიყენეს და იგოეთს ვერ გამოსცდნენ თავიანთი ჩამოწერილი თვითმფრინავებითა და ჟანგიანი ტანკებით.**

არადა, რა არა აქვთ?! ატომური წყალქვეშა ნავებიც კი ჰქონიათ! მართალია, შარშან შავ ზღვაში არ შემოუყვანიათ (ეტყობა, აშშ-ს გაძლიერებული მზადყოფნის შეეშინდათ, ემანდ სადმე საქართველოს დასახმარებლად გამოგზავნილ წყალქვეშა ნავს არ გაეხახუნოს და „ბაკავინა“ არ გაეფხაჭნოსო!), გარემო პირობებმა, რელიეფმა (ცოტა ჩვენი ხელისუფლების შიშმაც!) და იმ დროისათვის მდინარე ლიახვის წყალმარჩხობამ შეუშალათ ხელი. თანაც ზაფხულობით ეკიპაჟებს ზღვაზე დასასვენებლად უშვებენ ხოლმე. სანამ იმათ თავი მოუყარეს, ამასობაში კი მოვიგეთ ის ომი და რაღა ექნათ, — გადამალეს თავიანთი ფლოტი, განსაკუთრებით ატომური წყალქვეშა ნავები და თანაც, პირდაპირ აშშ სანაპიროსთან (აბა, ამერიკის არმიის გაძლიერებული მზადყოფნის პირობებში ვინ წარმოიდგენდა, რომ ამას გაბედავდნენ!). მაგრამ ამ ცისქვეშეთში თუ არაფერი იმალება, იმ ზღვისქვეშეთში რაღა დაიმალებოდა და სულ ახლახან ორი ასეთი ხომალდი შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროსთან შეუნიშნავთ. „ნიუ-იორკ ტაიმსიც“ კი შეშფოთებული წერს, ამ უიშვიათეს მოვლენას, რომელიც რუსეთის სამხედრო უწყების პოზიციის გააქტიურებაზე მეტყველებს, არ შეიძლებოდა, შეშფოთება არ გამოეწვია პენტაგონში და აშშ სადაზვერვო სამსახურებშიო.

ორივე ატომური წყალქვეშა ნავი „Акула“-ს კლასს მიეკუთვნება და დაახლოებით ამერიკული წყალქვეშა ნავის „Los-anjeles“-ის თანადარია. თუმცა ეს არ არის დიდი ხომალდი, რომლიდანაც შესაძლებელია საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტის გაშვება.

პენტაგონის ერთ-ერთი ჩინოვნიკის თქმით, ერთ-ერთი წყალქვეშა ნავი საერთაშორისო წყლებში აშშ სანაპიროდან დაახლოებით 200 მილში იყო, მეორის ადგილსამყოფელს კი ვერ მიაკვლიეს. ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ოფიცერმა განაცხადა, კუბისკენ მიდისო, მეორემ კი, რომელსაც დაზვერვის ანგარიშზე ხელი მიუწვდება, — ნავი ჩრდილოეთისკენ მიცურავდაო. საერთოდ, პენტაგონის წარმომადგენლები ამ თემაზე ლაპარაკს გაურბიან და პრესაში ატეხილი ხმაურიც გულზე არ ეხატებათ.

კაცმა რომ თქვას, არც არის გასაკვირი: როცა ატომური წყალქვეშა ნავი გაქვს, სადღაც ხომ უნდა გაუშვა, ბოლოს და ბოლოს, ეკიპაჟი არ უნდა მოდუნდეს, კვალიფიკაცია არ უნდა დაეცეს. შეიძლებოდა შავ ზღვაში საქართველოს სანაპიროსთანაც ამოეყვინთათ, მაგრამ იციან, რომ აქ რეალური საფრთხე ემუქრებოდათ. ჩვენი ქვეყნის მთავარსარდალს ჯერ კიდევ არ დავიწყებია შარშანდელი ტრიუმფალური გამარჯვება და ხომ შეიძლება, სასწრაფოდ უბრძანოს საზღვაო-საპატრულო პოლიციას ამ ნავების ეკიპაჟების დაპატიმრება? აბა, ჩვენმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა, დიდი ხანია, ჭირი მოგვჭამა.

**რომ იცოდეთ, სულაც არ ვარ ანგლობის ხასიათზე. როგორი ჭკუისა უნდა იყოს ადამიანი, რომ რუსეთ-ამერიკის სამხედრო პოტენციალის ფონზე თავისი მომათხოვრებული და გარემონტებული ტექნიკით თავს იწონებდეს და მილიტარიზაციაში მილიარდებს ფლანგავდეს!**

უნებურად გამახსენდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — დავით ბაქრაძის (ეს ის კაცია, დანა-ჩანგალ-ფიწალ-თოხ-იარაღით აღჭურვისკენ რომ მოგვიწოდებდა, შეშინებული და ყბააკანკალებული!) სულ ახლახან ნათქვამი: „თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს შეუძლია ისე შეიარაღდეს, რომ მერე რუსეთს დაესხას თავს, მისი ადგილი ფსიქიატრიულშია“. ჩემმა კოლეგამ არმაზ ხარძიანმა (ალბათ) რიტორიკულად ჰკითხა: „ბატონო დავით, თუ ტალიავინის დასკვნაში დაიწერება, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ამ სიტყვების გამეორებას შეძლებთ?“

მეც რიტორიკულად ვკითხავ პირით აღმოსავლეთისკენ და ზურგით გორისკენ მდგარ

კანონმდებელთაგან უპირველესს: ბატონო დავით, მსგავსი განცხადებები არ მოგისმენიათ თქვენივე კოლეგებისგან? და თუ მოგისმენიათ, რატომ არ დასვით მათთვის დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის და ფსიქიატრიულში გამწესების საკითხი? ალბათ, მაშინაც ასე ფიქრობდით, მაგრამ რამე რომ გეთქვათ, თქვენც ლაშა ჟვანიასავით დარჩებოდით სააკაშვილის პოლიტიკის მხარდამჭერად, ოღონდ მასზე ადრე და მასავით უპოსტოდ. არადა, შარშან რას დასტიროდით პარლამენტის თავმჯდომარის ჯერ კარგად ვერ გამთბარ სავარძელს?

**სულაც არ მინდა, შარშანდელი ომით და საქართველოს მარცხით აღფრთოვანებული ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო — შარშან (ახლაც!) მეც ისევე მაწუხებდა საქართველოს ტკივილი, როგორც ნებისმიერ ქართველს, რომელსაც სამშობლოს გარდა დასაკარგი არაფერი ჰქონდა და აქვს. ჩემი ოჯახი და ნათესავ-მეგობრებიც საბრძოლო მოქმედებების არეალში იყვნენ და მათ სიახლოვესაც ჩამოვარდა ბომბები, მაგრამ, თუკი რეალობის გრძნობას დავკარგავთ და მხოლოდ პიარზე აგებული ტაშფანდურით შევიქცევთ თავს, ამ თავსაც დავკარგავთ და სამშობლოსაც...**

დაჩეხილი საქართველოსთვის სიცოცხლის შენარჩუნებაში გაბედული და პატიოსანი ევროპელების დამსახურებაზე მიშამაც თქვა და (მიშამ რაც თქვა) მეც უკვე აღვნიშნე. ამ გადამრჩენლებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, რომელიც შარშან ევროკავშირსაც ხელმძღვანელობდა. სარკოზი-მედვედევის შეთანხმების თანახმად, შეწყვეტილ ომზე და ამ შეთანხმების პირობების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ორივე მხარემ აიღო (აბა, ჩვენ მაშინ (და ახლაც!) არავინ არაფერს გვეკითხებოდა!) და რუსეთის პრეზიდენტმა ომის წლისთავზე თავის ფრანგ კოლეგას გარანტის პასუხისმგებლობა შეახსენა. იქვე არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ **საფრანგეთის პრეზიდენტმა „უდიდესი როლი შეასრულა საქართველო-სამხრეთ ოსეთის კრიზისის გადაწყვეტის საქმეში“.**

მედვედევი ამავე წერილში აღნიშნავს, რომ სააკაშვილის ავანტიურული პოლიტიკის გამო ამიერკავკასიაში რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა და ამ ვითარებაში შეუძლებელია ორი დამოუკიდებელი ქვეყნის — სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის — არსებობის იგნორირება. ამდენად, **ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ამიერკავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

რუსეთის პრეზიდენტი ხაზგასმით აცხადებს, რომ საქართველოს მოქმედებები კვლავ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამიტომ, რუსეთის პრეზიდენტი სარკოზისადმი წერილში აღნიშნავს, რომ, რაც შეიძლება, უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს შეთანხმების მიღწევა ძალის გამოუყენებლობის შესახებ საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, რათა ამ რესპუბლიკების მოსახლეობას მშვიდობის გარანტიები ჰქონდეთ. გარდა ამისა, მედვედევმა აღნიშნა, რომ ყველა ქვეყანამ თავი უნდა შეიკავოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოსთვის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებისგან.

მართლაც, ყველა თავს იკავებს. ამის თაობაზე არაერთი განცხადებაც მოგვისმენია, მაგრამ, როცა მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი, ვის ბრძანებაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, ამგვარი წერილით მიმართავს ჩვენი ქვეყნის სიმშვიდისა და პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობის გარანტ საფრანგეთის პრეზიდენტს, დაფიქრება გვმართებს.

**შარშანაც ყველაფერი ასე დაიწყო — ჯერ საქართველოსა და სეპარატისტულ აფხაზეთს შორის ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას გვთხოვდნენ, შემდეგ თხოვნა მოთხოვნით შეცვალეს და... და მერე იყო ომი... ორ კვირაში კი აფხაზეთის დამოუკიდებლობა (სამხრეთ ოსეთთან ერთად!) ცნო რუსეთმა და სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ 1999 წლის სტამბოლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უკუღმა შემოგვიტრიალდა. ახლა ამ ორ რეგიონში რუსეთის სამხედრო ბაზები შენდება რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ აღიარებულ რესპუბლიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.**



გადარჩენილი და გადამრჩენელი

**პრეზიდენტ მედვედევის ამ წერილში ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღები ის არის, რომ იგი თავის ფრანგ კოლეგას სთხოვს, რაც შეიძლება უმოკლეს დროში მოხდეს შეთანხმება (მედვედევის აზრით) სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის.**

ამ შემთხვევაში (მედვედევისთვის) იმის მტკიცებას, რომ ეს ორი „სახელმწიფო“ საქართველოს განუყოფელი ნაწილია, აზრი არ აქვს. იგი გარანტორ სარკოზის სთხოვს, თორემ ჩვენგან მოითხოვს და, თუკი ჩვენმა ხელისუფლებამ კოდორის ხეობის, ენგურჰესის თუ მამისონის უღელტეხილის დათმობის მსგავსად, საკუთარი თავის გადასარჩენად, მართლა მოაწერა ხელი ამ შეთანხმებას, ეს ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ირიბი აღიარებაც იქნება და მერე ახალი სახელმწიფოების ცნობის პროცესი დაუბრკოლებლად განვითარდება.

ამ საფრთხის რეალურობა ახლახან ვენესუელის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე — „სამხრეთ ოსეთი — თანამედროვე პოლიტიკა“ — გამოიკვეთა. სანამ აშშ აღშფოთება-შეშფოთების ტალღაზეა, რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ბილიკს. ამ ფორუმში ბოლივია, ჰონდურასი, ვენესუელა, კუბა, ნიკარაგუა, ეკვადორი და კარიბის სხვა სახელმწიფოები მონაწილეობდნენ.

მაგრამ თავი დავანებოთ ლათინურ ამერიკას და დავუბრუნდეთ პრეზიდენტ მედვედევის მოთხოვნის „პროპორციულობას“.

თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვლადიკავკაზში 58-ე არმიის შტაბში ყოფნისას, აგვისტოს ომის მონაწილეთა დაჯილდოებისას პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, ომის გამჩაღებლები სასჯელს ვერ გაექცევიანო (ნეტა ვინ იგულისხმა?) და ისიც დასძინა, ომში გამარჯვების მიუხედავად, სამართლიანად და მკაცრად დაისჯებიან ისინი, ვინც დანაშაულებრივ ბრძანებებს გასცემდაო, ძნელი მისახვედრი არ არის, შარშანდელი კაპიტულაციის შემდეგ ჩვენი ხელისუფლება რაზე შეიძლება დაითანხმონ.

ამავე დროს, ხელისუფლებისთვის მათრახით დამუქრებასთან ერთად რუსეთის პრეზიდენტი ქართველი ხალხის მიმართ კეთილგანწყობას არ მალავს. **„მინდა, განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნო: სააკაშვილის რეჟიმის ჩვენეული შეფასებები მცირედაც არ ეხება ქართველ ხალხს. ამ ხალხთან ჩვენ მრავალსაუკუნოვანი ახლო, ძმური კავშირები გვაქვს“.**

ომის შედეგებზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა გლობალური უსაფრთხოებისადმი მიდგომის გადახედვის აუცილებლობაც აღინიშნა. **„2008 წლის 8 აგვისტოს მოვლენებმა ცხადად აჩვენა არსებული კოლექტიური უსაფრთხოების სისუსტე. ჩვენ არაერთხელ ვაფრთხილებდით მსოფლიო თანამეგობრობას ამ სისტემის არაეფექტურობის შესახებ“,** — თქვა მან.

ამ ფონზე მოულოდნელობის (ვისთვის?) ეფექტს კარგავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის სიტყვები, რომ სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ხელს ვერ შეუშლის რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობის განვითარებას: **„დასავლელ პარტნიორებთან უკანასკნელმა კონტაქტებმა ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველოსთან მიმართებაში მათ სხვა პოზიცია აქვთ, თუმცა ამას უკვე უგულოდ გამოხატავენ და ქართული საკითხი ჩვენი ურთიერთობების განვითარებას ხელს აღარ უშლის“.** მისივე თქმით, ეს დაადასტურა პრეზიდენტ ობამას მოსკოვში ვიზიტმა.

პირველ წერილში უკვე ვთქვი, რუსეთმა და ამერიკამ როგორც მიგვაRESTARTეს სტრატეგიულად და აღარ გავიმეორებ. ყველაფერი ლავროვის უთქმელადაც ნათელია.

დიპლომატიურ რიტორიკას რომ თავი დავანებოთ, ფრიად საყურადღებოა ლავროვის ინფორმაცია: **„ოსეთში და საქართველოში მყოფმა ეუთოს დამკვირვებლებმა 7 აგვისტოს ვენაში თავიანთ შტაბბინას აცნობეს დიდი რაოდენობით ქართული ჯარის და სამხედრო ტექნიკის თავმოყრის შესახებ სამხრეთ ოსეთის საზღვრის სიახლოვეს. 8 აგვისტოს მათ შეატყობინეს, რომ ცხინვალს ცეცხლი გაუხსნეს კონფლიქტის ზონის მიღმა ტერიტორიიდან (ეს შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს ტერიტორია), მათ შორის „გრადის“ და საარტილერიო დანადგარებიდან“,** — თქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

**ჩვენ რომ გვეგონა, ეუთოს დამკვირვებლები ერთმნიშვნელოვნად ჩვენს მხარეს დაიჭერდნენ, თურმე სულ წვრილად აღურიცხავთ, ვის როდის და რამდენი გაუსროლია ცხინვალის მიმართულებით. ასევე მოქცეულან გაეროს დამკვირვებლები აფხაზეთთან დაკავშირებით.**

გასაკვირი არ არის, რომ ლავროვს თავისი ქვეყნის ინტერესები ალაპარაკებს და, ბუნებრივია, ამ ინტერესებს იცავს, სხვათა შორის, თავგამოდებით. მაგრამ თუკი ეუთოს და გაეროს დამკვირვებლებიც საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებს ომის გამჩაღების ჭრილში წარმოგვიდგენენ, მაშინ უეჭველია, ტალიავინის დასკვნა მძიმე შედეგებს მოუტანს ერთ კი არა, რამდენიმე ადამიანს და ტრიბუნალის პროკურორებს „ქართველ ხოხბებზე“ ნადირობა მოუწევთ. ოღონდ, არა ლაგოდეხის ნაკრძალში...

**კიდევ ერთ თავისტკივილს გვიჩენს რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივა, რომლითაც მან სახელმწიფო სათათბიროს მიმართა. კერძოდ, მან დასამტკიცებლად შეიტანა კანონპროექტი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რუსეთის საზღვრებს გარეთ გამოყენების შესახებ.**

გონების დაძაბვა არ სჭირდება იმის გახსენებას, რა მოგვიტანა რუსეთის საზღვრებს მიღმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რუსული პასპორტების დარიგებამ. სხვამ თვითონ მიხედოს საკუთარ თავს, ჩვენ ის მწარე გაკვეთილი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომელზეც საქართველოს ვერც წინა და ვერც ახლანდელმა ხელისუფლებამ ჭკუა ვერ ისწავლა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში რუსული პასპორტების დარიგება და რუსეთის მიერ მისი მოქალაქეების დაცვის შესახებ ხმამაღალი განცხადებები მხოლოდ დიპლომატიური რიტორიკა გვეგონა და საქმე საქმეზე როცა მიდგა, მაშინღა... არა, თავში კი არ შემოვირტყით ხელი, ამ რეგიონებიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცით...

ახლა არც მედვედევის ამ ინიციატივას შევხედავთ სერიოზულად და მწარედაც ვინანებთ.

**„რუსეთი 15-16 მილიარდ რუბლს (460 მილიონ აშშ დოლარს) დახარჯავს აფხაზეთში თავისი სამხედრო მიზნების განსახორციელებლად — სამხედრო ბაზისა და სასაზღვრო უსაფრთხოების განვითარებაზე“,** — სოხუმში გაკეთებულ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ამ განცხადებითაც დასტურდება, რომ იმ რეგიონს, სადაც ამხელა თანხის დახარჯვას აპირებენ, აღარავინ დაგვიბრუნებს. ამ შემთხვევაში ქართული სამხედრო რიტორიკა რას ემსახურება, გონიერმა მკითხველმა თავად განსაჯოს.

**„ეს იქნება საზღვრის გაძლიერება... იმისთვის, რომ ეს იყოს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, თავად საზღვრის, სასაზღვრო ჯარებისა და სამხედრო ბაზის მოწყობით“,** — ესეც პრემიერ პუტინის სიტყვებია. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვთ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს მას შემდეგ (ახლაც!), რაც ეს ყველაფერი თანამედროვე დონეზე მოეწყობა. რა და, — აიღებს იქაურ პასპორტს, თუკი იქ ცხოვრება (და სიცოცხლე!) უნდა.

მით უფრო, რომ რუსეთი ამ ე.წ. სახელმწიფოსთან მჭიდრო (მეტი რომ არ ვთქვათ!) ურთიერთობას კიდევ უფრო განამტკიცებს. ორიოდ დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ „რუსეთის რკინიგზა“ აფხაზეთის რკინიგზას დაახლოებით 2 მილიარდ რუბლად მიიღებს. ბაღაფში (ანუ „ჩვენი სერგო“, როგორც ერთხანს თბილისში ბრიყვულად ეძახდნენ!) აცხადებს, რომ რკინიგზაზე აფხაზური მხარის შეუფერხებელი მუშაობისთვის საერთაშორისო კოდებია საჭირო, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაღიარების გამო აფხაზეთს არ აქვს. მუშაობის დასაწყებად კი, როგორც ბაღაფშმა განმარტა, რუსული კოდებია აუცილებელი, შესაბამისად, რკინიგზა რუსეთის მმართველობაში უნდა გადავიდეს.

თავის დროზე, როცა აფხაზები ქართულ პასპორტებს ითხოვდნენ, ჩვენმა ხელისუფლებამ უარით გაისტუმრა და მათაც რუსული პასპორტები აიღეს. ახლა აფხაზეთიც მის ხელშია, აფხაზებიც და აფხაზეთის რკინიგზაც.

რაღა გასაკვირია, რომ ცხინვალთან, დამოუკიდებლობის აღიარების წლისთავზე, სოციალური სფეროს განვითარების შესახებ შეთანხმებასაც გააფორმებენ და საზეიმო ღონისძიებებშიც მიიღებენ მონაწილეობას.

აფხაზეთში პუტინის ყოფნისას კი გაგრაში, ნაგვის ურნაში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. აფეთქებამ ერთი ადამიანი შეიწირა, სამმა კი სხეულის დაზიანება მიიღო. იქ არავის უკვირს აფეთქება და სროლა, მაგრამ ჩვენ მიმართ გამოთქმული შენიშვნა შეშფოთების საფუძველს ნამდვილად გვაძლევს. **„დღევანდელი აფეთქება ახალი ომის მიმანიშნებელია“,** — განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა.

**ძნელი მისახვედრი არ არის, რისი „მიმანიშნებელია“ პუტინის ეს სიტყვები. თუკი პრეზიდენტ მედვედევის კანონპროექტსაც გავიხსენებთ, არც იმის მიხვედრაა ძნელი, რა შეიძლება მოხდეს არცთუ შორეულ მომავალში...**

აფხაზეთში კი ტყუპი ბიჭი დაიბადა, რომლებსაც სახელები დროის შესატყვისი შეურჩიეს — დიმიტრი და ვლადიმერი. ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ისევე გადაინაცვლებს ოცნების სფეროში, როგორც საინგილოს დაბრუნებაზე ფიქრი...

**ოცნებას კი კაცი არ მოუკლავს, ფიქრისთვის გააჩინა ღმერთმა კაცი.**

**ბონდო მჟინარაშვილი**



დიმიტრი მედვედევს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველო-სამხრეთ ოსეთის კრიზისის გადაწყვეტის საქმეში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ქრისტიანული შეხედულება ომის შესახებ

# ღვთის რწმენა და პატრიოტიზმი

**„არა კაც ჰკლა!“ — გვასწავლის უფალი, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ მტერი კარს მოგვადგება? რა უნდა ქნას მორწმუნემ, როცა მისი სამშობლო განსაცდელშია? დღეს სწორედ ქრისტიანულ პატრიოტიზმსა და ომის შესახებ ეკლესიის შეხედულებაზე გვესაუბრება წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი მამა ზურაბი.**





— **მამაო, რით განსხვავდება ქრისტიანული პატრიოტიზმი არაეკლესიურ ადამიანთა პატრიოტიზმისგან?**

— ქრისტიანული პატრიოტიზმისთვის უცხოა ის უკიდურესობანი და შეცდომები, რაც არაეკლესიური ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. ქრისტიანი პატრიოტი, იმათგან განსხვავებით, ვინც საკუთარ თავს „ნამდვილ პატრიოტს“ უწოდებს, თვალს არ ხუჭავს თავისი ერის ნაკლოვანებაზე, უყვარს ხალხი და საღად უყურებს ნაციონალურსა და სახასიათო თვისებებს.

— **რა გაქვთ მხედველობაში?**

— ქრისტიანი პატრიოტი არასოდეს დაეთანხმება იმ პატრიოტს, ვინც მზად არის, განადიდოს ყველაფერი მშობლიური, მათ შორის ნაციონალური მანკიერებანი და ნაკლოვანებანი; მაგალითად: უზომო სმა, ლანძღვა-გინება, მუშტებზე ყურება და ა.შ. არასოდეს დაეთანხმება მას, ვინც ამჩნევს, რომ ეს პატრიოტიზმი კი არა, გაფუყული ნაციონალური სიამაყეა, ანუ ცოდვა, რომლის წინააღმდეგაც ქრისტიანობა დაუცხრომლად იბრძვის. ჭეშმარიტი პატრიოტი თვალს არ ხუჭავს თავისი ხალხის სენსა და ცოდვებზე, ინანიებს ღმერთის წინაშე როგორც საკუთარი თავის, ასევე მთელი ერის მაგივრად. გარდა ამისა, ქრისტიანული პატრიოტიზმისთვის უცხოა სხვა ხალხების სიძულვილი. თუ საქართველო მიყვარს, რატომ არ უნდა მიყვარდეს, ვთქვათ, ჩინეთი, თურქეთი ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა და ერი?

— **გამოდის, რომ ქრისტიანი პატრიოტი კოსმოპოლიტია?**

— სხვა ერებისა და ქვეყნების სიძულვილი არაქრისტიანული გრძნობაა. ღმერთმა ყველას მისცეს კეთილდღეობა და წარმატება, რადგანაც ჩვენ ადამიანები ვართ, ერთი მამის შვილები.

— **წმიდა წერილი რას ამბობს პატრიოტიზმის შესახებ?**

— ყველაზე მთავარი მონაცემები პატრიოტიზმის სასარგებლოდ სწორედ წმიდა წერილში შეგვიძლია ვიპოვოთ. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ებრაელთა ისტორია აღსავსეა იმის მტკიცებით, თუ როგორ უყვარდათ თავიანთი სიონი, იერუსალიმი, ტაძარი. ეს არის ჭეშმარიტი პატრიოტიზმის, საკუთარი ხალხისა და წმიდათაწმიდას სიყვარულის საუკეთესო ნიმუში.

— **დღევანდელ ქართველ საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, თითქოს ქრისტეს ეკლესიის წევრი ვალდებული არ არის, თავისი ერის პატრიოტი იყოს, მან მხოლოდ საკუთარ სულიერებაზე უნდა იზრუნოს და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არ უნდა ჩაერიოს. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— ეს მავნე აგიტაციაა, რომლის მიზანიც პიროვნებაში მამულიშვილური მოვალეობის გრძნობის ჩაკვლაა. ადამიანი არ უნდა გახდეს ინდიფერენტული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებრივი პრობლემებისადმი, არ უნდა ჩამოშორდეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ღირსი მამების სწავლების თანახმად, ქრისტიანობა და პატრიოტიზმი განუყოფელი მცნებებია. ასე რომ, ჭეშმარიტ მორწმუნედ ვერ ჩაითვლება ის ადამიანი, ვისაც გულმხურვალედ არ უყვარს თავისი სამშობლო, საქმით არ ემსახურება საკუთარ ერს. თავისი ხალხის სიყვარულის განსაცვიფრებელი მაგალითი გვიჩვენა წინასწარმეტყველმა მოსემ...

— **რას გულისხმობთ?**

— უზენაესთან აღთქმის დადებისთანავე ისრაელის ხალხმა თავის ღმერთს უღალატა და ოქროს კერპს სცა თაყვანი. ღვთის რისხვა ძლიერი იყო. მოსე 40 დღე-ღამე ლოცულობდა ხალხისთვის, რომელმაც შესცოდა. ღმერთი პასუხობდა: „დაე, აღენთოს ჩემი რისხვა მათზე, ნუ შემაჩერებთ და მე მოვსრავ მათ“. უფრო ძლიერად დაიწყო ლოცვა დიდმა წინასწარმეტყველმა და ბოლოს წამოიძახა: „შეუნდე მათ შეცოდებანი და თუ არ შეიწყალებ, ამომშალე შენი წიგნიდან, სადაც ჩამწერე“. ღმერთმა შეისმინა მოსეს ვედრება და აღარ მოისურვა მისი დაღუპვა... განა ეს თავდადებული პატრიოტის უმაღლესი გმირობა არ არის?

— **ახალ აღთქმაშიც ვხვდებით პატრიოტიზმის მაგალითებს...**

— გავიხსენოთ, თუნდაც, პავლე მოციქულის ცხოვრება... ისე შეუპოვრად და ბოროტად არავინ უშლიდა ხელს ქადაგებაში, როგორც მისი თანამემამულენი. მათ ქრისტე არ იწამეს და ვერც პავლეს იტანდნენ, რადგანაც მამა-პაპათა რწმენის მოღალატედ თვლიდნენ. აი, რას ამბობს მოციქული თავის თანამემამულეებზე: „ვისურვებდი, მე თვითონ ვყოფილიყავი განდგომილი ქრისტესგან, ჩემი ხორციელი ძმების, ისრაელიტების გამო“. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს პავლეს სიყვარული საკუთარი ხალხისადმი.

— **პატრიოტიზმის მაგალითს თავად იესო ქრისტეც გვაძლევს...**

— დიახ, მაცხოვარი ამბობს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, თავის ხალხთან მოვიდა. იგი ტიროდა თავისი ქალაქის გამო, იმ ადამიანთა დაღუპვის გამო, ვინც „ოსანას“ ეძახდა, რამდენიმე დღის მერე კი იყვირებდნენ „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვიო“. გულისამაჩუყებელი, ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდა მაცხოვარს თავისი ხალხი, ასე რომ, პატრიოტიზმის გრძნობას ეკლესია არც კიცხავს და არც უარყოფს.

— **სიყვარულში მშობლებისა და ახლობლებისთვის უპირატესობის მინიჭება ცოდვაა?**

— ეკლესია ამასაც არ კიცხავს. გავიხსენოთ მოციქულის სიტყვები: „ვინმე თავისიანებზე და განსაკუთრებით ოჯახის წევრებზე თუ არ ზრუნავს, იგი უარყოფს რწმენას და უარესია მოღალატეზე“. კიდევ ერთხელ მინდა, გავუსვა ხაზი იმას, რომ ახლობლების სიყვარული ეგოისტური არ უნდა იყოს, ქრისტიანს სხვები არ უნდა ავიწყდებოდეს.

— **რა აზრისაა ეკლესია ომზე, ქრისტიანებს ხომ კაცის კვლას გვიკრძალავს უფალი?**

— ქრისტიანული პატრიოტიზმი ყოველი ჩვენგანისგან მოითხოვს, შეძლებისდაგვარად ვემსახუროთ მამულს.

— **რით გამოიხატება ეს სამსახური?**

— ადამიანი მამულის წინაშე თავის ვალს აღასრულებს ამა თუ იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში. მაშინაც იღვწის სამშობლოსთვის, როცა მონაწილეობს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ცდილობს, სარგებლობა მოუტანოს მამულს, ხალხს, არ ზრუნავს მხოლოდ პირად ან პარტიულ ინტერესებზე. ამ შემთხვევაში სინდისი სუფთა ექნება და მშვიდად იცხოვრებს, მნიშვნელოვან წარმატებასაც რომ ვერ მიაღწიოს, რადგანაც ქრისტიანულად და პატიოსნად შეასრულებს ქვეყნის ერთგული შვილის ვალს. ჭეშმარიტი პატრიოტი სამშობლოსა და თავისი ხალხის სიყვარულს განსაკუთრებული სიძლიერით ამჟღავნებს საყოველთაო უბედურებისა და გამოცდის დროს. გაიხსენეთ, როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელსაც ახლობელი ჰყავს ავად: გართობისა და სიამოვნების სურვილს კარგავს, ზოგჯერ ჭამა-სმაც კი არ ახსენდება, ვერ ისვენებს. სამშობლოს განსაცდელის ჟამს რაღაც ამგვარი უნდა გამოამჟღავნოს პატრიოტმა, თუ მართლა გულწრფელად უყვარს ქვეყანა, მაგრამ, თუ მისი გული აღსავსეა პირადი განცდებითა და საკუთარი ინტერესებით, თუ მისი საქმე სიტყვას ჩამორჩება, სამშობლოს სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია.

— **როგორ დაიცავს ქრისტიანი მეომარი უფლის მცნებას „არა კაც ჰკლა“?**

— ჩვენს საზოგადოებაში მამულისათვის სამსახურის ერთ-ერთ მეტად თვალსაჩინო მაგალითად მიჩნეულია სამშობლოსთვის სიკვდილი, უმთავრესად — ომში.

— **კი მაგრამ, ჯარისკაცს ხომ სხვა ადამიანის მოკვლა უხდება?**

— სამშობლოს დამცველი მეომარი ქრისტეს მცნებას ასრულებს: „არ არის იმაზე მეტი სიყვარული, ვიდრე მეგობრებისთვის თავის დადება“. რა თქმა უნდა, ომი დიდი ბოროტებაა, ქრისტიანობის საფუძვლების რადიკალურად საწინააღმდეგო, უკიდურესად სამწუხარო მოვლენა და, ალბათ, წარმოგიდგენიათ, რარიგ გასახარი იქნებოდა, რომ ხალხებს შეეწყვიტათ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ სინამდვილეში სხვაგვარად ხდება. ომს მხოლოდ სექტანტები და მეოცნებეები უარყოფენ.

— **რა ვუყოთ მცნებას „არა კაც ჰკლა“?**

— ეჭვგარეშეა, ვინც ამ მცნებაზე მიუთითებს, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ომი მას არღვევს, ამაში არ შეგედავებით, მაგრამ წმიდა ბიბლიიდან ჩანს ისრაელის ხალხის ბრძოლა მტრების წინააღმდეგ ღმერთის ნებითა და დახმარებით, მაშინ, როცა ეს მცნება მათ უკვე ჰქონდათ.

— **რით ახსნით ამ გარემოებას?**

— ძველი შესაქმიდან ჩანს, რომ ის, ვინც ცუდად იხსენიებს თავის მშობლებს, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მცნება ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევის ყველა შემთხვევაზე არ ვრცელდებოდა.

— **მაშ, როდის მოქმედებს?**

— არ შეიძლება, ერთი ადამიანი მეორეს გაუსწორდეს პირადი გადაწყვეტილებით, თვითნებურად. როცა ღმერთმა ახალ აღთქმაში განმარტა ამ მცნების არსი, მიუთითა, რომ მარტო მკვლელობა კი არა, უსაფუძვლო, არაქრისტიანული განრისხებაც კი იკრძალება, მაგრამ თვითონვე, მოციქულებთან საუბრისას ამბობს: „როდესაც გაიგებთ ომებზე და მათ შესახებ, არ შეძრწუნდეთ, რათა ყოველივე ესე უნდა იყოს“. ღმერთის ამ სიტყვებით ბათილდება ყველა განცხადება იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობა კრძალავს ომს და მასში მონაწილეობას. როგორც უკვე გითხარით, ომი საშინელებაა, მაგრამ, საუბედუროდ, იარსებებს როგორც ძალადობისა და უხეში დაპყრობის წინააღმდეგ სიმართლის დაცვის ერთადერთი საშუალება. მხოლოდ თავდაცვით ომებს აღიარებს ქრისტიანობა. როცა მიქაელმა და ანგელოსებმა ეშმაკი ზეციდან ჩამოაგდეს, ომი ზეცაშიც იყო.

— **როგორც ვიცი, ომებში სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ...**

— გახსოვთ, ალბათ, რომ წმიდა ათანასე ათონელის მონასტერში აღიკვეცა ბერად ქართველი თავადი თორნიკე, ბერძნული ჯარების ყოფილი მხედართმთავარი. სახელმწიფოსთვის ძნელბედობის ჟამს იმპერატორმა იხმო იგი და სთხოვა, მეომრებს გასძღოლოდა. თორნიკემ უარი განუცხადა, მე უკვე ბერი ვარო, მაგრამ წმიდა ათანასემ უთხრა: „ჩვენ ყველანი ერთი მიწის შვილები ვართ და ვალდებულნი ვართ, დავიცვათ იგი... თუ უმაღლესი ხელისუფლება ჩათვლის, გამოვიყენოთ ჩვენი ხელები და მკერდი, უყოყმანოდ უნდა დავემორჩილოთ. თუ არ შეისმენ მეფის სიტყვას, შენ იქნები პასუხისმგებელი იმ სისხლზე, რომელიც არ დაიცავი და იმ ტაძრებზე, რომელთაც გაძარცვავენ“. ამ სიტყვების მერე თორნიკე დაემორჩილა წმინდანს და მტერი დაამარცხა, მამული გადაარჩინა.

— **დიმიტრი დონელიც ხომ წმინდანმა — სერგეი რადონეჟელმა დალოცა...**

— დიახ, სწორედ სერგეი რადონეჟელი ლოცულობდა რუსული იარაღის წარმატებაზე და მოიხსენიებდა ბრძოლის ველზე დაღუპულ მეომრებს. რა თქმა უნდა, ომში მონაწილე ადამიანმა შეიძლება შესცოდოს, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა ბრძოლაში პირად სიძულვილსა და შურისძიების გრძნობას აქსოვს, მაგრამ, როცა მზად არის, თავი გაწიროს სხვებისთვის, ძალიან ახლოსაა მოწამებრივ გვირგვინთან.

მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე ბრძანებს: „ღმერთი არს სიყვარული“. როცა ადამიანი სულს დებს მოყვასისთვის, ამაზე დიდი სიყვარული არ არსებობს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას მტერი დაჯაბნის და წაართმევს სამშობლოს, რომელიც უფალმა მისცა.

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლამარა მაღალაძე:

# ვიდრე ღვთისმშობლის ხატი სარდაფიდან არ ამოვაბრძანეთ, ჩემს ოჯახში უბედურება ტრიალებდა

**ქალბატონმა ლამარა მაღალაძემ და მისმა ახლო ნათესავებმა ცხოვრებაში ბევრი სიმწარე ნახეს, ბედმა მათ ზურგი აქცია. სამწუხაროდ, გვიან გაიგეს, რომ უბედურების მიზეზი სახლის სარდაფში უსარგებლო ნივთებთან ერთად მიგდებული მტვრის სქელი ფენით დაფარული და აბლაბუდის ქსელში გახლართული ღვთისმშობლის ხატი იყო.**

— ჩემს მშობლებს არც განათლება აკლდათ და არც ოჯახიშვილობა, მაგრამ თავი ძლივს გაგვქონდა, ღარიბად ვცხოვრობდით. მართალია, საჭმელ-სასმელი არ გვაკლდა, მაშინ ყველას ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ მშიერი არ ყოფილიყო, მაგრამ ფულის შეგროვებას ვერ ახერხებდნენ.

— **რა მიზეზით?**

— პრობლემები არ ილეოდა: ხან ავარია, ხან ავადმყოფობა, ხან ახლობელთა სიკვდილი... მოკლედ, ფული ხელში არ უჩერდებოდათ, მათი შემოსავალი ისე გადიოდა ოჯახიდან, თითქოს ქარის მოტანილი იყო. მამაჩემის დედმამიშვილებიც ცუდ დღეში იყვნენ, ბედი არც მათ სწყალობდათ.

— **რამდენი და-ძმა ჰყავდა მამათქვენს?**

— ხუთი: ორი და, სამი ძმა, მაგრამ ყველანი ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ, მათ შორის — მამაჩემიც.

— **რა დაემართათ?**

— ორივე მამიდა გაუთხოვარი მყავდა, ბედი არ გაეხსნათ. ლამაზებიც იყვნენ, ჭკვიანებიც, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეს, უნივერსიტეტი — წითელ დიპლომზე, მოკლედ, არც განათლება და ინტელექტი აკლდათ, არც გარეგნობა, მაგრამ მათი ცოლად შერთვა არავინ მოინდომა, მაინც გაუთხოვრები დარჩნენ.

— **რა ასაკში გარდაიცვალნენ?**

— ჩემი მამიდები ტყუპები იყვნენ, ერთად ცხოვრობდნენ და თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ 48 წლის ასაკში.

— **ავადმყოფობით?**

— ერთ მათგანს საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მეტასტაზები უკვე კუდუსუნის ძვალზე იყო გადასული და ვერაფერს გახდნენ ექიმები, მალევე გარდაიცვალა. მეორე მამიდამ ტყუპისცალთან განშორება ვერ აიტანა და ორმოცამდე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

— **შენს ბიძებს რა ბედი ეწიათ?**

— უფროსი ბიძა ზღვაში ცოლშვილის თვალწინ დაიხრჩო. წყალში ნასვამი შევიდა და ინფარქტი დაემართა, 34 წლის ასაკში გამოესალმა სიცოცხლეს. ჩემმა ბიცოლამ სამი ობოლი ტანჯვა-წვალებით გაზარდა, სამივეს ასწავლა, დღედაღამ შრომობდა, მაგრამ მისი შვილებიც უბედურები იყვნენ, ვერც კარიერა გაიკეთეს და არც პირად ცხოვრებაში გაუმართლათ — სამივეს დაენგრა ოჯახი, სიღარიბითა და ავადმყოფობით დაიტანჯნენ.

— **მეორე ბიძას რაღა დაემართა?**

— პირველად 19 წლის ასაკში შეირთო ცოლი, მაგრამ ერთმანეთს მალევე დაშორდნენ. საქმეში სიდედრი ჩაერია და იმდენი ქნა, თავისი ქალიშვილი სახლში წაიყვანა.

— **რატომ მოიქცა ასე?**

— სიძე არ მოსწონდა. ღარიბია, ჩემს ქალიშვილს ღირსეულად ვერ აცხოვრებსო. ბიძაჩემი 25 წლის ასაკში ხელმეორედ დაქორწინდა, უკვე ორი დიდი ბიჭი ჰყავდა, როცა ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

— **რამდენი წლის იყო?**

— 45 წლის გარდაიცვალა. თანამშრომლის მამის დასაფლავებიდან მოდიოდნენ მსუბუქი მანქანით და გზაში ავარია შეემთხვათ, მაგრამ ყველანი გადარჩნენ, მხოლოდ ბიძაჩემი დაშავდა სასიკვდილოდ. მისი შვილები ცუდ გზას დაადგნენ — ერთი გალოთდა, მეორე ნარკომანი გახდა. ნერვიულობამ ბიცოლაჩემი დაასნეულა და ლოგინად ჩააგდო, ბიჭები დედას ყურადღებას არ აქცევენ, ძალიან ცუდ დღეშია, სიკვდილს ნატრობს. რაც შეეხება მესამე ბიძას, 21 წლის ასაკში მეზობელმა პურის საჭრელი დანით ჩხუბის დროს მოკლა.

— **ცოლ-შვილი ჰყავდა?**

— არა, დასაოჯახებელი იყო.

— **მამათქვენი რა მიზეზით დაიღუპა?**

— ფილტვების ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა, ბევრს ეწეოდა. დედაჩემიც მალევე მიჰყვა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. როცა მამა გარდაიცვალა, მე 20 წლის ვიყავი, ჩემი ძმა კი — 17-ის. დედის დასაფლავების მერე უცნაური სიზმარი ვნახე. აფორიაქებულს გამომეღვიძა და ძმას ვთხოვე, სარდაფში ჩამყევი-მეთქი.

— **იქ რა გეგულებოდათ?**

— სიზმარში შავოსანი მოხუცი ქალი გამომეცხადა და მითხრა, სანამ ღვთისმშობლის ხატს სარდაფიდან არ ამოიყვან და ისევ ეკლესიაში არ დააბრძანებ, ბედნიერება არ გეღირსებაო.

— **მართლა სარდაფში ინახავდით ღვთისმშობლის ხატს?**

— სამწუხაროდ, არ ვიცოდი, რომ მამაჩემის ბაბუას, რომელიც მღვდელი იყო, საეკლესიო ნივთები და წმიდა ხატები სახლში ჰქონდა.

— **რატომ წამოიღო ეკლესიიდან ხატები?**

— მისი ტაძარი კომუნისტებს დაუნგრევიათ. წმიდა ხატები და საეკლესიო ნივთები ხელში უწმინდურებს რომ არ ჩავარდნოდა, სახლში წამოუღია და გადაუმალავს. სანამ ცოცხალი იყო, ხატებს საიდუმლო ოთახში ინახავდა და მათ წინაშე ლოცვას აღავლენდა, მაგრამ მოხუცის სიკვდილის შემდეგ შვილებს სამლოცველო ოთახი გაუუქმებიათ და ყველაფერი სარდაფში ჩაუტანიათ.

— **რა დაგხვდათ სარდაფში?**

— რამდენიმე ჯვარი, ჭურჭელი, რომელსაც ტაძარში მღვდელმსახურების დროს იყენებენ და მტვრის სქელი ფენითა და აბლაბუდით დაფარული ღვთისმშობლის უზარმაზარი ხატი. სხვა ხატებსა და ნივთებს რა ბედი ეწიათ, ვერ გეტყვით. მე და ჩემმა ძმამ ყველაფერი ეკლესიას შევწირეთ. მღვდელს ვუამბე, რაც მესიზმრა და ვთხოვე, დამხმარებოდა წინაპართა ცოდვების მონანიებაში. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მოძღვარმა დამარიგა და საოცარი შვება ვიგრძენი. მას შემდეგ ეკლესიურ ცხოვრებას ვეწევი, ჩემმა ძმამ სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, სურს, მღვდელი გახდეს. მე ძალიან კარგ ადამიანს გავყევი ცოლად და ბედნიერი ოჯახი მაქვს, უკვე ორი შვილის დედა ვარ, ბავშვებსაც ეკლესიურად ვზრდი, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ ღვთის მფარველობას, სიყვარულსა და იმ დიდ მადლს, რომელიც ჩემს ოჯახზე გადმოდის.

## გილოცავთ მარიამობას!



# ნეკრესის სასწაული

**მტერმა ალყაში მოაქცია ნეკრესის სალოცავი და შიგ თავშეფარებული ქართველები. ყოველი საათი ურჯულოებს გამარჯვებასთან აახლოებდა. საკვები გამოილია, ხსნა არსაიდან ჩანდა. შეწუხდა ხალხი, იარაღი ქალებმაც აისხეს, ილოცეს და ბრძოლისთვის მოემზადნენ, მაგრამ როგორ გაარღვევდნენ ალყას, მტერი ხომ მათზე 10-ჯერ მეტი და უკეთ შეიარაღებული იყო.**



უცებ ჩოჩქოლი ატყდა: თავდადებულ მამულიშვილთა რაზმში ერთ-ერთს თავში აზრად მოუვიდა, მოდი, ღორები დავსეროთ და მტერზე მივუშვათო. „ეგრე ვქნათ, ეგრეო", — სიხარულით აიტაცეს სხვებმაც. იქაურობა ღორების ჭყვიტინმა გააყრუა. ნეკრესის გალავნის კარი გააღეს და ტკივილისგან გადარეული კოლტი პირდაპირ მოალყეებისკენ გაქანდა. სპარსელები ერთხანს გაკვირვებულები უყურებდნენ ამ სანახაობას, მერე უცებ გონს მოეგნენ და მიხვდნენ, რომ ღორები მათ დალაშქვრას აპირებდნენ, თანაც ირგვლივ ყველაფერს „უწმიდური" სისხლით ბილწავდნენ. „ოო, წყეული გიაურები, ეს რა მოიფიქრესო", — ყვირილით გარბოდნენ ურჯულოები. ალყა გაირღვა, ღორების კოლტს ქართველ მეომართა რაზმი მიჰყვა. მათ ადვილად დაამარცხეს დაბნეული მტერი და სამშვიდობოს გავიდნენ. ღვთის ნებით, იმ დღეს ყველა გადარჩა — დიდიც და პატარაც, არავინ დაღუპულა.

## კითხვა-პასუხი

**თუ საერო დღესასწაული ან რაიმე მოვლენა, მაგალითად, მეგობრის ქორწილი, მარხვას, ეკლესიურად დაუშვებელ დღეს დაემთხვა, როგორ მოვიქცეთ, რომ არც შევცოდოთ და არც მეგობარს ვატკინოთ გული?**

— მარხვაში ქრისტიანი ცოდვებზე ფიქრით სულიერად უნდა განიწმინდოს და გამოიწრთოს, მაგრამ საერო დღესასწაულთა უგულებელყოფაც არ შეიძლება. ვთქვათ, მეგობარი დაბადების დღეს აღნიშნავს, ხომ ვერ ეტყვით, ახლა სიხარული არ შეიძლება, მარხვააო? ნამდვილად უგუნურება იქნება. მაცხოვარს არ უთქვამს, მარხვაში წარბშეკრულებმა იარეთო. მან სინანულისკენ მოგვიწოდა. ჭეშმარიტად მონანიე ადამიანი კი თავის ღვაწლს სხვებს არ დაანახვებს, არც მეგობრის სიხარულის გაზიარებაზე იტყვის უარს. მიუღებელია, სატანის მოციქულები ვუწოდოთ მათ, ვინც არ მარხულობს. პავლე მოციქულის სწავლებით, ხორცის მჭამელნი არ უნდა შეურაცხვყოთ, თორემ აზრი არც ჩვენს მარხვას ექნება. რაც შეეხება ქორწილს, ეკლესიისთვის მიუღებელ დღეს გადახდა, რა თქმა უნდა, სასურველი არ არის.

**ზოგი მოძღვარი ლოთებს, ნარკომანებსა და აბორტის გამკეთებელ ქალებს წესს არ უგებს. როგორია ამის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულება?**

— თუ ადამიანმა არ შეინანა და ამ ცოდვებით დამძიმებული აღესრულა, რა აზრი აქვს მათთვის წესის აგებას? წესის აგების ძირითად ლოცვას, რომლითაც მღვდელი ქრისტეს მიერ მინიჭებული ძალაუფლებით ხსნის მიცვალებულს სულს, ძალა მხოლოდ მონანიეზე აქვს, თუმცა ეკლესია ცდილობს, უკიდურესი შემთხვევის გარდა, ყველა ნათელღებულს აუგოს წესი.

**რას ნიშნავს ავადმყოფობის დროს ქრისტიანულად მოქცევა?**

— ავადმყოფობის დროს ქრისტიანმა უნდა იკითხოს სულიერი წიგნები ან სხვას წააკითხოს. წარმოიდგინეთ ქრისტეს ვნება და ტანჯვა და გულიანად ილოცეთ, ხშირად ადით გონებით ღმერთთან და გულამოსკვნით თქვით: ჯვარცმას მივემთხვიე ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდილის მოგონებით.

**რა ასაზრდოებს მრუშობის ცოდვას?**

— მრუშობის ცოდვას ასაზრდოებს სილაღე, სიზარმაცე, ბევრი ძილი, ჯანმრთელობაზე ზედმეტი ზრუნვა, ნაყროვანება, მემთვრალეობა, უჯერო სიცილი, სხეულის განსაკუთრებულად მორთვა-მოკაზმვა, მრისხანება, თავშეუკავებლობა, თავისუფალი და უპასუხისმგებლო ურთიერთობა საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან. თუ ჩამოთვლილ ცდუნებებს არ აჰყვებით, მრუშობის ცოდვას ადვილად გაუმკლავდებით.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

# სამარხვო კერძები

### სტაფილოს სალათა:



გარეცხილი სტაფილო გახეხეთ მსხვილ სახეხზე, შეურიეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. შეაზავეთ მარილით, ზეთით და ლიმონის წვენით. მოასხით სამარხვო მაიონეზი და ფრთხილად აურიეთ.

**მასალა:** სტაფილო — 7-8 ცალი (საშუალო ზომის), ხახვი — 1 თავი, ზეთი — 5 სუფრის კოვზი, სამარხვო მაიონეზი — 3-4 სუფრის კოვზი, ლიმონის წვენი და მარილი — გემოვნებით.

### მჟაუნის წვნიანი:



წვრილად დაჭრილი ხახვი ზეთში მოშუშეთ, დაასხით მდუღარე წყალი სასურველი რაოდენობით. შიგ ჩაყარეთ ორად გაჭრილი კარტოფილები და გარეცხილი ბრინჯი. კერძს მომზადებამდე 5 წუთით ადრე დაუმატეთ დაჭრილი მჟაუნა. შეაზავეთ მარილით და ცეცხლიდან გადმოდგით.

**მასალა:** ზეთი — 100-150 გრამი, ხახვი — 2-3 თავი, ბრინჯი — 0,5 ჩაის ჭიქა, კარტოფილი — 3-4 ცალი; ოხრახუში, ნიახური, ქინძი, კამა — თითო კონა, მჟაუნა — 100-150 გრამი, მარილი — გემოვნებით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

იზოლდა ლაბარტყავა:

# დღეს ვდგავართ ლიბოგამოთხრილი განათლების პირველ ჩანგრეულ საფეხურთან






**პირველკლასელობა მოზარდისთვის ცხოვრების ის ეტაპია, რომელიც თითოეული ჩვენგანის სულიერ კამერტონზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. „დედაენის“ ფურცლები იმ ცოდნის შემცველია, რომელიც მთელი ცხოვრება თან მიგყვება. სიტყვასთან მორკინალმა ღმერთკაცმა იაკობ გოგებაშვილმა დაგვიტოვა „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენის“ კლასიკურ დონეზე დახვეწილი სახელმძღვანელო „დედაენა“.
ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩატარებულმა განათლების რეფორმამ იაკობის „დედაენა“ დაიწუნა და განათლების პოლიტიზების მოსურნე შემთხვევით აღზევებულ პოლიტიკოსთა საეჭვო უზუნდარას მიხედვით, „დედაენის“ ახალი სახელმძღვანელოები შემოგვთავაზა.
რამდენად სჭირდება ამგვარი სახელმძღვანელოები ერთიან, თავისუფალსა და დემოკრატიულ საქართველოზე მეოცნებე ერს, ამის შესახებ გვესაუბრება პირველი კატეგორიის მქონე პედაგოგი, უამრავი სიგელის მფლობელი და არაერთი თაობის აღმზრდელი ИЗОЛДА ЛАБАРТЫАВА.**

**— ქალბატონო იზოლდა, თქვენი 40-წლიანი პედაგოგიური გამოცდილებით, „დედაენის“ შემოთავაზებული სახელმძღვანელოებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— გოგებაშვილის „დედაენა“ უალტერნატივოა. დაწყებითი კლასებისთვის უამრავი ახალი სახელმძღვანელო შემოიტანეს, მაგრამ მას ვერც ერთი ვერ შეედრება. თითოეული გაკვეთილი გოგებაშვილისა ერთდროულად შეიცავს აღმზრდელობით და შემეცნებით ღირებულებას. ტრადიციების გათვალისწინებით, გონებრივი ისარი მომავლისკენაა მიმართული. ყოველი სიტყვა აზომილ-აწონილია. „დედაენაში“ ჩვენი ეროვნული ზნეობის, მენტალობის ყველა კრიტერიუმია დაცული: მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, პატიოსნება, უფროსისადმი პატივისცემა.

დღეს კი ვდგავართ ლიბოგამოთხრილი განათლების პირველ ჩანგრეულ საფეხურთან.

## ახალი სახელმძღვანელოებით ბავშვები წერა-კითხვას ვერ სწავლობენ, რაც ქვეყნისა და მომავალი თაობების დამღუპველია. ახალი სახელმძღვანელოები მეტ-ნაკლები დოზით მთლიანად ანგრევს თაობებში ნაციონალურ ფსიქოლოგიას და დაუნდობლად შლის ეროვნულობას.

ამ დროს მტვერწაყრილია ეროვნული გენიის გამოვლენა — იაკობის „დედაენა“, რომელმაც შეძლო, შეუცდომლად ჩასწვდომოდა ბავშვების სულიერების ურთულეს ხვეულებს, რადგან მას მასშტაბური ხედვა და ერის ჭირ-ვარამზე ატკივებული გული ჰქონდა.

მინდა, გესაუბროთ ეთერ სვანიძისა და ლია ბაკურაძის სახელმძღვანელოზე „მე და დედაენა“. ყოველგვარი გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ესაა უბირთაგან უბირების აღსაზრდელად განკუთვნილი წიგნი. უხერხულია, მას სახელმძღვანელო ერქვას.

**— როგორ, სახელმძღვანელო არაა რეკომენდებული და არსებულ კონკურსებში გამარჯვებული?**

— როგორ არა, სახელმძღვანელო რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ. იქვე, სადაც ეს მითითებულია, ვკითხულობთ: „ვინაიდან ვერ მოხერხდა ზოგიერთი მასალის ავტორთა დაზუსტება, გამომცემლობა და სახელმძღვანელოს ავტორები სიამოვნებით მიიღებენ დამატებით ცნობებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“. ამით ავტორები ცდილობენ, თავიანთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება წიგნთან დაკავშირებით დამალონ. სახელმძღვანელო აშკარად პოლიტიზებულია, რასაც ამტკიცებს პირველსავე გვერდზე გამოტანილი გაშლილი დროშა, გერბი და სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მე-2 და მე-3 გვერდებზე პლაკატურ სტილში შესრულებულ ნახატზე გვხვდება. გოგონა და ბიჭუნა დგანან ნაირფერად აჭრელებულ გლობუსზე და იღიმიან, ხატოვანი წარწერით კი გვიცხადებენ — „ეს ჩემი დედამიწაა“. ეს კი გლობალიზაციის რეკლამაა, რაც ემსახურება უსაზღვრო, უეროვნებო, მომავალი მსოფლიოს მოქალაქის აღზრდა-ჩამოყალიბებას.

არ ვიცი და ვერაფრით ამიხსნია, საიდან გაჩნდნენ „დედაენის“ ფურცლებზე ეს უსამშობლოო, ჩვენთვის უცნობი სახელები: „დედაენის“ მუდმივი პერსონაჟი — ბუბო, დიდი ასოებით აფიშირებულია — „ეს ბუბოა“. მას მოჰყვებიან პეპე, ბებე, მიმი, კიკი, მანკა, ჯერი, ბიმი, ბიბი, მარსკა, მაიკლი, დევიდი, დაისუკე, თხილენი და ისევ უგემოვნოდ შესრულებული წარწერა: „ჩვენ დედამიწაზე ვცხოვრობთ“. მადლობა ღმერთს, მიწიერნი ყოფილან და არა უცხოპლანეტელები. აი, რას გვთავაზობს აღნიშნული სახელმძღვანელო „იჯდა გიგლა ტიტინას“, „გაფრინდა ქეთოს მერცხალის“, „იავნანამ რა ჰქმნას“, „ვაშლი და შაქარას“ ნაცვლად.

არ შემიძლია, არ გაგაცნოთ 84-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლექსი: „ბაჯაჯლუნა ჯუჯა თავის ძმებზე ზრუნავს“. აქ ასეთ სტრიქონს წავაწყდი: „ეზიდება ჰაჯიჯებს და მათ უხვად არიგებს“. მთელი ლექსიკონები გადავქექე და სიტყვა „ჰაჯიჯის“ მნიშვნელობა ვერ ვიპოვე. თქვენც არ იცით... ჰმ, ამას 6 წლის ბავშვი როგორ გაიგებს.

ცალკე ყურადსაღებია „მე და დედაენის“ 139-ე გვერდზე დაბეჭდილი გაკვეთილი „მაიმუნების სკოლა“, სადაც მოსწავლე მაიმუნები შესვენებას არ უცდიან და ბანანს გაკვეთილის მსვლელობის დროს მიირთმევენ. ბოლოს კი საზეიმო განცხადებაა — „თურმე მაიმუნების სკოლა მართლაც არსებობს და ის ამერიკაშია“.

ქართულ „დედაენაში“ უცხოელ საბავშვო მწერალთა პერსონაჟების წარმოუდგენელი სიუხვეა: 1. „პეპი ეზოში ცხენს ასეირნებს“; 2. „პინოქიო პაპა კარლომ ხისგან გამოთალა“; 3. „კუ ტორტილა ბილიკზე მისეირნობს“; 4. „ტარზანი ხიდან ხეზე ხტება“. ამავე წიგნში ქართული ფოლკლორისა და კლასიკოსთა ზღაპრული პერსონაჟების ხსენებაც არაა — ჩვენი წინაპრების ფანტაზიით შექმნილი დევები, მზეთუნახავები, კომბლე, მზეჭაბუკები, ნაცარქექია, ჭინჭრაქა, ხუთკუნჭულა, სალამურა, ასფურცელა... რას ვიზამთ, ბემბისთან კონკურსში ვაჟას „შვლის ნუკრმა“ ვერ გაიმარჯვა, ვერც ჩხიკვმა ზაქარამ აჯობა ჯინა-ჯუნას. ვერაფრით ამიხსნია, რატომაა წიგნში ბავშვების თამაშის სიტყვიერ შესატყვისად — „მოდი ვიმაიმუნოთ“ (გვ. 68). რა კრიტერიუმებით შეარჩიეს „დედაენისთვის“ მინიმოთხრობები „კუ“ ან „საღამოა“, რომლებიც უსიუჟეტოა, ულოგიკო, ყოველგვარ ღირებულებასმოკლებული. შეგიძლიათ 56-ე და 57-ე გვერდებზე წაიკითხოთ.

თქვენ წარმოიდგინეთ, „დედაენის“ ფურცლებზე კოსმოპოლიტიზმის პროპაგანდაა გაჩაღებული. დახატული ბავშვების ფონზე ტრანსფარანტივით გამოტანილია და ხშირად მეორდება ფურცლებზე „დედამიწა ჩემია“ (გვ. 44); „ეს ჩემი დედამიწაა“ (გვ. 103); „ეს კი ჩემი დედამიწაა“ (გვ. 100); „ჩვენ დედამიწაზე ვცხოვრობთ“ (გვ. 99). ეს, რა თქმა უნდა, მოსწავლის „ტვინის გამორეცხვას“ ემსახურება პრიმიტიული ხერხებით, ხოლო პატრიოტიზმმა კი „ბუჩქებში გადაინაცვლა“.

**— ასო-ბგერებთან ერთად გვასწავლიდნენ ქვეყნის ფლორას, ფაუნას, ისტორიულ მოთხრობებს, ლექსებს, უფრო ხშირად — პატრიოტულ მოტივებზე... დღეს ასე არ ხდება?**

— „მე და დედაენაში“ სახელმძღვანელოს მე-9 გვერდზე ხატია ნისკარტაწეული პატარა ჩიტი წარწერით „მე ცოცია ვარ“. ალბათ, გახსოვთ გოგებაშვილის ბულბული, შოშია, მშვენიერი მოთხრობები ორაგულაზე და სხვა. ჩიტი ცოცია ნაკლებადაა ცნობილი, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის. აქ საქმე გვაქვს ავტორების გარკვეულ პრეტენზიასთან — არ იცით, ცხოვრებას ჩამორჩით, კონსერვატორები სკოლიდან უნდა წახვიდეთ! აღნიშნულ სახელმძღვანელოში აქცენტი გადატანილია ფაუნის ისეთ სახეობებზე, რომელნიც ჩვენი მიწაწყლისთვის უცხოა: ვირზაზუნა, პინგვინი, დინგო, გორილა, ღორიხვა, ნიანგი, პანდა, სპილო, კოალა, კენგურუ, კუსკუსი, ლემური, აქლემი, ჟირაფი და სხვა (გვ. 110-94).

მათ არც ფლორის ჯიშები ჩამორჩება „უცხოობაში“: გრეიპფრუტი, ნარცისი, აბზინდა, კაქტუსი, მანანა, მაგნოლია, ბანანი, ქოქოსი, ევკალიპტი, ბაობაბი (გვ. 110-115). გაოცებას იწვევს ბგერათა თამაში. წერია: „მე რვა ბუბო“, ქვეშ მიწერილია სწორი პასუხი: „მე ვარ ბუბო“ (გვ. 19). შინაგანად განივთებულ „ქორმა წიწილა წაიღოს“ ნაცვლად წიგნში გვხვდება კაკადუ.

წიგნში მრავლადაა გაფანტული მინიტესტები. გთავაზობთ ერთ მათგანს: „რომელია სწორი რა? თუ ლა?“; „რა არის თუ ლა ალის?“; „რა არის?“ „თუ ალ ალის?“ (გვ. 52).

123-ე გვერდზე მწირად მოთხრობილია მითი „როგორ გაჩნდა ვაზი“, მაგრამ არაფერია ნათქვამი, რომ საქართველო მსოფლიო ცივილიზაციაში ვაზის კულტურის შემომტან ქვეყნად ითვლება და სიტყვა „Vino“ მსოფლიოს ჩვენ ვაჩუქეთ. მითს დასასრულს მიწერილი აქვს „მადლობა არწივს“.

118-ე გვერდზე ნახავთ იგავის მსგავსს გაკვეთილს: „ბუზი და ჭიანჭველა“. ძალიან სუსტია და პლაგიატის სუნი უდის. წაიკითხეთ და მითხარით, მაგას ჩვენი „რწყილი და ჭიანჭველა“ არ სჯობია?!

95-ე გვერდზე „მგელი და ცხვრები“ მე, პირადად, „მგელი და კრავის“ ასოციაციას მიტოვებს.

არ შემიძლია, თქვენი ყურადღება არ შევაჩერო პროამერიკული ელემენტებით გაჯერებულ გაკვეთილზე „მზე და მთვარე“ (გვ. 76). ამონარიდს წაგიკითხავთ დათოსა და ბუბოს დიალოგიდან: „დევიდი და მაიკლიც ალბათ ჩვენსავით მზეს უმზერენ! — არა, დათო, დევიდსა და მაიკლს ახლა მთვარე დანათის მაღლიდან“... ამ დროს დევიდიც და მაიკლიც მიწაზე იწვნენ და ცას უმზერდნენ“.

ჩემთვის გაურკვეველია „დედაენის“ ერთი პერსონაჟის ვინაობა, მას ხან ძილგუდას ეძახიან, ხანაც — ძილისგუდას. ვფიქრობ, მაიმუნს გულისხმობენ. ამ წიგნს აფრიკის სუნი საეჭვოდ დასტრიალებს, მაგრამ ქართულ ენაში ძილისგუდა მსაზღვრელია და კითხვად „როგორი“ დაესმის და ძილისგუდა ყველა შეიძლება იყოს, ვინც იძინებს.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება უაზრო მონათხრობიდან სათაურით „კუ“, რომელიც 57-ე გვერდზეა დაბეჭდილი...

გოგებაშვილის „დედაენა“ მძივივითაა აწყობილი ბგერების გამოსათქმელად. პირის არტიკულაციით ერები ერთმანეთისგან განვსხვავდებით. ევროპელებს 26 ბგერა აქვთ, ჩვენ — 33. ქართულ ენაში მახვილი სიტყვის პირველ მარცვალზე კეთდება, მხოლოდ ოთხმარცვლიან სიტყვაში გადადის მეორე მარცვალზე. რადგან პატარებს ინგლისურს „დედაენის“ პარალელურად ასწავლიან, მისი გავლენით მახვილი ქართულ ენაში გადაადგილდა და ქართულმა ფრაზეოლოგიამ ჰარმონიული ჟღერადობა დაკარგა. მახვილის დასმაში თვითონ ტელეწამყვანებიც კი მოიკოჭლებენ. დილით ტელეეკრანები წალეკილია უცხოური მულტფილმების ჩვენებით. აი, რა გარემოში იზრდება მომავალი თაობა.

**— რა მიზანს ემსახურება, თქვენი სუბიექტური აზრით, „შემოგდებული“ სახელმძღვანელო, მათი თავისუფალი არჩევანი პედაგოგთა მხრიდან და, საერთოდ, რეფორმის მიერ მოტანილი სიახლეები?**

— წიგნს აწერია, რომ „მე და დედაენა“ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველკლასელებისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იქნებ, მართლაც აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის აღებულ გეზს განათლების თვალსაზრისით, მაგრამ სიტყვა „ეროვნული“ უკვე ცინიზმია. იქვე წერია: „სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს სამყაროს მთლიანობის იდეა და ამ მიზნით მასში ინტეგრირებულია სხვადასხვა სასწავლო დისციპლინის ელემენტები“. „მრავალფეროვანი და არასტანდარტული სავარჯიშოები ხელს უწყობს დამოუკიდებელ მუშაობას“ შეფასებით: „სახელმძღვანელო „მე და დედაენა“ მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, რომ შეძლოს ტექნოლოგიური და სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი დასახული მიზნებისთვის“. ეს კი ჩვენს მომავალ თაობებს მხოლოდ მომხმარებლის ფუნქციას უტოვებს, რადგან ასეთი განათლებით მას არ შეეძლება ახალი ტექნოლოგიებისა და ინტელექტუალური პროდუქციის შექმნა, თუმცა ეძლევა უფლება, გახდეს შემოქმედი. მას კი ამ უფლებისთვის მიღებული ცოდნის დონე არ ეყოფა.

რეფორმით მოტანილმა სიახლეებმა წინაპართაგან მიღებული იგავმიუწვდომელი ლეგენდა „დედაენა“, რომელიც ათასწლეულების მანძილზე შეურყევლად და შეურყვნელად იდგა ჩვენს უძველეს მიწაზე და შემქმნელი ერის ნიჭსა და უნარზე ღაღადებდა, უცხო ძალების ზეწოლის ქვეშ მოაქცია. მისი დაკნინებით კი ქრება ჩვენი ეროვნული თავისთავადობა და ნაციონალური კოლორიტი. უარვყოფთ მის პრიორიტეტს სხვათა მიმბაძველობით და ასე გრძელდება ჩვენი ქვეყნის განათლების კერებში „დედაენისადმი“ აგდებული დამოკიდებულება. ხედავთ, ლამისაა წალეკოს თბილისი ინგლისურენოვანმა ტრაფარეტებმა. სხვა ქვეყნების პოლიტიკური ძალების მიერ შემოჭრილმა კულტურის ექსპორტმა მარწუხებში მოაქცია „დედაენა“ და ნელ-ნელა ახრჩობს. მათი სივერაგე არცთუ ძნელად საცნობია, ულტრათანამედროვე ხრიკებითა და ინტელექტუალური მეკობრის დახვეწილი მანერებით, მეგობრობის სახელით რომ ფარავენ თავიანთ ავკაცობას.

გამოვფხიზლდეთ, ვის სათარეშოდ ვაქციეთ ქვეყანა, ვის მივუგდეთ „ჩვენი ენა ქართული“, ვინ აფათურებს ხელებს ჩვენი ეროვნული სულიერების შრეებში რეფორმების მომიზეზებით, ყალბი ილუზიებით სად გვიპირებენ შეტყუებას?! მგლური კანონით გვართმევენ სანუკვარს — „დედაენას“. ამ სატკივართან შეგუებას, ამ საკითხებზე გულარხეინობას, ცივილიზაციის ყურთბალიშზე უდარდელად თავის მიდებას ისტორია არ გვაპატიებს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# განმუხურის «პატრიოტთა» ბანაკზე ლაპარაკი აკრძალულია?

**შარშან, აგვისტოში, გადამწვარი განმუხურის ბანაკი, რომლის მშენებლობაშიც თავის დროზე სახელმწიფომ ორნახევარი მილიონი ლარი დახარჯა, წლეულს შემცირებული მასშტაბით ისევ განახლდა. ცოტამ თუ იცის, რის გადატანა მოუხდათ ბანაკში მყოფ „პატრიოტებს“ აგვისტოს მოვლენების დროს. რამდენად მიზანშეწონილია ერთი წლის შემდეგ განმუხურში ბანაკის განახლება და აქვს კი სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტია?!**





## ნაციონალურ ხუშტურს აყოლილი ხელისუფლება მილიონებს ცეცხლში წვავს და წყალს ატანს!

2006 წელს 600 კაცზე გათვლილი ბანაკის მშენებლობაში სახელმწიფომ ორ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა, წელს გადამწვარი ბანაკის აღდგენა სახელმწიფოს მილიონ 200 ათასი ლარი დაუჯდა. ბანაკი ამჯერად მხოლოდ 200-მდე დამსვენებელს მიიღებს. საინტერესოა, ფიქრობს თუ არა სახელმწიფო, რომ ტორეადორის პოზიციაშია და, რეგიონში აქტიური სამხედრო პროცესების ფონზე, ამ ბავშვების სიცოცხლით რისკავს? უსაფრთხოების გარდა მნიშვნელოვანი მეორე საკითხიცაა — ქვეყანაში უამრავი სოციალური პრობლემა და დევნილია. ბანაკის აღსადგენად ამდენი ფულის დახარჯვას, იქნებ, კონფლიქტის ზონიდან საკუთარი სახლებიდან გამოძევებული მოსახლეობისთვის თავშესაფრის მიცემა ჯობდა?!

განმუხურის ბანაკის ლიდერები იხსენებენ, რომ შარშან, აგვისტოში, ევაკუაციის გეგმა არ ჰქონდათ და კრიტიკულ მომენტში მოფიქრებული გეგმით ცდილობდნენ ბავშვების დაწყნარებასა და ტერიტორიიდან მათ გაყვანას. **თათია ბოგვერაძე** იხსენებს, რომ მიუხედავად საომარი მოქმედებებისა, ბანაკში დაგეგმილი ღონისძიებები არ შეჩერებულა.

**„ბოლო მომენტამდე არ გვჯეროდა, რომ საფრთხე გვემუქრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გვესმოდა, ფოთი როგორ იბომბებოდა, მაინც გვჯეროდა, რომ ჩვენამდე ვერ მოვიდოდნენ. მხოლოდ 8 აგვისტოს ატყდა პანიკა. ამბებს ძირითადად ტელეფონით ვიგებდით. რამდენიმეს მშობელმაც ჩამოაკითხა. 8 აგვისტოს ღამე მიწაზე გავათენეთ. დილით შეიკრიბნენ ბანაკის უფროსები და ლიდერი ბიჭები და ევაკუაციის ალტერნატიულ გზებზე მოითათბირეს. სხვა გზა არ იყო, ენგური უნდა გადაგვეცურა და სოფლებისთვის შეგვეფარებინა თავი. ასეთი იყო ექსპრომტად მოფიქრებული გეგმა. როგორია შუაღამისას 600 ბავშვის მდინარეზე გადაყვანა? ეს გეგმა თავიდანვე განწირული იყო. ბანაკში სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებული ჩამოვიდა, გვითხრა, რომ დილით ავტობუსებით წაგვიყვანდნენ იქიდან. მეორე დილით ბანაკი დაიცალა. ლიდერები ბოლოს გავედით ტერიტორიიდან. იმ დროს რუსული ვერტმფრენები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ, თითქოს გვაფრთხილებდნენ, რომ დროზე გავცლოდით იქაურობას. რიკოთი გადაკეტილი იყო, ზოგი ავტობუსი მოაბრუნეს. თავიდან ვარციხის ბანაკში უნდა დავბანაკებულიყავით, მაგრამ გზა გაიხსნა და აქეთ წამოვედით. გორი დაბომბილი დაგვხვდა, ერთ კვირაში განმუხურიც გადაწვეს“.**

პატრიოტული ბანაკები წელს, 1 ივლისს, გაიხსნა, განმუხურის ბანაკი კი — მოგვიანებით, 5 აგვისტოს. ამჟამად ბანაკში მეორე ნაკადია. რამდენად არიან დაცული ტერიტორიაზე მყოფი დამსვენებლები და პერსონალი, ამის გასაგებად „საქართველო და მსოფლიო“ **საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილეს სულხან სიბაშვილს** დაუკავშირდა. სიბაშვილი განმუხურის ბანაკის უფროსი იყო 2006 წელს და ამჟამად სამინისტროში პატრიოტულ ბანაკებს კურირებს. მისი განცხადებით, განმუხურის ბანაკი გაზეთში დასაწერი თემა არაა.

**— ბატონო სულხან, შარშან ბანაკიდან 600 ბავშვი რუსული ბომბების ფონზე გაიყვანეთ, არც ევაკუაციის გეგმა არსებობდა. წელს ბანაკი ისევ გაიხსნა. აქვთ თუ არა იქ მყოფ დამსვენებლებს უსაფრთხოების გარანტია და „უფრიალებს“ თუ არა წითელ ნაჭერს საქართველო რუსეთს?**

— ვინ გითხრათ, რომ ევაკუაციის გეგმა არ იყო? მაშინ მშვიდობიანად მოხერხდა ბავშვების გამოყვანა, დაცულები იყვნენ შარშანაც და წელსაც. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტია აქვს. ბანაკის ტერიტორიაზე დგას დაცვა. ვერ გავიგე, რა სტატიას ამზადებთ. ეს ის თემა არაა, რომელზეც უნდა ილაპარაკოთ. ჩვენ არავის „ვუფრიალებთ“ წითელ ნაჭერს. თუ მეტი გაინტერესებთ, სამართალდამცავებს მიმართეთ.

**აი, ასე მოკლე და ძუნწი ინფორმაცია მოგვაწოდა ბანაკის ყოფილმა უფროსმა. ერთი სიტყვით, ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.**

საინტერესოა, როგორ დაიცავდა და დაიცავს რამდენიმე სამართალდამცავი „რუსული ჩექმისგან“ ბანაკში მყოფ პატრიოტებს, თუმცა იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი სამართალდამცავები მოწოდების სიმაღლეზე არიან და არც ხელახალი აგრესიის საფრთხე არსებობს.

რა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს, საერთოდ, პატრიოტულ ბანაკებს? — ხშირად პატრიოტულ ბანაკებს პიონერთა ბანაკებს ადარებენ და ოპოზიციაც აცხადებს, რომ ბანაკებში „მიშას აქტივისტები“ ისვენებენ. მე ამ პროექტის მონაწილე სამი წლის განმავლობაში გახლდით და ვეცდები, შიდა სამზარეულო მეტ-ნაკლებად გაგაცნოთ.

პატრიოტული ბანაკები, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2005 წელს გაიხსნა. რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ვარციხის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, სქურის, ყვავილნარის, ბაზალეთის, ხელვაჩაურის, საგარეჯოს, ბაკურიანის ბანაკები ფუნქციონირებდა, რამდენიმე მათგანი დაიხურა კიდეც. ამ პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ყოველწლიურად რამდენიმე მილიონს ხარჯავს.

ბანაკში უფროსებთან ერთად მუშაობენ ლიდერები. საამისოდ ახალგაზრდები ბანაკში წასვლამდე სპეციალურ მომზადებას ლიდერთა სკოლაში გადიან. ეს გია მაისაშვილის „ლიდერთა სკოლა“ არ გეგონოთ, იგი საქართველოს ბავშვთა ფედერაციაშია. ის, რომ ბანაკი მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებითაა დაკომპლექტებული, სრულ სიმართლეს არ შეეფერება — უმეტესობა მაინც სოციალურად დაუცველი ფენიდანაა. უფროსობა, რასაკვირველია, მმართველი პარტიის ინტერესების დამცველია, მაგრამ ყველა ლიდერი — არა. ლიდერთა სკოლაში მომზადების შემდეგ გამოცდა ჩავაბარეთ. 9 ადამიანმა ყველაზე მაღალი ქულები ავიღეთ, რის შემდეგაც ნაციონალების სათავო ოფისში დაგვიბარეს, სადაც იგეგმებოდა, როგორ უნდა განახლებულიყო ბანაკი და რა უნდა შეცვლილიყო მომდევნო წელს, თუმცა იქ რაც ითქვა, არაფერი განხორციელებულა, იდეები იდეებად დარჩა. 9 მონაწილიდან გასაუბრება ყველამ სათითაოდ გავიარეთ. როდესაც პარტიულობაზე მიდგა საქმე, მე ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და არასდროს ვიქნებოდი პარტიული, თუმცა კარგ პროექტებში სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას. 9 კაციდან 7 დატოვეს, მათ შორის მეც.

ჩემი ერთი კოლეგა ლაგოდეხის პატრიოტულ ბანაკში ისვენებდა. რომ ჩამოვიდა, ყვებოდა, რომ დილაობით ბავშვებს ხაზზე მოაწყობდნენ და „მიშა სააკაშვილს გაუმარჯოს!“ აყვირებდნენ, ამიტომ სურვილი აღარ მაქვს, მეორედ წავიდე ბანაკშიო. ლაგოდეხის ბანაკის უფროსი ირაკლი ნადირაძე სპორტისა და კულტურის დეპარტამენტში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. მე ორი წლის განმავლობაში სქურის ბანაკის ლიდერი ვიყავი და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მსგავსი რამ ჩვენს ბანაკში არ ყოფილა.

ორი წლის წინათ განმუხურში პატრიოტული ბანაკების ლიდერთა შეკრება მოეწყო და „გამოცდა“ იქაც ჩაგვიტარეს. გარდა პირველისა, ტესტები პოლიტიკური შინაარსისა იყო — თუ რომელ პოლიტიკოსთან ან სახელმწიფო მოხელესთან ვისურვებდით მუშაობას, ვინ მიგვაჩნდა ყველაზე ძლიერ პოლიტიკოსად, ყველაზე ინტელექტუალურად და ა.შ. ლიდერების ნაწილი ამ ტესტს არასერიოზულად მიუდგა და ხუმრობით (მაპატიონ ლეიბორისტებმა) უმეტესობამ შალვა ნათელაშვილი ჩაწერა. ამის გამო ბევრი ლიდერი „დაბრაკეს“.

რაც შეეხება აქციებში მონაწილეობას, 7 ნოემბრის დარბევის საღამოს, „ნაცები“ რომ შეიკრიბნენ მერიასთან, მეც მომივიდა მესიჯი, „პატრიოტები“ მერიასთან ვიკრიბებით და მოდიო. იმ დღეს რუსთაველზე ვმუშაობდი, მოვლენებს ვაშუქებდი და დარბევამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. 10 წუთის დატოვებული მქონდა ტერიტორია, უკან რომ მივბრუნდი. ერთადერთი აღმოვჩნდი მამაკაცებში; რეზინის ტყვიებით ხელში მათ უკან მივყვებოდი და ვეკითხებოდი, თუ რას უკრავდნენ ტაშს. იმ დღეს ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული კონცერტიც იყო „ლოკომოტივზე“. ხალხი აქციაზე დადიოდა და ეს კონცერტი არ აინტერესებდა. მაშინაც მომივიდა მესიჯი, რომ კონცერტზე პატრიოტის ფორმაში გამოწყობილი მივსულიყავი. იმ დღეს ბევრი რამ შეიცვალა ჩემს წარმოდგენაში.

ორი წელია, რაც ეს პროექტი დავტოვე და მინდა, ყველას ვუთხრა, რომ მე არ ვარ „ვინმე მიშას“ ან ზურას პატრიოტი, მე ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ და ამ ბავშვებსაც ნუ გადააქცევთ კონკრეტული პერსონების ლაქიებად.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ომის წლისთავზე პატრიოტული ბანაკების გახსნას ხომ არ ჯობდა, ის თანხა, რაც უნდა დაიხარჯოს ბანაკებში, რუსული ინტერვენციის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას მოხმარებოდა? რაც შეეხება განმუხურის აღსადგენად გამოყოფილ თანხას, ამ ფაქტს უკვე ოპოზიცია გამოეხმაურა და კულტურის სამინისტრო თანხების არამიზნობრივ ფლანგვაში დაადანაშაულა.

**მაგდა კლდიაშვილი**

## რედაქციისაგან:

**ალბათ, გახსოვთ, დეპუტატმა პაატა დავითაიამ შარშან, „ვარდების რევოლუციის“ მორიგი წლისთავის დამდეგს, რომ განაცხადა, დარწმუნებული ვარ, რუსეთის ფედერაცია საქართველოს წინააღმდეგ ინტერვენციის ახალ გეგმას ამზადებსო და იქვე დასძინა: „საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთს თავს დიპლომატიური ქარიშხალი უნდა დაატეხოს“. მანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ „რუსული ინტერვენციის მთავარ მიზანს ამ ეტაპზე საქართველოს ენერგოსექტორზე თავდასხმა წარმოადგენს“, და ამ თავდასხმის მიზანიც „ზუსტად“ გამოიცნო“: „რუსულ მხარეს ენგურჰესის ხელში ჩაგდება სურს“.**

**შარშანდელი ომის დაწყებისას სამეგრელოში მყოფი მამაცი მთავარსარდლის საჭურველმტვირთველის ფუნქციაშეთავსებული პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე შეშფოთებას არ მალავდა: „აფხაზეთსა და სამეგრელოში მოვლენები ზუსტად ისე ვითარდება, როგორც ეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აგვისტოს დასაწყისში ხდებოდა“.**

**პაატა დავითაიას ფანტაზიამ ფრთები შეისხა. უფრო სწორად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ რუსეთს (საბედნიეროდ!) უომრად დაუთმო ენგურჰესი და არც „ენერგოსექტორზე თავდასხმა“ განხორციელებულა. რაღა თავდასხმა იყო (და არის!) საჭირო, როცა ამ ხელისუფლებამ მთელი ენერგოსისტემა რუსულ კომპანიებს გადაულოცა, თავის თავს ხომ არ მოუწყობენ „ინტერვენციას“?**

**შესაბამისად, გამარჯვებულმა ქართულმა ხელისუფლებამაც „დიპლომატიური ქარიშხლის“ ატეხვის და რუსეთზე დატეხვის მოთხოვნით აღარ მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას.**

**სამაგიეროდ, პაატა დავითაიას შარშანდელი მოწოდება ბუნებამ შეისმინა და, რაკი ბუნება მბრძანებელია, მთლად დიპლომატიური ვერა, მაგრამ ძლიერი ქარიშხალი და წვიმა კი დაატეხა ზუგდიდის რაიონის სამ სოფელს — ორულს, ერჯეტასა და განმუხურს.**

**ორ სოფელში არადიპლომატიურმა ქარიშხალმა მოსახლეობას სახლები დაუზიანა, შენობებს სახურავები ახადა და ასწლოვანი ხეც კი მოგლიჯა. სოფელ განმუხურში კი „პატრიოტთა“ განახლებულ ბანაკებს და საზაფხულო ბუნგალოებს ხელი მოუთავა. თუკი შარშან ცეცხლმა შთანთქა მილიონობით ლარი, წლეულს ქარმა და წყალმა წაიღო. სიცოცხლის ოთხი სტიქიიდან ცეცხლი, წყალი და ჰაერი მწარედ გამოვცადეთ, მესამე სტიქიამ — მიწამ კი „მეხუთე ელემენტი“ ჩაყლაპა.**

**ალბათ, შარშანდელი ომის დროს ბუნკერს შეჩვეულმა წლეულსაც ქარიშხლით შეშინებულმა თავი იქ შეაფარა, თუმცა არჩამოშლილი და გულმოცემული ხელისუფლება გვაფრთხილებს, რომ „ეს ის თემა არაა, რომელზეც უნდა ილაპარაკოთ“. არადა, როგორ გინდა, გაჩუმდე, როცა ნაციონალურ ხუშტურს აყოლილი ხელისუფლება მილიონებს ცეცხლში წვავს და წყალს ატანს!**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მარიკა ლორთქიფანიძეს დარუბანდის ჭიშკარი და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ჩირად არ ულირს!..



**გააცნობიერა ჩვენმა ერმა მსოფლიოში მომხდარი გლობალური ძვრები და მოსალოდნელი საშიშროებანი? ვიპოვეთ თუ არა მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში ჩვენი ადგილი? ვართ თუ არა, როგორც ახლა გაიძახიან, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სუვერენული და, არ ვიცი, კიდევ რა სახის ქვეყანა? გამოგვაჩნდა კი ღვთისგან უხვად ბოძებული ჭკუა? ვფიქრობ, რომ — არა. საქართველომ დაკარგა ვეებერთელა ტერიტორიები და არ ვიცით, დანარჩენსაც შეგვარჩენენ თუ არა.**

დღეს ხშირად გაისმის სხვადასხვა ტრიბუნიდან — დაგვეხმარებიანო. უკრაინა დაგვეხმარება, აშშ, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი... მინდა, მივმართო ჩემს ხალხს. რა სიტყვაა „დაგვეხმარებიან“? რატომ დაგვეხმარებიან ან რისთვის უნდა დაგვეხმარონ? ვინ ვის დახმარებია ოდესმე, თუ ის საკუთარ გამორჩენას არ ეძებს? ან კი რით უნდა დაგვეხმაროს ესტონეთი, რომლის მთავრობის წარმომადგენლებიც რამდენჯერმე იმყოფებოდნენ თბილისში და დაგვპირდნენ დახმარებას, რა აქვთ მათ? „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“, — ნათქვამია. ან ლიტვას და ლატვიას რა აქვთ? გაიხსენეთ ძველი მონაცემები წლიური შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. რსფსრ-ის, უკრაინის, ბელორუსიის და ყაზახეთის შემდეგ საქართველო ყოველთვის გამოდიოდა V-VI ადგილზე. ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და სომხეთი კი ბოლო ადგილზე იმყოფებოდნენ. მე შემთხვევით გაგონილზე არ ვლაპარაკობ: გარკვეულწილად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მქონდა შეხება და ვიცნობდი საქართველოს შესაძლებლობებს, ქვეყანას, რომელსაც მრეწველობის თანამედროვე საშუალებები აქვს: მეტალურგია, ავიამშენებლობა, ელმავალმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, განვითარებული სოფლის მეურნეობა, მდიდარი წიაღისეული, ზღვა და მთა. ეს ყველაფერი პოტენციური შესაძლებლობებით დიდად აღემატებოდა არა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, არამედ ევროპის ბევრ პატარა კაპიტალისტურ ქვეყანასაც, რომლებიც დღეს ჩვენთვის თითით საჩვენებელნი, მისაბაძნი და მიუწვდომელნი არიან. ამასწინათ ჩვენი პრესა იტყობინებოდა, რომ წყალტუბოში ყოველწლიურად 135 000 დამსვენებელი ჩამოდიოდა. უხეშად თუ ვიანგარიშებთ, ერთი დამსვენებელი, სულ მცირე, 2000 დოლარს მაინც ჩამოიტანდა. წელიწადში 170 მილიონი დოლარი გამოდის, ოც წელიწადში კი — 3 მილიარდ 400 ათასი დოლარი. ყურადღება მიაქციეთ: ეს იმის ნახევარია, რასაც დღეს საგარეო ვალად ასახელებენ. თუკი მარტო წყალტუბოს ამდენი შეეძლო, დანარჩენი რეზერვებით რა შედეგის მიღწევა შეიძლებოდა?

გარდა ამისა, ვინმე დაფიქრებულა, ამ ქვეყნებს, რომლებიც ჩვენკენ მოისწრაფვიან დასახმარებლად, რა აქვთ გუნებაში?

დღეს ჩვენთან პატრიოტული აღზრდის საკითხი მოიკოჭლებს. და არა თუ ახალგაზრდები, მაღალი რანგის ქართველებიც არ არიან მზად, ისტორიულად დასაბუთებული პასუხები გასცენ მოზღვავებულ, ვითომდა მეგობრულად შემოპარულ, მტერს.

**საქართველოს ნაწილებად დაგლეჯის პროცესი დაწყებულია და დიდმა და პატარა მეზობლებმაც იწყეს ჩვენი მიწებისა და ისტორიული ძეგლების მითვისება.**

გულისტკივილს ვერ ვმალავ. ამასწინათ ტელეგადაცემაში ისტორიკოსი, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე მიიწვიეს აზერბაიჯანის მოთხოვნაზე გელათში აღმაშენებლის მიერ ბრძოლით ჩამოტანილი დარუბანდის ჭიშკრის დაბრუნების შესახებ ინტერვიუსთვის. დარწმუნებული ვარ, მისი მიწვევა ამ შემთხვევაში ისტორიულად დასაბუთებული პასუხის გაცემით იყო განპირობებული. და, ჰოი, საკვირველებავ! ქალბატონმა მარიკამ სრულიად აუღელვებლად გასცა პასუხი: „რა ვუყოთ მერე, წაიღონ, თუ მაინცდამაინც, ჩვენ ასლი გავაკეთოთ (ტექსტი დაცულია) და დავიტოვოთ.“ მეორედ მოწვევის დროს კი, ასევე, აზერბაიჯანის მოთხოვნაზე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიტაცების შესახებ ისევ ქალბატონი მარიკა აუღელვებლად პასუხობს: „მერე რა, დავით გარეჯის კომპლექსის ერთობლივი ექსპლუატაცია მოხდესო.“ არ ვიცი, ვინ უყურა ამ გადაცემას და ვის რა შთაბეჭდილება დარჩა, ჩემში კი დიდი გულისტკივილი გამოიწვია და მინდა, მივმართო არა მარტო ქალბატონ მარიკას, არამედ მთელ ქართველ ხალხს: აღმაშენებელს ბრძოლით მოპოვებული ჭიშკარი ქათმებისა და ცხვრების დასამწყვდევად კი არ ჩამოუტანია, არამედ იგი საქართველოს მიღწევების ოქროს ფონდად აქცია. რაც შეეხება ასეთი ჭიშკრების ასლების ისტორიულ მნიშვნელობას,

**ქალბატონ მარიკას ვთხოვ, ეს ასლი მან აზერბაიჯანს შესთავაზოს და რა პასუხსაც მიიღებს, თავად ნახავს.**

ასევე, მინდა, ვკითხო ქალბატონ მარიკას: დავით გარეჯი მას ნამდვილ ქართულ ისტორიულ ძეგლად მიაჩნია, თუ იგი მეწველი ძროხაა, ერთობლივი ექსპლუატაცია რომ გავუწიოთ? თუ ასე მოვექცევით ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, უკვე სხვა ერებმაც დააყენეს საკითხი და ცოტა ხანში აღარც გასაცემი დაგვრჩება რამე და აღარც სალაპარაკო გვექნება. ან თუ ამ საქმეს დემოკრატიული თვალსაზრისით ვუყურებთ, უკვე დამდგარა დრო, ყველამ ყველას დაუბრუნოს მისი საკუთრება. მაშინ იქნებ დაგვეყენებინა საკითხი, რომ, თუნდაც, იმავე აზერბაიჯანმა დაგვიბრუნოს ჩვენი ტერიტორიები და იქ მცხოვრები ქართველები, ასევე, სომხებმა — ჩვენი უძველესი ციხეები და სალოცავები, თურქეთმა — ტაო-კლარჯეთი... თუ ფიქრობთ, რომ იქ ვინმე იტყვის, — მერე რა, დავუბრუნოთო.

ისევ სატელევიზიო გადაცემიდან. ამასწინანდელი არც თუ ისე წარმატებული პროექტიდან ერთ-ერთ გადაცემაში დიდი პათოსით გამოვიდა ბატონი მიხეილ ქურდიანი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და, მგონი, აკადემიკოსიც და საქვეყნოდ განაცხადა, ჩვენ თურქებმა რა დაგვიშავა ან რა წაგვართვა. ყველაფერი რუსეთმა წაგვართვაო. მართალია, მას ნაწილობრივ იქვე გასცეს საკადრისი პასუხი და, თუ იგრძნო, კარგადაც ჩაარტყეს თავში. მე კი ბოდიშის მოხდით მივმართავ: ნუთუ მან ისე გაიარა საბავშვო ბაღი, სკოლა, ინსტიტუტი, დისერტაციების დაცვა, რომ ერთხელ არავის უთქვამს, რა წაგვართვეს ან თურქებმა, ან სხვამ. სხვა თუ არაფერი, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ ხომ მაინც კარგად არის აღწერილი, რომ ახალციხეში თურქი ფაშა იჯდა და იგი რუსული მხედრობის მიერ განთავისუფლდა? ნუთუ ტაო-კლარჯეთზე არ გსმენიათ? ან ბათუმი, ქობულეთი, ფოთი რუსეთმა არ დაგვიბრუნა?

რუსეთი ვახსენეთ და არ შეიძლება, რაიმე არ ვთქვათ რუსეთისა და საქართველოს დღევანდელ მწვავე დაპირისპირებაზე, რომელმაც უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა უკანასკნელ პერიოდში. მავანი ერეკლე მეფესაც შეცდომად უთვლის რუსეთისთვის მფარველობის თხოვნას. თუ ერეკლე მეფის ცხოვრებას გადავხედავთ (და არა მარტო ერეკლე მეფისას), მას ერთი წამითაც არ ჰქონია დამშვიდებული ცხოვრება.

ისტორია ამბობს, რომ სიკვდილის შემდეგ ტანზე რომ გახადეს მოხუც მეფეს, სხეულზე ათეულობით დიდი და პატარა ნახმლევი აჩნდა. და მაინც, მიუხედავად მისი თავდადების, ფიზიკური სიძლიერისა და მამაცობისა, საქართველოს საქმე კატასტროფულ მდგომარეობამდე იყო მისული. სამხრეთიდან მოძალებულ ურიცხვ მტერთან გამკლავების უნარი საქართველოს სახელმწიფოს აღარ შესწევდა და ამიტომაც ეს დიდებული პიროვნება, სახელგანთქმული მეფე და მამულიშვილი იძულებული გახდა, ქვეყნის ხსნა სხვაგან ეძებნა. ერთადერთი გზა ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიდიოდა. აქვე ყველა ქართველს ვეკითხები: რა იყო ქართველი ერის საუკუნოვანი ბრძოლების მიზეზი სამხრეთის ქვეყნებთან? იქნებ, მართლაც ჯობდა, ქედი მოგვედრიკა და მათი გავლენის ქვეშ ვყოფილიყავით? ვფიქრობ, პასუხი ერთია: ქართველი ერი ცხოვრობდა თავისი ადათწესებით, რაც სავსებით უცხო და შეუსაბამო იყო სამხრეთის ქვეყნებისთვის. ამიტომ უხდებოდა გამუდმებული ბრძოლა არსებობისთვის.

რაც შეეხება, რამდენად გაამართლა ერეკლე მეფის ამ ნაბიჯმა, ეს ისტორიის შემდეგი საფეხური და ცალკე განხილვის საგანია. თუ გეორგიევსკის ტრაქტატს გადავხედავთ, წუნსაც ვერ დავდებთ. ეს თითქმის საქართველოს სასარგებლოდ დაწერილი დოკუმენტია, სადაც გარკვევით წერია, რომ რუსეთი ჯარით უნდა დაგვხმარებოდა ომებში. ამაზე მეტს ვერც ვისურვებდით, მაგრამ განვლო დრომ და აღარც ერეკლე მეფე იყო და აღარც ტრაქტატი ახსოვდა ვინმეს. რუსეთი კი იმპერია იყო და თავის იმპერიულ პოლიტიკას ატარებდა. აქ არ შევუდგები შემდგომი პერიოდის მოვლენების აღწერას, რადგან ამ საკითხზე ბევრიც დაიწერა და ბევრიც ითქვა.

**მიუხედავად მრავალი ცუდისა, ამ საქმეს ბევრი კარგიც მოჰყვა. ქართველ ერს მიეცა გამრავლების საშუალება, თავებს აღარ სჭრიდნენ ჩვენს მეფეებს, თავადებსა და სამხედრო პირებს, დაცული იყო ტერიტორიული საზღვარი, საზოგადოების მოწინავე თაობას მიეცა განათლების მიღების საშუალება, მოგვევლინენ ილია, აკაკი, ვაჟა და სხვა მრავალი ერისკაცი, რომლებიც ერს წინამძღოლობდნენ.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეფის რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობას ჰქონდა კარგი და ცუდი მხარე, რასაც ვერ ვიტყვით სამხრეთის იმპერიებთან ურთიერთობაზე. აქედან მოდიოდა მხოლოდ და მხოლოდ ცუდი და უბედურება.

ნათქვამია, შეიძლება გატეხო საათი, მაგრამ დროს ვერ გააჩერებ. მეფის რუსეთი დაინგრა და მის ფესვებზე აღმოცენდა საბჭოთა ქვეყანა, რომელშიც საქართველო შევიდა როგორც მოძმე რესპუბლიკა. ეს მოვლენა უნდა განვიხილოთ როგორც სამყაროს განვითარების გარდაუვალი პროცესი. ზოგი ამტკიცებს, რომ მენშევიკური მთავრობა არ შევიდოდა სსრ კავშირში, მაგრამ ისტორიული დოკუმენტები ამტკიცებს, რომ ბატონი ჟორდანია საქართველოს არსებობას განიხილავდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ძალებთან ერთად. საბოლოოდ რუსეთში მენშევიკური ძალები რომ დამკვიდრებულიყო, საქართველოც, ნებით თუ უნებლიეთ, ამ გზას დაადგებოდა. რეალობიდან და საქართველოს გასაბჭოების ისტორიული ფაქტიდან უნდა გამოვყოთ კარგიც და ცუდიც. ამ მდგომარეობიდან საქართველომ მიიღო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების მკვეთრი ზრდა, იმატა საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობამ (სკოლები, ტექნიკური სასწავლებლები, ინსტიტუტები), აიგო მძლავრი ჰესები, მომზადდა მსოფლიო მასშტაბის სპეციალისტები. ქართველი ინჟინრები მუშაობდნენ ინდოეთში, კუბაში, აფრიკის ქვეყნებში და სხვ. ხალხისთვის ხელმისაწვდომი იყო სამედიცინო დახმარება, ვითვლებოდით თანასწორუფლებიანად მოძმე რესპუბლიკებთან. ასეთსავე პირობებში იმყოფებოდა რუსეთიც, მიუხედავად საერთო საქმეში (ნავთობი, წიაღისეული, ხე-ტყე, ტერიტორიები) მისი ბუმბერაზი წვლილისა.

კვლავ გატყდა საათი, დრო კი ისევ არ გაჩერდა. დაინგრა თუ დაანგრიეს საბჭოთა კავშირი, საქართველოს ბედის ბორბალი კვლავ დატრიალდა, მაგრამ როგორ ბრუნავს , ჯერ კიდევ გაურკვეველია. აგორდა რუსეთთან დაპირისპირების ახალი ტალღა. ანტირუსულმა პროპაგანდამ იმ დონეს მიაღწია, რომ დღევანდელ თაობას სავსებით აღარ აქვს წარმოდგენა არც შაჰ-აბასზე, არც ოსმალეთის სულთნებზე, არც ჯალალ-ედ-დინზე და არც ბიზანტიის იმპერიაზე. ეს ისედაც ადვილი დასაჯერებელია. ხალხს უძველესი წარსული ავიწყდება. ახალი იმპერატორი ხომ, ასე თუ ისე, რუსეთია. და ამ მომენტში კვლავ გაჩნდა ახალი საჭიროება ერეკლე მეფისეული ტრაქტატისა რომელიმე ქვეყანასთან.

**დამოუკიდებლად ვერ ვწყვეტთ ვერანაირ საკითხს და საზღვარზე დახოცავენ ჩვენს ჯარისკაცებს, თუ ბომბებს დაგვაყრიან თავზე, იმ წუთში გავრბივართ გაეროში, ეუთოში, ნატოში და სხვა ამგვარ ორგანიზაციებში, რის გამოც, მგონი, მათ თავიც მოვაბეზრეთ და ჩვენი შველის ნაცვლად ისინიც თან გადავიყოლეთ.**

ამის დადასტურებაა მათი იძულებითი გაყვანა საქართველოდან. ეს მათი ავტორიტეტის შელახვაა და არა მგონია, კმაყოფილები იყვნენ. ბოლო ოცი წლის მანძილზე კი ჩვენი ქვეყანა დღითიდღე მიექანება უფსკრულისკენ: იხურება უმაღლესი სასწავლებლები, ნულამდე დაეცა მრეწველობა, უკიდურესად უჭირს სოფლის მეურნეობას. გლეხი ველარ ამუშავებს მიწას და ნებაყოფლობით ანებებს თავს. ამ შემთხვევაში კი მიწა ხელში უვარდება უცხო პირებს. სოფლის შეშფოთებული მოსახლეობა მოაწყდა ქალაქს თავის გადასარჩენად. ამასწინათ ბაზარში ერთი გლეხი ჩიოდა, რომელსაც სოფლიდან ძაღლი გამოჰყოლია. ძაღლმა კი ქალაქში სხვა ძაღლებიც ნახა, ქუჩაში დაგდებული პური და ძვალიც იპოვა და პატრონს უკან აღარ გაჰყვა. ესაა გაუმართლებელი მიგრაცია კაცისთვისაც და ძაღლისთვისაც. ქალაქს, რომელიც თავის ძირძველ მოსახლეობასაც ვერ უზრუნველყოფს სათანადო სიკეთით, მისთვის მოსახლეობის ახალი ტალღის მოზღვავება შეიძლება კატასტროფულიც კი აღმოჩნდეს. ამ ფონზე დღეს ამომავალ მზედ მოიხსენიება ნატოში გაწევრება. ამ პროცესს დასასრული არ უჩანს და ისე არ გამოვიდეს, სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი გააძრონ.

ან თუ მომავლის პერსპექტივებს გადავხედავთ, გვილირს კი ნატოსთვის ამდენი ძალისხმევა? ეს ხომ ის ორგანიზაციაა, რომელიც, მოლაპარაკების მიხედვით, ვარშავის ხელშეკრულების ძალების მოშლასთან დაკავშირებით, როგორც მისი გამაწონასწორებელი სამხედრო ძალა, უნდა დაშლილიყო? ან კი ევროპის წამყვანი ქვეყნები, რომელთაც აღარაფერში სჭირდებათ ნატოს არსებობა, დიდხანს შეუწყობენ ხელს მის გახანგრძლივებას? აკი, უკვე აშკარად იგრძნობა საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის სახელმწიფოების არც თუ ისე დიდი სიმპათია იმ ძალებისადმი, რომელიც ჯერჯერობით მაინც ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ იმყოფება? ან ევროპა დიდხანს შეძლებს აშშ-თან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას? ხომ არ მოხდა ისე, რომ შეერთებულმა შტატებმა, როცა გერმანიის გაერთიანებას

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

შეუწყო ხელი, ამით საკუთარ ჰეგემონიას შეუქმნა საფრთხე? განა საფიქრალი არ არის, რომ ამაყი, გამრჯე, განათლებული და დიდი წარსულის მქონე ხალხი როცა ძალას მოიკრებს, კვლავ გაუჩნდება მსოფლიო პირველობის პრეტენზია? მერე სადღა უნდა ეძებოს საქართველომ თავისი ადგილი?

შეგახსენებთ დიტრიხ გენშერის სიტყვებს. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში მყოფს ტელეკომენტატორებმა უთხრეს, რომ საქართველომ უარი თქვა რუსეთთან ურთიერთობაზე და გეზი აიღეთ ევროპისკენ. მან კი ირონიული ღიმილით უპასუხა: რა ვიცი, თქვენ ორჯერ უკვე სცადეთ ეგ საქმე და არ გაგიმართლათ, თუ გნებავთ, კიდევ ეცადეთო. შეგახსენებთ, გასულ საუკუნეში აქ ჩამოსულმა ცნობილმა ინგლისელმა კაპიტალისტებმა — ჰარიმანმა, მიულსებმა და გარტებმა (მაშინდელი მრეწველები საქართველოში) რაც მოასწრეს, ის წაიღეს, საქართველოსთვის კი არაფერი გაუკეთებიათ. მე პირადად ვესაუბრე ერთ-ერთ პიროვნებას, რომლის ოჯახიც საქმიანობის მხრივ დაკავშირებული იყო ამ ხალხთან და მითხრა, რომ ისინი ადამიანებად არ გვთვლიდნენ, ხალხთან ურთიერთობას არ კადრულობდნენ და მხოლოდ იმ საქმეს აკეთებდნენ, რაც მათთვის სასარგებლო იყო.

დღეს მსოფლიოში ერებმა გამოიღვიძეს და აყენებენ საკუთარ მოთხოვნებს. ისინი თავიანთ საუკუნოვან ტრადიციებს უფრო იცავენ, ვიდრე ჩვენ. გადავხედოთ თბილისს.

**მაღაზიებსა და ორგანიზაციებზე ქართული წარწერა არსად კეთდება. თუ ასეთ რამეს სადმე წააწყდებით, ინგლისურად ან თურქულადაა აჭრელებული, სადღაც კუთხეში კი საცოდავი ქართული ასოებით ძლივს შესამჩნევია დასახელება.**

მახსოვს, ადრე ავლაბარში სომხებმა ერთ-ერთ ღვინის სარდაფს სომხურად დააწერეს „ღვინო“. ამაზე მთელი ამბავი ატყდა და მოაშლევინეს. დღეს ამგვარ რამეს ველარავინ ამჩნევს. თუ ეს დღე გველოდა, რას ვერჩოდით ამ სომხებს, მათაც გაეხარათ და დაეწერათ თავიანთ ენაზე. ჩვენთვის ხომ სულ ერთია და ადვილად ვეგუებით ამას! ამ გზით თუ წავალთ, ისინი ხომ მაინც მიაღწევენ სანადელს?

ჩვენმა ქვეყანამ უნდა გაარჩიოს ავი და კარგი. თუ ევროპელი მდიდარი ჩინოსნები საამაყონი არიან, რად მიგვაჩნია ცუდებად ის ქართველები, ვინც რუსეთში თავისი ნიჭიერებითა და შრომით წარმატებულად მოღვაწეობს? ან ის ყბადაღებული მსოფლიო მხარდაჭერები სად არის, როცა შინ თუ გარეთ ლტოლვილებად ქცეული ქართველობა იდევნება პოლონეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან? ამ ქვეყნებიდან ქართველების გამოძევებას რატომ აღვიქვამთ უმტკივნეულოდ, როცა რუსეთში მომხდარ მსგავს მოვლენაზე განგაში ავტეხეთ?

**რაულ მიროტაძე**

# ამერიკული ვირტუალური პროექტი «საქართველო» — ისტორიული განვითარების განწყვეტილი რგოლი

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას**

**უპირველეს ყოვლისა, მინდა, მოგესალმოთ მთელ კოლექტივს და წარმატებები გისურვოთ თქვენს პროფესიულ საქმიანობაში. დღეს არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე საზოგადოების უზრუნველყოფა ზუსტი, ობიექტური და, რაც მთავარია, მეცნიერულად დამუშავებული ინფორმაციით. თანამედროვე მსოფლიოში მეტად უცნაური ტენდენცია ვითარდება — ობიექტური რეალობა ერთია, ხოლო გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ დაქირავებული „თავისუფალი მასმედია“ სისტემატურად და აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ ეს რეალობა დამახინჯებულად აირეკლოს ადამიანთა ცნობიერებაში. განსხვავება სინამდვილესა და მის აღქმას შორის თანდათანობით იზრდება და ჩვენ ვიღებთ მოცემულობას — საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მასმედიის მიერ შექმნილ ვირტუალურ რეალობაში ცხოვრობს, რასაც შეუძლებელია, უკიდურესად უარყოფითი შედეგები არ ქონდეს, ჩვენ ხომ თავად ვმონაწილეობთ იმ მოვლენებშიც, რაზეც არასწორი შეხედულება შეგვექმნა. ეს პრობლემა მეტ-ნაკლები სიმწვავით ყველგანაა და მათ შორის საქართველოშიც. თანამედროვე ქართული მასმედია პოლიტიკურ პროცესებს ძალზე ზედაპირულად ასახავს. მათი გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, თითქოს პოლიტიკა მხოლოდ ვიწროპარტიული და პიროვნული დაპირისპირების არეალშია მოქცეული, თითქმის ვერსად ვნახავთ სიღრმისეულ ანალიზს, ფაქტებისა და მოვლენების ქაოსში რაიმე კანონზომიერებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „საქართველო და მსოფლიომ“ შეძლო თანამედროვე ქართული მასმედიის ევოლუციაში თვისობრივი გარდატეხის შეტანა და, აქედან გამომდინარე, თქვენი გაზეთის თითოეული ნომრის გამოსვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამავე დროს მიმაჩნია, რომ განსაკუთრებით ეფექტური იქნება მჭიდრო კოორდინაცია, მრავალმხრივი ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც თქვენს იდეურ სიბრტყეზე იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, მოკრძალებით გთავაზობთ ჩემს შეხედულებებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხზე.**




**ერთი წლის წინათ, როცა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთში ავანტიურული ომი წამოიწყო, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეფასებისას, სხვათაშორის, ასეთი რამ განაცხადა: „ჩვენ ხშირად ვაფრთხილებდით დასავლელ კოლეგებს, რომ ვირტუალური პროექტი „საქართველო“ საშიში თამაშია“. ამ სიტყვებში უზარმაზარი ქვეტექსტი იმალება და ფაქტიურად წარმოადგენს უზოგადეს ახსნას ტრაგედიის იმ ქრონიკისა, რომელიც საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე მიმდინარეობს. ასეთ შეფასებაში შემთხვევით არაა ნახსენები სიტყვა „ვირტუალური“, მართლაც, ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ ხდება არასერიოზული, საღ აზრთან და ლოგიკასთან შეუთავსებელი — სახელმწიფოებრივი საფუძვლების ნგრევა მოჩვენებით წარმატებად მიიჩნევა.**

რაც უფრო მეტად ჩავრეცხავთ ინტელიგენციას, მით უფრო წინ წავალთ; ქვეყნის განვითარების კრიტერიუმი ისაა, თუ რამდენი სანტიმეტრით მივუახლოვდით ნატოს და ა. შ. ამ ჩამონათვლის გაგრძელება ფაქტიურად უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ყველაზე სავალალო ისაა, რომ ამ ყველაფრიდან წარმოქმნილი საზოგადოების საპროტესტო მუხტი ისევ ვირტუალურ ოპოზიციაში პოულობს გამოსავალს და ჩვენც ვტრიალებთ ჩაკეტილ წრეში, საიდანაც გამოსავალი თითქმის არ ჩანს.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე თავის სახელგანთქმულ „მეტაფიზიკაში“ წერს: „საერთოდ, ადამიანებს ძალიან უჭირთ უზოგადესის შეცნობა, რადგან ის ყველაზე მეტადაა დაშორებული უშუალო შეგრძნებებისაგან“. ეს განსაზღვრება რომ თანამედროვე მდგომარეობას შევუსაბამოთ, გამოდის, ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება; ამას თითოეული ადამიანი საკუთარ თავზე განიცდის, მაგრამ რეალური და უზოგადესი მიზეზი ამერიკული ვირტუალური პროექტია, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავს მოახვიეს საქართველოს და სხვა რესპუბლიკებს. ეს პროექტი, რა თქმა უნდა, ვირტუალურია, რადგან თანამედროვე იმპერიალიზმი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაპყრობას აწარმოებს არა უშუალოდ, არამედ „ცივილიზებულად“ დახვეწილი სქემებით — საკუთარი მარიონეტების ხელისუფლებაში მოყვანით და ნაწილი მარიონეტებისა „ოპოზიცია“ ხდება. ასე რომ, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მოქმედებს არა ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ — ამ პროექტით. ამით აიხსნება ეს უაზრო, გაუმართლებელი და დანაშაულებრივი საკადრო პოლიტიკა — უმაღლეს თანამდებობებზე ინიშნებიან სოროსულ ორგანიზაციებში ტვინგამორეცხილი და იდეურად დამუშავებული ახალგაზრდები; ხოლო ის ინტელიგენცია, რომელმაც ჭეშმარიტი ღირებულებები შექმნა, მათი მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან პასიურობის შემთხვევაში უფუნქციო ადამიანები არიან, აქტიურობისას კი ჩასარეცხები ხდებიან. პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადი „პერმანენტული რევოლუციებიც“ ამ პროექტის შემადგენელი ნაწილია. ამერიკელთა თავხედობა იქამდე მივიდა, რომ თვით რუსეთშიც მოინდომეს მარიონეტული რეჟიმის დასმა (ქართული „კმარას“ ანალოგიური „ობორონა“). ბუნებრივია, დასავლური იმპერიალიზმისთვის ძნელი შესაგუებელია, რომ წყალში აღმოჩნდა ჩაყრილი ათწლეულების მანძილზე გაწეული შრომა და მილიარდები რუსეთის დასაშლელად და დასაჩოქებლად. სინამდვილეში კი მოვლენათა განვითარების ლოგიკას აშკარად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დასავლური იმპერიალიზმი განწირულია — სისტემას, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ობიექტური კანონები ქაოსურად მოქმედებს, თვითგანადგურების ტენდენცია აქვს, რისგანაც წარმოქმნილი გლობალური კრიზისები ტრაგედიად იქცევა ასეულობით მილიონი ადამიანისათვის. დასავლეთის გაკოტრებული პოლიტიკა ვირტუალობის და აბსტრაქციის მაღალ საფეხურზე ადის და პერიოდულად იმ მიჯნას აღწევს, სადაც სრული ქაოსი იწყება. კრიზისის დამანგრეველი შედეგების შესარბილებლად ბევრგან სამრეწველო ობიექტების და ბანკების ნაციონალიზაცია დაიწყეს. კაპიტალიზმმა თითქოს შეიძინა სოციალიზმის თვისებები, მაგრამ სინამდვილეში გამოსავალი არა პრევენციული ღონისძიებებია, არამედ მახინჯი და წარსულის გადმონაშთი სისტემის შეცვლა, რომელიც კრიზისებს წარმოშობს. მარქსიზმის პოლიტეკონომიკური თეორიის პოზიციიდან ეს პროცესები აბსოლუტურად ლოგიკური, ბუნებრივი და პროგნოზირებადია.

„უსასრულოა ვარიაციები და გრადაციები ერთი და იმავე ბაზისისა მისი კონკრეტული გამოვლინებებით“, უდავოა მხოლოდ ისტორიული ფაქტები — ფრანგულმა იმპერიალიზმმა და გერმანულმა ნაციზმმა რუსეთში ჰპოვა აღსასრული. ლოგიკურია, „დემოკრატიით“ შეფუთულ ამერიკულ იმპერიალიზმსაც იგივე ბედი ეწიოს. შესაძლოა, სწორედ ამაშია რუსეთის მსოფლიო ისტორიული მისია — შექმნას თვისობრივად ახალი გლობალური სისტემა, რომელიც ყოველგვარი კრიზისების გარეშე, ნორმალური განვითარების საშუალებას მისცემს დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს და, გარდა ამისა, თუკი უარყოფის უარყოფის ფილოსოფიურ კანონს დავუჯერებთ, რუსეთმა ცოტა ხანში უნდა გააგრძელოს სოციალიზმის მშენებლობა ახალი რეალობის გათვალისწინებით და მასთან ერთად — ჩვენც, ბუნებრივია. სწორედ ამიტომაა ამერიკული ვირტუალური პროექტი „საქართველო“ ისტორიული განვითარების განწყვეტილი რგოლი.

**პატივისცემით**

**დავით ხუჭუა**
**სამტრედია**

# ოპოზიცია არის მშიშარა, მოღალატე და არაფრისგამკეთებელი

**კიდევ ერთხელ გამოვლინდა ოპოზიციის მოღალატეობა და ცრუოპოზიციონერობა. ჩემო თანამემამულეებო, ეს ოპოზიცია ჩვენ არ გამოგვადგება! სადავეები საზოგადოებამ უნდა აიღოს ხელში და მიტინგებს თვითონ უხელმძღვანელოს.**

**ამ მიტინგებს არ უნდა გავაკაროთ არც ერთი ოპოზიციური პარტია; ისინი, როგორც ამ გადასახედიდან ჩანს, მარტო საკუთარ თავზე ფიქრობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, როგორ დაიწერონ ქულები. სააკაშვილის მეთოდი ფასადური მეთოდია, რადგან სიღრმისეულად არაფერი ჩანს მათ მოქმედებაში, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ: ის, რომ უშიშროების საბჭოს სხდომებს ოპოზიცია უნდა დაესწროს, რას ნიშნავს?! უკან დახევას?! — კი, ბატონო, მე ძალიან კარგად მესმის, რომ პოლიტიკაში მარტო ხისტად არ უნდა იმოქმედო, საჭიროა დიპლომატიაც, მაგრამ, როდესაც** შენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის იბრძვი, დემოკრატიისა და შენი ხალხის უფლებებისათვის ამ ხელისუფლებასთან, რომელმაც არაფერი არ გააკეთა, უკან არ უნდა დაიხიო.

კი, ბატონო, საზოგადოებამ და ოპოზიციამ 10 ნაბიჯით უკან დაიხია (საპარლამენტო ოპოზიცია არ მყავს მხედველობაში. ისინი ხომ აშკარად სააკაშვილის თამაშს თამაშობენ), მაგრამ სად ნახეთ, რომ მთავრობამ თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგა უკან?! იმ საზოგადოებაში, სადაც ამდენი ხალხი იყიდება, ზოგი რაღაც თამაშს თამაშობს, ზოგს გამბედაობა არ ჰყოფნის და მშიშარაა, როგორ გინდა, რომ ქვეყანა წინ წავიდეს?

ჩემო საყვარელო თანამემამულეებო, ასეთ პირობებში ქვეყანა ვერ აშენდება, ამიტომ ხალხმა, საზოგადოებამ ხელში უნდა აიღოს ძალაუფლება, ინიციატივა და თავად იბრძოლოს. მშიშარა პოლიტიკოსები საქართველოს არ სჭირდება.

პირველ რიგში, მინდა, ემიგრანტებს მივმართო. მეგობრებო, ძმებო და დებო, ჩემო ძვირფასო ხალხო, ერთადერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან: ნუთუ არ მოგბეზრდათ ემიგრაციაში ყოფნა, ნუთუ არ გინდათ სამშობლოში დაბრუნება?

და თუ გვინდა სამშობლოში დაბრუნება, უნდა ვიმოქმედოთ და ვიბრძოლოთ, სხვა გზა არ გვაქვს. ყველა ჩვენ ჩვენი ნაჭუჭიდან უნდა გამოვიდეთ.

სამშობლოში დარჩენილ ქართველთა გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მათაც უნდა შეიტანონ წვლილი და იბრძოლონ იმისათვის, რომ ჩვენ შინ დავბრუნდეთ. რაც შეეხება იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ვითომ პოლიტიკოსობენ და რაღაც მიზეზების გამო ემიგრაციაში მოხვდნენ, რატომღაც ჩუმად არიან. სად ხართ, მეგობრებო? რატომ არ ისმის თქვენი ხმა? თუ ელოდებით დროს, მოხვიდეთ და უცბად გახდეთ წარმატებული ბიზნესმენები?!

მოკლედ, თუ დროზე არ გამოფხიზდა ერი და ბერი, ჩვენ მომავალი არ გვექნება და სამშობლოსაც თავზე დაგვამხობენ.

**პატივისცემით**

**ელგუჯა მინაძე**
**ქართული საზოგადოება „საქართველოს“ თავმჯდომარე, საბერძნეთის სოციალისტური პარტიისა და ემიგრანტთა თანადგომის პრეზიდენტი.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დემოკრატია გინდებლარიენ?

**დღეს ჩემთვის უკვე აბსოლუტურად სულერთია, ვინ მართავს ამერიკას — იუდეური კაპიტალი თუ მასონები, ბუშების კლანი თუ პირველი ფერადკანიანი პრეზიდენტი ბარაკ ჰუსეინის ძე ობამა; ყვავის იქ მათი ნაქები დემოკრატია თუ იხრწნება, ათასფრად ბდღვიალებს ლას-ვეგასის ჩირაღდნები თუ საპატიმროდ ქცეული ათასობით ხომალდი დაუცურავთ ლაჟვარდისფერ ოკეანეში იმიტომ, რომ მე ქართველი ვარ და სანამ მთელი დუნია ჩემს სამშობლოდ იქცეოდეს, მანამდე ერთადერთი და შეუცვლელი, დანაწევრებული და მუჭა-მუჭა გატანილი, სისხლმდინარე და მგმინავი საქართველოა ჩემი სამშობლო!**

**არადა, საუკუნეობით შენარჩუნებულ ღირებულებებს — „კოკა-კოლასა“ და „ბაბლ-განზე“, ტრადიციულ ქართულ ოჯახს — თავისუფალ და ერთსქესიან სექსზე, მართლმადიდებლურ რელიგიას — დემოკრატიულ კერპთაყვანისმცემლობაზე, ხოლო ეროვნებას მსოფლიო მოქალაქეობაზე მიცვლიან, რათა მივხვდე, ვინ ვარ და შევიგრძნო ჭეშმარიტი თავისუფლების გემო, დავტკბე ამერიკული დემოკრატიის კეთილსურნელებით და ვიკვებო ჩიზბურგერებით, ვილაპარაკო ინგლისურად და ფანჯრიდან გადმოვკიდო ვარსკვლავებიანი ბაირაღი. და ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ჩემივე კეთილდღეობისთვის კეთდება, რათა არ მახსოვდეს, რომ წამართვეს მშობლიური მიწა, შემირყვნეს ჯიში და გენი, გადამიგვარეს ახალგაზრდობა და გადაშენების გზაზე დამაყენეს.**

**ამას დემოკრატია ჰქვია, და უბრალო კი არა, ამერიკული, ანუ — ხალხის მმართველობა ამერიკულად.**

**ჰოდა, ცოდვა გამხელილი ჯობს, და დაგაინტერესებს კაცს, მაინც რა ჯანდაბაა იმათებური, ასეთი თავისუფალი და ლაღი დემოკრატია, უკვე ჩვენთანაც რომ პირზე აკერია ძუძუმწოვარა ბალღსაც კი.**

**აჰა, და დატკბით!**





# — პაჟალუსტა!

სსრ კავშირში სტალინის მმართველობის ხანაში ციხეში ორჯერ იმაზე ნაკლები კაცი იჯდა, ვიდრე ამჟამინდელ ამერიკაში — ეს მაჩვენებელი 100 000 კაცზე 510-ს (ლუიზიანაში 947-ს) შეადგენს;

1965-1971 წლებში ნიუიორკში, უილოუბრუკის სახელმწიფო კლინიკაში, ვირუსული ჰეპატიტის გამოკვლევები მიმდინარეობდა: ეს ვირუსი ამ საავადმყოფოში მწოლიარე ფიზიკურად ნაკლოვანი ბავშვების ორგანიზმში შეჰყავდათ, ხოლო ჩასახვის საწინააღმდეგო ვაქცინა „ანტიბების“ ექსპერიმენტული აპრობაცია ინდოეთში ჩაატარეს, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი განხორციელება ვერ გაბედეს საზოგადოებრივი აზრის რისხვის შიშით. 1972 წელს გაირკვა, რომ ტასკეგიში 40 წლის განმავლობაში ტარდებოდა ცდები ფერადკანიან ამერიკელებზე, რომლებიც ათაშანგით იყვნენ დაავადებული. მკურნალობის ნაცვლად ისინი პლაცებოზე ჰყავდათ, მათი მხრიდან ყოველგვარი თანხმობის გარეშე; 1963 წელს ბრუკლინში, ებრაულ საავადმყოფოში, სადაც ქრონიკული სნეულებებით დაავადებულნი იწვნენ, ხანდაზმული პაციენტებისთვის ექსპერიმენტის მიზნით სიმსივნის უჯრედები შეჰყავდათ;

**სამედიცინო ექსპერიმენტებს ატარებდნენ ილინოისის სამ საპყრობილეშიც — ტუსაღებს სანაცვლოდ პატიმრობის ვადის შემცირებას ჰპირდებოდნენ.**

განა ამერიკა არ იყო, ნაცისტ ექიმთა დანაშაულების შესახებ მონაცემები რომ გამოაქვეყნა და, თანაც თავი მოჰქონდა, ნახეთ ერთი, ადამიანთა უფლებების რა თავგამოდებული დამცველი ვარო.

1953 წელს ამერიკაში სიკვდილით დასაჯეს სსრკ-ის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი იულიუს და ეტელ როზენბერგები, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ სამხილთა უმეტესობა ყალბი იყო. როზენბერგების სიკვდილით დასჯა ანტიკომუნისტური ისტერიის ზენიტად იქცა. ის ადამიანები, ვინც მაშინ უარი თქვა წარმომადგენლობითი პალატის შესაბამის კომიტეტთან თანამშრომლობაზე, საპყრობილეებში ჩაყარეს, მილიონობით მუშა კი აიძულეს, ერთგულების ფიცი დაედო, ხოლო 1500-მდე ფედერალური მოსამსახურე სამსახურებიდან დაითხოვეს. ეს ტრუმენის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი „ლოიალობის საბჭოების“ ნამოქმედარი გახლდათ (და, ისე, არაფერს გახსენებთ?);

ეთნიკურ ინდიელს, მწერალ ლეონარდ პელტიერს შემწყნარებელმა დემოკრატებმა 1976 წელს ჯამპლინ ბულის რანჩოში გამართული სროლისას გფბ-ს ორი აგენტის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ბრალდების მხარეს მისი დანაშაულის დამადასტურებელი საკმარისი სამხილები არ გააჩნდა; შეგახსენებთ, რომ აღნიშნული რანჩო პაინ-რიჯის რეზერვაციაში მდებარეობდა, სადაც, ჩვეულებრივ, არნახულ პოლიციურ რეპრესიებს ჰქონდა ადგილი;

2007 წლის მონაცემებით, თანამედროვე ამერიკულ საპყრობილეებში სექსუალურ ძალადობას ექვემდებარება პატიმრების 23 პროცენტზე მეტი. განა თავად ელეონორა რუზველტის მიერ დაარსებულმა „ფრიდომ ჰაუსმა“ არ გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ყოველი ათასი ამერიკელიდან 7 საპყრობილეში ზის, ხოლო 37 ერთხელ მაინც მოხვედრილა გისოსებს მიღმა, და ამ მაჩვენებლით აშშ იმ ქვეყნების სიაშია, რომლებსაც ყველაზე მეტი პატიმარი ჰყავთ. გარდა ამისა, თეთრსა და ფერადკანიან ამერიკელებს ციხეში მოხვედრის განსხვავებული შანსები აქვთ: გისოსებს მიღმა ხვდება ყოველი მესამე აფროამერიკელი და 60 პროცენტი იმ აფროამერიკელებისა, რომლებსაც არ დაუმთავრებიათ კოლეჯი, მაშინ, როცა თეთრკანიანი ამერიკელის საპყრობილეში მოხვედრის შანსი 1/17-ზეა. სხვათაშორის, კუ-კლუქს კლანი ამერიკაში დღემდე მოქმედებს! თავად „ფრიდომ ჰაუსმა“ დასვა კითხვა, აქვს კი ამერიკას მორალური უფლება, გააკრიტიკოს სხვა ქვეყნები და უჩვენოს დემოკრატიული მოწყობის მაგალითი?

თავად აშშ-ში მთავარ პრობლემად მიაჩნიათ იმ უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, რომელსაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით აქვს ადგილი. აშშ-ში უწინაც მომხდარა ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევა სამხედრო მოქმედებების დროს; მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა იაპონელებისათვის. სიტუაცია სადღეისოდ დიდად არ შეცვლილა, თუ მხედველობაში მივიღებთ ბუშის ადმინისტრაციის მიერ შემოღებულ ისეთ სიახლეებს, როგორიცაა: პატრიოტული აქტი (დასმენები), სატელეფონო მოსმენების განხორციელება სასამართლო სანქციის გარეშე, ცე-რე-უს საიდუმლო საპყრობილეების ქსელის შექმნა, აღარაფერი რომ არ ვთქვათ გუანტანამოს ციხეზე.

ამერიკულმა „დემოკრატიამ“ ნათლად უჩვენა თავისი ნამდვილი სახე, ობამას წინამორბედის — ბუშის არჩევისას. ჯერ ერთი, რომ ბუში-უმცროსი ამერიკული ელექტორატის უმცირესობამ აირჩია; მეორეც,

**ოდნავ მოგვიანებით ალმოჩნდა, რომ ზესახელმწიფოს დაუნის ინტელექტის კოეფიციენტის მქონე კაცი მართავდა და ამის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო. ალბათ, ეს იყო ყველაზე დემოკრატიული დემოკრატია!**

მესამეც, გაყალბდა კენჭისყრის მონაცემები ერაყში ომის დაწყებაზე, როცა ხმების 68 პროცენტი მოგროვდა. ალბათ, ამერიკელ დედებს სადამ ჰუსეინით აშინებდნენ! ტელევიზიითაც ხომ გიხილავთ, როგორ შლიდნენ ერაყში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. მადრიდში, მაგალითად, მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს რეზინის ტყვიებითა და ხელკეტებით გაუმასპინძლდნენ (რატომ მიკვირს, ნეტავ?), ნორვეგიაში კი დემონსტრანტებს ძაღლები მიუსიეს და დააგლეჯინეს. ამას მიუმატეთ მუდმივი ორმაგი სტანდარტები: მაინც რატომ აქვთ უფლება იანკებს, ფლობდნენ მასობრივი განადგურების იარაღს, ხოლო სხვა ქვეყნებს — არა? ეს კიდევ არაფერი, როცა კლინტონი თავს იმართლებდა, მონიკას სათოფეზეც არ მივკარებივარო, მაგრამ როცა ობამას წინამორბედი ცრუპენტელობდა ერაყში ომის მიზეზების, მოქმედებებისა და შედეგების თაობაზე, თვალსაჩინო შეიქნა, რომ მოქალაქეებმა თავიანთ პრეზიდენტს კავერზული კითხვები არ უნდა დაუსვან, თორემ მერე ნახე დემოკრატიაზე მსჯელობა!

სხვათაშორის, ახლახან აშშ-ში სასამართლო პროცესი დაიწყო ამერიკული არმიის რიგითი ჯარისკაცის სტივენ დეილ გრეინის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედება ერაყელი 14 წლის გოგონას გაუპატიურებასა და მისი ოჯახის ამოჟლეტაში. საგულისხმოა, რომ ეს პროცესი გასაიდუმლოებულია, თუმცა ერთ-ერთმა ფრანგულმა გამოცემამ შეძლო სასამართლო პროცესის პირველი დეტალების გახმაურება. სისხლიანი დანაშაული 2006 წლის მარტში მოხდა ერაყის ქალაქ მაჰმუდიაში.

**სახლში შეჭრილმა ამერიკელმა „მშვიდობისმყოფელებმა“ მამის, ძმისა და დედის თვალწინ ჯერ გააუპატიურეს გოგონა, შემდეგ კი მასთან ერთად მთელი ოჯახი ამოხოცეს.**

2007 წელს ამ დანაშაულის მონაწილე ჯეიმს ბარკერს, სერჟანტ პოლ კორტესსა და რიგით ჯესი პილმანს, შესაბამისად, 90, 100 და 110 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რიგით ბრაიან ჰოვარდს, რომელიც გამოძიებასთან თანამშრომლობდა, 5-წლიანი პატიმრობა აკმარეს, ხოლო დეილ გრინი თემიდას ფსიქიკურად დაავადებულთა კლინიკაში დაემალა. ახლა მის საქმეს სამხედრო ტრიბუნალი კი არა, სამოქალაქო სასამართლო განიხილავს. ამბობენ, რომ მას სიკვდილით დასჯიან. ახლახან კი იაპონიის სასამართლომ სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა ამერიკელ საზღვაო ქვეით ჯარისკაცს ოკინავას დაჯგუფებიდან, არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების გამო. ასეთი შემთხვევა აქ იმდენად ხშირია, რომ იაპონიის ხელისუფლება, რომელიც თანამოქალაქეთა პროტესტებით დაილალა, ამერიკული ბაზების დახურვით იმუქრება. ამავე დროს,

**ამერიკელი ჯარისკაცები ისე გათავხედდნენ, რომ სამხრეთ კორეაში ადგილობრივი მოკავშირე არმიის ჯარისკაცების გაუპატიურებაზეც კი გადავიდნენ.**

მოკლედ, სოდომის ცოდვები ერთობ პოპულარულია დემოკრატიულ ამერიკაში. მოძალადეს მინიმალური ვადით პატიმრობა მიუსაჯეს... საგულისხმო ისიცაა, რომ, როცა დეილ გრინის საქმეზე სასამართლო პროცესი მზადდებოდა, ამერიკელმა „მშვიდობისმყოფელებმა“ ერაყში, კირკუკის რაიონში, ჩაცხრილეს იქაური ცოლ-ქმარი, მათი 8 წლის გოგონა კი მძიმედ დაჭრეს...

დასასრულ, კომენტარის გარეშე შემოგთავაზებთ ფოტოებს ერაყის აბუ-გრეიბის ციხიდან, სადაც ცხადად ჩანს ამერიკული დემოკრატიისა და ჰუმანურობის მთელი ბრწყინვალება, რის დამკვიდრებაც მთელ მსოფლიოში სურთ.

**და ახლა, იქნებ, ვინმემ ამიხსნას, რატომ უნდა მასწავლიდნენ იანკები, როგორ ვიცხოვრო ჩემს ქვეყანაში?!**

**მიხეილ წერეთელი**

**P.S. კინაღამ დამავიწყდა, ცნობილი მწერალი ედგარ ალან პოც ამერიკული დემოკრატიის მსხვერპლი შეიქნა...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომაა მართლმადიდებლობა ამერიკის მთავარი მტერი?

**ციტატით დავიწყოთ, რომელიც რუსეთს ეხება, მაგრამ, ვფიქრობ, არანაკლებ მიესადაგება საქართველოს.**
**ამერიკელმა ჟურნალისტმა პოლ ლაუერმა, რომელიც ოჯახის პრობლემებზე XVIII საერთაშორისო კონგრესზე სიტყვით გამოვიდა, განაცხადა: „თქვენი ქვეყანა, რომელიც კომუნიზმისგან გათავისუფლდა, კომუნიზმზე გაცილებით უარესის მონად იქცა — ამერიკული რევოლუციის მონად; იმ რევოლუციისა, რომელიც 60-იან წლებში დაიწყო და უდიდესი შეცდომა აღმოჩნდა. ჩვენ, ამერიკელები, ჯერ კიდევ ვცდილობთ მის გაყიდვას დანარჩენ მსოფლიოში. იმედი გაგვიცრუვდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვცდილობთ, რომ მოგება მივიღოთ. ჩვენ ვყიდით, თქვენ კი ყიდულობთ“.**



# «შეწყვილება» ოჯახის ნაცვლად

## „...თქვენც დაგიწყებენ დევნას“

ვყიდულობთ, როგორც ვიღაცის ნახმარ მეორად სამოსს და გვგონია, რომ ვეზიარებით დასავლური ცხოვრების წესსა და კულტურას, ყოფას მაინც; ან ასე ვიქცევით ჩვენი გაჭირვებისა გამო — იაფია! — და არც არაფერზე ვფიქრობთ.

არადა, საფიქრალია, რადგან, როგორც ამერიკელი ფსიქოლოგი ოლგა ორეშოვა ამბობს, „**რუსეთი** *(საქართველოც? — ა.ს.)* **თითქოს მიერთებულია ამერიკის ცივილიზაციის გამდინარ წყლებსა და არა ანკარა წყაროს“.**

ის გამდინარი, დაბინძურებული წყლები კი ისეთ მორევს წარმოქმნის, რომელმაც სავსებით შესაძლებელია, ჩაგვითრიოს ცხოვრების ქრისტიანულ წესთან ერთად.

ერთპოლარული მსოფლიოსკენ მიმავალი გზა რომ დემოგრაფიაზე გადის, აღარავისთვისაა საიდუმლო და არც საკამათო საგანი. ამერიკის ეროვნული უშიშროების მემორანდუმში ჩაწერილია: **„სხვა ქვეყნებში მაღალი შობადობა ამერიკის უშიშროების საფრთხის შემცველია.“**

გლობალურ პრობლემებზე მომუშავე და კარგად დაფინანსებული, არცთუ აფიშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების მთავარი ვექტორი მიმართულია იქით, რომ, მაგალითად, 2020 წლისთვის რუსეთის მოსახლეობა 50 მილიონამდე შემცირდეს, ანუ იმ რაოდენობამდე, რაც საკმარისია მაღაროებისა და ნავთობის სარეწების მუშახელით უზრუნველსაყოფად.

ცნობილია, რომ **ამერიკა, რომლის მოსახლეობა დედამიწაზე მცხოვრებთა მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენს, მსოფლიო მთელი რესურსების 40 პროცენტს მოიხმარს და მსოფლიო ნარჩენების 70 პროცენტით ანაგვიანებს გარემოს.**

ამიტომ, რაც უფრო ნაკლები იქნება ბუნებრივი მარაგის (უწინარეს ყოვლისა) მომხმარებელი, მით უფრო უსაფრთხო და გარანტირებული მომავალი ექნება შეერთებულ შტატებს. ცნობილი სენტენცია რომ მოვიხმოთ, — რაც ცუდია მსოფლიოსთვის, კარგია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

ერთპოლარული მსოფლიოსთვის ბრძოლა განათლებისა და აღზრდის, უწინარეს ყოვლისა, სულიერების სფეროებში იწყება. მაცხოვარი ეუბნებოდა მოწაფეებს: **„მე თუ მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას“** (იოან. 15,20). ასეც მოხდა და ასე იყო ყოველთვის — ქრისტიანობას დევნიდნენ და დევნიან იმიტომ, რომ იგი ისეთი ძალის მატარებელია, ისეთი მუხტის შემცველი, რომელსაც ხელეწიფება რეალურად წინ აღუდგეს ბოროტების ზეიმს. **ზბიგნევ კაზიმეჟ ბჟეზინსკის** — პოლონელ-ამერიკელ პოლიტოლოგს, სოციოლოგსა და სახელმწიფო მოღვაწეს, დიდი ხნის მანძილზე აშშ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან იდეოლოგს, მიაწერენ გამონათქვამს: **„საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ს მთავარი მტერი მართლმადიდებლური ეკლესიაა“.**

მართლმადიდებლობა ძვალივით აქვთ ყელში გაჩხერილი „ახალი მორალის“ იდეოლოგებს. მართლმადიდებლობა, მათი აზრით, „ტოტალიტარიზმისკენ მიბრუნებაა“, დრომოჭმული და რეტროგრადულია, ისევე, როგორც „მცირე ეკლესია“ — ოჯახი. **საქმე იქამდე მიდის, რომ დასავლეთში სიტყვა „ოჯახის“ ნაცვლად ახალი ცნების დანერგვას ცდილობენ — „ჯენდერ“, რაც „გადაბმას“, „შეწყვილებას“ ნიშნავს.**

## ახალ-ახალ პარტნიორებთან სექსუალური კავშირის დამყარება, მიუხედავად მათი სქესისა, ამ იდეოლოგიის მატარებლებისთვის თანამედროვე თავისუფლების ნიშანია, ოჯახის შექმნა და შვილების აღზრდა — დრომოჭმული ტრადიციაა. მშობლების როლი ინკუბატორის ფუნქციამდეა დაკნინებული!

მტრისას ასეთი თავისუფლება! მაგრამ ეს შხამიანი აზროვნება საქართველოშიც რომ შემოსრიალდა ხელისუფლების წაყრუებისა და ჩვენი სიბეჩავის გამო, „ფრიად საწუხარ არს ესე“.

მიაჩნიათ, რომ ე. წ. თავისუფალ, დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლების შეზღუდვა სამარცხვინოა, დანაშაულია. **ეკლესიას კი თავისუფლება ესმის, როგორც ცოდვებისგან, ბოროტებისგან თავისუფლება, როცა არავითარ გარე ძალას არ შეუძლია, აიძულოს ადამიანი, გააკეთოს ის, რაც მის სინდისს, მის იდეალებსა და რწმენას ეწინააღმდეგება. ადამიანი მხოლოდ ამ დროსაა ჭეშმარიტად თავისუფალი.** ამიტომ ებრძვიან მას, თანაც უბინძურესი მეთოდებით — მიაწერენ იმას, რაც თავად აქვთ კერპად ქცეული და ცხოვრების წესად აღიარებული.

## 100 დოლარი დასმენისთვის

ბჟეჟინსკის თუ დავუჯერებთ, ჩვენ, ყველას, გველოდება ისეთი მომავალი, როცა **„გაიზრდება პიროვნების სოციალური და პოლიტიკური კონტროლის შესაძლებლობა.** დაწესდება თითქმის უწყვეტი კონტროლი თითოეულ მოქალაქეზე და მუდმივად განახლებადი კომპიუტერული ფაილების — დოსიეების წარმოება, რომლებშიც ჩვეულებრივი ინფორმაციის გარდა თავმოყრილი იქნება თითოეული ადამიანის ჯანმრთელობისა და ქცევის ყველაზე უფრო კონფიდენციური დეტალები“.

საქართველოს პრაქტიკაში დანერგილი ტოტალური მოსმენებიდან გამომდინარე, ასეთი მომავალი სულაც არ ჩანს, როგორც თვალთვალის მანიით დაავადებული კაცის ნაბოდვარი. ეს კაცი კერძო პიროვნება კი არ არის, აშშ თვალსაჩინო მოქალაქეა. ერთი ხანობა ბზეჟინსკი პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი გახლდათ, „რომაული კლუბის“ „საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს“ და სხვა ამგვარი გაერთიანების წევრი. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მისი გავლენა შეერთებული შტატების პოლიტიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პროცესზე სულაც არ იყო და არ არის ეფემერული.

**საყოველთაო თვალთვალისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი დასმენების მოქალაქეობრივ მოვალეობამდე აღზევებაა.**

1937 წელგამოვლილ ქვეყანაში დასმენებისადმი, „დანოსებისადმი“ დამოკიდებულება უკიდურესად უარყოფითია. „სტუკაჩი“ არაკაცობის სიმბოლოა, უზნეობის ნიშანი. დღევანდელ საქართველოში ფრიადი მონდომებით ცდილობენ სწორედ ასეთი უზნეობის სახელმწიფო ნორმად ჩამოყალიბებას. საკანონმდებლო აქტებიც კი მიიღეს.

**საიდან მოდის ერის სულიერ ღირებულებებთან აბსოლუტურად შეუთავსებელი ამგვარი ნორმებისა და მეთოდების დანერგვის იმპულსები?**

**რა თქმა უნდა, შეერთებული შტატებიდან, მიიჩნევენ მკვლევარები, სადაც საყოველთაო დასმენა მხარდაჭერილი და წახალისებულია, როგორც წესრიგის დამყარების ეფექტიანი საშუალება.**

## ამერიკაში პატარებს სკოლაშივე ასწავლიან დასმენის ანბანას — უნდა დაასმინო მშობლები, ყველა და ყველაფერი, უნდა „მიაწოდო ინფორმაცია“ ყველაფერზე, რაც ნახე და რისი მოწმეც იყავი.

თავს უფლებას მივცემ, გავიხსენო, როგორ შეგვკრიბეს 90-იანი წლების ბოლოს პრესისა და რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელები აშშ-დან ჩამოსულ სპეციალისტთან შესახვედრად, რომელსაც ჩვენთვის გამოცდილება უნდა გაეზიარებინა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში.

ზოგადი და საყოველთაოდ ცნობილი დებულებების წარმოდგენის შემდეგ ამ სპეციალისტმა გვირჩია, ჩვენს **პრაქტიკაში დაგვენერგა, არც მეტი, არც ნაკლები, ბავშვების მიერ საკუთარი მშობლების კორუფციაში მხილების მეთოდი.** პატარები წერენ, არც ვიცი, რა დავარქვა — საშინაო დავალებას თუ საკონტროლოს თემაზე „მამაჩემი კორუფციონერია“. რაიკომის შტატგარე ლექტორივით პრიმიტიულად მოაზროვნე ის კაცი გვიმტკიცებდა, რომ ასეთმა პრაქტიკამ ლათინური ამერიკის ქვეყნებში შესანიშნავი შედეგი გამოიღო, მაქსიმალურად შემცირდა კორუფციის შემთხვევები.

იდიოტები ვეგონეთ!

ჩვენს შენიშვნას, რომ ასეთი დაბეზღება ბავშვების ფსიქიკაზე, ზნეობაზე უარყოფითად იმოქმედებდა, წაუყრუა. ხოლო პავლიკ მოროზოვის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია ისე გაიგო, როგორც ჩინური გრამატიკა!

სამაგიეროდ **ამ ლექტორით და მისი კონცეფციით ფრიად დაინტერესდა იმჟამად „რუსთავი 2“-ის პატრონი თუ ხელმძღვანელი, რომელიც დღეს აქტიურ ოპოზიციონერად არის მოვლინებული და სხვას უკიჟინებს უზნეობას.**

აშშ პრაქტიკაში, კარგა ხანია, მოქმედებს დასმენების მოქნილი სისტემა. სამუშაოზე მიღებულ ადამიანს აძლევენ ტელეფონის ნომერს, რომლითაც შეუძლია და ვალდებულიცაა, აცნობოს, სადაც ჯერ არს, იმ ნეგატიური მოვლენების შესახებ, რომელთა მოწმეც თავად გახდება. **მხოლოდ ერთი ზარისთვის „ამბის მიმტანს“ 100 დოლარამდე უხდიან. ხოლო თუ თანამოსაქმეებზე ინფორმაციის მიწოდებას დათანხმდება, დასმენის ღირებულება 300-400 დოლარამდე გაიზრდება.** უფრო მეტიც, თუ ვინმემ რამე შენიშნა და დასმენა არ დააყოვნა, შენ კი ხმა არ ამოიღე, სერიოზულად მოგთხოვენ პასუხს, ვითარცა წესრიგის უგულებელმყოფსა და არაპატრიოტს.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ შეერთებულ შტატებში ამ ყველაფერს მშვიდად შეჰყურებენ და კრიტიკულად არ აფასებენ. აშშ სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი, მაღალი რანგის პროფესიონალი **ჯონ კოლემანი** თავის წიგნში „300-თა კომიტეტი“ წერს:

**„ნარკოტიკების მოხმარების კოლოსალური ზრდა, ათასობით ახალი ნარკომანის მომრავლება,... ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების დაუფარავი მხარდაჭერა; იმუნოდეფიციტის საშინელი ინფექცია, რომელმაც დააავადა ჩვენი ქალაქები; განათლების ჩვენი სისტემის სრული კრახი; მკვლელობების არნახული ზრდა, რაც დანარჩენ მსოფლიოზე შემზარავად მოქმედებს და ურწმუნობას ბადებს; სატანისტური სერიული მკვლელობები** *(ჩამონათვალი გრძელდება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისზე მეტია. — ა.ს.)* — **ამ ყველაფრის შემყურე ვინ შეძლებს უარყოს, რომ ჩვენი ქვეყანა კრიზისში იმყოფება, რომელსაც ზურგს ვაქცევთ და არ ვცდილობთ, წინ აღვუდგეთ?“**

აი, ასეთია რეალობა, რომელიც ჩვენთვის არც თუ წარმოუდგენელ პერსპექტივად ისახება.

უზნეობა გადამდებია. როცა ადამიანებს უქვეითდება ზნეობრივი იმუნიტეტი, ისინი ადვილად ავადდებიან საშინელი მორალური სენით, სიცრუის, სიყალბის გავლენის ქვეშ ექცევიან.

**„ახალი მორალის“ დანერგვის მცდელობა, უწინარეს ყოვლისა, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბნელეთის ძალების ბრძოლის ნაირსახეობაა.** ამ ძალების უკან, როგორც ყოველთვის, დიდი კაპიტალი და უხეში ძალა დგას. სუსტი, მერყევი მორალის ქვეყანა ამ ომში მარცხდება.

რას ნიშნავს ყოველივე ეს პრაქტიკაში კერძოდ, რა შედეგი მოჰყვა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დაწყებულ ომს ბალკანეთში, სადაც „ახალი მორალის“ მისიონერთა მიერ ნაყიდმა და გონებაარეულმა ლეგიონებმა სისხლის კალო დაატრიალეს — „უქმ უდაბნოდ“ აქციეს ერთ დროს აყვავებული მხარე, „საქართველო და მსოფლიო“ მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ.

**არმაზ სანებლიძე**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# მთაქართლის ფიქრები

**დევის ნამუხლევის გამოქვაბულებიდან კარსნამდე ჩაკეცილ ხევხუვებს ბრძოლის ყიჟინამ გადაუარა. მშვილდისრიანი და ხმალამოწვდილი მეომრები ერთმანეთს ებრძვიან: ხან ერკინებიან და ხანაც უჩინარდებიან. ქარაფზე ბაგირია გაჭიმული, რომელზეც მზვერავი მიცოცავს მტრის ზურგში მოსაქცევად. მეომრებს არც აბჯარი მოსავთ, არც მუზარადი, არც წულამესტი. მათი აბჯარი დახეული პერანგია, მუზარადი — ყაბალახად ქცეული მაისური, ხამლი — გაცვეთილი კედები, ხრმალი და ოროლი — აქვე, ტყეში მოჭრილი შვინდაწალა. ...ეს ჩემი ბავშვობის დროინდელი ომობანას სურათია.**

**საკუთარი ფესვის ძიებაში გალეული ნახევარი საუკუნის შემდეგ, კვლავ ავაკითხე ამ ნაცნობ ადგილებს. მთაქართლის სერს მივუყვები და უეცრად აღმოვაჩენ, რომ დროის გრადაციის ჩვენეული მეთოდი მცდარია: თურმე, რა დროც ჩემს ბავშვობასთან მაცილებს, იმაზე მეტი დროით არც ჩემი ბავშვობაა დაცილებული ჩემი უშორესი წინაპრიდან — ე.ი. რა ჩემი ბავშვობა და რა მთაქართლის პირველი მკვიდრი!.. აღმართში სწორედ ჩემი ყრმობისა და თმადათოვლილი უძველესი ქართლოსიანის აჩრდილები ამედევნენ. წარსულში აღმოვჩნდი...**




ანატოლიისა და წინა აზიის კულტურები (ძვ.წ. VII-III ათასწლეულები)

სანამ კარსანში ავალთ, ქვაფენილიანი გზისა და მცირე ხევის გადაღმა ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია დგას. ახლახან შეკეთებული ტაძარი IX-X საუკუნეებს გვახსენებს. აქედან აღმოსავლეთით, დაახლოებით 1,5 კილომეტრში, იმ დროს თბილისის საამიროს საზღვარი გადიოდა, მაგრამ ჩვენი წინაპარი არ შეშინებულა — რწმენა კედლად უქცევია, ქვა და კედელი — სალოცავად. ტაძრის დასავლეთ კედელში „მერცხლის კუდით" გადაბმული რამდენიმე თლილი ლოდი ჩანს. ო... ეს უკვე ანტიკური ხანის სუნთქვაა. მერცხლისკუდა ქვები, მგონი, არმაზციხიდან მოუტანიათ IX საუკუნის მშენებლებს და ქრისტიანული ტაძრის კედლებში ჩაუყოლებიათ.



კარსნის წმ. ნინო მთაქართლზე

ზევით მივიწევ. სოფელ კარსანს გავცდი, ტყე გავიარე და მთაქართლს თხემზე მოვექეცი. აქაც ახალაღდგენილი ეკლესიაა, ოღონდ უფრო ძველი, ვიდრე **ღვთისმშობელია** — VI-VII საუკუნეებისა... საქართველოში ბაგრატოვნები ამოდიან და კუროპალატობის ინსტიტუტი ამოაქვთ. ფარნავაზიან-გორგასლიანთა მეფობა დასრულებულია, მათი შთამომავლები კახეთს აფარებენ თავს. საქართველოში მეფე აღარ ზის, ერისმთავრები განაგებენ. მართალია, **„მას ჟამსა მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღეშენებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალა განდიდდებოდა",** მაგრამ, ამასთანავე, მცხეთაში **ჯვარი** იგებოდა.

ვდგავარ ახალაღდგენილ **წმიდა ნინოსთან** და ღრუბლებიდან დავცქერი სოფლებს, გზებს, მტკვარსა და არაგვს, მთებზე შემოდგმულ ეკლესიებს...

მთაქართლის ზუსტად ამ ადგილიდან იწყება ანტიკური გალავნის ნაშთები, რომლებიც არმაზის ხევის მიმართულებით გრძელდება. აქა-იქ, ბუჩქნარში გოდოლ-კოშკების მოხაზულობაც იკითხება — ძვ. წ-ის III საუკუნე... მაგრამ ეს მხოლოდ გუშინდელი დღეა იმ ეპოქასთან შედარებით, როცა ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი — ქართლოსი აღსაყდრდა აქ.

წლების ქრონომეტრი სწრაფად ბრუნავს უკან — კიდევ უფრო შორეული წარსულისაკენ:

საიდან მოვიდა მამამთავარი და ეთნარქი ქართლოსიანთა?.. ეულად, საკუთარი ტაძრეულით მოვიდა თუ მთელი ხალხით?.. — ალბათ, ოდენ ტაძრეულით, ალბათ, ოდენ სატახტო ალაგი მონაცვლა.

წინაპრის ხმაც ჩამჩურჩულებს და ხანგრძლივი მეცნიერული კვლევებიც ადასტურებენ, რომ ჩვენი მოდგმა ქალამქვეყნის უკიდეგანო მიწის მკვიდრი იყო, ამ ქალამის ხატების მატარებელი ქალდ-ელი (და არა ქალდეველი) გახლდათ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელით იცნობდნენ ჩვენს სხვადასხვა ტომს, მაგრამ ფუძესახელი მხოლოდ ქართლოსმა შეინარჩუნა და ამოიტანა: ქალდ-ქართ... და ქმნა მან ესე, სავარაუდოდ, ადრებრინჯაოს ეპოქის ბოლოს. კავკასიონიდან სამხრეთით და დასავლეთით უსამანოდ განფენილი ჩვენი პრეისტორიული ოჯახი გამორჩეული მიწათმოქმედი, მეტალურგი, ვარსკვლავთმცოდნე და უფლის მეჩანგე ყოფილა. „შესაქმეთა წიგნით", ეს, თითქოს, ბიბლიური ლამექის ოჯახია, რომელიც შემდგომში იაფეტურ და სემიტურ ჯგუფებში გააერთიანეს. მაქსიმე აღმსარებელი (VI-VII სს) და გიორგი ამარტოლი (IX ს.) ხალხთა დაყოფის სქემებში ქართველურ ტომთა ერთ ნაწილს სემის შტოს მიაწერენ, მეორეს — იაფეტისას, მაგრამ არქეოლოგიურმა და ლინგვისტურმა კვლევებმა წინააზიის სურათი უფრო მკაფიოდ დახატა — პროტოქართველები, ანუ წინააზიის უძველესი მიწათმოქმედნი, ენობრივად არც სემიტებს და, მითუმეტეს, არც გვიან მოსულ ინდოევროპელებს მიეკუთვნებიან. ასეთი დასკვნა მოგვცა როგორც მკვდარი შუმერული, ხათური და ხურიული ენების, ისე ცოცხალი კავკასიურ-იბერიული ენების შესწავლამ, მათმა შეჯერებამ და საკმაო მსგავსებამ. წინააზიის და აღმოსავლეთ ანატოლიის მიწათმოქმედი ტომების მატერიალური კულტურებიც რომ თანხვედრია, ამას ცნობილმა არქეოლოგებმა დ. მელოუნმა, ჯ. მელარტმა, ლ. ვულმა, ე. აკურგალმა, გ. ლეიერმა, ს. ლოიდმა, ო. ჯაფარიძემ და სხვებმა მიაკვლიეს. დადგინდა, რომ ანატოლიაში, სამხრეთ კავკასიასა და მთელ შუამდინარეთში სწორედ ერთმანეთის მონათესავე მიწათმოქმედებმა ჩაუყარეს საფუძველი უძველეს ცივილიზაციას ძვ. წ-ის X ათასწლეულიდან. ამ კულტურათა ცენტრები პერმანენტულად წინაურდებოდა და იცვლებოდა: ხან ერთი რეგიონი გამოანათებდა, ხან — მეორე: ჩაიენუ, ჩათალ-ჰიუკი, ალაჯა-ჰიუკი, ტეპე-სოხრაბი, ჯარმო, ჰასუნა, სამარა, ხალაფა, უბეიდი, ერიდუ (დღევანდელი თურქეთი, სირია, ერაყი, ირანი), ნახჩევანი, შულავერი, იმირის გორა, დანგრეული გორა (სამხრეთ კავკასია). დიდი ზეგავლენა მოახდინა მტკვარ-არაქსის კულტურამაც, რომელიც უზარმაზარ არეალში გავრცელდა. (იხ. რუკა)

დიდად საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მცირე აზიასა და მთელ შუამდინარეთში ძვ. წ-ის III ათასწლეულის პირველ ნახევარშიც კი ერთი ფუძეენისა და ცნობიერების მიწათმოქმედი ტომები სახლობდნენ, მათგან სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ნომადი ხალხები — იგივე სემიტები იყვნენ განსახლებულნი. მაშინ ხსენებულ მიწებზე ინდოევროპელების და მათ შორის ნესიტური არმენების ჭაჭანებაც არ იყო.

ძალიან საინტერესოა სახელგანთქმული არქეოლოგის სეტონ ლოიდის მოსაზრება შუმერის თაობაზე: **„სპარსეთის ყურის სანაპირომდე და ტიგროსის სანახებამდე გავრცელდა ხალაფას ხალხი, რომლის ცხოვრების წესი და დახვეწილი ოსტატობა ჩამოყალიბდა სამხრეთ თურქეთისა და ჩრდილოეთ სირიის მთებში. მან იქ** (შუმერის ტერიტორიაზე — გ.ქ.) **შთანთქა უფრო ადრინდელი ხალხი, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა, ასევე ჩრდილოეთიდან, ნეოლითის ხანაში ჩამოსახლებული მოდგმის შთამომავალი იყო".**

გავყვეთ ლოგიკურ ჯაჭვს: თავის მხრივ, ხალაფის თავდაპირველი კულტურული არეალი მოქცეული იყო სწორედ შუამდინარეთის ჩრდილოეთში, ევფრატის ზემო დინების ორი შენაკადის — ხაბურისა და ბელიხის ხეობებში, ვანის ტბიდან სამხრეთ-დასავლეთით. ეს კი ის ადგილებია, რომლის მოსახლეობამაც მოგვიანებით ხურიტების პირველი გაერთიანება ჩამოაყალიბა. მაშინ გამოჩნდა პირველად აქაურთა სახელი „ხური" თუ „ხარი" („ჰური" თუ „ჰარი"). ირკვევა, რომ შუმერის მთლად უძველესი უბეიდის და ერიდუს კულტურული საზოგადოება სწორედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაძრულმა პროტოხურიტებმა, ანუ, როგორც მალე დავრწმუნდებით, პროტოქართველებმა ჩამოაყალიბეს.

როგორ?..

უძველესი შუმერული წერილობითი წყაროები ამ ადგილებში მცხოვრებ ხალხს არა „ხურიტების" არამედ „სუბარების" სახელით ამოწმებენ. „სუბარტუ" და „სუბარი" — ასე მოიხსენიებდნენ ჩრდილოეთის მთებში მოსახლე ხალხსა და მათ ქვეყანას ლაგაშის (შუმერი) ენსი ენანათუმი (ძვ. წ-ის XXVI ს.) და აქადის ხელმწიფე ნარამსინი (ძვ. წ-ის XXIII ს.). ჩნდება საფუძველი, რომ სწორედ „სუბარების" ბერძნულად ტრანსფორმირებული ფორმაა მსოფლიო ისტორიის მამის ჰეროდოტეს მიერ ნახსენები „სასპიერები" (და, ალბათ, უფრო გვიანდელი „იბერებიც").

პროტოქართველები რომ სუბარულ-ხურიული კულტურის ძირითადი შემოქმედნი უნდა ყოფილიყვნენ, ამას გვიკარნახებს ჩვენთვის უკვე ცნობილი ს. ლოიდის მოსაზრებისა და ტ. მარგელაშვილის მიერ 1937 წელს ბერლინში გამოცემული ნაშრომიც („Der Kaukasus und dez alte Orient") შეჯერება.

ამ უკანასკნელის მტკიცებით ენეოლითის ხანაში (ცივად დამუშავებული, ბუნებრივი სპილენძის უძველესი ნიმუში ძვ. წ-ის VII ათასწლეულის დასაწყისისაა — ჩაიენუ), წინააზიაში ჩრდილოეთიდან, კონკრეტულად კი კავკასიიდან, წამოსულმა ხალხმა შეიტანა პროგრესი. და არა მხოლოდ წინააზიაში, არამედ ამის შემდგომ — ევროპაში და შორეულ აღმოსავლეთშიც კი. ავტორი ამ რასას ზაგროს-პონტოურ-იაფეტურს, ანუ ქართველურს უწოდებს (!..) მისი სიტყვით, პროტოქართველებს ყველაზე მკაფიოდ შუმერზე მოუხდენიათ ზეგავლენა.

როგორც ივარაუდება, კავკასიონიდან სპარსეთის ყურემდე პერმანენტულად გაბმული მრავალათასწლოვანი კულტურული ჯაჭვის შუა რგოლი მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილი და შუამდინარეთის სათავეებია. ამიტომ, ჩვენ ისევ ამ შუა რგოლს — სუბარი-ხურის ქვეყანას დავუბრუნდეთ.

ინდოევროპულ ტომთა გამოჩენით და თანამონაწილეობით სწორედ ხურიტების კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე შეიქმნა ჯერ მითანის უძლიერესი სახელმწიფო, შემდეგ კი ურარტუ — ე.ი. უძველეს მიწათმოქმედთა ცენტრებმა ისევ ჩრდილოეთში გადმოინაცვლა შუმერის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ „ურარტუ"-ც ჰურისა და ჰარის კომპოზიტია. ამასთანავე, ძვ. წ-ის VII საუკუნემდე ურარტუს ქართველური მოდგმის მეფეები მართავდნენ (იხ. მ. თამარაშვილი).

კვლავ ვნახოთ, რას წერენ ხური-ხარიტების შესახებ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები: მცირე ჯგუფის მოსაზრებით ხურიტები ერთ-ერთი სუბარული ტომია და იგი ზაგროსის მთებიდან მოვიდა; მეორე, დიდ ჯგუფს (ჰუდი, ბიორნი, ფორერე, კლინგე, მელარტი, ბრონდშტეინი, ლენორმანი, ლანგი და სხვ.) მიაჩნია, რომ ხურიტები კავკასიიდან არიან ჩასული სამხრეთით; მესამე ჯგუფი (ივ. ჯავახიშვილი, მ. წერეთელი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ი. დუნაევსკი, ბ. კუფტინი და სხვ.) ფიქრობს, რომ ხურიტული ტომები მცირეაზიის მკვიდრნი იყვნენ იმთავითვე და პირიქით — აქედან ავიდნენ კავკასიაში. გ. მელიქიშვილი სწორედ ხურიტების და ხათების ამიერკავკასიაში ყოფნას თუ ასვლას უკავშირებს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებას. გ. გიორგაძე, ი. მაჭავარიანი, ნ. ნოზაძე და სხვანი წერენ, რომ მკვდარ ხურიტულ ენაში ნახურ-დაღესტნურთან, ქართულთან და ზანურთან ტიპოლოგიური მსგავსებანი დასტურდება. უფრო მკვეთრია ტ. ჩუბინაშვილის დასკვნა: **„საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება, რომ ქართველთა წინაპრები ჰურიტებიც იყვნენ და რომ ამ ტომების სამშობლო ჰურის ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ჰურიტები თავდაპირველად ურმიის ტბის მიდამოებამდე აღწევდნენ და გარკვეულ ურთიერთობაში იყვნენ ზაგროსის მთებში მცხოვრებ სხვა ტომებთან".** გ. გიოტცეს მოსაზრებით, „დიაუხის", ანუ იგივე ტაოხების სახელწოდებაში პირდაპირ არის შემონახული ხურიული ონომასტიკა „დაი" (დიაუხის მეორენაირი სახელია „დაიანე" — გ.ქ.).

...ლეონტი მროველი „ქართლოსის" უფროს ძმად „ჰაოსს" ასახელებს, თუმცა, მოსე ხორენელის ზეგავლენით, მასში ჰაიკ-არმენებს ხედავს. ლეონტის დიდ ბოდიშს ვუხდით, მაგრამ, როგორც ირკვევა, ქართლოსის უფროსი ძმის სახელი „ჰაროსი" („ჰუროსი") ყოფილა და არა „ჰაოსი", ისევე, როგორც უმცროსი ძმაა „ჰეროსი" და არა „ჰეოსი".

ძვ. ქართულ სიმღერებში შემორჩენილი შეძახილები გავიხსენოთ: „ხარ-ალალო და ვარ-ხარ-ალო"; „ჰარი-ჰარალი-ჰარალე"; „ჰარალი-ჰარი-ჰარალო"... ეს ხომ ძველი ქვეყნის — ჰარის წარმართული ლოცვაა!..

ჰოდა, ახლა, მთაქართლიდან არმაზციხისაკენ რომ ვეშვები, ამ „ჰარი-ჰარალოს" ღიღინით მივუყვები ბილიკს.

ეჰეე!.. რანი ვყოფილვართ!..

...გაქრა ბავშვობისდროინდელი ომის ყიჟინა, ჩემი ყრმობისა და თმადათოვილი მთაქართლელის აჩრდილელები, მაგრამ მხოლოდ დროებით — ჩვენი დაშორება როგორ იქნება!.. არმაზციხემდე!..



მთაქართლის გალავნის ნაშთი



ფიალა (სამარის კულტურა) ძვ.წ. 5000 წ.



თრიალეთის კულტურა, ძვ.წ. XIV ს.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ისტორიული მეხსიერება და გეოპოლიტიკური კანონზომიერება ითხოვს

## წერილი მეოთხე

დასაწყისი იხ. №24-26

**ვერც შევარდნაძისა და ვერც სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ შეიგნო უცილობელი ჭეშმარიტება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საქართველოსთან შემოერთების გასაღები მოსკოვში რომ დევს. აღნიშნული რეალობა ჯერ კიდევ 14 წლის წინათ ამერიკელმა გენერალმა ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა შეგვახსენა: „აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს რუსეთთან კარგი ურთიერთობით დაიბრუნებთო“. მას ეს ქართული წარმოშობის გენმა ათქმევინა, ანგლო-საქსი გენერალი ამას არასოდეს გვეტყოდა.**



გივი გურეშიძე



ნუგზარ ავალიანი

შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების დადების საფუძველი მომზადდა, მაგრამ ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი; არადა, მისი რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების პროცესი დიდად გაიოლდებოდა. ვინ ჩაგვიშალა რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების დადება? ბატონი ე. შევარდნაძე იძულებული იქნება, გვითხრას, რომ ეს ამერიკამ საქართველოში მაშინდელი ელჩის — რ. მაილსის დიდი ძალისხმევით მოახერხა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულება საქართველოს ნატოში შეთრევას გამორიცხავდა. რა მიიღო საქართველომ სანაცვლოდ? — მიიღო ის, რაც დღეს გვაქვს: სოროს-ამერიკული დოლარების შხაპუნა წვიმის ძალისხმევით ამერიკამ ე.შევარდნაძე მ. სააკაშვილით ჩაანაცვლა, ხოლო ამ უკანასკნელმა შევარდნაძის დროს დაკარგულ ქართულ მიწებს კოდორის ხეობისა და ახალგორის მიწებიც მიამატა, სოროს-დოლაროვან ხელისუფალთა ჯიბეებში მილიონები ჩაჩხრიალდა; ჩვენ, ხალხს კი, წილად სამი თითის კომბინაცია გვაკმარეს. კაცმა რომ თქვას, მეტის ღირსი არც ვართ ჩვენი ბედოვლათობის, გეოპოლიტიკური სიბრმავის, ბაქიაობის, ავადმყოფური ტოლერანტობის, მტერ-მოყვრის თუ მეზობლების გაურჩევლობის, უადგილოდ და გაუაზრებლად კვინტების აყრის და ასე შემდეგ გამო. ქართველმა ხალხმა საღი აზროვნების უნარი უნდა დაიბრუნოს. ეს მას ხელეწიფება.

ჩვენს წინამდებარე წერილებს, გამოქვეყნების შემთხვევაში, უეჭველია, გამოუჩნდება ოპონენტები აზროვნებადაკარგული და გეოპოლიტიკურად დაბრმავებული ანტირუსული პერსონების სახით, ამიტომ გადავწყვიტეთ, ფართო საზოგადოებას კვლავ გავაცნოთ ამ სტრიქონების პირველი თანაავტორის გ. გურეშიძის მიერ ოთხნახევარი წლის წინათ პრეზიდენტ სააკაშვილისადმი გაგზავნილი 25 რჩევიდან ის 6 რჩევა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს უკავშირდებოდა. ეს რჩევები რუბრიკით „პრეზიდენტის მოხალისე მრჩევლები“ გამოაქვეყნა „ასავალ-დასავალის“ მაშინდელი საგამომცემლო სახლის გაზეთმა „პრეზიდენტმა“. რჩევებში ვკითხულობთ: „2. ბატონო პრეზიდენტო! საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც თქვენ აირჩიეთ, ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს — აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონს ვერ დაგვიბრუნებს...; 4. ბატონო პრეზიდენტო! პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი რუსეთში რომ გააკეთეთ, ჭეშმარიტად მივესალმე. ამ ვიზიტს თქვენი განცხადება რომ მოჰყოლოდა — უარს ვამბობთ ნატოს სტრუქტურებში ან სხვა სამხედრო ბლოკებში გაერთიანებაზეო — კიდევ უფრო გავიხარებდი, რადგან ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანება გაიოლდებოდა...; 8. ბატონო პრეზიდენტო! თქვენი აშკარად გამოკვეთილი, ნატოსთან ჩახუტების დაუოკებელი პოლიტიკა რუსეთთან კარგი ურთიერთობისათვის ადგილს აღარ ტოვებს; პირიქით, მას დიდად აღიზიანებს...; 14. ბატონო პრეზიდენტო! მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ბატონი ვლადიმერ პუტინი „თვალებცქრიალა“ ნატოს ტრფიალს არ გაპატიებთ და უბედურებას გადაგყრით...; 19. ბატონო პრეზიდენტო! ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანების მეოცნებე თქვენი ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებას ვერასოდეს მიაღწევს; ისრაელიზაცია გარდაუვალია, რაც სამაჩაბლოს ბოლოდროინდელმა ტრაგედიებმაც დაადასტურა — 163 ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე რომ შეიწირა...; 20. ბატონო პრეზიდენტო! ავიღოთ თბილისი-მოსკოვის ადრინდელი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ინიციატივა, რაც მრავალმხრივ სასარგებლო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ მორალურ დივიდენდებს შეგვძენს; ხელს შეუწყობს აფხაზებთან მჭიდრო კონტაქტს, ლტოლვილების დაბრუნებას; მისი ეკონომიკური ეფექტურობა კი მრავალჯერ გადააჭარბებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალის ეფექტს...“ (გაზ. „პრეზიდენტი“, №2 (8), 17-30 იანვარი, 2005 წ., გვ. 16). აღნიშნული სტრიქონების ავტორი 80 წელსაა მიღწეული, აქვს ისტორიკოს-პოლიტოლოგის 55-წლიანი სტაჟი; არც ვანგაა და არც — ლელა კაკულია, მაგრამ რაღაცა დაეჯერება. პრეზიდენტი რომ არ დაუჯერებდა, იმთავითვე იცოდა; რატომ? — იმიტომ, რომ მას, სოროს-ამერიკული მილიონებით მოსყიდულს, სხვანაირად არ ძალუძდა... მოკლავდნენ, დოლარებს არ შეარჩენდნენ.

ანგლო-საქსები სხვისი ხელით ნარის გლეჯის დიდოსტატები რომ არიან, ამის დემონსტრირებისათვის ამ სტრიქონების ავტორებს წარსულისა და დღევანდელობის ბევრი ფაქტის მოტანა შეუძლიათ. ერთ დროს ინგლისმა ნაპოლეონის წინააღმდეგ მთელი ევროპის კოალიცია აამხედრა, მათ შორის რუსეთიც, მაგრამ მალე რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი სუვოროვის არმია უკან გამოითხოვა. პავლე ნაპოლეონს სწერდა, — მელა და გაიძვერა ინგლისმა მთელი ევროპა დარაზმა თქვენ წინააღმდეგ და მათ შორის ჩვენც, ცოდვილნიო. იმპერატორი პავლე ინგლისის მიერ დაგეშილმა შეთქმულებმა მოკლეს. განა ამერიკელმა ანგლო-საქსებმა არ მოკლეს სალვადორ ალიენდე, პინოჩეტით რომ ჩაანაცვლეს? ზვიად გამსახურდია ბუში უფროსმა არ შეიწირა, შევარდნაძით რომ ჩაანაცვლეს? მოკლეს მილოშევიჩი და ჩაანაცვლეს თავიანთი სატელიტით ან კიდევ სადამ ჰუსეინი — ერაყში და ა.შ. იგივე მოელის სააკაშვილსაც, თუ თავის გარემოცვასთან ერთად ორმაგად არ დაუბრუნებს მოხვეჭილ დოლარებს იმათ, ვისაც ჯერ არს და ხელისუფლებასაც, რაც შეიძლება მალე, თუ არ გაეცლება; დრო არ მოიცდის, ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანებაა მისაღწევი.

საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს ამ სტრიქონების თანაავტორი ნ. ავალიანი ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში. „წინდაწინ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონში მოხდა ორი დიდი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების დაპირისპირება და შეჯახება. კავკასიაში რუსეთს ისტორიულად გააჩნია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები. იგი საუკუნეების მანძილზე იყო კავკასიის სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტი. საბჭოთა პერიოდში პირველად გახდა შესაძლებელი სრულიად მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრება რეგიონში... სსრ კავშირის დანგრევის შემდეგ კავკასიის უნიკალური რეგიონი კრიზისმა მოიცვა...

აშშ-ს ამ რეგიონში თავისი ინტერესები გაუჩნდა... ასეთ შემთხვევაში საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. თავისი პრაგმატული ამოცანების შესასრულებლად აშშ-ს ხელს აძლევს არეულობა და ომი მისი სახელმწიფოს ტერიტორიისაგან შორს, რათა მღვრიე წყალში თევზი იოლად დაიჭიროს... რუსეთისათვის კი ხელსაყრელი და მნიშვნელოვანია მშვიდობა სამხრეთ საზღვრებთან. ცხადია, მშვიდობა სურთ თვით კავკასიის ხალხებს... ამიტომ ლოგიკურია, რომ რეგიონში რუსეთისადმი მხარდაჭერა გაცილებით დიდია, ვიდრე აშშ-სადმი. ეს უდავო ჭეშმარიტება უნდა გაიგოს ყველამ“ (ნუგზარ ავალიანი, გივი გურეშიძე; „ცხელი აგვისტო — 2008“; ქუთაისი, 2009, გვ. 4-5).

ამრიგად, რუსეთთან მჭიდრო დაახლოება ჩვენი ახირება როდია; ამას ჩვენგან სამხრეთ კავკასიაში შექმნილი გეოპოლიტიკური კანონზომიერება (ისეთი დიდი მეზობლების გვერდით, როგორიც რუსეთი და ირანია) გვკარნახობს. არც სომხეთი და აზერბაიჯანია ანგარიშგაუწეველი. საქართველოსათვის აღნიშნული კანონზომიერების გაუთვალისწინებლობა, მით უმეტეს ობამას განცხადების შემდეგ, რომ იგი აღიარებს რუსეთის ინტერესებს პოსტსაბჭოურ სივრცეში, გეოპოლიტიკური სიბრმავე იქნებოდა. ჩვენ ასეთ სიბრმავეში აშშ-ს ზეწოლის შედეგად უკვე ვიმყოფებით, რადგან ნათლად გამოკვეთილი მეცნიერული და ეროვნული გეოპოლიტიკური ცნობიერება არ გაგვჩენია; ამაზე „ნატო მინდას“ გაუთავებელი კაკანიც მეტყველებს.

საქართველოს ხსნა, მისი ეკონომიკის აღორძინება ამერიკა-დასავლეთში არ უნდა ვეძებოთ, რამეთუ მათ ერთხელ უკვე დაგვინგრიეს ეკონომიკა, მეცნიერება, განათლება და კულტურა; წაგვართვეს შიგა თუ გარე ბაზარი, გვაქციეს ღარიბ-ღატაკ უმუშევრებად.

რუსეთი ჩვენკენ რომ შემოვაბრუნოთ, კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ: „საქართველო ნატოში ან რომელიმე სხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებაზე უარს ამბობს; მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზების განლაგება დაუშვებელია“. ეს იქნება ნეიტრალიტეტის ფინური ვარიანტის გამეორება; რუსეთი ამას მიესალმება. აკი, განაცხადა კიდეც თავისი ყოფილი ელჩის — ვ. კოვალენკოს პირით: „საქართველოს სახით ჩვენ გვინდა, მეზობლად გვყავდეს აყვავებული, განვითარებული და ნეიტრალური ქვეყანა“.

აქვე გავიხსენოთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია მეორეს მიერ 2005 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გამოხატული აზრი: „ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ალბათ, ყველაზე კარგი ნეიტრალიტეტია“ (ეპისტოლე, გვ. 9).

ჩვენი გზა ჩრდილოეთისაკენ — რუსეთისკენ მიდის; ეს ერეკლე მეფის გზაა; მას ქართული გეოპოლიტიკური ვითარება ობიექტურად გვთავაზობს. მხოლოდ რუსეთთან კავშირით შევძლებთ ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას, ბაზრების მოპოვებას და, რაც მთავარია, ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებას.

მაშ, თუ რატომ რუსეთთან, ჩვენი მოსაზრება უკვე გაგანდეთ; დანარჩენი თქვენ განსაჯეთ, პატივცემულო მკითხველო.

პოლიტოლოგები:
**გივი გურეშიძე,**
**ნუგზარ ავალიანი**
*ქუთაისი, 2009 წ.*

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**



## „ცხელი აგვისტო, 2008“




**პოლიტოლოგების — ნუგზარ ავალიანის და გივი გურეშიძის წიგნი „ცხელი აგვისტო, 2008“ პირველი ორი ნაშრომით ავტორებმა ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში მოამზადეს დასაბეჭდად, მაგრამ გამოქვეყნებისგან თავი შეიკავეს იმის იმედით, რომ დაპირისპირებული მხარეები გონიერებას გამოიჩენდნენ და პრობლემებს მშვიდობიანად მოაგვარებდნენ.**

**„მაგრამ ახლა, როდესაც ვრწმუნდებით, რომ მხარეებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო იძაბება და არც ომის განახლების საფრთხეა დაძლეული, ხოლო ამ საქმეში ახლახან მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების შეხვედრამ სასურველი პერსპექტივა რეალობად ვერ აქცია, გადავწყვიტეთ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გამოვაქვეყნოთ ჩვენი ნაშრომი პირველყოფილი სახით და მას დავუმატოთ ჩვენი ერთობლივი წერილი, რომელიც დაიწერა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის — ნატოს შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით“, — ნათქვამია წიგნის შესავალში. ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი ერთობლივი შრომა მცირედ წვლილს შეიტანს საქართველოს გადარჩენის, ქართველი ერის გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკელმა შვეიცარიის ბანკის პრინციპები შეცვალა

**შვეიცარიული ბანკის „UBS“-ის ამერიკელმა თანამშრომელმა ბრედლი ბირკენფელდმა 2007 წელს ამერიკის ხელისუფლებას იმის შესახებ უამბო, თუ როგორ ეხმარებოდა ამერიკელებს გადასახადებისაგან თავის დასაძვრენად შვეიცარიაში საიდუმლო ანგარიშების გახსნაში, რითაც უდიდესი დარტყმა მიაყენა შვეიცარიის ბანკების კონფიდენციალობის პრინციპს.**



ხანგრძლივმა ფედერალურმა გამოძიებამ უკვე აიძულა „UBS“, 780 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა გადაეხადა იმისათვის, რომ ამერიკელებს ხელს უწყობდა საგადასახადო სამსახურებისაგან ფულის დამალვაში. გარდა ამისა, შვეიცარიის მარეგულირებელმა ორგანომ აიძულა ბანკი, გაემხილა იმ 4450 ამერიკელი მეანაბრის სახელი და მათი უმრავლესობის წინააღმდეგ გამოძიებაც დაიწყო. მოგვიანებით, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ბირკენფელდის უმსხვილესმა ამერიკელმა კლიენტმა, უძრავი ქონების კალიფორნიელმა მაგნატმა აღიარა, რომ გადასახადების გადახდას გაურბოდა და საგადასახადო დავალიანების დასაფარად 52 მილიონი დოლარის გადახდაზე დათანხმდა.



შვეიცარიაში, სადაც მსოფლიო საბანკო ინდუსტრიის საფუძველს სწორედ კონფიდენციალობა წარმოადგენდა, შიშობენ, რომ ეს ბიზნესი ძველ კალაპოტს ვეღარასდროს დაუბრუნდება.

ბირკენფელდმა აღიარა რა დანაშაული, სასამართლოს წინაშეც წარდგა, მაგრამ, ვინაიდან ის ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, იუსტიციის სამინისტრომ ხუთწლიანი მოსალოდნელი სასჯელის განახევრება მოითხოვა. საბოლოოდ 21 აგვისტოს სასამართლომ ბირკენფელდს სამი წლითა და ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული სკანდალის შემდეგ შვეიცარიის კონფედერაციის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს კუთვნილ 5,7 მილიარდ დოლარად ღირებულ ბანკის 332,2 მილიონ აქციას ყიდის. შარშან შვეიცარიის ხელისუფლებამ სწორედ ამ ოდენობის ფინანსური დახმარება გამოუყო „UBS“-ს კონვერტირებადი ობლიგაციების სანაცვლოდ. აქციების გაყიდვის შემდეგ ბანკმა სახელმწიფოს 1,8 მილიარდი შვეიცარიული ფრანკი პროცენტის სახითაც უნდა გადაუხადოს. ვინაიდან ამხელა პაკეტის გაყიდვა სერიოზული ფასდაკლების გარეშე ძალზე რთული საქმეა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სახელმწიფო დიდ მოგებას ვერ ნახავს. რაც შეეხება 4450 მევალის ვინაობას, აშშ-მ მხოლოდ მეათედის სახელი გაიგო; არადა, მისი მთავარი მოთხოვნა 52 000 კლიენტის სახელზე იყო. „UBS“-ის მეშვეობით მდიდარმა ამერიკელებმა საკუთარ ქვეყანას გადასახადების გადაუხდელობით 15-დან 20-მდე მილიარდი დოლარი მოჰპარეს.

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მთავრდება

**წინასწარი მონაცემებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალი 30 ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2009 წლის მეორე კვარტალში დასტაბილურდა და მხოლოდ 0,002%-ით შემცირდა. აპრილ-ივნისში კლებამ 0,3 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როდესაც წინა კვარტალში იგივე მაჩვენებელი 1,6%-ს აღწევდა.**



იაპონიის ეკონომიკა პირველ კვარტალში 3,1%-იანი კლების შემდეგ 0,9%-ით დაზარალდა; საფრანგეთსა და გერმანიაში მთლიანი შიდა პროდუქტის 0,3%-იანი მატება დაფიქსირდა; დიდ ბრიტანეთში ეკონომიკა 0,8%-ით შემცირდა. მთლიანად ევროზონის საერთო შიდა პროდუქტმა 0,1%-ით, ევროკავშირისამ კი 0,3%-ით იკლო.

თუ კვარტალურ მაჩვენებელს წინა კვარტლის მაჩვენებელს შევადარებთ, რუსეთს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით არაჩვეულებრივი მაჩვენებელი აქვს — მეორე კვარტალში საერთო შიდა პროდუქტმა 7,5%-ით იმატა, მაგრამ, თუ შედარებისათვის შარშანდელ მაჩვენებლებს გამოვიყენებთ, სულ სხვა სურათს მივიღებთ — რუსეთის ეკონომიკა, ვარდნის მხრივ, ერთ-ერთი ლიდერთაგანია, ის 10%-ით დაზარალდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებში ოპტიმიზმი მეფობს, გერმანიამ და საფრანგეთმა რეცესიის დასასრულის შესახებ უკვე განაცხადეს.

# სლოვაკეთს სახელისუფლებო კრიზისი ელის

**მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ მმართველ კოალიციაში შემავალი სლოვაკეთის ნაციონალური პარტიის (სნპ) მიერ დელეგირებული გარემოს დაცვის მინისტრი ვილიამ ტურსკი სამსახურიდან დაითხოვა, სლოვაკეთს სახელისუფლებო კრიზისის საფრთხე დაემუქრა.**

ფიცო კოალიციიდან სნპ-ს გასვლას არ გამორიცხავს, მაგრამ პარტია რომ მინისტრის აღნიშნულ პორტფელს დაკარგავს, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. ოფიციალური ვერსიით, ტურსკის თანამდებობიდან დათხოვნის მიზეზი მისი უწყების არადამაკმაყოფილებელი მუშაობაა, თუმცა პრესა თვლის, რომ პრემიერ-მინისტრმა გარემოს დაცვის მინისტრის კორუმპირებულობის შესახებ შეიტყო.

ახლა სლოვაკეთში მმართველი კოალიცია სოციალ-დემოკრატების, სახალხო პარტია — მოძრაობა დემოკრატიული სკოვაკეთისათვისა და სნპ-საგან შედგება. ყველაზე კარგად საქმე სოციალ-დემოკრატებს აქვთ — ამომრჩეველთა მხარდაჭერის წყალობით, ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, სწორედ ისინი წარმოადგენენ ახალ ხელისუფლებას. მათი ახლანდელი პარტნიორი პარტიები კი მმართველობის სადავეებს გამოემშვიდობებიან. მოქმედი კოალიციის რღვევას, მართალია, ჯერჯერობით თავშეკავებით, მაგრამ დამკვირვებლები უკვე წინასწარმეტყველებენ.

# უკრაინა საბჭოთა იარაღს ცხელ წერტილებში ყიდის



**იარაღის ექსპორტის მაკონტროლებელმა ბრიტანეთის საპარლამენტო კომიტეტმა ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ბრიტანელი შუამავლები უკრაინაში შეძენილ იარაღს ემბარგოდადებულ ქვეყნებში ყიდდნენ.**

კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრიტანული საშუამავლო ფირმების მიერ უკრაინული იარაღის გაყიდვის შესახებ არაფერი იცოდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა გამოძიების დაწყება ბრძანა, დეპუტატებმა იარაღის ექსპორტზე შეზღუდვების გამკაცრება მოითხოვეს.

კომიტეტის წევრების თქმით, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრ გორინისაგან მაისში მათ ძალზე იოლად მოიპოვეს ფირმების ჩამონათვალი, მაგრამ მითითებული არაა, იარაღი უკრაინიდან შემკვეთებთან პირდაპირ მიდიოდა თუ ბრიტანეთის გავლით; ასევე, უცნობია გარიგებების საფასური და იარაღის ტიპები, მაგრამ დეპუტატები ძალზე შეშფოთებულნი არიან იმ ფაქტით, რომ ყოფილი საბჭოთა იარაღი „არასასურველ ხელში“ ხვდება.

მილიბენდმა დეპუტატებს აცნობა, რომ გამოძიება დაწყებულია, მაგრამ უკრაინული სიის საიდუმლოდ შენახვა სთხოვა, რათა ეჭვმიტანილმა ფირმებმა გამოძიების შესახებ დროზე ადრე არ შეიტყონ და კვალის წაშლას არ შეეცადონ.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის როჯერ ბერის განცხადებით, კომიტეტი უკრაინას არაფერში ადანაშაულებს. მას, უპირველეს ყოვლისა, სურს, ბრიტანეთის ხელისუფლების ყურადღება კონტროლის გამკაცრების აუცილებლობისაკენ მიმართოს.



იარაღის უკანონო მიწოდების შესახებ სკანდალი ახლახან შვედეთშიც ატყდა. ქვეყანამ ვენესუელას ახსნა-განმარტება მოსთხოვა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ შვედური წარმოების იარაღი მეამბოხე მემარცხენე ექსტრემისტული დაჯგუფების „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების“ ხელში აღმოჩნდა. ვენესუელის შინაგან საქმეთა მინისტრმა შვედეთის ამ პრეტენზიას ქვეყანაზე მორიგი შეტევა უწოდა და, განცხადებით, რომ ისინი ტერორისტებთან არ თანამშრომლობენ, ვენესუელის მიერ კოლუმბიაზე იარაღის მიყიდვის ბრალდება უარყო.

ივნისში მასმედია იუწყებოდა, რომ ნიგერიის ხელისუფლებამ უკრაინული თვითმფრინავი დააკავა, რომელსაც იარაღი ეკვატორულ გვინეაში მიჰქონდა. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ამ თვითმფრინავის ბორტზე არსებული იარაღი ხორვატიის კუთვნილება იყო.

2008 წლის სექტემბერში სომალელმა მეკობრეებმა ხელში ჩაიგდეს უკრაინული გემი „Faina“, რომელიც სამხედრო ტექნიკით იყო დატვირთული და კენიისაკენ მიემართებოდა.

კენიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იარაღი ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ საერთაშორისო ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ იარაღი სამოქალაქო ომში გახვეული სამხრეთ სუდანისათვის იყო გამიზნული, კენია მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა.

# შოტლანდიამ მომაკვდინებელი სენით დაავადებული ტერორისტი გაათავისუფლა

**შოტლანდიის ხელისუფლებამ „ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე“ პატიმრობიდან გაათავისუფლა ლიბიელი აბდელ ბასიტა ალ-მიგრახი, რომელსაც 1988 წელს ქალაქ ლოკერბის თავზე სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქებისათვის (მაშინ ტერორისტულ აქტს თვითმფრინავის ბორტზე მყოფი 259 ადამიანი და ქალაქის 11 მცხოვრები ემსხვერპლა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ლიბიამ ოფიციალურად მხოლოდ 2003 წელს აღიარა) სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.**





ტერორისტი წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნითაა დაავადებული და მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. ალ-მიგრახი, ვაშინგტონის მხრიდან უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, გაათავისუფლეს და ლიბიის ხელისუფლებას გადააბარეს. როგორც აშშ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, აშშ ამას უადგილო და თვითმფრინავში დაღუპულთა ნათესავების სურვილის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევს. მისივე თქმით, აშშ-მ ამ საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების შესახებ გარკვევით აცნობა არა მხოლოდ შოტლანდიის, არამედ ლიბიის ხელისუფლებასაც, თუმცა, როგორც დამკვირვებლები მიიჩნევენ, ედინბურგის ნაბიჯი ლიბიაში ბრიტანეთის უდიდესი ეკონომიკური ინტერესებითაა განპირობებული, რაც ვაშინგტონისადმი ლონდონის პოლიტიკურ ლოიალობაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ბრიტანული მედია არაერთხელ იუწყებოდა, რომ ალ-მიგრახის გათავისუფლება ბრიტანულ ბიზნესს ფართო გზას გაუკვალავს ლიბიისაკენ. სამაგიეროდ, თეთრ სახლში „ღრმად აღშფოთდნენ“ შოტლანდიის გადაწყვეტილების გამო.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სტრატეგიის არჩევისას ობამამ შეცდა



**ახლოაღმოსავლური პრობლემების ავტორიტეტული ექსპერტის — ტარეკ ალის აზრით, პრეზიდენტად მოსვლის დროს ბარაკ ობამას შეეძლო, ავღანელებისა და ერაყელებისათვის კურსის შეცვლა შეეთავაზებინა, მაგრამ მან ბუშის საომარი სტრატეგია განაგრძო.**

ერაყს ამერიკის პრეზიდენტმა ჯარების გაყვანის პირობა მისცა, მაგრამ სინამდვილეში ჯარები ბაზებზე დარჩნენ, რომლებსაც ქალაქგარეთ აშენებენ. სწორედ ასე იქცეოდნენ ბრიტანელები, რომლებიც ერაყელებმა ქვეყნიდან 1958 წელს გააძევეს. სიტუაცია შეიძლება განმეორდეს, მაგრამ ის ამჯერად უფრო მძიმეა, ვინაიდან ქვეყანა შესაძლოა, სამად გაიხლიჩოს (ირანული სამხრეთი, საუდის ცენტრი და ისრაელ-ამერიკული ჩრდილოეთი). ტაკერ ალის არც ობამას ავღანური სტრატეგიისა სჯერა. მისი აზრით, უკვე ძალიან გვიანია. ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ ირანის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და პაკისტანის დახმარებით, თუ ისინი ქაბულის ეროვნული ხელისუფლების მხარდასაჭერად გაერთიანდებოდნენ, საკითხის პოლიტიკური გზით მოგვარება შესაძლებელი იყო. ახალი არჩევნები ფარსია, მოსახლეობის უკმაყოფილება მატულობს და მხოლოდ თალიბები განაგრძობენ მომხრეთა გადაბირებას.

# ჰიტლერის სამი ნახატი აუქციონზე გაიყიდება

**ბავარიული აუქციონი Weidler ჰიტლერის სამ ნამუშევარს ყიდის. 1910-1911 წლებში აკვარელით შესრულებული ნახატები 5 სექტემბერს ქალაქ ნიურნბერგში გახსნილ აუქციონზე იქნება წარმოდგენილი.**



ვიდრე პოლიტიკით დაკავდებოდა, ჰიტლერმა ორჯერ, 1907 და 1908 წლებში, ვენის სამხატვრო აკადემიაში სცადა ჩაბარება, მაგრამ შემოქმედებით კონკურსში ისევე ვერ გაიმარჯვა, როგორც დიდ სამამულო ომში. ითვლება, რომ ის პორტრეტებს ვერ ხატავდა, მხატვრის პორტფოლიოში პორტრეტები კი აკადემიის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო.

მომავალი ნაცისტი დიქტატორის მიერ ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე დახატული სამი პეიზაჟიდან თითოეულის საწყისი ფასი აუქციონზე 3-დან 3,5 ათას ევრომდე იქნება.

პირველი ლოტი, 1911 წელს აკვარელით დახატული „თეთრი ტაძარი ვარშავაში“, სააუქციონო სახლის მეპატრონემ პოლონელი ებრაელისაგან შეიძინა, რომლის წინაპრებიც ვენაში ცხოვრობდნენ და ხელოვნების ნიმუშების კოლექციას აგროვებდნენ.

„ვენის ოპერის შენობა“, მხატვარი ადოლფ ჰიტლერი



მეორე და მესამე ლოტი 1910 წელსაა დახატული. „დანგრეული წისქვილი“ და „ხიდიანი სახლი მდინარესთან“ დიდ ხანს ინახებოდა ვენელი უცნობი მუსიკოსის კოლექციაში.

აუქციონის ორგანიზატორი ჰერბერტ ვაიდლერი ჰიტლერის ნახატებს 2005 წლიდან ყიდის. 2009 წლის აპრილში ორი ნახატი უცნობმა მყიდველმა 32 ათას ევროდ შეიძინა.

# მერკელმა და მედვედევმა უკრაინაზეც მოილაპარაკეს?



**უკრაინასთან მიმართებაში მერკელსა და მედვედევს „მიუნჰენის შეთქმულება“ აქვთ. მედვედევმა მერკელის თანდასწრებით, ფაქტობრივად, ურთიერთობა გაწყვიტა უკრაინის პროდასავლურ ხელმძღვანელობასთან და თვალნათლივ მიანიშნა, რომ ამ ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლი თავისთვის მომგებიანი კანდიდატის სასარგებლოდ ჩაერევა.**

მერკელმა დუმილი არ დაარღვია. კიევი შიშობს, რომ კრემლი არჩევნებისას ან მის შემდეგ „ყირიმის კარტს“ გაათამაშებს, რათა არასაკმარისად პრორუსული რეჟიმის დესტაბილიზება მოახდინოს. არ შეიძლება რუსული ჯარის შეიარაღებული ინტერვენციის გამორიცხვაც, მით უფრო, რომ ახლახან მედვედევმა საკუთარი ჯარის საზღვარგარეთ გამოყენების კანონპროექტი შეიტანა სახელმწიფო დუმაში. მერკელის დუმილმა უკრაინას მიანიშნა, რომ მედვედევს ამ ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვაში ის ხელს ნამდვილად არ შეუშლის.

# ნავთობი აღარავის სჭირდება

**ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილების შემცირებისა და ნავთობგადამუშავების მცირე შემოსავლიანობის გამო მსოფლიოში შესაძლოა, 10 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დაიხუროს. მათი დახურვა მსოფლიო ნავთობგადამუშავების მოცულობას 1,4%-ით შეამცირებს.**

ევროპის უმსხვილესმა ნავთობკომპანია „Royal Dutch Shell Plc“-მა საწვავზე დაბალი მოთხოვნილების გამო ბრიტანეთის, ახალი ზელანდიისა და გერმანიის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები უკვე გასაყიდად გაამწესა. „BP Plc“ ქარხნების დახურვას არ აპირებს, მაგრამ, მისი მონაცემებით, 2008 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ნავთობის გადამუშავების შემოსავალმა 40%-ით იკლო. სხვადასხვა კომპანიის კუთვნილი რამდენიმე ქარხანა უკვე დახურულია. აშშ-ის უმსხვილესმა ნავთობგადამამუშავებელმა კომპანია „Valero Energy Corp“-მა არუბას კუნძულზე მდებარე ქარხანა უკვე დაკეტა. დიდ ბრიტანეთში საკუთარი ქარხნის მუშაობა შეაჩერა ევროპის უმსხვილესმა დამოუკიდებელმა ნავთობგადამამუშავებელმა კომპანიამ — „Petroplus Holdings AG“. აშშ-ის გაკოტრებული ნავთობგადამამუშავებელი კომპანია „Flying J Inc“, რომელიც ბენზინგასამართ სადგურებსა და მოტელებსაც ფლობდა, ინვესტორებს ან კალიფორნიაში მდებარე ქარხნის შეძენის მსურველებს ეძებს. ეს ქარხანა მისი შვილობილი კომპანია „Big West Oil LLC“-ის საკუთრებაა.

# რა უნდათ თალიბებს

**ისლამისტების თეორეტიკოსისა და თალიბების პოლიტიკური კომენტატორის ვაჰიდ მოჟდას აზრით, თალიბები ახლაც (ისევე, როგორც ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის პერიოდში) მხოლოდ ოკუპანტებთან დაუშვებენ დიალოგს და არამც და არამც — ქაბულის ხელისუფლებასთან. მაგრამ დასაწყისისათვის ამერიკელებმა ავღანეთიდან და საუდის არაბეთიდან ჯარების გაყვანის დრო უნდა დათქვან, ისრაელს კი დახმარება შეუწყვიტონ.**



მისი თქმით, ხელისუფლების განაწილების ფორმულა თალიბებისათვის მიუღებელია. „დღეს ავღანეთი მულა ომარს რომ მისცეთ, არ დაგთანხმდებათ, ვინაიდან მისი ავტორიტეტი შესუსტებული იქნებოდა მეზობელი მტრულად განწყობილი ქვეყნების გამო. დასაწყისისთვის აუცილებელია, რომ ამ მეზობელ ქვეყნებში პირობები შეიცვალოს“, — ბრძანა ვაჰიდ მოჟდამ. მისივე თქმით, ალქაიდა მულა ომარს ემორჩილება, თალიბები კი ყოველთვის თავისუფალნი იყვნენ ამ ორგანიზაციასთან მიმართებაში; მათგან იღებენ საბრძოლო ტაქტიკას, მაგრამ მის ბრძანებებს არ ემორჩილებიან. გარდა ამისა, თალიბები იმის წინააღმდეგნი არიან, რომ მუსლიმანური ქვეყნების მოსახლეობა თავიანთი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. თავიდან ალქაიდა ამ პოზიციას არ ეთანხმებოდა, მაგრამ მულა ომარმა თავის შეხედულებას არ უღალატა და ახლა არაბულ ქვეყნებში შედარებით სიმშვიდე სუფევს. „თალიბებს არ სურთ, რომ ავღანურის პარალელურად სხვა ფრონტებიც არსებობდეს, რადგან ამ შემთხვევაში მათ მიერ მიღებული დახმარება გაიფანტება, მაგრამ ავღანეთში დასავლეთის დამარცხების შემდეგ ჯიჰადი სხვა ადგილებში გაგრძელდება“, — ამბობს მოჟდა.

მისი თქმით, ახლა ავღანეთი ისლამისა და დასავლეთის წინააღმდეგობის ფრონტის ხაზად იქცა. თუ რომელიმე განსაკუთრებით რადიკალური ელემენტი გამოჩნდება, ვთქვათ, სუდანში, საუდის სპეცსამსახურები შეეცდებიან, მასთან მოლაპარაკებები გამართონ. თუ მას ნამდვილად ბრძოლა სურს, ავღანეთში გაგზავნიან, ვინაიდან ეს ქვეყანა საერთაშორისო ბრძოლის ველად იქცა. მოჟდას ინფორმაციით, პაკისტანის სპეცსამსახურების ზოგიერთი წევრი თალიბებთან თანამშრომლობს. გარდა ამისა, ისინი დახმარებას იღებენ ქვეყნებისაგან, რომელთაც ამერიკელების ავღანეთში დამარცხება სურთ. „ჩვენ ვიყენებთ იარაღს, კერძოდ, რუსეთსა და კიევში წარმოებულ „Sam-7“-ს, რომელსაც საუდის არაბეთიდან მიღებული ფულით ვყიდულობთ“, — გაამხილა მოჟდამ და ისიც აღიარა, რომ მათთვის სასურველია, ავღანეთის არჩევნებში კარზაიმ გაიმარჯვოს, ვინაიდან ის ძალზე სუსტ ხელისუფლებას ჩამოაყალიბებს.

# ახალი ავღანური გეოპოლიტიკა

**ლამის რვა წელი გავიდა ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამხობისა და მძიმე „რეკონსტრუქციის“ დაწყებიდან, მაგრამ ქვეყნის მომავალი ახლა, როგორც არასდროს, ბურუსითაა მოცული, საგარეო და შიდაპოლიტიკური მდგომარეობა კი მუდმივად იცვლება.**

პირველი, რაც თვალნათლივ ჩანს, ამერიკის მბრძანებლობის დასუსტებაა. 2008 წლიდან „ამერიკელთა კაცმა“ კანზაიმ ეროვნულობისაკენ გადაუხვია. სამმა რეგიონულმა ზესახელმწიფომ — რუსეთმა, ჩინეთმა და ირანმა — გამოთავისუფლებული ნიშით ისარგებლა და ავღანური გეოპოლიტიკაც „მრავალპოლარული“ გახდა.

შორეული ამერიკისაგან განსხვავებით, რუსეთი შუა აზიის სახელმწიფოა, რომელსაც სავსებით საფუძვლიანი რეგიონული ამბიციები აქვს. რუსეთი ყოველთვის დაჟინებით მიიწევდა სამხრეთისაკენ და ეს სწრაფვა, გადაიზარდა რა სამხედრო შეჭრაში, კატასტროფად იქცა. მას შემდეგ რუსეთმა გაკვეთილი მშვენივრად აითვისა და გადაწყვიტა, ფრთხილად იმოქმედოს. ახლა კარზაის რუსული სამხედრო ტექნიკის შეძენა სურს, ამერიკელები კი იძულებულნი არიან, ნატოს ტრანსპორტის ავღანეთის ჩრდილოეთ საზღვარზე ტრანზიტისათვის ნებართვა მედვედევსა



ავღანეთის გერბი

და პუტინს სთხოვოს. ზუსტად იგივე გეოგრაფიული კანონებით აიხსნება ირანის გავლენის ზრდაც. ხანგრძლივი ჩაჩუმების შემდეგ თეირანი შიიტური უმცირესობის კარტის გათამაშებით კვლავ იკავებს ადგილს ავღანურ სცენაზე. მისი ნამდვილი მიზანი კი, რასაკვირველია, ამერიკული ჯარების ავღანეთში ყოფნისათვის ხელისშეშლაა.

ავღანურ საქმეში ჩინეთის ჩარევა მისი საერთო შუააზიური პოლიტიკის ნაწილია, ამ პოლიტიკას კი ორი მთავარი პრინციპი აქვს: გააკონტროლოს ისლამიზმის კერები და საკუთარი მომავალი ნედლეულით უზრუნველყოს.

მაგრამ ეს ახალი გეოპოლიტიკური რუკა შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს: ბოევიკებთან დიალოგის შემთხვევაში პაკისტანმა და საუდის არაბეთმა შესაძლოა, თალიბების რეჟიმის დამხობისას დაკარგული გავლენა დაიბრუნონ. პაკისტანი მჭიდროდაა დაკავშირებული ავღანელ თალიბებთან, რომლებსაც „სტრატეგიული აქტივის“ სახით იყენებს. მათი ამოცანაა, შეავიწროვონ ინდური ქსელები, რომლებიც ავღანეთში 2001 წლიდან მომძლიერდა. ამიტომ მოლაპარაკებების დროს პაკისტანური სპეცსამსახურების დახმარება აუცილებელი იქნება. ეს ქაბულის ხელისუფლებისათვის უკიდურესად დელიკატური საკითხია, ავღანეთის ეროვნული ძალები ხომ ძალზე მტრულად არიან განწყობილნი პაკისტანის მიმართ. აქ შუამავალია საჭირო და ამ როლის შესრულება საუდის არაბეთს მოუწევს. ასე რომ, ავღანური გეოპოლიტიკა ახლა იმდენად რთულია, როგორც არასდროს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვინ ასწავლა სპილოს დაკვრა?



**არავისაც არ უსწავლებია, ბრიტანეთის ველური ბუნების პარკის „West Midland Safari Park"-ის ბინადარმა აფრიკულმა სპილომ ტუჩის გარმონზე დაკვრა მუსიკალური განათლების მიუღებლადაც შეძლო. ინსტრუმენტი 17 წლის ფაივმა შემთხვევით იპოვა პარკის ტერიტორიაზე სეირნობისას, ხორთუმით მაშინვე პირისკენ გაიქანა და ჩაჰბერა.**

ზოოპარკის მომსახურე პერსონალს ეგონა, რომ სპილოს მალე მოსწყინდებოდა ეს გასართობი, მაგრამ ფაივი რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველგან თან დაატარებდა გარმონს.

დროთა განმავლობაში კი უაზრო ბგერები მელოდიურით შეიცვალა. ფაივი ადრე ერთხელ უკვე გახდა ცნობილი, ოღონდ მაშინ მუსიკის ნაცვლად მხატვრობის ნიჭს ავლენდა — ხორთუმით ფუნჯი ეჭირა და ხატავდა.

პარკის საიტზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ტუჩის გარმონზე დაკვრა მეორე აფრიკულმა სპილომ — 16 წლის ლატაბემაც ისწავლა. ნათქვამის დასამტკიცებლად, ფაივისა და ლატაბეს დუეტი იმავე საიტზე ვიდეორგოლის სახითაა განთავსებული.

ტუჩის გარმონზე სპილოები ხშირად უკრავენ ხოლმე საცირკო წარმოდგენებში, თუმცა ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აღნიშნულ პროფესიას სპილო დამოუკიდებლად დაეუფლა.

# რა მოუვა ჩიტის ქურდს?

**ბრიტანეთში, ჰარტფორდშირის საგრაფოს ქალაქ ტრინგში, მდებარე ბუნებრივი ისტორიის მუზეუმიდან ტროპიკული ფრინველების 299 ფიტული მოიპარეს. გამოძიების ვარაუდით, ქურდები რომელიღაც კოლექციონერის დავალებით მოქმედებდნენ.**



მოპარულ ექსპონატთაგან ზოგიერთი 100-ზე მეტი წლის იყო. ქურდებმა ზუსტად იცოდნენ, რა უნდა წაეღოთ — მოპარულია მხოლოდ მამალი ჩიტების ფიტულები, რომლებიც დედლებისაზე ბევრად უფრო ლამაზი შეფერილობისაა. მუზეუმის თანამშრომლები შიშობენ, რომ ნაქურდალი ფიტულებიდან გამოცლილი ბუმბულებით კაბებს მორთავენ.

პროფესორ რიჩარდ ლეინის თქმით, ისტორიულად უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი ექსპონატებია დაკარგული, მოპარულ ფრინველთა გარკვეულ ნაწილს ბუნებაში თითქმის ველარ შეხვდებით. სხვა წყაროებიდან დანაკარგის შევსება შეუძლებელია, ვინაიდან ფიტულების გარკვეული რაოდენობა ერთადერთ ეგზემპლარად ინახებოდა აღნიშნულ მუზეუმში. უნდა აღინიშნოს, რომ 8 ათასამდე ყველაზე ღირებული ექსპონატისთვის ქურდებს ხელი არ უხლიათ. მუზეუმში სულ 750 000 ფიტულია.

# რაზე საუბრობდა დედა-დედოფალი?

**2002 წელს 101 წლის ასაკში გარდაცვლილი დედა-დედოფლის პირადი საუბრების ჩანაწერები ბრიტანეთში პირველად გამოქვეყნდა. ჩანაწერები ელისაბედ დედოფლის მეგობარმა სერ ერიკ ანდერსონმა შეასრულა და უინძორის სასახლის სამეფო საცავში ინახება. მათი გაშიფრვის შედეგად დედოფლის ბიოგრაფიას, რომელსაც პუბლიკაციისათვის მწერალი და ტელედიქტორი უილიამ შოუკროსი ამზადებს, მნიშვნელოვანი ფურცლები შეემატება.**

მწერალმა ამ ჩანაწერების ნახვის საშუალება მაშინ მიიღო, როდესაც ახლანდელმა დედოფალმა — ელისაბედ მეორემ ის დედა-დედოფლის ოფიციალურ ბიოგრაფად დანიშნა. წიგნის გამოსვლა 19 სექტემბრისთვისაა დათქმული. დედა-დედოფალს თავის სიცოცხლეში ერთადერთი ინტერვიუ აქვს მიცემული, ისიც 22 წლის ასაკში, ქორწინებამდე. ანდერსონთან საუბრების ჩანაწერები კი მისი ბიოგრაფიის საფუძვლად იქცა.

წიგნში ამ ჩანაწერების გარდა სამეფო არქივის სხვა უნიკალური მოწმობებიც და ელისაბედის პირადი წერილებიც გამოქვეყნდება.

# რით ისუნთქებენ მთვარეზე?

**როგორც ამბობენ, მთვარეზე ავტონომიური კოსმოსური ბაზის შექმნა ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება. ამ დროისათვის კი უმთავრესი ამოცანა მთვარის გრუნტიდან ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელი ნივთიერებების ამოღება იქნება.**



პროფესორ დერეკ ფრეის ხელმძღვანელობით კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამ მიმართულებით უდიდესი ნაბიჯი გადადგეს. მეცნიერები რამდენიმე წლის მანძილზე ცდილობდნენ, ოქსიდებიდან სუფთა მეტალის მიღების მეთოდი შეემუშავებინათ. ელექტროქიმიური რეაქციის შედეგად მიღებულ იქნა სუფთა მეტალი და ჟანგბადი, რომელიც ნახშირბადთან ურთიერთქმედების შედეგად ნახშირჟანგს წარმოქმნის. როგორც ცნობილია, მთვარეზე მეტალების ოქსიდები დიდი რაოდენობითაა. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ჯაჭვი ოდნავ შეცვალონ. იმავე რეაქციის შედეგად ამ ოქსიდებიდან მეტალი და ჟანგბადი მიიღეს, მხოლოდ ეს ჟანგბადი სხვა ელემენტებთან რეაქციაში აღარ შედის. პროფესორის მტკიცებით, მზის ელემენტებზე მომუშავე 4,5-კილოვატიანი სამი გენერატორისა და მთვარის სამი ტონა ოქსიდებისაგან წელიწადში ერთი ტონა ჟანგბადის მიღება შეიძლება.

ასე რომ, დღის წესრიგიდან მოიხსნა ჟანგბადის პრობლემა, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მთვარეზე წყლის არანაირი რესურსის აღმოჩენა არ მოხერხდა.

არის კიდევ ერთი პრობლემა — პრეზიდენტი ბარაკ ობამა აგვისტოს ბოლოს განიხილავს საკითხის ტექნიკურ და ეკონომიკურ მხარეს და კოსმოსში ადამიანის სამომავლო სტრატეგიასაც ამის შემდეგ შეარჩევს.

# რამდენი ფეხი აქვს ნეპალელთა ახალ კერპს?

**ჰიმალაის მთებში ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ნეპალის ერთ სოფელს ათასობით ადამიანი აწყდება, რათა თაყვანი სცენ ექვსი თვის ბავშვს, სახელად რისაბს. რისაბი ოთხი ხელითა და ოთხი ფეხით დაიბადა.**



ადგილობრივი მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, რომ მუცლადყოფნის დროს თავის უთავო, ჩამოუყალიბებელ ტყუპისცალთან შერწყმული რისაბი მათი ღმერთის, სხვადასხვა ვერსიით 2-დან 16-მდე ხელის პატრონი განეშის ახალი განსხეულებაა. ბავშვის მამა, 32 წლის რიხი გიმერი ამბობს, რომ ბავშვთან, როგორც ღმერთთან, თაყვანის საცემად მიდიან და წვრილ ფულს ჩუქნიან; ძღვენი, ძირითადად, ტანსაცმლისა და საკვების სახით მიდის. მისივე თქმით, არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ბავშვი ალქაჯის ნაშობსა და მაიმუნს ჰგავს. ასეა თუ ისე, რისაბი უკვე 5000-მდე კაცმა მოინახულა, მათ შორის ბევრი საკმაოდ შორი გზიდან მოვიდა. ადგილობრივმა ქურუმმა ისიც ბავშვს დააბრალა, რომ წელს წვიმები სასურველზე ნაკლები იყო. ბავშვის დედამ მანამდე ორი, აბსოლუტურად ნორმალური შვილი გააჩინა, მაგრამ რისაბის გაჩენისას ორი დღის განმავლობაში ისე იტანჯებოდა, რომ გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა. შემდეგ, როდესაც ბავშვი დაიბადა, რომ არა მისი მამა, საბრალო ქალს ადგილობრივი მოსახლეობა ალქაჯად გამოაცხადებდა და მოკლავდა. ახლა მშობლებს სურთ, რისაბს ოპერაცია გაუკეთონ და მკვდრადშობილი ტყუპისცალი მოაშორონ, მაგრამ ჯერჯერობით საამისოდ ფული არ აქვთ.

# რატომ ძინავს ზოგ ადამიანს ცოტახანს?

**ამ საიდუმლოს ფარდა ერთმა ბედნიერმა ოჯახმა ახადა, რომლის წევრებსაც სულ ხუთ საათს სძინავთ და რიჟრაჟამდე უკვე გამოძინებულები დგებიან.**



ცნობილია, რომ ძილის გარეშე ვერც ერთი ცხოველი ვერ ძლებს და არც ადამიანია გამონაკლისი. უბრალოდ, ზოგიერთს 4-6 საათი ყოფნის გამოსაძინებლად, ზოგი კი ათსაათიანი ძილის შემდეგაც ვერ წევს ბალიშიდან თავს. რამდენსაათიანი ძილია საჭირო ადამიანისათვის, რომ ჯანმრთელი სხეული და ფსიქიკა შეინარჩუნოს? ახლახან ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ადამიანისათვის აუცილებელი ძილის ხანგრძლივობას განსაკუთრებული გენი აკონტროლებს. მისი მუტაციის წყალობით კი ზოგიერთ ადამიანს შეუძლია უჩვეულოდ ცოტახანს იძინოს და თავი არაჩვეულებრივად იგრძნოს. აქ ჩვევა არაფერ შუაშია. მეცნიერთა აზრით, გენეტიკური თავისებურებები განაპირობებს იმასაც, რომ ზოგიერთ ადამიანს დილით ადრე ადგომა უყვარს და ზოგიერთს კი — შუადღემდე ძილი. არადა, ამ ადამიანებს, ჩვეულებრივ, 8 საათი ძინავთ; უბრალოდ, უჩვეულოდ გვიან ან უჩვეულოდ ადრე იღვიძებენ. მეცნიერების აზრით, ძილის საკითხი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გამოკვლეული და კიდევ საჭიროებს სერიოზულ მუშაობას.

# გეეჭვებათ, რომ სხვის შვილს ზრდით?



**დიდ ბრიტანეთში ეს საკითხი უკვე მოაგვარეს — სახლის პირობებში დნმ-ის ტესტისათვის საჭირო ნაკრები უკვე თავისუფალ გაყიდვაშია.**

ნებისმიერ მსურველს, ვისაც უკვე შეუსრულდა 16 წელი და 160 ფუნტი არ ენანება, შეუძლია სახლიდან გაუსვლელად ხუთი დღის განმავლობაში გადაამოწმოს, არის თუ არა თავისი შვილის მამა და შემთხვევით სხვის შვილს ხომ არ ზრდის.

უკვე ალაპარაკდნენ კრიტიკოსები, რომ ამ ტესტის წყალობით აყვანილმა ბავშვებმა შესაძლოა, არასასიამოვნო ამბავი ისე გაიგონ, რომ სერიოზულ ტრავმად ექცეთ და გვერდითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად ტესტების გაყიდვისათვის დამატებითი ნორმების დაწესებას ითხოვენ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ იცვლიან სქესს სამხრეთკორეელები?

**სამხრეთ კორეის უმაღლესმა სასამართლომ ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა. ამის შემდეგ სქესის შეცვლის მსურველ მოქალაქეებს აღარ ექნებათ ვალდებულება, წინასწარ მოიხადონ სამხედრო სამსახური, როგორც ეს აქამდე იყო.**

ცვლილებები ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო ორგანიზაციის რეკომენდაციით განხორციელდა. ეს პირველი ცვლილება იყო სქესის შეცვლასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში, რომელიც სამხრეთ კორეაში 2006 წლიდან მოქმედებს. ამ დრომდე ქალად გადაკეთების მსურველ მამაკაცს ჯერ სამხედრო სავალდებულო სამსახური უნდა გაევლო ან ხელისუფლება უნდა დაერწმუნებინა, რომ სქესს ჯარისათვის თავის ასარიდებლად არ იცვლიდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამის დამტკიცება პრაქტიკულად შეუძლებელია და კანონს აღნიშნული პუნქტი მოაკლო. სხვა შეზღუდვები კი ძველებურად ძალაში რჩება. სამხრეთ კორეაში ტრანსსექსუალი შეიძლება გახდეს 20 წელს გადაცილებული ადამიანი, რომელიც არაა დაოჯახებული და არ ჰყავს შვილი.

სამხრეთ კორეაში ქალად ქცევის მსურველი მამაკაცების რაოდენობა იზრდება. 2006 წელს ასეთი მხოლოდ 15 იყო, 2008-ში კი მათმა რაოდენობამ 29-ს მიაღწია.

# როგორი ბავშვები გაჩნდებიან მომავალში?

**ევოლუციას ესთეტიკა შეეწირება. მომავლის ადამიანები, თვით ყველაზე ლამაზი გოგონებიც კი, უთმო იქნებიან, არც მამაკაცებს ამოუვათ წვერი. სამაგიეროდ ყველას ექნება გრძელი და წვრილი თითები, რათა კომფორტულად დააჭირონ კომპიუტერის, მობილურისა და მომავლის სხვა ტექნიკის გამოსაყენებელ ღილაკებს. სიბრძნის კბილი აღარავის ასტკივდება იმიტომ, რომ ის აღარავის ექნება.**



მომავალი ადამიანის თემა ყველას აინტერესებს და ამ საკითხზე უამრავი ჰიპოთეზა თუ ფანტასტიკური მოსაზრება არსებობს. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რაც იტალიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაასკვნა: მომავალში უფრო მაღლები ვიქნებით. იტალიაში ომის შემდეგ მოსახლეობის მხოლოდ 6% აღწევდა 180 სანტიმეტრს, ახლა ყოველი მეხუთე ამ სიმაღლისაა. ასე რომ, კაცობრიობა სიმაღლეში იზრდება. მეცნიერები ადამიანის მომავალზე ვერანაირად ვერ შეთანხმდნენ. ზოგიერთი თვლის, რომ ეს ჩვენი საბოლოო სახეა და მილიონი წლის შემდეგაც ზუსტად ასეთები ვიქნებით. ზოგი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ბუნებრივ კატასტროფას შეუძლია, დაგვაბრუნოს უმკაცრესი ბუნებრივი გადარჩევის პირობებში. ფილოსოფოსი ფრანჩესკო კავალი სფორცა კი თვლის, რომ ელექტრონული და ინფორმაციული პროგრესი ადამიანის ნერვულ სისტემას გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიიყვანს. მისი თქმით, „ჩვენს ბიოლოგიას კულტურამ გაუსწრო“. სხვა მეცნიერები თვლიან, რომ მომავლის ადამიანების მთავარი დაავადებები ჭარბწონიანობა და დეპრესიები იქნება.

ასეა თუ ისე, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში შევიცვლებით და აღარასდროს ვიქნებით ისეთები, როგორებიც ახლა ვართ.

# რა მოხდება, თუ ჰილარის ჰკითხავთ, რას ფიქროს ბილი?



**საცოდავი ჰილარი, მან აფრიკის კონტინენტის ყველაზე გადაკარგული ქვეყნები მოიარა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ მათი არსებობა არავის დავიწყებია. თავად ამ ქვეყნების მოსახლეობას კი ჰილარი სულ სხვა რამის გამო დაამახსოვრდებათ. აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, როგორც ჩანს, ფრანგულიდან არასწორად უთარგმნეს კითხვა, რომლის მიხედვითაც მისი მეუღლის აზრს ეკითხებოდნენ.**

კონგოს დედაქალაქ კინშასაში, უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთმა სტუდენტმა ჰილარის ფრანგულად ჰკითხა, რას ფიქრობს პრეზიდენტი ჩინეთის მიერ კონგოსათვის გაწეულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დახმარებაზე. „პრეზიდენტში“, რასაკვირველია, ბარაკ ობამა იგულისხმებოდა, თარჯიმანმა კი რატომღაც ჩათვალა, რომ საუბარი ჰილარის მეუღლეს — ბილ კლინტონს ეხებოდა.

„გინდათ, გითხრათ, რას ფიქრობს ჩემი მეუღლე? — გამწარებით წამოიყვირა ჰილარიმ, — სახელმწიფო მდივანი მე ვარ და არა — ჩემი ქმარი. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, თუ არა და ჩემი ქმრის აზრების რეტრანსლირებას არ ვაპირებ“. ბრიფინგის დასრულების შემდეგ სტუდენტმა კლინტონს ბოდიში მოუხადა და განუმარტა, რომ მისი მეუღლე კი არა, პრეზიდენტი ობამა ჰყავდა მხედველობაში.

ისე, ჰილარის გაგებაც შეიძლება. ის სულ ბილის ჩრდილშია და აფრიკისათვის უმთავრესი ჩინური ექსპანსიის საკითხზეც თუ მისი ექს-პრეზიდენტი მეუღლის აზრით დაინტერესდნენ და არა მისი, როგორც სახელმწიფო მდივნისა, ცხადია, გაწიწმატდებოდა.

ოპონენტები კი სულაც არ არიან ესოდენ შემწყნარებელნი და ამ ფაქტში კიდევ ერთ დადასტურებას ხედავენ იმისას, რომ მთელი თავისი კარიერა ჰილარის ბილის პოპულარობის წყალობით აქვს აგებული. მეორე მხრივ, ჰილარი ცოტაოდენ თანაგრძნობასაც იმსახურებს — ამერიკულ პოლიტიკაში ქალებს ჯერ კიდევ ძალიან უჭირთ, მათ ან საერთოდ ვერ ხედავენ, ან, თუ ხედავენ, მათი არავის ესმის.

# რატომ არ იკურნება ჰომოსექსუალიზმი?

**ამერიკულმა ფსიქოლოგიურმა ასოციაციამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ირწმუნება, რომ ჰომოსექსუალიზმი არ იკურნება, ამიტომ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების თერაპია არა მხოლოდ უშედეგო და ფუჭი ძალისხმევა იქნება, არამედ დეპრესიასა და თვითმკვლელობებამდეც მიიყვანს ჰეტეროსექსუალებად საქცევ ობიექტებს.**



ფსიქოლოგების აზრით, ჰომოსექსუალებისადმი ახალი თერაპევტული მიდგომაა შესამუშავებელი. რიგ შემთხვევებში ადამიანები დახმარებას საჭიროებენ იმაში, რომ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია მიიღონ, როგორც გარდაუვალი ფაქტი. მეორე მხრივ, თუ ჰომოსექსუალიზმი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება ადამიანისათვის, ვთქვათ, რელიგიური მოსაზრებების გამო, მათ რეკომენდაცია უნდა გაეწიოთ, რომ უფრო ტოლერანტული რელიგია ეძებონ.

აშშ-ის საეპისკოპოსომ მიიღო დირექტივა, რომ თავის მსახურთა შორის მოშალოს ჰომოსექსუალიზმისათვის დასჯის წესი, თუმცა საეკლესიო მსახურნი უფრო ხშირად სხვა პოზიციაზე არიან. ზოგიერთი ფსიქოლოგი კი თვლის, რომ რელიგია და ჰომოსექსუალიზმი ერთდროულად დასაშვებია. ჰომოსექსუალური იმპულსები დაავადება არ არის, მაგრამ მათ ვერ მოიშორებ. სამაგიეროდ, შეიძლება მათი სუბლიმაცია და კონტროლი, ანუ სავსებით შესაძლებელია, იყო ჰომოსექსუალი და არ ეწეოდე ჰომოსექსუალურ პრაქტიკას. იმავე ფსიქოლოგთა აზრით, მორწმუნე ადამიანისათვის საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ცხოვრება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე საკუთარ სექსუალობაზე უარის თქმა.

# ვინაა ყველა დროის საუკეთესო გიტარისტი?

**ჟურნალმა „Time“ ელექტროგიტარის შემსრულებელთა შორის ყველა დროის საუკეთესოთა ათეული გამოავლინა, მაგრამ ჟურნალისტები ათეულს არ დასჯერდნენ და რეიტინგს მეთერთმეტე სახელიც მიაწერეს.**



ჯიმი ჰენდრიქსი



სლეში

პირველ ადგილზე სიცოცხლეშივე მუსიკალურ ფენომენად და ელექტროგიტარის გენიად აღიარებული ჯიმი ჰენდრიქსი გახლავთ. მეორე ადგილზეა ჯგუფ „Guns N’Roses“ წევრი სლეში (სოლ ჰადსონი). მან ათეულის წევრებიდან ყველაზე მეტი ითმინა თავისი ჯგუფის ვოკალისტებისაგან, მეორე ადგილი კი, რასაკვირველია, თავისი შლაპის წყალობითაც დაიმსახურა. მესამე ადგილზე ბი ბი კინგია. ის თავის გიტარას ლიუსილს იმიტომ კი არ ეძახდა, რომ ეს კარგი ტონია, როდესაც ის უკრავდა, გიტარა მართლაც ჯაზის მომღერალი ქალის ხმას გამოსცემდა. „The Rolling Stones“-ის გიტარისტი კიტ რიჩარდსი მეოთხე ადგილზეა, შემდეგ ერიკ კლეპტონი მოდის. მეექვსე ადგილის მფლობელი განუმეორებელი „Led Zeppelin“-ელი ჯიმი პეიჯია, რომელიც გიტარას ექვსი ხმით აჟღერებდა. შემდეგი ადგილები რეიტინგში ჩაკ ბერისა და ლეს პოლს ერგოთ, მათ შემდეგ კი ინგვი მალმსტინი და პრინსი აღმოჩნდნენ. საპატიო მე-11 ადგილზე ჯონ რამონი გახლავთ. არავის ეჯავრებოდა გიტარის სოლო უფრო მეტად, ვიდრე მას; ამიტომაც მოიკიდა ფეხი აკორდებით გაჯერებულ პანკ-მუსიკაში, სადაც საკუთარი იმპროვიზაციისათვის საერთოდ არ დატოვა ადგილი.

# რაზე ოცნებობენ ბრიტანელები?

**მეცნიერებმა ცხოველის ახალი ჯიში გამოიყვანეს. მას კურდღლის ყურები, კატის ცხვირ-პირი, ოქროსფერი რეტრივარის სხეული და ცხენის კუდი აქვს.**

საქმე ისაა, რომ ბრიტანული ოჯახის საყვარელი შინაური ცხოველი, გამოკითხვების თანახმად, ზუსტად ასე უნდა გამოიყურებოდეს. ეს ქმნილება დოქტორ ფრანკენშტეინის ლაბორატორიის ღირსეული ბინადარი იქნებოდა, მეცნიერებმა მას მაქსი უწოდეს. მაქსი ცხოველების მოყვარული 2000 ბრიტანელის გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებით კომპიუტერზე დაიხატა. ამ მონაცემების მიხედვით, ერის უსაყვარლესი შინაური ცხოველი 49%-ით ძაღლი უნდა ყოფილიყო, 35%-ით — კატა, 9%-ით — ცხენი და 7%-ით — კურდღელი. აღმოჩნდა, რომ ბრიტანელებს ფრანკენშტეინი ხიბლავთ.



# როგორ დაიწყება ზურაბ წერეთლის მემუარები

**მოედანს, სადაც ადრე ქარვასლაც იდგა, საავადმყოფო, ქალაქის საბჭო და თბილისის მერია იყო განთავსებული, ერთ დროს ერევნის მოედანი ერქვა; მოგვიანებით — ბერიას, შემდეგ — ლენინის, ამჟამად თავისუფლების სახელს ატარებს. ცენტრში ქართველი ერის სათაყვანებელი წმიდა გიორგის ძეგლია აღმართული.**
**ვინ აღმართა ეს თვალუწვდენელი მოოქროვილი ქმნილება, ვინაა მისი ავტორი და გამჭედი? — შესანიშნავი გვარი, სახელი და წარმომავლობა აქვს. ეს გახლავთ თბილისში დაბადებული, პლეხანოვზე გაზრდილი, თბილისის ვაჟთა მე-11 სკოლის და თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, შემდგომში კი თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ფერმწერი, მონუმენტალისტი, ნიუ-იორკის შტატის ბროკპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ამჟამად რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი, საფრანგეთის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი — ზურაბ წერეთელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩამონათვალი ზღვაში წვეთია.**



წარსულში მეგზურობას მე გაგიწევთ. ჩემი თვალით დანახულ მისი ბიოგრაფიის საინტერესო ფრაგმენტებს თქვენც გაგაცნობთ.

ერთ სკოლაში ვსწავლობდით, რამდენიმე კლასით წინ ვიყავი. თავად კი ცხოვრებას იმდროიდანვე უსწრებდა. უფროსებთან მეგობრობა უყვარდა. მისი თანატოლი, თანაკლასელი და განუყრელი მეგობარი გურამ დუდუჩავა გახლდათ, ვაჟკაცური აღნაგობის, დარბაისელი და ზურაბივით თავადური წარმოშობისა იყო.

ერთხელ მაღალი თავადური, არისტოკრატიული ოჯახის საზოგადოებაში აღმოვჩნდით. ოჯახის უფროსი ჩვენი გვარებითა და წარმომავლობით დაინტერესდა. გურამმა ხელი თამამად ჩამოართვა და გაეცნო:

— დუდუჩავა გახლავართ, ბატონო!

— ოჰ! — წარმოთქვა მასპინძელმა.

ზურაბმა კი ღიმილით და თავმომწონედ უთხრა:

— წერეთელი!..

— ოჰ, ოჰ, — უკვე ორჯერ თქვა მასპინძელმა.

მე ჯერ დავიბენი, ცოტა შევყოვნდი. ჩემი გვარი არავის გვარზე ნაკლებად არ მიმაჩნია, მაგრამ არათავადურ წარმომავლობას რა ვუყო? ვიფიქრე და წამსვე გამახსენდა.

— დედა მყავს, ბატონო, დიასამიძე! — წამოვიძახე და სასწრაფოდ ხელი ჩამოვართვი.

ყველას გაეცინა. ხუმრობაში ჩამეთვალა, თანაც თავადიც გავხდი.

თავადიშვილობის შესახსენებლად კი ზურაბს ხშირად როსტომს ვეძახდი.



ზაფხულია, ფუნიკულიორის რესტორანი გადაჭედილია. მე და ზურაბს რესტორნის ვერანდაზე საპატიო ადგილი გვიკავია. ამ დროს ჩვენს სუფრასთან ჩამოიარა ასტამურ აჩბამ. იგი ყველასათვის ცნობილი, უაღრესად დახვეწილი, მოქეიფე და მხარჯველი ბიჭი იყო. ვილაცამ ზურგზე ხელი მომითათუნა, ზურაბს მიესალმა და გაიარა. ზურაბი ჩემ პირდაპირ იჯდა და ასტამური რომ დაინახა, დამიძახა:

— ჟანიჯან! მიდი, ვიქეიფოთ, ამ სუფრას ასტამურა გადაიხდის.

ყველაფერი ისე აგისრულდესო, რომ იტყვიან; ოფიციანტმა გვამცნო — იქეიფეთ, თქვენი გადახდილიაო.

სწრაფად აღქმისა და დანახვის თავისებური ნიჭი ბიჭობაშივე ჰქონდა.

ლამაზი ქალი ვის არ მოსწონს, მაგრამ ზურაბს განსაკუთრებული გატაცება ახასიათებდა მშვენიერების მიმართ.

იმ დროს თბილისში უცხოელი ძალზე უცხო ხილი იყო. ჰოდა, ჩვენს მეზობლად, სუფრასთან ზურაბმა ულამაზესი ქალი შენიშნა. ეს ქალი პოლონელი აღმოჩნდა. ვარშავის რადიოს დიქტორი ქმართან ერთად ჩამოსულიყო თბილისში. ასტამურის ანგარიშზე შამპანური და შოკოლადი გაუგზავნა.

ატყდა უაღრესად ზედმეტი პატივისცემისა და ყურადღების კორიანტელი. ზურაბი მშვენიერი ქალბატონის დასაცავად ქმრის მხარეს დადგა. გაბრაზდა კიდეც, — რა არის, ლამაზი ქალი არ უნახავთო, — ამბობდა. შინაგანად კი მზად იყო, ქმრისთვის ცოლი წაერთმია. ბოლოს საუკეთესო პოზიციაზე შეჩერდა. უცხოელები უმტკივნეულოდ სასტუმრო „თბილისში“ უნდა მიეცილებინა და ქალის გულიც მოეგო.

სხვებისგან განსხვავებით, გაცილებით შორს იყურებოდა. ასეც მოხდა. ცოლ-ქმარმა მფარველად და ნავსაყუდელად ზურაბი შეარჩია. ეს ამბავი შინ თუ გარეთ ბევრჯერ მომიყოლია. ჩვენი შეხვედრების დროსაც ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებაა.

ჩემმა ახლო მეგობარმა გოგონამ კასპში დამპატიჟა. როგორც ყოველთვის, ჩემთან ერთად ზურაბი და გურამი იყვნენ. გაჩაღდა ქეიფი დოლგარმონითა და დუდუკით. ჩვენ ძალზე საპატიო სტუმრები ვიყავით. უფრო სწორად, ეს წვეულება ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის მოეწყო სპეციალურად. სუფრის თავში ვისხედით. ოჯახის დიასახლისი და თამადა თვალს არ გვაშორებდნენ. ქეიფის დასასრულს სუფრა გამეჩხერდა. ამ დროს სამი ახალგაზრდა შემოვიდა და სუფრის ბოლოში დაჯდა.

— რაღა მანდ დასხედით, მენშევიკები ხომ არა ხართ? — დავუძახე სუფრის მეორე ბოლოდან.

ცოტა ხნის მერე ზურაბი მეუბნება:

— აი, ის სამნი, შენ რომ მენშევიკები უწოდე, ერთმანეთს ეჩხუბება, არა მე უნდა მოვკლა, არა მეო, — შენს მოკვლაზე ლაპარაკობენო.

მაინცდამაინც არ შემშინებია, მაგრამ არც მესიამოვნა. თანაც დავინტერესდი, რა დავაშავე, ხომ უნდა ვიცოდე-მეთქი.

მეორედაც შევეხმიანე და ვთხოვე, ჩვენთან ახლოს მოსულიყვნენ. როგორც იქნა, ჩემი მასპინძლის ჩარევით სამივენი ჩვენთან მოვიყვანე.

აღმოჩნდა, რომ „მენშევიკები“ „მეშოკებად“ გაუგიათ. სიმართლე ზურაბმა დაადგინა და სიკვდილსაც გადამარჩინა. უამრავი სიკეთე გაუკეთებია, რაც საზოგადოებისთვის უცნობია და ბევრი რამ, ალბათ, თვითონაც აღარ ახსოვს.

მისმა საქმიანობამ და მსოფლიოს გარშემო განუწყვეტელმა ფრენამ ერთმანეთს ფიზიკურად დაგვაშორა. რა თქმა უნდა, წარსული დაუვიწყარი დარჩა.

ერთხელ მოსკოვში, ჩემი სადღეგრძელოს შესმისას, ოფიციალურად განაცხადა: „მემუარების წერა ამ ადამიანით უნდა დავიწყოო“.

კაცი, რომელიც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პრეზიდენტს და უამრავ გამოჩენილ ადამიანს შეხვედრია, ჩემით იწყებს მემუარების წერას. ეს ჩემი კი არა, ქართველი ხალხის, საქართველოს სიყვარულისა და პატივისცემის ნიშანია.

ზურაბ წერეთლის შემოქმედებას პატივს მიაგებს მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება, განსაკუთრებით, ამერიკისა და რუსეთის ელიტა. იგი იმსახურებს ყველა ქვეყნის პრეზიდენტის ყურადღებას. ვინ ჩამოთვლის მის გრანდიოზულ ნამუშევრებს, თუნდაც თბილისში განხორციელებულს.

ვრეკავ ზურაბ წერეთელთან. 75 წლის მხატვარი 50-მეტრიან ხარაჩოზე აღმოვაჩინე ამერიკაში. მაშინვე კოლუმბი გამახსენდა.

— თბილისი და საქართველო არასოდეს მავიწყდებაო, — მითხრა.

დიდუბის პანთეონში მეუღლის — ინესა ანდრონიკაშვილის საფლავს მის მიერ გამოქანდაკებული მფარველი ანგელოზი ამშვენებს...

**ჟანი სიხარულიძე**

---

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებით თანაუგრძნობს გაზეთის რეალიზაციის მენეჯერს დავით ბუაძეს სიდედრის

**ემა ტრდატიანის**

გარდაცვალების გამო.

---

**„საქართველო და მსოფლიოს“ მორიგი ნომერი გამოვა 9 სექტემბერს.**










მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net